სარჩევი

1. სისხლის სამართლის მართლმსაჯულება 2
2. დამოუკიდებელი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მართლმსაჯულების სისტემა 5
3. პროკურატურა 7
4. სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა. 9
5. სასჯელაღსრულების სისტემა პრობაცია და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია 14
6. წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლა 31
7. ადამიანით ვაჭრობასთან ბრძოლა 49
8. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა 54
9. გამოხატვის თავისუფლება 61
10. შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება 63
11. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების დაცვა 65
12. რწმენის და აღმსარებლობის თავისუფლება და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვა 70
13. ბავშვთა უფლებების დაცვა 74
14. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა, ქალთა უფლებების დაცვა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა 101
15. იძულებით გადაადგილებულ პირთა- დევნილთა უფლებები 113
16. თავშესაფრის მქონე პირთა უფლება 119
17. ეკო-მიგრანტები უფლებები 121
18. რეპატრიანტთა უფლებები 124
19. ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრები ადამიანების უფლებების დაცვა 125
20. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები 133
21. შრომითი უფლებები 158
22. საკუთრების უფლების დაცვა. 165
23. ეკოლოგიური უფლებების დაცვა 166

სისხლის სამართლის მართლმსაჯულება

1. სისხლის სამართლის კანონმდებლობის გადახედვა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების კუთხით

1.1. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის დახვეწისათვის საჭირო ცვლილებების ინიცირება

1.1.1. შეჯიბრობითობის პრინციპის და დაცვის მხარის უფლებების განმტკიცება

შეჯიბრებითობის პრინციპის განმტკიცების მიზნით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოს პარლამენტმა 2013 წლის ივნისში მიიღო.

ბრალდებულის რიგი უფლებებისა და საქმის სამართლიანი განხილვის პრინციპის ეფექტური რეალიზების მიზნით, რაც გულისხმობს მხარეთა მიერ სასამართლოში მტკიცებულებების პირველადი ფორმით წარდგენის მეტ შესაძლებლობას, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოში საქმის განხილვის ვადის დაწესებას ისეთ საქმეებზე, სადაც ბრალდებულს შეფარდებული აქვს არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება ან საერთოდ არ აქვს შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება, ხოლო, მეორე მხრივ, საერთაშორისო სტანდარტებთან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ნორმების შესაბამისობაში მოყვანას, რომლებიც აღკვეთის ღონისძიების, განსაკუთრებით პატიმრობის, გამოყენებას, შეცვლასა და გაუქმებას ეხება.
ცვლილებების პროექტი ა/წ აპრილს მოწონებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ და წარდგენილია საქართველოს პარლამენტში.
შეჯიბრებითობის პრინციპის და დაცვის მხარის უფლებების განმტკიცების მიზნით, საჭიროებიდან გამომდინარე, დამატებით ცვლილებების მომზადება იგეგმება 2015 წელს.

1.1.2.საპროცესო შეთანხმების რეფორმა

საპროცესო შეთანხმების საკანონმდებლო რეფორმა განხორციელებულია. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები ძალაში შევიდა 2014 წლის აგვისტოში. ცვლილებების ძირითად არსს წარმოადგენს სასჯელზე საპროცესო შეთანხმების გაუქმება, საპროცესო შეთანხმების ოქმის წარმოების საკანონმდებლო რეგულირება, საპროცესო შეთანხმების პროცესში მოსამართლის უფლებამოსილებების გაზრდა, საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების საფუძვლების გაფართოება და სხვა.

1.1.3.ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რეფორმა

სახელმწიფო ბრალდების ეფექტურად მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად 2014 წლის ივნისში და ივლისში ამერიკის საელჩოს ორგანიზებით პროკურორების გარკვეული ჯგუფისთვის ჩატარდა ტრენინგი სასამართლო „უნარ-ჩვევებში“, ძირითადი აქცენტი გაკეთდა ნაფიცი მსაჯულების წინაშე გამოსვლაზე.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის გაძლიერებისა და დახვეწის მიზნით, ამზადებს შედარებით სამართლებრივ კვლევებს, რომლებიც ეხება ევროპულ სახელმწიფოებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იურისდიქციას, ნაფიც მსაჯულთა შერჩევის მეთოდებსა და გადაწყვეტილების დასაბუთებულობის საკითხებს.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რეფორმის მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება იგეგმება 2015 წელს.

1.1.4.დაზარალებულთა უფლებების განმტკიცების მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დაზარალებულის უფლებების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებები ძალაში შევიდა 2014 წლის აგვისტოში, რომლის მიხედვით დაზარალებულის უფლებას, მიიღოს ცნობა დანაშულის შეტყობინების შესახებ; მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს; განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში სასამართლოში გაასაჩივროს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება; მიიღოს ინფორმაცია ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვების შესახებ და სხვა.

1.1.5. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში პირადი ცხოვრების უფლების დაცვისათვის საჭირო ევროპული სტანდარტების დასამკვიდრებლად აუცილებელი საკანონმდებლო ინიციატივების მომზადება

2014 წლის 1 აგვისტოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად "ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" კანონით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებები, რომელთა განხორციელების დროსაც დიდია ადამიანის კონსტიტუციურ უფლებათა შეზღუდვის ხარისხი, გადავიდა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის რეგულირების სფეროში. სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა ახალი XVI1 თავი, რომელიც განსაზღვრავს ფარული საგამოძიებო მოქმედებების სახეებს, პროცედურებსა და პრინციპებს, რომელიც შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან. განხორციელებული ცვლილებებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია შემდეგი: ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობა და შემდგომი მოქმედებები, ამასთან საქართველოს უზენაესი სასამართლო ადგენს ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრს, რომელშიც აისახება ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაცია. აღსანიშნავია

"პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონში განხორციელებული ცვლილება, და პერსონალური მონაცემთა დაცვის როგორც გარე კონტროლის მექანიზმის ჩართვა პროცესში.

1.2. სისხლის სამართლის კოდექსის ლიბერალიზაციის, მოსამართლის დისკრეციის გაზრდის, ნათელი და განჭვრეტადი სისხლის სამართლის ნორმების ფორმირების მიზნით, ცვლილებების პროექტის მომზადება

1.2.1. ზოგადი ნაწილის პროექტის მომზადება

1.2.2. კერძო ნაწილის პროექტის მომზადება

2014 წელს საქართველოს მთავარი პროკურატურა აქტიურად მონაწილეობდა იუსტიციის სამინისტროს მიერ შექმნილი უწყებათაშორისო საბჭოს საქმიანობაში. აღნიშნული საბჭოს ფარგლებში მომზადდა სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად და კერძო ნაწილებში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტები. ყურადღება გამახვილდა ისეთ კონცეპტუალურ საკითხებზე, როგორიცაა: სასჯელის დანიშვნის პრინციპები, სასჯელის სახეები, პირობითი მსჯავრი, გამოსაცდელი ვადა, ჯარიმა და სხვ. გადაიხედა აგრეთვე კონკრეტულ დანაშაულთა შემადგენლობები, დამამძიმებელი გარემოებები, სანქციები და სხვ. სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებების პროექტი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით გაიგზავნა ევროსაბჭოში ექსპერტიზაზე 2014 წლის 9 ივლისს. ევროსაბჭოსგან საკანონმდებლო ცვლილებებზე დასკვნა იუსტიციის სამინისტრომ 2015 წლის მარტში მიიღო. დასკვნის საფუძველზე მოხდება საკანონმდებლო ცვლილებების გადახედვა და დახვეწა. პროექტის პარლამენტში გაგზავნა იგეგმება 2015 წლის საგაზაფხულო სესიაზე.

1.3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სისტემური გადასინჯვა

1.3.1. საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევების კოდექსის სისტემურად ახალი პროექტის შემუშავება; ადმინისტრაციულ პატიმრობასთან დაკავშირებული ნორმების სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის შემდეგ დაემატა 11 ნაწილი, რომლითაც კანონი სასამართლოს დაავალდებულებს, ასკ-ის 45-ე 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების საქმის განხილვა დაიწყოს დაუყოვნებლივ, სამართალდარღვევის ოქმის და საქმის წარმოების სხვა მასალების მიღებისთანავე. სასამართლოს მიერ სამართალდარღვევების საქმის განხილვის დაუყოვნებლივ დაწყება სამართალდარღვევის ოქმის და საქმის წარმოების სხვა მასალების მიღებისთანავე ხელს შეუწყობს, როგორც პირის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დაცვას, ასევე სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის ეფექტურობის გაზრდას. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 32-ე მუხლის ახალი რედაქციით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა არ შეიძლება იყოს 15 დღეზე მეტი. ეს ნორმა აისახა სამართალდარღვევათა კოდექსის სხვადასხვა მუხლში,

რომლებითაც დადგენილი იყო ადმინისტრაციული პატიმრობის 15 დღეზე მეტი ვადა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 245-ე მუხლში შეტანილი ცვლილების შედეგად, ადმინისტრაციული დაკავებისას დამკავებელი მოხელე ვალდებული იქნება დაკავებულს დაკავებისთანავე გასაგები ფორმით განუმარტოს: ა) რა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ჩაიდინა მან და დაკავების საფუძველი; ბ) მას უფლება აქვს ადვოკატზე; გ) მისი სურვილის შემთხვევაში მისი დაკავების ფაქტს და ადგილსამყოფელს აცნობებენ მის მიერ დასახელებულ ახლობელს და ადმინისტრაციას სამუშაო თუ სწავლის ადგილის მიხედვით. არასრულწლოვანის დაკავების შესახებ აუცილებლად, პირველი შესაძლებლობისთანავე, აცნობებენ მის მშობლებს ან კანონიერ წარმომადგენლებს. გარდა აღნიშნულისა, „დაუშვებელ მტკიცებულებად განისაზღვრება ის განცხადება, რომელიც დაკავებულმა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული განმარტების მიღებამდე გააკეთა“.

დამოუკიდებელი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მართლმსაჯულების სისტემა

2. სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის გაუმჯობესება სასამართლოს სისტემის განგრძობადი რეფორმის მხარდაჭერის გზით

2.1.სასამართლოს დამოუკიდებლობის გაზრდის ხელშეწყობა სამართლიანი სასამართლოს პრინციპების შესაბამისად.

2.1.1. საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება და ინიცირება მოსამართლეთა დანიშვნის წესის სრულყოფის, უვადოდ დანიშვნამდე, 3 წლის ვადით დანიშნული მოსამართლეების საქმიანობის მონიტორინგისა და შეფასების კრიტერიუმების შემუშავების, მოსამართლის საქმიანობაში ჩაურევლობის მკაფიო გარანტიების ჩამოყალიბების, საქმეთა ავტომატური განაწილების სამართლიანი პრინციპის შემოღების, მოსამართლეთა მივლინების პროცედურის მოწესრიგების, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭირვალობის გაზრდის მიზნით;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებულ და ინიცირებულ იქნა 3 წლის ვადით დანიშნული მოსამართლეების საქმიანობის მონიტორინგის, შეფასების კრიტერიუმებისა და პროცესის მარეგულირებელი კანონპროექტი, რომელიც მიღებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის აგვისტოს თვეში. შემუშავებულია საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლის მიზანია მოსამართლეთა დანიშვნის წესის სრულყოფა, მოსამართლის საქმიანობაში ჩაურევლობის მკაფიო გარანტიების ჩამოყალიბება, საქმეთა ავტომატური განაწილების სამართლიანი პრინციპის შემოღება, მოსამართლეთა მივლინების პროცედურის მოწესრიგება და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭირვალობის გაზრდა. აღნიშნული კანონპროექტები ექსპერტიზის მიზნით გაგზავნილ იქნა ვენეციის კომისიაში. კომისიის დასკვნის გათვალისწინებით, კანონპროექტების გადამუშავების პროცესი დასრულდა. ინიცირების პროცესი დაწყებულია და უახლოეს

მომავალში საქართველოს პარლამენტი შეუდგება საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის განხილვას.

2.2. მოსამართლეთა ანგარიშვალდებულების სისტემის გაუმჯობესების მხარდაჭერა სამართლიანობის, ობიექტურობისა და მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით.

2.2.1.საკანომდებლო ცვლილებების მომზადება და წარდგენა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის დახვეწის, მოსამართლეთა დაცვის დამატებითი სამართლებრივი გარანტიების შექმნის, სამართალწარმოების ეტაპების ოპტიმიზაციისა და ზოგადად დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით.

იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებულია კანონის პროექტი „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“. კანონპროექტი ექსპერტიზის მიზნით გაგზავნილი იყო ვენეციის კომისიაში. კომისიის დასკვნის გათვალისწინებით, კანონპროექტების გადამუშავების პროცესი დასრულდა. ინიცირების პროცესი დაწყებულია და უახლოეს მომავალში საქართველოს პარლამენტი შეუდგება საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის განხილვას.

2.4. მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლება

2.4.1. იუსტიციის უმაღლესი სკოლის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა მოსამართლეთა მომზადებისა და განგრძობადი განათლების პროგრამების პერიოდული განახლების მიზნით, ადამიანის უფლებების სისტემური, მათ შორის სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების ეფექტური იმპლემენტაციის უზრუნველყოფის მიზნით.

2014 წელს იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ, მოსამართლეთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში, ჯამში უზრუნველყო 53 ტრენინგის ჩატარება მოქმედი მოსამართლეებისთვის მათ მიერ მოთხოვნილ და მნიშვნელოვან საკითხებზე.

აღნიშნული ტრენინგების დიდი ნაწილი ეთმობოდა ადამიანის უფლებების თემატიკას, რომელიც, ასევე, მოიცავდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებს.

რაც შეეხება 2015 წლის პროგრამას, იგი უკვე დამტკიცებულია და ითვალისწინებს შემდეგ ტრეინინგებს ადამიანის უფლებების თემატიკაზე:

1. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და მისი გამოყენება - 2 ტრეინინგი;
2. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები - 2 ტრეინინგი;
3. ბავშვთა უფლებების დაცვა; მათ შორის, ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის საკითხები - 2 ტრეინინგი;
4. ნარკომომხმარებელთა უფლებები - 2 ტრეინინგი;

5. ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალი და თავშესაფრის ასპექტები საქართველოში - 1 ტრენინგი;
6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მართლმსაჯულების ეფექტიანი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა - 2 ტრეინინგი;
7. შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლება - 1 ტრეინინგი;
8. ადამიანით ვაჭრობა; ტრეფიკინგის მსხვერპლთა, განსაკუთრებით ბავშვების ეფექტიანი დაცვა - 1 ტრეინინგი;

პროკურატურა

3. პროკურატურა - ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული სამართლიანი, ეფექტური და გამჭვირვალე სისხლის სამართლებრივი დევნა

3.1. დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ცვალებადი გამოწვევების შესაბამისი სისხლის სამართლის პოლიტიკის წარმოება

3.1.1. სისხლის სამართლის პოლიტიკის შემუშავების კოორდინაცია [პროკურატურის მხრიდან] სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობით, საკანონმდებლო ბაზის, სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებითა და საზოგადოებრივი სექტორის მონაწილეობით.

2014 წელს პროკურატურის შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფების მიერ გაანალიზებულ იქნა გავრცელებული დანაშაულები, მათი ჩადენის ხერხები, მიზეზები და მოტივები, რის საფუძველზეც განისაზღვრა არსებული კრიმინოგენური მდგომარეობის შესაბამისი სისხლის სამართლის პოლიტიკა. გაანალიზდა 2014 წლის განმავლობაში ჩადენილი თითოეული ფაქტი, რის შედეგადაც შემუშავებულ იქნა სისხლის სამართლის პოლიტიკა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებსა და ოჯახში ძალადობის მიმართებით. მსგავსი ანალიზები გაკეთდა სხვა გავრცელებულ დანაშაულებთან მიმართებითაც.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გაანალიზებულ იქნა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები, რის საფუძველზეც განისაზღვრა სისხლის სამართლის პოლიტიკა არასრულწლოვანთა მიმართ. ამ მიმართულებით პროკურატურის მიერ განსახორციელებელი აქტივობების დაგეგმვის პროცესში მონაწილეობდნენ როგორც საერთაშორისო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სისხლის სამართლის პოლიტიკის შემუშავებას საფუძვლად დაედო ასევე სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, კერძოდ, 2014 წელს პროკურატურის მიერ გაანალიზდა როგორც განაჩენების, ისე აღკვეთის ღონისძიებებისა და საპროცესო იძულების ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკა.

3.3. პროკურატურის კვალიფიკაციის ამაღლება და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საქმიანობის ფორმების დანერგვა.

3.3.1.კვალიფიციური კადრების შერჩევა, შენარჩუნება და პროფესიული განვითარება

პროკურატურის სისტემის თანამშრომელთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, უწყების შიდა რესურსით თუ დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, 2014 წელს სულ განხორციელდა 60-ზე მეტი სასწავლო აქტივობა. განხორციელებული პროექტები ძირითადად მოიცავდა შემდეგ თემებს:

- პროფესიული ეთიკა;
- პერსონალური მონაცემების დაცვა;
- ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები;
- არასათანადო მოპყრობის საქმეების ეფექტიანი გამოძიება;
- დაკავებისა და პატიმრობის სტანდარტი;
- კორუფციული დანაშაულის გამოძიება;
- იურიდიული პირების პასუხისმგებლობა;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება;
- განრიდება და მედიაცია;
- ოჯახში ძალადობა;
- არასათანადო მოპყრობის საქმეების ეფექტიანი გამოძიება;
- ტრეფიკინგი;
- ადამიანების კონტრაბანდა/საზღვარზე უკანონო გადაყვანა;
- ნარკოტრეფიკინგი;
- კომპიუტერული დანაშაულის გამოძიება;
- უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია;
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარ-ჩვევები;
- იურიდიული დოკუმენტების შედგენა და დასაბუთება;
- ზოგადი და იურიდიული ინგლისური;
- ეფექტური კომუნიკაცია და საჯარო გამოსვლები.

ამასთან, პროკურატურის სისტემის ყველა პროკურორისა და გამომძიებლისათვის ჩატარდა სამუშაო შეხვედრები 2014 წელს განხორციელებულ მნიშვნელოვან საკანონმდებლო სიახლეებზე.

3.4. პროკურატურის საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის ამაღლება

3.4.1. საზოგადოებაზე ორიენტირებული პროკურატურის განვითარება

მიმდინარე წელს საქართველოს პროკურატურის მიერ შეიქმნა სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის. სახელმძღვანელოში თავმოყრილია ზოგადი სამართლებრივი საკითხები, რომლებიც დაეხმარება ჟურნალისტს სამართლებრივი ხასიათის ინფორმაციის

გაშუქებაში. წლის ბოლოს დაგეგმილია ჟურნალისტებთან შეხვედრა სახელმძღვანელოს გაცნობის მიზნით.

2014 წელს წარმატებულად იმუშავა მოწმეთა და დაზარალებულთა კოორდინატორის სამსახურმა. კოორდინატორებმა სამართლებრივ საკითხებზე მომსახურება გაუწიეს და ცალკეული საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს 10 000-ზე მეტ მოქალაქეს (მათ შორის მოწმეს, დაზარალებულს, ბრალდებულს).

2014 წლის ბოლოს განხორციელდა კოორდინატორთა გადამზადება, მათი ფუნქციების გაფართოებისა და საქმიანობის სრულყოფის მიზნით. გადამზადების დროს განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2014 წლის ივლისში განხორციელებულ ცვლილებებზე, რათა კოორდინატორებმა უფრო ეფექტურად შეძლონ დაზარალებულის უფლებების პრაქტიკაში რეალიზება.

სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა.

4. პოლიციის სისტემაში დანაშაულის პრევენციისა და ეფექტური გამოძიების სტანდარტების გაუმჯობესება, ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების გაძლიერება და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა

4.1. ადამიანური რესურსების განვითარება ადამიანის უფლებათა დაცვაზე ორიენტირებული ტრეინინგებისა და გადამზადების მეშვეობით

4.1.1. პოლიციის საგამოძიებო შესაძლებლობების გაზრდა საბაზისო და სპეციალიზებული ტრენინგის/გადამზადების კურსების მეშვეობით, მათ შორის ტრეინინგები ტაქტიკურ და საგამოძიებო უნარ ჩვევებში

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში ტრეინინგები ტაქტიკურ და საგამოძიებო უნარ ჩვევებში იკითხება თითქმის ყველა პროგრამასა და კურსზე. 2014 წლის იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე გადამზადდა - 2158 მსმენელი. 2015 წლის იანვრიდან 4 მარტამდე გაიარა 440 მსმენელმა; 2015 წლის მიმდინარე მსმენელების ოდენობა არის 337 მსმენელი. სამომავლოდ (2015 წლის ბოლომდე) აკადემიაში ზემოაღნიშნულ საკითხებში გაგრძელდება, როგორც სამინისტროში მისაღები კანდიდატების, ისე მოქმედი თანამშრომლების მომზადება.

4.1.2. ტრეინინგი შსს თანამშრომლებისთვის ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის საკითხებზე

ტრეინინგი შსს თანამშრომლებისთვის ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის საკითხებზე შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში იკითხება ყველა მომიჯნავე პოზიციის გადამზადების თუ მომზადების კურსზე. შსს აკადემიაში ზემოაღნიშნული ტრეინინგი 2014 წლის იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე გაიარა - 620 მსმენელმა. 2015 წლის იანვრიდან 4 მარტამდე გაიარა 207 მსმენელმა; 2015 წლის მიმდინარე

მსმენელების ოდენობა არის 291 მსმენელი. სამომავლოდ (2015 წლის ბოლომდე) აკადემიაში ზემოაღნიშნულ საკითხებში გააგრძელდება, როგორც სამინისტროში მისაღები კანდიდატების, ისე მოქმედი თანამშრომლების მომზადება.

4.1.3. შსს თანამშრომელთა მომზადება/გადამზადება არასრულწლოვნებთან მოპყრობის სამართლებრივ და ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე/საკითხებზე

შსს აკადემიაში არასრულწლოვანთა პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სპეციალური სასწავლო კურსი 2014 წლის იანვრიდან 2015 წლის 4 მარტამდე გაიარა - 247 მსმენელმა. სამომავლოდ (2015 წლის ბოლომდე) აკადემიაში ზემოაღნიშნულ საკითხებში გაგრძელდება მოქმედი თანამშრომლების მომზადება.

4.1.4. დროებითი მოთავსების იზოლატორებში ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესება დროებითი მოთავსების იზოლატორის პერსონალის მომზადება/გადამზადების კურიკულუმის შექმნითა და სპეციალიზებული ტრენინგების განხორციელების გზით

დროებითი მოთავსების იზოლატორებში ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს შსს აკადემიაში გაიარა ტრეინინგი: ,,საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში ჯანსაღი გარემოს შექმნისა და დაავადებათა პრევენციის შესახებ“. ტრეინინგის პროგრამა შემუშავდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ევროპის საბჭოს მჭიდრო თანამშრომლობით და მოიცავდა შემდეგ საკითხებს: საერთაშორისო და ეროვნული დოკუმენტები ჯანდაცვის საკითხების შესახებ, დაავადებათა პრევენცია და ჯანმრთელობის ხელშეწყობა, საცხოვრებელი პირობები, ფსიქიკური ჯანმრთელობა, თვითდაზიანებისა და სუიციდის პრევენცია, ტუბერკულოზის გამომწვევი მიზეზები და გადადების გზები, ჰეპატიტები A,B,C, ალერგია, დიაბეტი და კანის დაავადებები;

ევროკავშირის დახმარებით 2014 წლის 11 ივლისს დაიწყო ტრეინინგები დროებითი მოთავსების იზოლატორთა თანამშრომლებისთვის, რომლის ფარგლებშიც მოხდა სრული შემადგენლობის გადამზადება. ტრეინინგის ფარგლებში დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომლებმა შეისწავლეს პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევა, ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების ამოცნობა და მათთან მოპყრობა, ასევე სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის დახმარების გაწევა. აღნიშნული ტრეინინგები ჩატარდა 6 ეტაპად და დასრულდა 2015 წლის თებერვალში.

ევროკავშირის დახმარებით მიმდინარეობს და უახლოეს მომავალში დასრულდება დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომელთათვის სპეციალური საბაზისო სასწავლო კურსის შექმნა, რომლის ფარგლებშიც მომავალი თანამშრომლები მიიღებენ ცოდნას, როგორც დროებითი მოთავსების იზოლატორების საქმიანობაზე, ასევე დაკავებულთა უფლებებზე, ჯანმრთელობაზე და ყველა ასპექტებზე, რომელთა ცოდნაც აუცილებელია მათი შემდგომი საქმიანობის პერიოდში.

ამ ეტაპზე, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის ფარგლებში დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომელთათვის მიმდინარეობს ტრეინინგები, რომლის ფარგლებში მონაწილეები ეცნობიან ევროპის წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT) სტანდარტებსა და რეკომენდაციებს, ასევე ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებს.

2015 წლის 21 თებერვლიდან (დამთავრდება 5 აპრილს) ევროპის საბჭოს და ევროკავშირის ერთობლივი პროგრამის „ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში“ ფარგლებში გაიმართა ტრეინინგები დროებითი მოთავსების იზოლატორის ყველა თანამშრომლისთვის (სულ 230 თანამშრომელი). ორდღიანი

ტრეინინგის ფარგლებში თანამშრომლები გაეცნენ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სხვადასხვა გადაწყვეტილებებს, ევროპის წამების პრევენციის კომიტეტის მანდატს, სტანდარტებს და კომიტეტის მიერ საქართველოში ვიზიტების შესახებ შედგენილ ანგარიშებს.

4.2. ადამიანის უფლებები და საზოგადოებასთან ურთიერთობა

4.2.1. დაკავებულთა ინფორმირება მათი უფლებების შესახებ, დაბეჭდილი მასალის გამოყენებით

დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებულების უფლებების შესახებ მათი ინფორმირების მიზნით ინახება ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი წესით დაკავებულ პირთა უფლებების ნუსხა ცალ-ცალკე. აღნიშნული დოკუმენტების ტექსტი შედგენილია სახალხო დამცველის აპარატთან ერთად და ისინი ექვს ენაზეა ნათარგმნი. პიროვნებას დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებისთანავე გადაეცემა დოკუმენტი, რომელსაც გაცნობის შემდეგ აწერს ხელს. ხელმოწერილი უფლებების ნუსხა ინახება დაკავებულის პირად საქმესთან ერთად.

4.2.2. შსს თანამშრომლების საქმიანობაზე (საგამოძიებო და პრევენციული) შიდა კონტროლის არსებული მექანიზმის რეფორმა, რომელიც უზრუნველყოფს, აღნიშნული მექანიზმის ეფექტურობას და სისტემურ დამოუკიდებლობას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმდინარე რეფორმების ფარგლებში განხორციელდა შიდა კონტროლის არსებული მეთოდების ანალიზი და აღნიშნულის საფუძველზე შესაბამისი რიგი სისტემური ცვლილებები.

სამინისტროს გარკვეულ ქვედანაყოფებს (საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, საგანგებო და სპეციალური ღონისძიებების ცენტრი, სსიპ-ები და სხვ.) ჰქონდათდელეგირებული უფლებამოსილება განეხორციელებინათ დამოუკიდებელი მონიტორინგი და სამსახურებრივი ზედამხედველობა; ანალიზმა ცხადყო, რომ არაცენტრალიზებული მუშაობა არაეფექტიანი იყო; იგი ვერ უზრუნველყოფდა ობიექტურ, მიუკერძოებელ და რეალურ ინფორმაციას დანაყოფების პერსონალისა და არსებული გარემოებების შესახებ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა გენერალური ინსპექციის დებულების, სტრუქტურისა და საშტატო განრიგის ახალი მოდელი. აღნიშნული ახალი მოდელი უზრუნველყოფს დისციპლინური წარმოების ცენტრალიზაციას და თავიდან იცილებს ქვედანაყოფებს შორის მონიტორინგის საქმიანობის დუბლირებას; კერძოდ, გენერალური ინსპექცია ზედამხედველობს შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებული ერთეულების მონიტორინგის ქვედანაყოფებს.

შედეგად, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, სამინისტროს მმართველობაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელი პირები სამინისტროს გენერალურ ინსპექციას შემდგომი რეაგირებისათვის წერილობითი ფორმით (წარდგინება) უგზავნიან გადაცდომის ამსახველ ფაქტებსა და გარემოებებს, რაზედაც დისციპლინური გადაცდომის ამსახველ დასკვნას ადგენს სამინისტროს გენერალური ინსპექცია და სახდელის დადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მინისტრი ან მოსამსახურის დანიშვნა–გათავისუფლებაზე უფლებამოსილი პირი.

მხოლოდ შრომის დისციპლინის წესის დარღვევისას, ფორმის, ტანსაცმლის ტარების წესის დარღვევისას, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელი პირები უფლებამოსილი არიან, შეადგინონ დისციპლინური გადაცდომის ამსახველი დასკვნა და განიხილონ დისციპლინური სახდელის დადების საკითხი, მხოლოდ განყოფილების უფროსის მოადგილისა და უფრო დაბალი რანგის მოსამსახურის მიმართ. ზემოაღნიშნული ცვლილებები, კერძოდ კი, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დისკრეციული უფლებამოსილებების შეზღუდვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დასაქმებულის უფლებების დაცვის კონტექსტში.

გენერალური ინსპექცია ანგარიშვალდებულია მხოლოდ შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე; იგი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და დაუშვებელია სხვა სტრუქტურული ერთეულის ან თანამდებობის პირის მხრიდან მის საქმიანობაში ჩარევა.

გენერალური ინსპექციის ახალი მოდელი უზრუნველყოფს არსებული მდგომარეობის გამოწვევების, საფრთხეებისა და შესაძლო რისკების ყოვლისმომცველ ანალიზს, რომელიც წარმოდგენილია შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების მიერ, ასევე არსებული გარემოების ობიექტურ შეფასებას და სამინისტროს თანამდებობის პირებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების მიცემას დროული პრევენციული ღონისძიებების განსახორციელებლად.

4.2.3.ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შსს-ს დმი-ს სტანდარტული ოპერატიული პროცედურებისა (SOP) და ქცევის ინსტრუქციების შემუშავება პროკურატურასთან თანამშრომლობით;

შსს-ს თანამშრომლების საქმიანობაზე (საგამოძიებო და პრევენციული) შიდა კონტროლის არსებული მექანიზმის რეფორმის ფარგლებში და დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომელთა სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (SOP) შემუშავების მიზნით, მიმდინარე წლის მაისში საქართველოში იმყოფებოდა ევროპის საბჭოს ექსპერტი ბატონი ჯეიმს მერდოკი. უცხოელი ექსპერტი ადგილზე გაეცნო დროებითი მოთავსების იზოლატორების ფუნქციონირებას და თანამშრომელთა უფლება-მოვალეობებს, რაზედაც მოამზადა შესაბამისი ანგარიში. დოკუმენტზე მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს და იგი უახლოვეს მომავალში დასრულდება;

4.2.4. დანაშაულის პრევენცია არასრულწლოვანთა ცნობიერების ამაღლების გზით

საზოგადოებასთან ურთიერთობის გააქტიურების მიზნით 2013–2014 წლის სასწავლო წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და PH INTERNATIONAL -თან თანამშრომლობით, შსს–მ განახორციელა პროექტი „სამართლებრივი განვითარების პროგრამა“ საქართველოს საჯარო სკოლებში. აღნიშნული პროექტი გრძელდება ასევე 2014-2015 სასწავლო წელს. პროექტი ითვალისწინებს წინასწარ შედგენილი საგნის: „სამართლებრივი კულტურის“ სწავლებას შერჩეული სკოლების მე-9 კლასელთათვის. აღნიშნული საგნის სწავლება მიმდინარეობს სპეციალურად გადამზადებული სამართალდამცველისა და სკოლის პედაგოგის ერთობლივი აქტივობით. პროექტის

ფარგლებში ხორციელდება სკოლის მოსწავლეთა ვიზიტები შსს სხვადასხვა შენობებში. სკოლის მოსწავლეები ეწვივნენ შსს შემდეგ დანაყოფებს: შსს აკადემიას, გადაუდებელი დახმარების სატელეფონო ცენტრ–112, საექსპერტო–კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოს. აღნიშნული ვიზიტებით მოსწავლეები ადგილზე ეცნობიან დანაშაულის გამოძიების თანამედროვე მეთოდებს და სამართალდამცავთა საქმიანობას.

შსს აკადემიაში 2014 წლის განმავლობაში სკოლის მოსწავლეთა და სტუდენტთა არაერთი ვიზიტი განხორციელდა. ვიზიტები ემსახურება მოზარდებში სამართლებრივი კულტურის ამაღლებას და ამგზით არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციას.

2014 წელს შსს აკადემიას მსგავსი ვიზიტით ეწვია 401 მოსწავლე (20 საჯარო სკოლა თბილისისა და რეგიონების მასშტაბით) და 424 სტუდენტი სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან (მათ შორის: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი და სხვ.) 2015 წლის 28 თებერვალს შსს აკადემიას სამცხე-ჯავახეთის საჯარო სკოლების 30 მოსწავლე ეწვია.
მსგავსი ვიზიტები აქტიურად იგეგმება 2015 წლისთვის.

4.2.5.პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, საზოგადოების მუდმივად ინფორმირებით ვებ-გვერდის, სოციალური მედიისა და რგოლების, რადიო გადაცემის, საინფორმაციო ბროშურების საშუალებით

შს სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი მედიასთან პროაქტიურ კომუნიკაციას ახორციელებს. საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი რეგულარულად მართავს ბრიფინგებს მას-მედიის წარმომადგენლებისათვის, პასუხობს ყველაზე აქტუალურ კითხვებს.

შსს-სთან დაკავშირებული ინფორმაცია ვიდეო, ფოტო და ტექსტური მასალის სახით, საზოგადოებას, მათ შორის, მედიას, დროულად მიეწოდება სამინისტროს ვებ-გვერდის www.police.ge-ს და ასევე, facebook-ზე სამინისტროს ოფიციალური გვერდის მეშვეობით. შს სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის აქტიურად იყენებს სოციალური ქსელებს და სოციალურ მედიას.

შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი საზოგადოებას ინფორმაციას უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის გათვალისწინებით და გამოძიების ინტერესების დაცვით აწვდის; შსს-ს მიერ გავრცელებულ ვიდეომასალაში დაკავებულის სახე იფარება, ტექსტურ მასალაში მხოლოდ სახელი და გვარი პირველი ასო იწერება, არ იწერება დაზარალებულის ვინაობა, ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში არ მიეთითება საავადმყოფოს მისამართი და არ ასახელებს იმ კომპანიის სახელწოდებას, სადაც მოხდა დანაშაული;

2014 წლის 29 სექტემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტსა და ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ შორის ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომლის ფარგლებში განხორციელდა პროექტი,

„პოლიციის დაკავების დროს ეჭვმიტანილის საპროცესო უფლებები საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში: ემპირიული კვლევა და საუკეთესო პრაქტიკის ხელშეწყობა“. პროექტი მიზნად ისახავდა საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში დაკავებულ/ბრალდებულ პირთა უფლებების დაცვის მდგომარეობის შესწავლასა და პოლიციის თანამშრომლების მიერ ამ კუთხით არსებული პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების შემუშავებას. კვლევა კონცენტრირებული იყო პროცედურული უფლებების განმარტების, დუმილის უფლების, სამედიცინო დახმარებისა და ადვოკატის ხელმისაწვდომობის დაცვის საკითხებზე. კვლევა განხორციელდა თბილისის, ქუთაისისა და თელავის პოლიციის განყოფილებებში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პრაქტიკოსების ყოველდღიურ საქმიანობაზე პირდაპირი დაკვირვებით. ასევე ჩატარდა პოლიციელთა, ადვოკატთა და დაკავებულთა მიზნობრივი ინტერვიუები. აღნიშნული პროექტი ხაზს უსვამს შსს-ს გამჭვირვალობასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის მზადყოფნას.

განსაჯაროვდა შსს გენერალური ინსპექციის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციისა და ანტიკორუფციული სააგენტოს დებულებები.

შს სამინისტროს საქმიანობის საჯაროობის და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებები:

- 2014 წლის მარტიდან დღემდე „ავტორადიო“-ს ეთერში გადის ყოველკვირეული რადიოგადაცემა - „კანონის ფარგლებში“. შს სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებით, საზოგადოებისთვის აქტუალურ სხვადასხვა თემაზე მიძღვნილ თითოეულ გადაცემაში, პირდაპირ ეთერში, შს სამინისტროს სხვადასხვა ქვედანაყოფის ხელმძღვანელი პირები საუბრობდნენ კონკრეტულ თემაზე და ამომწურავ პასუხებს სცემდნენ მოსახლეობის მიერ პირდაპირ ეთერში მათთვის დასმულ კითხვებს. გადაცემა გამოირჩევა მაღალი რეიტინგით;
- 2015 წლის საინფორმაციო - საიმიჯო რგოლი - წლის შემაჯამებელი რგოლი შს სამინისტროს მუშაობის შესახებ;
- მზადდება მხატვრულ-დოკუმენტური ფილმების სერიალი "დოკუმენტური დეტექტივი". თითოეულ სერიაში რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით, ნაჩვენები იქნება შს სამინისტროს ქვედანაყოფების საქმიანობა სხვადასხვა დანაშაულთან ბრძოლის წინააღმდეგ.

საგზაო უსაფრთხოების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით დაგეგმილია შემდეგი საინფორმაციო-საკომუნიკაციო კამპანიები:

- „მძღოლებო გზა დაუთმეთ ქვეითებს“, „ქვეითებო ისარგებლეთ გადასასვლელით“ - აღნიშნული კამპანიის ფარგლებში 2014 წელს გაიმართა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა მერიის, შს სამინისტროს შესაბამისი ქვედანაყოფების წარმომადგენლებთან და ამ თემაზე მომუშავე არასამთავრობო სექტორთან. კერძოდ: საავტომობილო ფედერაციისა და „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“;
- საჭესთან არ ისარგებლო მობილური ტელეფონით (არ ისაუბრო, არ იმესიჯო მობილურზე);
- პრევენციის მიზნით მომზადდება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ვიდეო რგოლი - ტრეფიკინგზე;

პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, საზოგადოების მუდმივად ინფორმირების მიზნით პოლიციის ვებ-გვერდზე:

- შემუშავდა ხშირად დასმული 300-მდე კითხვა-პასუხი (FAQ)
- დაიწყო მოქალაქეების გამოკითხვა ელ.ფოსტის მეშვეობით.
- მომზადდა ყოველკვირეული რადიოგადაცემა - „კანონის ფარგლებში“, რომელიც „ავტორადიო“-ს ეთერში 4 თვის განმავლობაში გადიოდა, აღნიშნული განახლდება 1 ოქტომბრიდან. შეიქმნა მხატვრულ-დოკუმენტური ფილმების სერიალი "იდენტიფიკაცია".

4.3 შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარება

4.3.1. ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესების მიზნით დროებითი მოთავსების იზოლატორების ინფრასტრუქტურის განვითარება და შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა

ევროკავშირის დახმარებით, ქვეყნის მასშტაბით ყველა საკნისათვის შეძენილ იქნა ახალი ანტივანდალური ტიპის სანათები, რომლებიც უზრუნველყოფენ დღისა და ღამის განათებას. მათი მონტაჟი ეტაპობრივად მიმდინარეობს (დარჩენილია სულ 2 იზოლატორი - ქ. თბილისის N1 და აჭარისა და გურიის რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორები). აღნიშნული პროგრამით, მიმდინარეობს წინასწარი დაკავების საკნებში არსებული საწოლების ეტაპობრივი გადაკეთება და ახალი უსაფრთხო მაგიდებისა და სკამების დამონტაჟება (სამუშაოები ჯერჯერობით არ ჩატარებულა სამეგრელო-ზემო სვანეთის, აჭარისა და გურიის რეგიონებში, ასევე, ნაწილობრივ იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონშიც).

2014 წლის ივლისში დასრულდა სარემონტო სამუშაოები შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს, კახეთის რეგიონალურ დროებითი მოთავსების იზოლატორში (ქ. თელავი). იზოლატორი აღიჭურვა ახალი ინვენტარით, ხოლო საკნებში ევროკავშირის დახმარებით მოხდა ახალი უსაფრთხო საწოლების, მაგიდებისა და სკამების მონტაჟი.

2015 წლის იანვარში დასრულდა სარემონტო სამუშაოები შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონალურ (სამსახური) (ქ.გორი), მცხეთა-მთიანეთის რეგიონალურ (განყოფილება) (ქ.მცხეთა) და თეთრიწყაროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში. სამივე იზოლატორი აღიჭურვა ახალი ინვენტარით და დაკავებულთათვის ადგილზე შეიქმნა გაუმჯობესებული ყოფითი პირობები.

2015 წელს იგეგმება ახალი დროებითი მოთავსების იზოლატორების მშენებლობა ქ.ზუგდიდში და ქ.ხონში, ასევე სარემოტო სამუშაოები ჩაუტარდება ქვემო ქართლის დროებითი მოთავსების იზოლატორს ქ. რუსთავში.

4.3.2 შსს-ს ინფრასტრუქტურის განვითარება არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის სფეროში

- შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ პირთა დროებითი განთავსების ცენტრი. უცხოელთა განთავსების ცენტრში გადაყვანა დასაშვებია მოსამართლის გადაწყვეტილებით. განთავსება წარმოადგენს გადაადგილების შემზღუდველ ღონისძიებას, შესაბამისად შსს აღნიშნულ ღონისძიებას განიხილავს როგორც უკიდურეს ზომას. ცენტრში მოთავსების მაქსიმალურ ვადას წარმოადგენს 3 თვე. შსს ინიციატივით განისაზღვრა განთავსების ცენტრში მოთავსების ალტერნატივებიც. სასამართლოს მიერ ამ ალტერნატიული ზომების შეფარდებისას პირს არ შეეზღუდება გადაადგილების თავისუფლება. ცენტრში არასრულწლოვანთა და ოჯახების განთავსება ხორციელდება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და მაქსიმალურად მოკლე ვადით.
- განთავსების ცენტრის დებულების შემუშავებისას და შესაბამისი არქიტექტურული პროექტის მომზადებისას გათვალისწინებულ იქნა ადამიანის უფლებების დაცვის საკითხები. კერძოდ, განთავსების ცენტრში უცხოელებისთვის უზრუნველყოფილია სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება. ცენტრში, ასევე დაცულია ბავშვთა საუკეთესო ინტერესები, უზრუნველყოფილია განათლების მიღებისა და თავისუფალი დროის გატარებისთვის საჭირო პირობები. ცენტრში გათვალისწინებულია სასადილო, სამლოცველო ოთახები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ოთახი და სპორტული მოედანი;
- ცენტრში უცხოელების მოთავსება ხორციელდება მათი სქესის გათვალისწინებით. კერძოდ, ქალები და მამაკაცები განთავსდებიან განცალკევებით მათთვის გამოყოფილ ბლოკებში. ოჯახის ერთიანობის პრინციპის გათვალისწინებით ოჯახები განთავსდებიან ცალკე ბლოკში. არასრულწლოვანი უცხოელები განთავსდებიან ოჯახთან ერთად, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მიზანშეწონილია მათი განცალკევება უსაფრთხოების მიზნებიდან და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. ასევე სხვადასხვა რელიგიისა და წარმოშობის მქონე პირები შეიძლება განთავსდნენ ცალ-ცალკე, იმ შემთხვევაში თუ წინასწარ ცნობილია მათ შორის უთანხმოების/დაპირისპირების შესახებ. გარდა ზემოაღნიშნულისა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები განთავსების აუცილებლობის შემთხვევაში განთავსდებიან შესაბამისად ადაპტირებულ ოთახებში.
- ცენტრში მოთავსებულ პირებს უფლება აქვთ მოითხოვონ უფასო სამართლებრივი კონსულტაცია.
- დაკავებისას უცხოელს დაკავების საფუძვლები განემარტებათ მათთვის გასაგებ ენაზე. მათ ეძლევათ საშუალება ისარგებლონ თარჯიმნის მომსახურებით. მათ ასევე მიეწოდებათ ინფორმაცია თავის ქვეყანაში ნებაყოფლობითი დაბრუნების გზებისა და პირობების შესახებ.
- ცენტრში მოთავსებულ უცხოელს უფლება აქვს დაამყაროს კონტაქტი მისი მოქალაქეობის სახელმწიფოს დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობასთან. იმ შემთხვევაში, თუ პირს არ აქვს არც ერთი ქვეყნის მოქალაქეობა მას აქვს უფლება, დაუკავშირდეს იმ სახელმწიფოს შესაბამის ორგანოს, რომელიც თავის თავზე აიღებს მისი ინტერესების დაცვას ან იმ ეროვნულ ან საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლის ამოცანაა ასეთი კატეგორიის პირების დაცვა.
- უცხოელს უფლება აქვს დაუბრკოლებლად შეხვდეს უფლებამოსილ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებს (შესაბამისი რწმუნების წარმოდგენის შემთხვევაში), ადვოკატს ან/და

მის კანონიერ წარმომადგენელს, სამუშაო დღის ნებისმიერ მონაკვეთში და სპეციალურად გამოყოფილ დროს მისთვის სასურველ პირს.

- უცხოელს უფლება აქვს გამოყოფილ დროს ისარგებლოს ტელეფონით საქართველოში მისთვის სასურველ პირთან დასაკავშირებლად, ასევე მიიღოს და გააგზავნოს ამანათები და წერილები.
- ცენტრში ფუნქციონირებს უცხოელთა უფლებების დაცვისა და მონიტორინგის განყოფილება, რომელიც კონტროლს უწევს განთავსების ცენტრში მყოფი უცხოელების უფლებების რეალიზებას და რეაგირებს შესაბამის დარღვევებზე. განიხილავს ცენტრში განთავსებული უცხოელების მხრიდან წარმოდგენილ განცხადებებს/საჩივრებს მათი უფლებების დარღვევების ფაქტებთან დაკავშირებით.
- დაკავებულ უცხოელთა პერსონალური მონაცემები დაცულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დაცვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე №967 ბრძანების შესაბამისად.

5. სასჯელაღსრულების სისტემა, პრობაცია და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია

5.1 საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება

5.1.1. პენიტენციურ სისტემაში მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების სისტემური გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერების კუთხით

5.1.1.1. საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებისა და შიდა რეგულაციების შემცველი დოკუმენტაციის მომზადება და ინიცირება

სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ პრაქტიკის ეფექტიანად დარეგულირების მიზნით 2013-2014 წელს კანონმდებლობაში განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები. 2014 წელს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს იურიდიულმა დეპარტამენტმა, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების და მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციების რეკომენდაციებზე დაყრდნობით, მოამზადა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომლის ინიცირებაც მოხდება მიმდინარე წლის დასასრულს და 2015 წლის პირველ ნახევარში ეტაპობრივად. ცვლილებები ითვალისწინებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სრულ ინტეგრაციას სამინისტროში, სამოქალაქო და სპეციალური წოდების მქონე თანამშრომელთა დიფერენციაციას, პატიმართა კლასიფიკაციის ახალ სისტემას, თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების წესს, სოციალური სამსახურის

დამოუკიდებლობას, მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის გაძლიერებასა და ა.შ. საკანონმდებლო ცვლილებები უზრუნველყოფს დახრულ სისტემაზე მეტ სამოქალაქო, პოლიტიკურ კონტროლს და მეტ გამჭვირვალობას.

5.1.2. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ადმინისტრირების შემდგომი განვითარება

5.1.2.1. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სრულყოფა

საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრომ, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის გაუმჯობესებას მიზნით მოამზადა რეფორმის გეგმა, რომელიც წარედგინა საქართველო მთავრობას და სამოქალაქო საზოგადოებას. მიმდინარე რეფორმის შედეგად გამარტივდება ადმინისტრაციული წარმოების პროცესი, აღმოიფხვრება დუბლირება, კერძოდ, გაუქმდება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საფინანსო, საკადრო, ადმინისტრაციული სამსახურები. აღნიშნული სამინისტროს ადმინისტრირების სისტემას უფრო მოქნილსა და ეფექტურს გახდის. შესაბამისად, ცვლილებების დამტკიცების შემდეგ შემუშავდება და დამტკიცდება ახალი დებულებები და სტანდარტული საოპერაციო პროცედურები.

5.1.2.2. თანამშრომლებისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების შემუშავება და ატესტაცია

შემუშავებულია პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები და სტრუქტურული ერთეულების მიხედვით ეტაპობრივად მიმდინარეობს მათი დამტკიცება. თანამშრომელთა ატესტაციები ჩატარდა 2013 წლის 23 ივლისიდან - 2013 წლის 4 დეკემბრის ჩათვლით და ატესტაციის მომდევნო ეტაპი განხორციელდება საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 23 იანვრის N13 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესის“ შესაბამისად. შემუშავდა და მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა სამინისტროს ცენტრალური აპარატის ყველა დეპარტამენტის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები. ასევე, მუშავდება N16 დაბალი რისკის დაწესებულების თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები. ამჟამად მიმდინარე რეფორმის დასრულების შემდგომ, თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები შემუშავდება მთელი სისტემისათვის.

5.1.2.3. ტრენინგები პენიტენციური სისტემის თანამშრომლებისთვის, მათ შორის ადმინისტრირების, მენეჯმენტის, ადამიანის უფლებების და სხვა დარგებში

2014 წელს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში სხვადასხვა პროგრამით სწავლება გაიარა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში მომუშავე და სისტემასთან კავშირში მყოფმა 2384-მა მსმენელმა, კერძოდ: სამინისტროს აპარატის - 61-მა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის - 321-მა, სასჯელაღსრულების დაწესებულებების - 1504-მა, პრობაციის ეროვნული სააგენტოს - 372-მა, სასწავლო ცენტრის - 24 თანამშრომელმა და 64 ტრენერმა, სხვა უწყებების 38-მა წარმომადგენელმა.

ევროსაბჭოსა და ევროკავშირის პროექტთან „ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში" თანამშრომლობის ფარგლებში დაიწყო დაწესებულებების სამართლებრივი რეჟიმის თანამშრომელთათვის განკუთვნილი გრძელვადიანი (6 თვიანი) საბაზისო სასწავლო პროგრამის განხორციელება. ადამიანის ძირითადი უფლებები, პატიმრებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტები და ადგილობრივი კანონმდებლობა, არასათანადო მოპყრობის აკრძალვა და ციხეებში ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების სწავლება ამ პროგრამის ძირითადი სახასიათო ნიშანია. მომზადება გაიარა 24-მა თანამშრომელმა. 2015 წელს იგეგმება ანალოგიური პროგრამის განხორციელება 2 ჯგუფისთვის.

ევროსაბჭოსა და ევროკავშირის პროექტთან „ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში" თანამშრომლობის ფარგლებში განახორციელდა ტრეინინგების სერია თემაზე: „დახურული ტიპის დაწესებულებებში ჯანსაღი გარემოს შექმნა და დაავადებათა პრევენცია". სისტემაში დასაქმებული სამედიცინო და სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები, სამართლებრივი რეჟიმის, უსაფრთხოების სამსახურების თანამშრომლები გაეცნენ პატიმართა უფლებების დაცვას ჯანმრთელობის დაცვის კუთხით. აღნიშნული მომზადება გაიარა სასჯელაღსრულების დაწესებულებების 626-მა თანამშრომელმა; 2015 წელს იგეგმება ანალოგიური პროგრამის განხორციელება 7 ჯგუფისთვის (4-ჯგუფი პროექტის ფარგლებში, 3-ჯგუფი საბიუჯეტო დაფინანსებით).

სასწავლო ცენტრში, გერმანული (IRZ) და ამერიკული (INL) მხარეების ფინანსური და საკონსულტაციო (საექსპერტო) დახმარებით, დაინერგა მენტორინგის პროგრამა, რაც გულისხმობს საბაზისო სწავლებისას პრაქტიკის გავლას დაწესებულებაში მენტორების მეთვალყურეობის ქვეშ. პატიმართა უფლებების დაცვა მენტორინგის პროგრამის შემადგენელი ნაწილია. ჩატარდა ტრენინგები სასჯელაღსრულების სისტემისა და პრობაციის სისტემის მენტორების მომზადების მიზნით. მომზადება გაიარა სასჯელაღსრულების სისტემის 15-მა თანამშრომელმა.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „სისხლის სამართლის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში" (Hulla & Co. Human Dynamics KG) მხარდაჭერით 40 სოციალური სამსახურების თანამშრომელი გადამზადდა.

ტრეინინგი თემაზე: „რისკებისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდოლოგიის და შესაბამისი ინსტრუმენტების პრაქტიკული გამოყენება სასჯელაღსრულების სისტემაში" ჩაუტარდა 27 მონაწილეს.

UNICEF-ის მიერ დაფინანსებული "არასრულწლოვან პატიმრებთან მომუშავე სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების" პროექტის ფარგლებში განხორციელდა არასრულწლოვან ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან მომუშავე სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების ხუთ ეტაპიანი მომზადება, კერძოდ: ჯგუფური მუშაობის ეტაპები - 20 მონაწილე; ბულინგი, ბულინგის პრევენცია - 23 მონაწილე; არტ თერაპია - 22 მონაწილე; სასიცოცხლო უნარების გაუმჯობესება, პროფორიენტაცია და დასაქმებისთვის მომზადება - 19 მონაწილე; ინდივიდუალური მუშაობის პროექციული და დიაგნოსტიკური მეთოდები - 21 მონაწილე;

ტაქტიკური მომზადებისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების ტექნიკასთან დაკავშირებით განხორციელდა ორი ტრეინინგი. „სისხლის სამართლის რეფორმის მხარდაჭერის" (Hulla & Co. Human Dynamics KG) - პროექტისა და საქართველოში პოლონეთის საელჩოსა და კალიშეს (პოლონეთი) სასჯელაღსრულების სამსახურის სასწავლო ცენტრის ფინანსური და საკონსულტაციო (საექსპერტო) მხარდაჭერის ფარგლებში პროექტში მონაწილეობა მიიღეს ირლანდიელმა და პოლონელმა ექსპერტებმა. მომზადება გაიარა 28 მსმენელმა, რომლებიც შემდგომში თავად მიიღებენ მონაწილეობა სისტემის სხვა თანამშრომელთა მომზადებაში.

პირველდაწყებითი საბაზისო სწავლება გაიარა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების სამართლებრივი რეჟიმის სამსახურების - 120-მა თანამშრომელმა; საბადრაგო სამსახურის თანამშრომელთათვის განკუთვნილი სასწავლო პროგრამის ფარგლებში მომზადება გაიარა 38-მა თანამშრომელმა; უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა სპეციალიზებული სასწავლო პროგრამის ფარგლებში მომზადება გაიარა 16-მა თანამშრომელმა.

5.1.3. პატიმრობის პირობების გაუმჯობესება, მათ შორის სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფების - ქალების, არასრულწლოვნების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა - საჭიროებების გათვალისწინებით

5.1.3.1 პენიტენციური სისტემის დაწესებულებთა განახლებული კლასიფიკაცია

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულია დაწესებულებების ოთხი კატეგორია, რომელიც პატიმრებს განათავსებს რეჟიმების მიხედვით. ასევე, სპეციალური დაწესებულებებია ქალთა, არასრულწლოვანთა და მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულება. უცხოელი ექსპერტების დახმარებით, შესაბამისმა სამუშაო ჯგუფმა დაასრულა მუშაობა და რისკების შეფასების მეთოდოლოგიისა და პატიმართა კლასიფიკაციის სისტემის პროექტი წარდგენილია მინისტრთან, რომელიც უახლოეს მომავალში დამტკიცდება და დაიწყება მისი პილოტირება. როგორც მაღალი ასევე, დაბალი რისკის დაწესებულებებში მსჯავრდებულთა გადაყვანის მიზნით. მულტიდისციპლინარული გუნდი ეტაპობრივად დაიწყებს პატიმართა კლასიფიკაციას და მიიღებს გადაწყვეტილებას მათი შესაბამისად განთავსების შესახებ. 2015 წლის დასაწყისში დაგეგმილია პირველ რიგში N6 და N16 დაწესებულებების დაკონპლექტება, შესაბამისად, მაღალი და დაბალი რისკის პატიმრებით. ამასთანავე, მიმდინარეობს მოცემული დაწესებულებების დებულებების შემუშავება.

5.1.3.2. პენიტენციურ სისტემაში არსებული დაწესებულებების ინფრასტრუქტურული გამართვა და მათი შესაბამისად აღჭურვა

კაპიტალური სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა რვა დაწესებულებას, 2014 წელს გაიხსნა N3 და N18 დაწესებულები, ასევე თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება. უახლოეს მომმავალში გაიხსნება N6 და N16 დაწესებულებები. გრძელდება მაღალი რისკის ლაითურის დაწესებულების მშენებლობა.

5.1.3.3. პენიტენციურ სისტემაში განთავსებულ პატიმართა კვების სტანდარტის პერიოდული შეფასება და შედეგებზე დაყრდნობით სტანდარტის განახლება

2013 წელს შემუშავდა კვების ახალი სტანდარტი, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სტანდარტებთან და საერთაშორისო გამოცდილებასთან. 2013 წლის 26 დეკემბერს ცვლილებები შევიდა და 2014 წლიდან სტანდარტი განახლდა და გაუმჯობესდა. სტანდარტი ამკვიდრებს თორმეტ განსხვავებულ რაციონს და მისამართულ კვების რეჟიმებს სხვადასხვა დემოგრაფიული და ფიზიკური აქტივობის მქონე კატეგორიებისთვის. 2015 წელს იგეგმება აღნიშნული სტანდარტის გადახედვა.

5.1.3.4 პენიტენციურ სისტემაში განთავსებულ პატიმართა რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით რეგულარულად უზრუნველყოფა

რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებები რეგულარულად მიეწოდება ყველა დაწესებულებას. აღნიშნული საშუალებებით 2014 წელს უზრუნველყოფილია ყველა პატიმარი.

5.1.3.5. მსჯავრდებულთა ოჯახთან ურთიერთობის უფლების უზრუნველსაყოფად გრძელვადიანი ვიზიტებისათვის განკუთვნილი ადგილების შექმნა

სასჯელაღსრულების N16 დაწესებულებაში გრძელვადიანი პაემანებისთვის დამატებით აშენდა 20 ოთახი, რომელიც უახლოეს მომავალში შევა ექსპლოატაციაში. სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში დაემატა გრძელვადიანი პაემანებისთვის ინფრასტრუქტურა. N12 და N2 დაწესებულებებში ექსპლუატაციაში შევიდა გრძელვადიანი პაემანების ოთახები. 2014 წელს ნოემბრის მდგომარეობით განხორციელდა 4897 ხანგრძლივვადიანი პაემანი.

5.1.3.6. თავისუფლებაღკვეთილთა ახლობლების, ოჯახის წევრების და სხვა დაინტერესებულ პირთათვის კანონით გათვალისწინებული მომსახურების გაუმჯობესება

სასჯელაღსრულების დაწესებულებებთან ფუნქციონირებს 8 საზოგადოებრივი მისაღები, რომელიც ემსახურება მსჯავრდებულთა ოჯახის წევრებს. მიმდინარეობს მუშაობა ყველა მისაღებში შენიშვნების ყუთების განსანთავსებლად, რაც უახლოეს მომავალში შესაძლებელი გახდება. აღსანიშნავია, რომ ამჟამად საზოგადოებრივი მისაღების თანამშრომელთა დახმარებით, საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის გამოყენებით პატიმართა ოჯახის წევრები თავისუფლად სარგებლობენ შენიშვნებისა და კომენტარების წარდგენის უფლებით. მოთხოვნის შინაარსისა და ადრესატის შესაბამისად ხდება წერილებისა და შენიშვნების ადრესატთან გაგზავნა და შესაბამისი შესწავლა/რეაგირება. 2014 წლის განმავლობაში რვა საზოგადოებრივმა მისაღებმა 155 029 კონსულტაცია გაუწია დაინტერესებულ პირებს. ამასთანავე, ფუნქციონირებს ცხელი ხაზი, რომლის საშუალებითაც მიმდინარეობს მოქალაქეების გადამისამართება მათი საჭიროებებიდან გამომდინარე. 2015 წელს დაგეგმილია საზოგადოებრივი მისაღების გახსნა N14 დაწესებულებაში.

5.1.3.7. ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა ქვეყანაში აღიარებული და დანერგილი პროფესიული და სამომსახურეო სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით

2014 წელს დასრულდა პენიტენციური ჯანდაცვის 18 თვიანი სამოქმედო გეგმის განხორციელება, რომელიც ევროკავშირისა და ევროსაბჭოს წარმომადგენლებმა პოზიტიურად შეაფასეს და პროგრესს „შთამბეჭდავი“ უწოდეს.

ევროსაბჭოს ექსპერტების ჩართულობით შემუშავდა 2014-2017 წლის პენიტენციური ჯანდაცვის განვითარების სტრატეგია, რომელის განხორციელებაც უკვე დაიწყო.

რეფორმის შედეგად:

- დაიწყო C ჰეპატიტის პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც 2014 წელს 8711 ბრალდებულს/მსჯავრდებულს ჩაუტარდა სკრინიგი. სადიაგნოსტიკო გამოკვლევები ჩაუტარდა 2400 პატიმარს. მკურნალობაში ჩაერთო 289 პატიმარი. 2014 წელს 180-მა პაციენტმა წარმატებით დაასრულა C ჰეპატიტის მკურნალობის კურსი და საბოლოოდ განიკურნა.
- განახლდა ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრი და გაიხსნა სპეციალური განყოფილება ბრალდებულებისთვის. ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების რაოდენობა 129-დან 63 -მდე შემცირდა.
- აივ ინფექცია/შიდსი ანტირეტროვირუსული მკურნალობის პროგრამაში ჩაერთო 28 ახალი პაციენტი. დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე ხელმისაწვდომობა უნივერსალურია.
- სამედიცინო პერსონალის თანაფარდობა პა6ტიმრების რაოდენობასთან: 1 ექიმზე მოდის არაუმეტეს 200 პატიმრისა; 1 ექთანზე მოდის არაუმეტეს 65 პატიმრისა.
- 2014 წელს სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურებით 3658 ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა ისარგებლა სამოქალაქო სექტორის კლინიკებში, 1447 - სასჯელაღსრულების ცენტრალურ საავადმყოფოში, ხოლო პირველადი ჯანდაცვის დონეზე 214 567 კონსულტაცია ჩატარდა.
- საერთაშორისო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციების შესაბამისად შეიქმნა და დამტკიცდა პენიტენციური ჯანდაცვის მედიკამენტების სტანდარტი და გაუმჯობესდა მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა. მედიკამენტებზე დანახარჯი 2013 დან 2014 წლამდე გაიზარდა 3-ჯერ, 64 ლარიდან 184 ლარამდე; მიმდინარეობს მუშაობა ბაზისური მედიკამენტების ნუსხის განახლებაზე;
- წამალდამოკიდებული პატიმრებისთვის გაუმჯობესდა ხელმისაწვდომობა ნარკოლოგიურ სერვისებზე. დღეისათვის წამალდამოკიდებული პატიმრებისთვის ხელმისაწვდომია :
    - ✓ მეთადონის დეტოქსიკაციის პროგრამა
    - ✓ ნარკოლოგის კონსულტაცია და მკურნალობა
    - ✓ დეტოქსიკაცია და სპეციალიზირებული დახმარება სასჯელაღსრულების ცენტრალურ საავადმყოფოსა და სამოქალაქო სექტორის კლინიკებში
    - ✓ ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება ინფექციებზე
    - ✓ მიმდინარეობს მუშაობა მეთადონით გრძელვადიანი ჩანაცვლებითი თერაპიის დაწყებაზე
- 2014 წელს განახლდა პატიმართა კვების სტანდარტი, რომელიც ითვალისწინებს 12 მიზნობრივ რაციონს სხვადასხვა ფიზიკური აქტივობის, კატეგორიისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე პატიმრებისთვის. გაუმჯობესდა საკვების ხარისხი, კალორიულობა და მრავალფეროვნება.
- დაიწყო სუიციდის პრევენციის პროგრამის განხორციელება , რომელიც სუიციდისკენ მიდრეკილი პირების იდენტიფიცირებასა და მათ დახმარებას უზრუნველყოფს. პროგრამა სასჯელაღსრულების 6 დაწესებულებაში ხორციელდება და მულტიდისციპლინარული გუნდის დახმარებით 2014 წელს 99-ზე მეტი პატიმარი გამოიყვანა სუიციდური კრიზისიდან.

- შემცირდა სიკვდილიანობის მაჩვენებელი აბსოლუტურ რიცხვებში 132-დან (2011წ.) 27 შემთხვევამდე.

5.1.3.8. ქალთა, არასრულწლოვანთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე თავისუფლება აღკვეთილთათვის სპეციალური პირობების შექმნა

ქალ მსჯავრდებულთათვის ფუნქციონირებს სპეციალური დაწესებულება; არასრულწლოვანთათვის შექმნილია რეაბილიტაციის ცენტრი; ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში შშმ პირთათვის შექმნილია ადაპტირებული საცხოვრისი სათანადო მოვლის სერვისით (80 ადამიანზე). შემუშავებულია და უახლოეს მომავალში დამტკიცდება არასრულწლოვანთა დაწესებულების დებულება, ასევე შემუშავების პროცესშია ქალთა დაწესებულების დებულება რომლებიც ითვალისწინებენ ამ ჯგუფებისთვის აუცილებელ სპეციალურ პირობებს. იგეგმება ქალთა დაწესებულებაში გრძელვადიანი პაემანებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა. საჭიროებების შესწავლის შედეგად 1014 წელს არასრულწლოვანთა დაწესებულებაში შეიცვალა საწოლები და ლეიბები (გაიზარდა საწოლების ზომები და ლეიბის სისქე). გაუმჯობესდა ქალ პატიმართა სპეციფიკურ საჭიროებებზე მორგებული სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა და 2014 წლის დეკემბრის თვეში სასჯელაღსრულების N5 დაწესებულებაში განხორციელდა ძუძუს, საშვილოსნოს ყელის კიბოსა და სწორი ნაწლავის კიბოს სკრინინგი რისკ-ჯგუფების გამოსავლენად. გენდერ-სპეციფიური საჭიროებების კუთხით მუშაობის გასაძლიერებლად შემუშავების პროცესშია კონცეფცია. ქართული კანონმდებლობის ,,ბანკოკის წესებთან" შედარებითი ანალიზის საფუძველზე შემუშავდება შესაბამისი მინიმალური სტანდარტები, რომელიც უნდა აისახოს როგორც კანონმდებლობაში, ასევე ქართულ რეალობაში. მუშაობა მიმდინარეობს როგორც ბრალდებული, ასევე მსჯავრდებული ქალების უფლებრივი მდგომარეობის შეფასებისა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით. არასრულწლოვანთათვის შექმნილია რეაბილიტაციის ცენტრი; ამასთანავე, გარემონტდა გლდანის N8 დაწესებულებაში არასრულწლოვანთა განყოფილება. N11 დაწესებულების ტერიტორიაზე ფუნქციონირებს საგანმანათლებლო/სარეაბილიტაციო ოთახები, ასევე სპორტული აქტივობისათვის შექმნილია სათანადო პირობები. აღსანიშნავია, რომ შემუშავებულია და უახლოეს მომავალში დამტკიცდება არასრულწლოვანთა დაწესებულების დებულება.

შშმ პატიმრებისთვის სასჯელაღსრულების ცენტრალურ საავადმყოფოში გაიხსნა 57 ადგილიანი ადაპტირებული საცხოვრისი, სადაც წლის განმავლობაში 91 პატიმარმა ისარგებლა ხანგრძლივი მოვლის სერვისით.

5.1.4. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია

5.1.4.1. საწარმოო ზონების და მინი დასაქმების კერების შექმნა პატიმართა შრომითი შესაძლებლობების გაზრდის მიზნით

ქალთა N5 დაწესებულებაში გაიხსნა სამკერვალო საწარმო, სადაც დასაქმდება 25-მდე მსჯავრდებული ქალი.

დამუშავდა დასაქმების პროექტიები:

კომპიუტერული სერვისი - საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბაზაზე წიგნების, კატალოგების, ლექსიკონების და სხვათა ელექტრონული რესურსების შექმნა. პროექტი ჩაშვებულია, უახლოეს პერიოდში გავა მთავრობის სხდომაზე დასამტკიცებლად და 2015 წლის იანვრიდან დაიწყება განხორციელება.

სილამაზის სალონი - N5, N12 და N15 დაწესებულებებში მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა სილამაზის სალონით მომსახურებით. პროექტი ხორციელდება ევროკავშირის დაფინანსებით, საქმიანობა განხორციელებისთვის დაწყებულია. იმპლემენტაციას გააკეთებს ააიპ "აფხაზეთი"

სამეურნეო სამსახურში დასაქმებული მსჯავრდებულები

სასჯელაღსრულების დაწესებულებების სამეურნეო სამსახურში ირიცხებიან მსჯავრდებულები, რომლებიც არიან შპს „პერსპექტივას“ დაქირავებულნი, მათი შრომითი ურთიერთობების გამარტივებას დეპარტამენტის სოციალური სამსახური უზრუნველყოფს. 2014 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ მსჯავრდებულთა რაოდენობა: იანვარი - 408, თებერვალი - 418, მარტი - 458, აპრილი - 446, მაისში - 488, ივნისი - 470, ივლისი - 471, აგვისტო - 464, სექტემბერი - 522, ოქტომბერი - 523, ნოემბერი - 531, დეკემბერი - 501.

ასევე, კანონით გათვალისწინებული „დაუბეგრავი მინიმუმის“ მსჯავრდებულებისთვის დარიცხვის პროცედურის ორგანიზებას უზრუნველყოფს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი. დასაქმების კერები შექმნილია რუსთავის N16 დაწესებულებაში, რომელიც უახლოეს მომავალში გაიხსნება და თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში.

5.1.4.2. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განათლების მიღების და ალტერნატიული პროფესიის დაუფლების შესაძლებლობა

ზოგადი განათლება არასრულწლოვანთათვის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მიმდინარეობს ქვეყანაში არსებული სტანდარტის შესაბამისად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით.

სკოლასთან და უმაღლესთან დაკავშირებული გამოცდების ჩაბარების მოთხოვნა და მოსწრება 2014 წელს შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

<u>სკოლის ექსტერნატი გამოცდები:</u>
მონაწილეობაზე სურვილი განაცხადა - 3, ჩააბარა - 3;

<u>საატესტატო გამოსაშვები გამოცდები</u>
მონაწილეობაზე სურვილი განაცხადა - 9, ჩააბარა - 8;

<u>ეროვნული გამოცდები</u>
მონაწილეობაზე სურვილი განაცხადა - 13, ჩააბარა - 4.

სასჯელაღსრულების N2, 5, 8, 11, 12, 14, 15 და 17 დაწესებულებაში წლის განმავლობაში მიმდინარეობს სხვადასხვა საგანმანათლებლო კურსები. გადამზადებაში ჩართული იყო 678 მსჯავრდებული, ხოლო სახელობო/პროფესიულ სწავლებაში 625 მსჯავრდებული.

<u>კურსების ჩამონათვალი:</u>

- კოსმეტოლოგიის შემსწავლელი კურსი
- სტილისტობის შემსწავლელი კურსი
- ჭრა-კერვის შემსწავლელი კურსი
- ვიზაჟისტობის შემსწავლელი კურსი
- აქსესუარების, ფეხსაცმლის და ტყავის ნაწარმის სპეციალისტი
- გობელენის შემსწავლელი კურსი
- ქარგვის შემსწავლელი კურსი
- მებაღე(დეკორატიული მცენარეები)
- სანერგე მეურნეობის სპეციალისტი
- თექის შემსწავლელი კურსი
- მოქანდაკეობა (პურის გულის დამუშავებით ესკიზების დამზადება)
- ხეზე კვეთის შემსწავლელი კურსი
- მინანქრის შემსწავლელი კურსი
- ელექტრიკოსობის შემსწავლელი კურსი
- მასაჟის შემსწავლელი კურსი
- გიტარაზე დაკვრის შემსწავლელი კურსი
- ხატვის შემსწავლელი წრე
- ჰიპ-ჰოპის შემსწავლელი წრე
- ქართული საეკლესიო საგალობლების შესწავლა
- საოფისე პროგრამების საბაზისო მოსამზადებელი კურსი
- მცირე ბიზნესის მწარმოებელი
- ინგლისური ენის შესწავლა
- მცირე ბიზნესის მწარმოებელი
- ოჯახური/მცირე სასტუმროს მწარმოებელი
- ქართული ენის შესწავლა

5.1.4.3. ბრალდებულ/მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიზნით ეფექტური პროგრამების და სერვისების შემუშავება

ამჟამად სასჯელაღსრულების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ერთ-ერთი მთავარი მიზანია სასამართლოს მიერ შეფარდებული სასჯელის აღსრულების პარალელურად, მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია/რესოციალიზაცია და პატიმართა გათავისუფლების შემდგომ მათი საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის ხელშეწყობა. ახალი საკანონმდებლო პაკეტის ძირითადი ნაწილია სარეაბილიტაციო პროცესისა და სოციალური სამსახურის გაძლიერება, მათ შორის სოციალური სამსახურის მოდერნიზაცია და კიდევ უფრო დაახლოება ევროპულ სტანდარტებთან, რაც დაფუძნებული იქნება ახალი სტილის სოციალურ პროგრამებსა და პენიტენციური სისტემის საგანმანათლებლო შესაძლებლობების გაძლიერებაზე.

საზოგადოებაში მსჯავრდებულთა რეინტეგრაციისა და რესოციალიზაციისათვის, სასჯელაღსრულების სისტემაში რამდენიმე პროგრამა და კურსია დანერგილი, რაც უზრუნველყოფს მათ პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას.

სასჯელაღსრულების N2, 5, 12, 14, 15, 17 და არასრულწლოვანთა N11 დაწესებულებაში წლის განმავლობაში მიმდინარეობს სხვადასხვა ფსიქო-სოციალური და ინტელექტუალურ/შემეცნებითი პროგრამები, რომელშიც ჩართული იყო 1390 მსჯავრდებული. დაწესებულებებში ხელმისაწვდომი იყო შემდეგი პროგრამები:

ფსიქო-სოციალური თერაპიები

- არტ-თერაპია
- ჯგუფური ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამა - EQUIP

ფსიქო-სოციალური პროგრამები

- გათავისუფლებისთვის მზადება - თვითმენეჯემნტი და სამოქალაქო განათლების ტრენინგი
- საზოგადოებაში დაბრუნების ხელშეწყობა
- CV-ს სამოტივაციო წერილის შედგენა და გასაუბრებისათვის მომზადება
- სტრეს მენეჯმენტი
- ძალადობის მანკიერი მხარეები
- ოჯახური ძალადობის შედეგები მიკრო და მაკრო დონეზე
- აგრესიის მართვა
- ემოციური აგრესიისა და სტრესის მართვის პროგრამა
- ექვსი ბაზისური ემოცია და ემოციური ინტელექტი
- ადიქტური ქცევა და მისი ბიო-ფსიქო-სოციალური ასპექტები
- პოზიტიური თვითაღქმა
- გემბლინგი
- ალკოჰოლიზმი
- ნარკომანია
- შიდსი
- ცხოვრების ჯანსაღი წესი
- ეფექტური კომუნიკაცია
- აივ/შიდსის და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების პრევენციული ღონისძიებების გაძლიერება
- ლიდერი და ლიდერობა
- სამოქალაქო განათლების ტრენინგი
- ფსიქოლოგიური დახმარება ჯგუფური ან ინდივიდუალური სახით მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფებში
- ფსიქო-განათლების ჯგუფი
- სასიცოცხლო უნარების ტრენინგი
- ქცევა და პასუხისმგებლობა
- ცხოვრებისეული ფასეულობები ახალგაზრდებისთვის
- ბავშვის განვითარება და მასთან დაკავშირებული საკითხები
- ბანგკოკის წესები
- იურიდიული საკითხების შესახებ

- სისხლის სამართლის კოდექსი
- მსჯავრდებულთა საჭირო სოციალური უნარებით აღჭურვა და მათი რესოციალიზაცია
- ყოფილი და ამჟამად პატიმრების რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა

ინტელექტუალური და შემეცნებითი პროგრამები/შეხვედრები

- რა? სად? როდის?
- „დებატები“
- თანასწორთა განათლების ტრენინგი
- ინტელექტუალური შეხვედრები
- ეტალონი
- ბიბლიოთერაპია
- შემეცნებითი ვიქტორინა
- შეხვედრა
- შემეცნებითი ტრენინგ-პროგრამა
- შეხვედრები

მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისთვის მზადებისთვის ასევე ხორციელდება სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიებები, კონკურსები, გამოფენები და საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამები.

5.1.4.4. მსჯავრდებულებთან მიმართებაში სასჯელის დაგეგმვის ინდივიდუალური მიდგომის მეთოდოლოგიის გამოყენება პილოტური სახით რიგ დაწესებულებებში

არასრულწლოვანთა N11 დაწესებულებში 2009 წლიდან მიმდინარეობის სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა. ქალთა N5 დაწესებულებაში დაიწყო ზრდასრულთა სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის პილოტი.

5.1.5. პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის შემდგომი გაძლიერება

5.1.5.1. პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების მექანიზმის შემდგომი განვითარება

პირობით ვადამდე გათავისუფლების საბჭოების რაოდენობა გაიზარდა 3-დან 5-მდე და შეესაბამება საჭიროებას. ქალ მსჯავრდებულთათვის შექმნილია ადგილობრივი საბჭო.

2014 წელს სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების/კომისიის მიერ დანიშნული სასჯელი უფრო მსუბუქი სასჯელით შეეცვალა 74 პირს. პირობით ვადამდე 2014 წელს გათავისუფლებულია 550 მსჯავრდებული.

ევროკავშირის ექსპერტები ატარებენ კვლევას პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების მექანიზმის შემდგომი დახვეწის მიზნით.

5.1.5.2. ადგილობრივი საბოების და მუდმივმოქმედი კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებების დაფუძნება სასჯელის ინდივიდუალური მეთოდოლოგიაზე პილოტური დაწესებულებების შემთხვევებში

2014 წელს სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდოლოგია დანერგილი იყო მხოლოდ არასრულწლოვანთა დაწესებულებაში, რომელიც გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობდა აღნიშნული მეთოდოლოგიით. უახლოეს მომავალში დამტკიცდება არასრულწლოვანთა ადგილობრივი საბჭოს დებულება, სადაც აღნიშნული გარემოების ფორმალიზებაც მოხდება. 2015 წელს იგეგმება სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდოლოგიის დანერგვა N5 და N16 დაწესებულებებში, შესაბამისად მეთოდოლოგიის გათვალისწინება მოხდება შესაბამისი ადგილობრივი საბჭოს მიერ.

5.1.6. პატიმართა სამართლებრივი გარანტიების გაძლიერება

5.1.6.1. პატიმართა ცნობიერების ამაღლება მათი უფლებების შესახებ საჩივრების, დისციპლინარულ და ადმინისტრაციულ პროცედურებთან მიმართებაში

პატიმართათვის სამართლებრივი შეგნების ამაღლების მიზნით დაბეჭდილი და გავრცელებულია 3 სხვადასხვა ტიპის ბროშურა. მსჯავრდებულებს გადაეცათ ბროშურების 6000-მდე ეგზემპლარი. ბროშურები დაბეჭდილია რამდენიმე ენაზე და მოიცავს ინფორმაციას მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა უფლებებისა და ვალდებულებების, საჩივრების პროცედურების შესახებ.

5.1.6.2. პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობა

საჩივრების ყუთი განთავსებულია ყველა დაწესებულებაში, ხელმისაწვდომ ადგილას. სურვილის შემთხვევაში ყველა პატიმარი უზრუნველყოფილია სპეციალური საჩივრის კონვერტით. ყველა დაწესებულებაში მუდმივად ხდება კონფიდენციალური

მოთხოვნა/საჩივრების მარაგების განახლება. 2014 წელს სხვადასხვა ადრესატებზე გადაიგზავნა 8329 მოთხოვნა/საჩივარი.

5.1.7. სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შიდა მონიტორინგის მექანიზმის ეფექტური ფუნქციონირება

5.1.7.1. მონიტორინგის მექანიზმის მეთოდოლოგიის შემდგომი დახვეწა და პრაქტიკაში იმპლემენტაცია

მიმდინარეობს მონიტორინგის მექანიზმის დახვეწაზე მუშაობა. რეფორმის შედეგად სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მონიტორინგის სამსახური ინტეგრირებული იქნება სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, რაც კიდევ უფრო ეფექტურს გახდის მის ფუნქციონირებას. გენერალური ინსპექციის სისტემური რეფორმის შედეგად, აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულს ჩამოერთმევა ოპერატიული ფუნქციები და იგი გარდაიქმნება სისტემურ პრევენციულ მექანიზმად.

2014 წლის განმავლობაში გენერალური ინსპექციისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლებმა რეგულარულად გაირეს სხვადასხვა ტრენინგები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებული ტრენინგები. 16-17 აპრილს შოტლანდიელი ექსპერტი შეხვდა გენერალური ინსპექციისა და მონიტორინგის სამმართველოს თანამშრომლებს, რის შედეგადაც მოხდა საჭიროებების გამოვლენა და სამომავლო გეგმების შემუშავება. ასევე, 2014 წლის 15-16 სექტემბერს იუსტიციის სასწავლო ცენტრში ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის „ადამიანის უფლებები ციხეებში და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში“ ფარგლებში 25 თანამშრომლისათვის ჩატარდა სემინარი. ევროპის საბჭოს ექსპერტის, პროფესორ ჯიმ მერდოკის ანგარიშში მოცემული დასკვნებისა და რეკომენდაციების, ასევე შესაბამისი საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობის შემდეგ, მონაწილეებმა იმსჯელეს გენერალური ინსპექციისა და მონიტორინგის სამსახურის მომავალ თანამშრომლობაზე. ამ ორდღიანი სემინარის შედეგებმა საფუძველი ჩაუყარა სამოქმედო გეგმაზე მუშაობის დაწყებას.

5.2. პრობაციის სრულყოფილი სისტემა

5.2.1. სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება

5.2.1.1. ინფრასტრუქტურის განვითარება

2014 წელს გარემონტდა და გაიხსნა 5 ახალი რეგიონალური ოფისი. 2015 წლის თებერვლის ბოლოდან თბილისის პრობაციის ბიურო და სააგენტოს ცენტრალური აპარატი გადავიდა ახალ, გარემონტებულ ოფისში. 2015 წელს დაგეგმილია 4 ახალი ოფისის გახსნა.

5.2.1.2. პრობაციის სამსახურის სტრუქტურის განვითარება

2014 წლის იანვრიდან პრობაციის ეროვნულ სააგენტოში შეიქმნა სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო 49 საშტატო ერთეულით.

5.2.1.3. პრობაციის ოფიცერთა დატვირთვის შემცირება

2012 წელს წელს საშუალო რაოდენობა შეადგენდა 192 პირს. 2013 წელს მკვეთრი შემცირების შემდეგ პრობაციონერთა საქმეების საშუალო რაოდენობა 2014 წელს ერთ ოფიცერზე შეადგენს 70 საქმეს.

5.2.1.4. ვიდეოპაემნის სერვისი

ვიდეოპაემნის მომსახურებით სარგებლობა შესაძლებელია პრობაციის 7 რეგიონულ ბიუროში და დაკავშირება შესაძლებელია 5 სასჯელაღსრულების დაწესებულებასთან. 2015 წლის მეორე ნახევრიდან ვიდეო პაემანის სერვისით სარგებლობა გახდება უფასო.

5.2.1.5. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ამოქმედება

თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების გამართულად ფუნქციონირება. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება ამოქმედდა 2014 წლიდან. იგი მაქსიმუმ 100 მსჯავრდებულზეა გათვლილი, 2014 წელს მაქსიმალური რაოდენობა 24-ს შეადგენდა. 2015 წლის თებერვლის მდგომარეობით, 21 თავისუფლებაშეზღუდული პირი იმყოფება თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში.

5.2.1.6. თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება

2014 წელს სხვადასხვა სასწავლო პროგრამის ფარგლებში გადამზადდა პრობაციის ეროვნული სააგენტოს 372 თანამშრომელი, აქედან 287 თანამშრომელი წარმოადგენდა პრობაციის სააგენტოს და პრობაციის ბიუროებს, ხოლო 85 თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებას (თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების თანამშრომელთა საბაზისო მომზადება). ასევე, სპეციალური მომზადება გაიარა პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს 58-მა თანამშრომელმა (სოციალურ მუშაკთა და ფსიქოლოგთა საბაზისო მომზადება);

გარდა საბაზისო ტრეინინგებისა პრობაციის სისტემის თანამშრომლებს ჩაუტარდათ სხვადასხვა ტიპის ტრეინინგები, როგორიცაა ,,ტრეინინგი პრობაციის სოციალური მუშაკებისათვის - პირობით მსჯავრდებულ არასრულწლოვნებთან მუშაობის სპეციფიკა"- 42 მონაწილე; საქმის წარმოების ახალ სქემაში სპეციალისტთა გადამზადება - 100 მონაწილე; ტრეინინგი თანამედროვე მენეჯმენტის საკითხებში (პრობაციის სისტემის ხელმძღვანელი პირებისათვის - 23 მონაწილე; ტრეინინგი პრობაციის სისტემის მენტორთათვის - 13 მონაწილე; ჯანსაღი გარემოს შექმნა და დაავადებათა პრევენცია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში - 47 მონაწილე; ტრეინინგი „ძალადობრივი ქცევისა და დამოკიდებულებების მოდიფიკაცია“- 6 მონაწილე და სხვა თემები.

5.2.2. საკანონმდებლო ბაზის განვითარება

5.2.2.1. საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება და ინიცირება

საკანონმდებლო ბაზის განსავითარებლად განხორციელდა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები:

საქართველოს ტერიტორიაზე ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართის არმქონე პირების შესახებ ცვლილება, რომელის საშუალებას იძლევა მსჯავრდებული აღრიცხვაზე იყოს კონკრეტულ ბიუროში.

თავისუფლება შეზღუდული პირის კარგი ყოფა-ქცევიდან გამომდინარე, თავისუფლების შეზღუდვის დირექტორს შეუძლია წარდგინებით მიმართოს სასამართლოს, მსჯავრდებულის თავისუფლების შეზღუდვის სახით შეცვლილი სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე.

2015 წელს იგეგმება ასევე საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც მიმართული იქნება პრობაციის სისტემის კანონმდებლობის ჰარმონიზაციასთან ევროპულ კანონმდებლობასთან.

5.2.3. ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება

5.2.3.1. საქმის წარმოებისთვის სპეციალურ ელექტრონულ მონაცემთა ბაზის ადმინისტრირება

მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულია პირობით მსჯავრდებულთა 100%.

5.2.3.2. პრობაციის ოფიცრები რისკისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის მიხედვით მსჯავრდებულებთან მუშაობა

რისკის, საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის ინდივიდუალურ დაგეგმვაში ჩართულია პირობით მსჯავრდებულთა 83,4% (სექტემბრის მდგომარეობით).

5.2.4. სარეაბილიტაციო პროგრამების და საზოგადოების ჩართულობის განვითარება

5.2.4.1. პრობაციონერთათვის სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება

2014 წელს ხვადასხვა ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩაერთო 1665 პირობით მსჯავრდებული;

5.2.4.2. პირობით მსჯავრდებულთა დასაქმების ხელშეწყობა

2014 წელს პრობაციის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით დასაქმდა 145 პირობით მსჯავრდებული.

5.2.4.3. სპორტული აქტივობები

2014 წელს ჩაერთო 240 პირობით მსჯავრდებული.

5.2.4.4. შემეცნებითი-კულტურული ღონისძიებები

შემეცნებით კულტურულ ღონისძიებებში 2315 პირობით მსჯავრდებული ჩაერთო.

5.2.5 პრობაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაუმჯობესება

5.2.5.1. პრობაციის ეროვნული სააგენტოს წლიური ანგარიში

პრობაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაუმჯობესების მიზნით, მედიის წარმომადგენლებისთვის გაიმართა შეხვედრა „პრობაციის ექვსი თვის ანგარიში“. 2014 წლის ნოემბერში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია პრობაციის სისტემის მიღწევებსა და გამოწვევებზე. პრობაციის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა თემატურ ტელე და რადიო გადაცემებში.

5.2.5.2. საინფორმაციო ვიდეო რგოლების დამზადება, სხვადასხვა შინაარსის ფლაერებისა და ბუკლეტების დაბეჭდვა

2014 წელს დაიბეჭდა 30 000 ბუკლეტი პირობით მსჯავრდებულთა უფლება-მოვალეობების შესახებ. 400 ბუკლეტი თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების შესახებ. ტელევიზიით გავიდა ერთი ვიდეორგოლი პრობაციის სოციალური მუშაკის როლისა და ფუნქციების შესახებ. ასევე მიმდინარე წელს დაიბეჭდა პრობაციის ეროვნული სააგენტოს 6 თვის ანგარიში 600 ცალი. 2015 წლის იანვარში დაიბეჭდა სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს ინფორმაციული 1000 ბუკლეტი, ასევე სააგენტოს შესახებ ზოგად-ინფორმაციული 300 ბუკლეტი.

5.3. ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში ადამიანის უფლებათა დაცვის საუკეთესო სტანდარტების გათვალისწინება

5.3.1. ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ერთიანი სტრატეგიის შემუშავება

5.3.1.1.საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით, შესაბამისი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება.

იუსტიციის სამინისტროს სსიპ-დანაშაულის პრევენციის ცენტრი ახორციელებს ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სახელმწიფო პროგრამას. დანაშაულის პრევენციის ცენტრის სოციალური მუშაკები, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ხვდებიან პატიმრებს განთავისუფლებამდე 3 თვით ადრე და აწვდიან ინფორმაციას ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სახელმწიფო პროგრამის შესახებ. ეტაპობრივად იზრდება პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა. 2015 წლის

მარტის თვის მონაცემებით ფიქსირდება 1774 ყოფილი პატიმრის მომართვა. პროცესში აქტიურად ჩაერთო 1169 ბენეფიციარი. პროგრამაში ყოფილ პატიმართა ჩართვა ნებაყოფლობითია.

5.3.2. რეაბილიტაციის პროცესის უწყვეტობა

5.3.2.1. გათავისუფლებამდე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მუშაობის დაწყება, გათავისუფლებისთვის მომზადება

სსიპ-დანაშაულის პრევენციის ცენტრი, ბენეფიციარების და მათი ოჯახის წევრების საჭიროებების გათვალისწინებით, რთავს მათ სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამებში, რომლებიც პირობითად სამ ეტაპად შეიძლება დავყოთ: ა) ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის, აგრეთვე იურიდიული პრობლემების მოგვარება; ბ) სოციალური და პროფესიული უნარების ამაღლება; გ) დასაქმებაში ხელშეწყობა.

პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებს დაუკმაყოფილდათ შემდეგი საჭიროებები:

- 354 ბენეფიციარს გაეწია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის დახმარება (დიაგნოსტიკა, ოპერაცია, მედიკამენტებით უზრუნველყოფა და სხვ.);
- 8 ბენეფიციარი უზრუნველყოფილია თავშესაფრით;
- 246-მა ბენეფიციარმა მიიღო უფასო იურიდიული კონსულტაცია;
- 180 ბენეფიციარმა ცენტრის ფსიქოლოგისა და პარტნიორი ორგანიზაციების დახმარებით მიიღო გრძელვადიანი მომსახურება ფსიქოლოგებისა და ფსიქიატრებისგან;
- 63 ბენეფიციარი ჩაერთო ინგლისური ენის შემსწავლელ უფასო კურსში;
- 91 ბენეფიციარი ჩაერთო სოციალური უნარების განვითარების ტრენინგკურსში;
- 64-მა ბენეფიციარმა გაიარა მცირე ბიზნესის წარმოებისთვის საჭირო საბაზისო ცოდნისა და უნარების ტრენინგი; მათ გაეწიათ დახმარება ბიზნესგეგმის შედგენაში;
- 2014 წელს 5 ბენეფიციარს იუსტიციის სამინისტროს საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაუფინანსდა ბიზნესიდეა, თითოეულს – 4 000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით;
- 2015 წელს კიდევ 16 ბიზნესიდეა დაფინანსდება, რისთვისაც სულ გათვალისწინებულია 56 ათასი ლარი;
- 15-მა ბენეფიციარმა იუსტიციის სამინისტროს საგრანტო პროგრამის ფარგლებში გაიარა 3-თვიანი ანაზღაურებადი სტაჟირება სხვადასხვა ორგანიზაციაში (თვეში 150 ლარის ოდენობით);
- 10-მა ყოფილმა მსჯავრდებულმა გაიარა მოსამზადებელი კურსები მართვის მოწმობის მისაღებად;
- 34-მა ბენეფიციარმა გაიარა დასაქმების ადგილის ძიების საბაზისო უნარების ტრენინგი;
- 7-მა ბენეფიციარმა (ყოფილმა პოლიტპატიმარმა) საირმეში უფასო ათდღიანი სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელი კურსი გაიარა;

- პროგრამაში სულ ჩართულია 32 პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირი.

იუსტიციის სამინისტროსა და UNICEF-ის თანამშრომლობით, 65 არასრულწლოვან ყოფილ პატიმარს დაწესებულებაში გაკეთებული ტატუირება მოსცილდა.

5.3.3. ყოფილი პატიმრებისათვის და მათი ოჯახის წევრებისათვის სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარება

5.3.3.1. ყოფილი პატიმრებისთვის და მათი ოჯახის წევრებისათვის სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება

სსიპ-დანაშაულის პრევენციის ცენტრი, ბენეფიციარების და მათი ოჯახის წევრების საჭიროებების გათვალისწინებით, რთავს მათ სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამებში. ხდება ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარება, პროფესიული გადამზადება, სხვადასხვა თემატური ტრენინგების და კულტურულ-შემეცნებითი და სპორტული ღონისძიებების შეთავაზება. აქტივობების შეთავაზება ხდება პროგრამაში ჩართული ყველა ბენეფიციარისთვის.

5.3.3.2. ყოფილ პატიმართა დასაქმების ხელშეწყობა

სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი, ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებს დასაქმებაში რამდენიმე მიმართულებით ეხმარება.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტთან აქტიური თანამშრომლობით, დანაშაულის პრევენციის ცენტრს რეგულარულად მიეწოდება ინფორმაცია აქტიური ვაკანსიების შესახებ. გარდა ამისა, აქტიური მუშაობა მიმდინარეობს დამსაქმებელთა მოსაძიებლად, როგორც საჯარო ასევე კერძო სექტორებში.

აღსანიშნავია, რომ საჭიროების შემთხვევაში, პოტენციურ დამსაქმებელთან ბენეფიციარის შესახებ გაიცემა რეკომენდაცია.

2015 წლის მარტის თვის მონაცემებით დასაქმდა პროგრამაში ჩართული 143 ბენეფიციარი.

5.3.3.3. სპორტული აქტივობები

სხვადასხვა სპორტულ ფედერაციებთან თანამშრომლობით, რეგულარულად ხდება ბენეფიციარებისა და მათი ოჯახის წევრების დასწრება მნიშვნელოვან სპორტულ ღონისძიებებზე, სანაკრებო და საკლუბო დონეზე.

5.3.3.4. შემეცნებით-კულტურული ღონისძიებები

სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი პერიოდულად ატარებს სხვადასხვა ღონისძიებას, მაგალითად, ლაშქრობები ყოფილი პატიმრებისთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის; მხიარული სტარტები ბენეფიციართა შვილებისთვის და სხვ.

5.3.3.5. ყოფილ პატიმრებთან მომუშავე თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება

სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრის ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სამმართველოს თანამშრომლები პერიოდულად გადიან კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ტრენინგებს. პროცესში ჩართულია სამმართველოს ყველა თანამშრომელი.

5.3.4. ყოფილი პატიმრების პროფესიული განათლება

5.3.4.1. ყოფილი პატიმრებისათვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა

2014 წელს პირველად, სახელმწიფომ დაიწყო ყოფილი პატიმრების პროფესიული მომზადება მათი რესოციალიზაციისა და დასაქმება-თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით. თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა იუსტიციის სამინისტროსთან ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციის მიზნით. ამ ეტაპზე, 177-მა ბენეფიციარმა გაიარა უფასო პროფესიული გადამზადების კურსი. პროექტში ჩართული იყო 2 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება:

1. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,მერმისი“;
2. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“.

ყოფილმა პატიმრები მომზადდნენ შემდეგ სპეციალობებში:

1. კომპიუტერული ქსელების სპეციალისტი;
2. ბუღალტერი;
3. მზარეული.

მიმდინარე წელს, დამტკიცდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 3 თებერვლის N64 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესების“ პროგრამის ,,ყოფილ პატიმართა, მათი ოჯახის წევრთა ან/და განრიდებულთა პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამა. შესაბამისი პროგრამები მიმდინარე წელსაც გაგრძელდება, აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში.

5.3.5 საზოგადოების ინფორმირება და ჩართულობის გაზრდა

5.3.5.1. დანაშაულის პრევენციის ცენტრის წლიური ანგარიში

საჯაროდ ხელმისაწვდომია სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის 2014 წლის ანგარიში (www.prevention.gov.ge).

5.3.5.2. საინფორმაციო ვიდეო რგოლი, სხვადასხვა შინაარსის ფლაერების ბუკლეტების, პლაკატების დამზადება, სოციალური კამპანიის წარმოება.

შექმნილია ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ვიდეო რგოლი, სახელწოდებით „შეცვალე სცენარი“, რომელიც განთავსებულია ინტერნეტ სივრცეში. დაბეჭდილია პროგრამის შესახებ ბროშურა და პლაკატი. რეგულარულად ხდება საზოგადოების ინფორმირება პროგრამის მიმდინარეობასთან დაკავშირებით.

6. წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლა

6.1.ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა და თავისუფლებაშეზღუდულ პირთა არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება

6.1.1. შესაბამისი ღონისძიებების წამებისა და არასათანადო მოპყრობის ეროვნულ გეგმაში ასახვა

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 მაისის N 341 დადგენილებით განისაზღვრა „ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს“ შემადგნლობა და დამტკიცდა საბჭოს დებულება. საბჭოს ფარგლებში შემუშავდა ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი.

6.1.2.ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა და თავისუფლებაშეზღუდულ პირთა არასათანადო მოპყრობის წინააღდეგ ბრძოლის საკანონმდებლო ბაზისა და შიდაუწყებრივი აქტების გაანალიზება ეფექტურობისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით

2014 წელს საქართველოს პროკურატურამ განახორციელა ცალკეული ღონისძიებები წამებისა და არაადამიანური მოპყრობის, ასევე ტრეფიკინგის ფაქტებზე ეფექტური სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად. კერძოდ:

დაკავებულ პირთა არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენის მიზნით, პროკურატურის ტერიტორიული ორგანოები ყოველდღიურ რეჟიმში იღებდნენ ინფორმაციას დროებითი მოთავსების იზოლატორებიდან და საპატიმრო დაწესებულებებიდან სხეულის დაზიანებით შესახლებული პირების შესახებ;

პროკურორები ხვდებოდნენ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ იმ პირებს, რომლებმაც დაკავებისას თუნდაც სხეულის მინიმალური სახის დაზიანება მიიღეს. 2014 წელს საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს პროკურორი შეხვდა 159 პირს. გასაუბრებისას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე 10 ფაქტზე დაიწყო გამოძიება.

2014 წელს წამების, არაადამიანური მოპყრობისა და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დაზარალებულის ღირსების შეუარცხყოფით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა სასჯელაღსრულების სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს 19 თანამშრომლის მიმართ.

<u>შსს–ს კომპეტენციის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები</u>

ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამით 2014 წლის ოქტომბერში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მუშაობა დაიწყო ახალი დროებითი მოთავსების იზოლატორებში შიმშილობის მართვის შესახებ ბრძანების შემუშავებაზე. აღნიშნულ დოკუმენტზე მუშაობა უახლოეს მომავალში დასრულდება.

სამუშაო ჯგუფი ასევე მუშაობს ახალი სამართლებრივი რეგულაციის შემუშავებაზე, რომლის მიხედვითაც დროებითი მოთავსების იზოლატორში არსებული ჯანმრთელობის ამსახველი დოკუმენტაცია, ბრალდებულის გადაყვანის შემთხვევაში გადაეცემა შესაბამის სასჯელაღსრულების დაწესებულებას.

ევროკავშირის გრანტის ფარგლებში მიმდინარეობს მუშაობა დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომელთა სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (SOP) შემუშავებაზე. აღნიშნულ დოკუმენტზე მუშაობაში ჩართულია ბრიტანელი ექსპერტი ჯეიმს მერდოკი, რომელიც 2014 წელს იმყოფებოდა საქართველოში და დეტალურად შეისწავლა დროებითი მოთავსების იზოლატორების საქმიანობა. ექსპერტმა დადებითად შეაფასა იზოლატორების ფუნქციონირება. დოკუმენტზე მუშაობა უახლოეს მომავალში დასრულდება.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავებისას, განხორციელა საკანონმდებლო ბაზის, მათ შორის არასათანადო მოპყრობის წინააღდეგ ბრძოლის საკანონმდებლო ბაზის და შიდაუწყებრივი აქტების გაანალიზება და შესაბამისად გათვალისწინება საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტში.

6.1.3. ზემოთ მოცემულ ღონისძიებაში მითითებული ანალიზის საფუძველზე საკანომდებლო ცვლილებების მომზადება და წარდგენა, შიდაუწყებრივი აქტების გაუმჯობესება.

2014 წლის 16 ივნისს გამართულ „ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს“ სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, რომლებიც შემდეგ საკითხებზე იმუშავებენ: პირველი ჯგუფი - პრევენციის ეროვნული მექანიზმის გაძლიერება; მეორე

ჯგუფი - წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვისა და გამოძიების მექანიზმის შექმნა; მესამე ჯგუფი - თავისუფლების შეზღუდვის/აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი პირების უფლებები. პირველ სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს სახალხო დამცველის აპარატი, მეორე ჯგუფს - იუსტიციის სამინისტრო, მესამე ჯგუფს - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო.

პატიმრობის კოდექსში განხორციელდა ცვლილებები, შემოღებულ იქნა სპეციალური შემაკავებელი საშუალებები, რომელთა გამოყენების უფლება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულების თანამშრომლებს განსაკუთრებულ შემთხვევებში ექნებათ. არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის მიზნით გაიწერა სპეციალურ საშუალებათა გამოყენების წესები. სამუშაო პროცესში, სპეციალურ საშუალებათა სიიდან ამოღებულ იქნა ელექტროშოკი. შემუშავებულია აუდიო-ვიდეო მონაცემთა მოპოვებისა და შენახვის წესი, რომელშიც განსაზღვრულია მონაცემთა დაცვის ხანგრძლივობასა და მათზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული რეგულაციები. წესების დამტკიცება მოხდება მინისტრის ბრძანებით.

6.2.ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა და თავისუფლებაშეზღუდულ პირთა საცხოვრებელი პირობებისა და ინსტიტუციური მოპყრობის გაუმჯობესება

6.2.1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ადეკვატური მატერიალური პირობების უზრუნველყოფა არსებული მდგომარეობის პერიოდული ანალიზისა და საჭირო ღონისძიებების გატარების გზით

ევროკავშირის დახმარებით, ქვეყნის მასშტაბით ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორის (დმი) საკნისათვის შეძენილ იქნა ახალი ანტივანდალური ტიპის სანათები, რომლებიც უზრუნველყოფენ დღისა და ღამის განათებას. მათი მონტაჟი ეტაპობრივად მიმდინარეობს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ასევე მიმდინარეობს წინასწარი დაკავების საკნებში არსებული საწოლების ეტაპობრივი გადაკეთება და ახალი უსაფრთხო მაგიდებისა და სკამების დამონტაჟება. ევროკავშირის პროგრამის ფარგლებში, დმი-ის საკნებში მოხდა ახალი უსაფრთხო საწოლების, მაგიდებისა და სკამების მონტაჟი.

2014 წლის ივლისში დასრულდა სარემონტო სამუშაოები შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს კახეთის რეგიონალურ დროებითი მოთავსების იზოლატორში (ქ. თელავი). იზოლატორი აღიჭურვა ახალი ინვენტარით, ხოლო საკნებში ევროკავშირის პროგრამის ფარგლებში მოხდა ახალი უსაფრთხო საწოლების, მაგიდებისა და სკამების მონტაჟი.

2014 წლის ნოემბერში ცვლილებები შევიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების საქმიანობის მარეგულირებელ ინსტრუქციებში. ცვლილებები მიზნად ისახავდა ინსტრუქციების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. ინსტრუქციებში ცვლილებები, ასევე გამოწვეული იყო ადმინისტრაციული პატიმრობის ვადის 15 დღემდე შემცირებით. გაიზარდა დაკავებულთათვის საკანში განკუთვნილი მინიმალური კვადრატულობა, შეიცვალა დაკავებულთა შხაპის მიღების, სუფთა ჰაერზე გასეირნების წესები და სხვა.

<u>საქართველოს სასჯელაღსრულების სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში განხორციელებული ქმედებები</u>

თითო პატიმრისათვის მინიმალური საცხოვრებელი ფართი განისაზღვრა 4 კვადრატული მეტრით. დაწესებულებათა უმრავლესობაში აღნიშნული სტანდარტი დღეისათვის დაცულია. სრულად დაცვა შესაძლებელი გახდება დახურული დაწესებულებების გახსნის შემდგომ, რომელშიც ამჟამად სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობს.

კაპიტალური გარემონტების შემდეგ გაიხსნა სასჯელაღსრულების N3 ბათუმის დაწესებულება.

დასრულდა სასჯელაღსრულების N16 მსუბუქი რეჟიმის დაწესებულების სარემონოტო სამუშაოები. დაწესებულება გაიხსნება უახლოეს მომავალში.

გაიხსნა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ახალი მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულება, რომელიც აღიჭურვა თანამედროვე აპარატურით.

შეკეთდა გლდანის N8 დაწესებულებაში არასრულწლოვანთა განყოფილება.

მიმდინარეობს სასჯელაღსრულების N6 მკაცრი რეჟიმის დაწესებულების სარემონტო სამუშაოები.

გლდანის N8 დაწესებულებაში გაიხსნა გონივრული მიღების განყოფილება, რომელმაც შეცვალა მანამდე არსებული კარანტინის სისტემა.

6.2.2. რეაბილიტაციისა და მკურნალობისათვის ადეკვატური რეჟიმისა და უსაფრთხო გარემოს შექმნა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, შესაბამისი დამოუკიდებელი ექსპერტების მონაწილეობის გზით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებით მოთავსების იზოლატორში ყველა დაკავებული უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის საშუალებებით, საკითხი მასალებით, მათ დღეში სამჯერ მიეწოდებათ ცხელი საკვები.

გაიზარდა სასჯელაღსრულების სისტემის ჯანდაცვის ბიუჯეტი; გაიხსნა თანამედროვე აპარატურითა და ინფრასტრუქტურით აღჭურვილი მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულება; ამოქმედდა C-ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამა; ეფექტურად მოქმედებს სამოქალაქო საავადმყოფოებში რეფერალის სისტემა; გაიზარდა სამედიცინო პერსონალის რაოდენობა. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციამ გაითვალისწინა რა მოცემული მიმართულებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, რეფორმა წარმატებით შესრულებულად მიიჩნია.

6.3.ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა და თავისუფლებაშეზღუდულ პირთა მდგომარეობისა და მათ მიმართ მოპყრობის შიდა (ინსპექტირება) და გარე მონიტორინგის გაუმჯობესება

6.3.1. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა და თავისუფლებაშეზღუდულ პირთა მდგომარეობისა და მათ მიმართ მოპყრობის შიდა მონიტორინგის (ინსპექტირება) საქმიანობის გაუმჯობესება საკანონმდებლო და შიდაუწყებრივი რეგულირებით (პრო-აქტიური ინსპექტირების, დამოუკიდებლობის გაზრდის, ანგარიშგებისა და საჩივრებზე ეფექტური რეაგირების მექანიზმების დანერგვის ჩათვლით)

მონიტორინგის სამმართველოს საქმიანობა ზოგადად გათვალისწინებულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 1 მარტის N141 ბრძანებით, თუმცა აღნიშნული ბრძანება არ განსაზღვრავს შიდა მონიტორინგის განხორციელების ძირითად პრინციპებს, მიმართულებებსა და მეთოდოლოგიას. მონიტორინგის სამმართველოს საქმიანობის დეტალური ინსტრუქციების შესახებ დოკუმენტის შემუშავება ახლო მომავალში იგეგმება.

მონიტორინგის სამმართველომ, რომელიც ახორციელებს დროებითი მოთავსების იზოლატორების შიდა მონიტორინგის, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით მოახდინა მონიტორინგის ჩატარების ახალი წესების დანერგვა. გეგმიური თუ არაგეგმიური მონიტორინგები ტარდება 2-3 თანამშრომლისაგან შემდგარი ჯგუფების მიერ (რაოდენობა დამოკიდებულია რეგიონის თუ დროებითი მოთავსების იზოლატორის დატვირთულობაზე), რომლის ფარგლებში ხდება უშუალოდ იზოლატორში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება. მაგალითად, დაკავებულს ჯეროვნად აცნობენ თუ არა მისი უფლებები, დაცულია თუ არა იზოლატორში დაკავებულის მიღების პირობები და წესი, ხდება თუ არა საგუშაგო რეჟიმის დაცვა, დაცულია თუ არა საკვების შენახვის პირობები და სხვა. მონიტორინგის სამმართველოს თანამშრომლები თავად ეცნობიან დოკუმენტაციას, ამოწმებენ საქმისწარმოების გამართულობას, ვადების დაცვასა და დროებითი მოთავსების იზოლატორების საქმიანობის სხვა მიმართულებებს. მონიტორინგის ფარგლებში ასევე მოწმდება დაცულია თუ არა უსაფრთხოების ნორმები დროებითი მოთავსების იზოლატორში, დებულების შესაბამისად. ყველა მონიტორინგი გამყარებულია შესაბამისი ვიდეომონიტორინგის და ბაზის მონიტორინგის შედეგებით, მაგალითად მონიტორინგის ჩატარებამდე თანამშრომლებს აქვთ ინფორმაცია იზოლატორში საქმიანობაზე, კერძოდ საგუშაგოს, ცვლაში მყოფი თანამშრომლების და დაკავებულთა შესახებ. ასევე, ყველა სხვა სახის ინფორმაცია, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია ელექტრონული ბაზის შემოწმების და ვიდეომონიტორინგის შედეგად.

მონიტორინგის სამმართველო ელექტრონული ბაზის გადამოწმების მეშვეობით ყოველდღიურად ახდენს კონტროლს დაკავებულების იზოლატორში განთავსების პროცესზე.

საქართველოს სასჯელაღსრულების სამინისტროში მიმდინარეობს მონიტორინგის მექანიზმის დახვეწაზე მუშაობა. რეფორმის შედეგად სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მომნიტორინგის სამსახური ინტეგრირებული იქნება სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, რაც კიდევ უფრო ეფექტურს გახდის მის ფუნქციონირებას. 2014 წლის განმავლობაში

გენერალური ინსპექციისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლებმა რეგულარულად გაირეს სხვადასხვა ტრეინინგები.

2014 წლის განმავლობაში გენერალური ინსპექციის მიერ მიღებული იქნა შემდეგი სახის დისციპლინური ზომები:

შენიშვნა - 22
გაფრთხილება - 9
საყვედური - 39
სასტიკი საყვედური - 22
სისტემის ორგანოდან დათხოვნა - 32
ხელფასის დაკავება - 1
უფრო დაბალი რანგის სარგოზე გადაყვანა - 1

6.3.2. საპატიმრო და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში აუდიო-ვიდეო მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება (ტექნიკური უზრუნველყოფის გაზრდა, მონაცემების შენახვის ხანგრძლივობისა და დაცულობის გაზრდა, საერთაშორისოდ აღიარებული პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტების შესაბამისად)

შემუშავებულია აუდიო-ვიდეო მონაცემთა მოპოვებისა და შენახვის წესი, რომელშიც განსაზღვრულია მონაცემთა დაცვის ხანგრძლივობასა და მათზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული რეგულაციები. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დადებითი დასკვნის მიღების შემდგომ მოხდება წესების დამტკიცება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებით.

ამავდროულად, ეტაპობრივად ხორციელდება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დამონტაჟებული სათვალთვალო აპარატურის სტანდარტიზაცია.

6.3.3. თავისუფლებააღკვეთილ პირთა მდგომარეობისა და მათი მოპყრობის გარე მონიტორინგის მექანიზმების გაძლიერება (მათ შორის სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმი, მარეგულირებელი კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით საკანონმდებლო აქტების მომზადების და წარდგენის, აგრეთვე ინსტიტუციური თანამშრომლობის მექანიზმების გაუმჯობესება)

2014 წლის 7 მაისის №341 მთავრობის დადგენილებით შექმნილი ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის ფარგლებში განხილული იქნა პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის გაუმჯობესებასა და მათი კომპეტენციის გაზრდას.

საქართველოს სასჯელაღსრულების სამინისტროში საქმიანობას აგრძელებს საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმი. სამინისტრო უზრუნველყოფს მექანიზმის წარმომადგენელთა დაუბრკოლებელ წვდომას სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე.

6.4.ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა და თავისუფლებაშეზღუდულ პირთა არასათანადო მოპყრობისა და შესაბამისი რეაგირების სტატისტიკის მონაცემების სრულყოფა

6.4.1. . თავისუფლების აღკვეთის და თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში პირთა მოთავსების, რეგისტრაციისა და აღრიცხვის სისტემის შემდგომი დახვეწა;

სტატისტიკის სრულყოფის და დახვეწის მიზნით 2014 წლის დასაწყისიდან შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარ სამმართველოში სტატისტიკა ახალი ფორმით წარმოებს.

2015 წელს იგეგმება დროებითი მოთავსების იზოლატორებში შესახლებულ პირთა ელექტრონული ბაზის დახვეწა, რათა მოხდეს არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და ბაზას დაემატოს ახალი ფუნქციებიც.

სასჯელაღსრულების სამინისტროში მიმდინარე რეფორმის ფარგლებში იგეგმება პირთა მოთავსების, რეგისტრაციისა და აღრიცხვის ერთიანი განახლებული სისტემის შექმნა, რომელიც უფრო მეტ მონაცემს მოიცავს და დასამუშავებლადაც იოლი იქნება.

6.4.2. არასათანადო მოპყრობის ფაქტების შემცირება-გაზრდის ანალიზის მიზნით, შესაბამისი სტატისტიკის წარმოება, სრულყოფა და სისტემატიზაცია.

სტატისტიკის სრულყოფის და დახვეწის მიზნით 2014 წლის დასაწყისიდან შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარ სამმართველოში სტატისტიკა ახალი ფორმით წარმოებს. მონიტორინგის სამმართველო ახორციელებს კონტროლს სტატისტიკური მონაცემების სისწორეზე, ასევე ამ მონაცემების ანალიზს. სტატისტიკა დეტალურ ინფორმაციას იძლევა შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ. კერძოდ, სტატისტიკა მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: რამდენ დაკავებულ პირს გააჩნდა პრეტენზია პოლიციის თანამშრომელთა მიმართ, რამდენ დაკავებულ პირს ჰქონდა დაზიანებები დაკავებამდე, დაკავებისას ან დაკავების შემდეგ და როდის იქნა აღნიშნული დაზიანებები მიყენებული. დაზიანებები, რომლებიც მიყენებული იქნა დაკავებისას ან დაკავების შემდეგ ეგზავნება პროკურატურას, ხოლო დაკავებამდე მიღებული დაზიანებები მხოლოდ ზოგ შემთხვევაში იგზავნება პროკურატურაში.

მონიტორინგის სამმართველო ახორციელებს კონტროლს სტატისტიკური მონაცემების სისწორეზე, ასევე ამ მონაცემების ანალიზს. სტატისტიკა დეტალურ ინფორმაციას იძლევა შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველო აწარმოებენ მიღებული საჩივრების სტატისტიკას[1]. მიმდინარე რეფორმის ფარგლებში იგეგმება სტატისტიკური

[1] ინფორმაცია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ დისციპლინური წესით დასჯის შესახებ:

მონაცემების დამუშავების განახლებული სისტემის შექმნა, რომელიც უფრო მეტ მონაცემს მოიცავს და დასამუშავებლადაც იოლი იქნება.

6.5. საჯარო მოსამსახურეთა განგრძობადი სწავლება და შესაძლებლობათა გაძლიერება წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის, ეფექტური რეაგირებისა და გამოძიების, აგრეთვე მსხვერპლთა ინტერესების დაცვის გაუმჯობესების მიზნით

6.5.1. ტრენინგ-დაწესებულებების შესაძლებლობების ზრდის პოტენციალის ხელშეწყობა არასათანადო მოპყრობის აკრძალვის კუთხით; კოორდინაციის გაზრდა დაწესებულებებს შორის; სასწავლო სტანდარტების, მასალებისა და მეთოდების გაუმჯობესება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად

შსს აკადემიაში ტრეინინგები წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის, ეფექტური რეაგირებისა და გამოძიების, აგრეთვე მსხვერპლთა ინტერესების დაცვის გაუმჯობესების მიზნით 2014 წლის იანვრიდან 2014 წლის 1 სექტემბრამდე გაიარა - 900 მსმენელმა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში აღნიშნული საკითხები იკითხება შემდეგ პროგრამებსა და კურსებზე:

- უბნის ინსპექტორთა სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში მოსამსახურეთა თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი.
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში დანიშნულ (დასანიშნ) კურსგავლილ პირთა გადამზადების კურსი.
- მესაზღვრე-კონტროლიორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- დეტექტივ-გამომძიებლის მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში და ტერიტორიულ ორგანოებში დაწინაურების კანდიდატთა გადამზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- წვევამდელების სპეციალური მომზადებისა და პოლიციის უმცროსი ლეიტენანტის სპეციალური წოდების მისანიჭებელი სპეციალური მომზადების კურსი
- სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

- 2014 წელი: 30 შენიშვნა; 16 გაფრთხილება; 48 საყვედური; 22 სასტიკი საყვედური; 33 - სისტემის ორგანოდან დათხოვნა; 2 - არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ხელფასის დაკავება; 3- უფრო დაბალი თანრიგის თანამდებობრივ სარგოზე გადაყვანა.
- 2015 წელი: 19 შენიშვნა; 4 საყვედური.

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის მომზადების სპეციალური პროგრამა
- მანდატურის სამსახურის მანდატურთა სპეციალური პროგრამა

შსს აკადემიაში აღნიშნული პროგრამები:

✓ 2014 წლის იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე გაიარა 1212 მსმენელმა;
✓ 2015 წლის იანვრიდან 4 მარტამდე გაიარა 304 მსმენელმა;

სამომავლოდ (2015 წლის ბოლომდე) აკადემიაში ზემოაღნიშნულ საკითხებში გაგრძელდება, როგორც სამინისტროში მისაღები კანდიდატების, ისე მოქმედი თანამშრომლების მომზადება.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში 2014 წლიდან 2015 წლის მოცემული პერიოდის ჩათვლით წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის საკითხებზე ტრეინინგი გაიარა 1119-მა თანამშრომელმა. ასევე, 2015 წელს იგეგმება აღნიშნულ საკითხებზე პერმანენტულად ტრეინინგების ჩატარება. საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისა და საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების მიზნით.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში არსებულ ყველა ძირეულ სასწავლო პროგრამაში შეტანილია სესიები წამებისა და სხვა არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვისა და პრევენციის საკითხებზე, ასევე თემები წამების დოკუმენტირებისა და მტკიცებულებათა დაცვის საკითხებზე (სტამბულის პროტოკოლი), რომელიც მოიცავს 2 და მეტ 90 წუთიან სესიებს;

ცენტრის მიერ წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრ „ემპათიასთან“ კოორდინაციით შემუშავებულ იქნა სამდღიანი სასწავლო პროგრამა, რომელიც მოიცავს სასწავლო კურსს „წამების, არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობის პრევენცია სასჯელაღსრულების სისტემაში“, ასევე სასწავლო ცენტრს მომზადებული აქვს სპეციალიზებიული სასწავლო პროგრამები თემებზე: ადამიანის უფლებათა დაცვა და პატიმართა უფლებები, განსაკუთრებული კატეგორიის პატიმრებთან მოპყრობის სპეციფიკა (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმრები, არასრულწლოვნები, ქალები და სხვა), გარდა იმისა, რომ აღნიშნული თემები შეტანილია ყველა სასწავლო პროგრამაში, ცენტრი აღნიშნულ პროგრამებს ახორციელებს ასევე დამოუკიდებლად სხვადასხვა რანგის თანამშრომლებისთვის.

სასწავლო ცენტრისა და ევროპის საბჭოს პროგრამის „EU/CoE ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა ციხეებსა და სხვა დახურულ ინსტიტუციებში“ ურთიერთთანამშრომლობით მომზადდა 2 სასწავლო ფილმი სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთათვის შემდეგ თემებზე: 1. შიმშილობის მართვა და ფსიქიატრიული საკითხები სასჯელაღსრულების სისტემაში; 2. წამების და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა სასჯელაღსრულების სისტემაში, რაც ხელს შეუწყობს მოცემული მიმართულებით სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასაწავლო ცენტრს საქმიანობის გაუმჯობესებისა და საზოგადოების ინფორმირების ხელშეწყობის მიზნით ხელი აქვს მოწერილი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმზე სხვადასხვა შესაბამის სასწავლო ცენტრებთან

და აკადემიურ ინსტიტუტებთან კალიშეს (პოლონეთი) სასჯელაღსრულების სისტემის ცენტრალურ სასწავლო ცენტრთან, რომლის ფარგლებში მიმდინარეობს ერთობლივი პროგრამები. ხელი მოეწერა ერთობლივ პროექტს UNDP-თან, რომელიც სასწავლო ცენტრის შესაძლებლობების გაზრდას ითვალისწინებს, ასევე მიმდინარეობს თანამშრომლობა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დონორებთან, CoE; EU; INL; GIZ და საელჩოებთან.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით შეიმუშავა 6 თვიანი ტრენინგ პროგრამა რეჟიმის ახალი თანამშრომლებისათვის. მიღწეული პოზიტიური შედეგების საფუძველზე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აღნიშნული პროგრამის 2015 წელს გაგრძელების შესახებ. ზემოაღნიშნულ სასწავლო მოდულზე დაყრდნობით, შემუშავდა მოქმედ თანამშრომელთა გადამზადების ერთიანი პროგრამა, რომლის იმპლემენტაციაც 2015 წელს უკვე დაიწყო.

6.6. წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების დროული, სრულყოფილი, ეფექტური და მიუკერძოებელი გამოძიება; დამნაშავეთა სისხლის სამართლებრივი დევნა; დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლა

6.6.1. ძალოვანი უწყებების ანგარიშვალდებულების და დემოკრატიული ზედამხედველობის გაზრდა. პოლიციელებისა და პროკურორების წინააღმდეგ საჩივრები მოითხოვს პროფესიონალურ, ეფექტურ მექანიზმს სანდო პასუხის გასაცემად. ამგვარი საქმეების შესასწავლად განხილულ იქნეს დამოუკიდებელი და ეფექტური მექანიზმის შექმნა; ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს ჩაუტარდეთ კომპლექსური პროფესიონალური ტრენინგი ეთიკურ სტანდარტებსა და ადამიანის უფლებებზე.

აღნიშნული საკითხი განიხილება ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს კომპეტენციის ფარგლებში.

მეორე სამუშაო ჯგუფში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოვლენისა და ყველა საჩივრის/ბრალდების დროული, მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიების უზრუნველოფის საკითხზე. ჯგუფის საქმიანობის შედეგად გამოიკვეთა ორი მიმართულება: (1) არსებული საგამოძიებო მექანიზმებისა თუ უწყებების გაძლიერება და (2) ახალი დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნის საჭიროება და ასეთი ორგანოს შესაძლო მოდელი. პირველ შემთხვევაში იგეგმება არსებულ საგამოძიებო მექანიზმებში შესაძლო არსებული პროცედურული თუ სტრუქტურული პრობლემის იდენტიფიცირება და ასეთი პრობლემის დაფიქსირების შემთხვევაში მისი გადაჭრის გზების მოძიება საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტების მიღებით. რაც შეეხება ახალი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის შესაძლებლობას, სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მუშავდება ასეთი ორგანოს რამდენიმე სტრუქტურული მოდელი. ყველა მოდელში გათვალისწინებულია კონსტიტუციით განსაზღვრული ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და გამოძიებაში ჩაურევლობის პრინციპი. განხილვის საგანია ასევე

დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ისეთი ატრიბუტები, როგორიცაა საგამოძიებო ორგანოს ხელმძღვანელის დანიშვნის პრეროგატივა, მისი საქმიანობის დაფინანსება, ანგარიშვალდებულება, მისი გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობა და მრავალი სხვა. ამ ეტაპზე, არ არის მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება ასეთი ორგანოს შექმნისა და მისი სტრუქტურის შესახებ. ყველა შემუშავებული მოდელი და მოსაზრება წარედგინება საბჭოს წევრებს უახლოეს სხდომაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოს საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები: საერთაშორისო ორგანიზაციის „ციხის საერთაშორისო რეფორმა“, გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში, წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, კონსტიტუციის 42-ე მუხლი და ფონდი ღია საზოგადოება საქართველო. გარდა ამისა, საბჭოს საქმიანობაში ჩართული არიან საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის, საქართველოში ევროსაბჭოს გენერალური მდივნის, გაეროს ბავშვთა ფონდის, Human Rights Watch-ის ევროპული და ცენტრალური აზიის განყოფილების, საქართველოში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის, საქართველოში აშშ-ის საელჩოს, წარმომადგენლები.

ამ ეტაპზე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ექსპერტების მიერ მიმდინარეობს საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებული პრაქტიკის შესწავლა და ანალიზი.

6.7. წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის შედეგების აღმოფხვრა, მსხვერპლთა დაცვა და რეაბილიტაცია

6.7.1. მსხვერპლთათვის ეფექტური იურიდიული დახმარების (მათ შორის, დაცვის ეფექტური განხორციელებისთვის საჭირო აუცილებელი ხარჯების გათვალისწინებით) უზრუნველყოფის გაუმჯობესება უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის გზით

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი წამების მსხერპლთათვის (დაზარალებულებისათვის) უფასო საადვოკატო მომსახურების გაწევას არ ითვალისწინებს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2015-2016 წლების ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმის პროექტში გათვალისწინებულია სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის პოტენციალის გაზრდის შესწავლა წამების/არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლთათვის ეფექტური იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფის მიზნით.

2014 წელს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართოება განხორციელდა მხოლოდ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მიმართულებით. კერძოდ, 2014 წლის 17 ოქტომბერს, „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტში და „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლში შევიდა ცვლილებები, რომელთა თანახმადაც, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურს დაევალა ოჯახში ძალადობის

მსხვერპლთათვის სამართლებრივი დახმარების გაწევა. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები ძალაში შევიდა 2014 წლის 14 ნოემბერს.

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურს ამ ეტაპზე ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა ჯერ არ განუხორციელებია, შესაბამისი მიმართვების არარსებობის გამო.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის ბოლომდე, „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონში დაგეგმილია კიდევ ერთი ცვლილების შეტანა, რომელიც სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე უფასო საადვოკატო მომსახურების დანერგვას უკავშირდება. წარმოდგენილი ცვლილებების პროექტით, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური გადახდისუუნარო პირებს უფასო საადვოკატო მომსახურებას გაუწევს არა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებზე, არამედ გარკვეული კატეგორიების სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზეც. სამოქალაქო საქმეებზე წარმომადგენლობის განხორციელება დაგეგმილია 2015 წლის აპრილიდან, ხოლო ადმინისტრაციულ საქმეებზე - 2016 წლიდან.

6.7.2. მსხვერპლთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის ფორმირება და ეფექტურობის უზრუნველყოფა;

სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი (შემდგომში ფონდი) შექმნილია 2006 წელს. ფონდის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ფონდის სერვისები ხელმისაწვდომია:

- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის/დაზარალებულის სტატუსის მქონე როგორც საქართველოს, ასევე – უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის.
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლის/დაზარალებულის სტატუსის მქონე როგორც საქართველოს, ასევე – უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთათვის;

ფონდი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლებს/დაზარალებულებს უზრუნველყოფს შემდეგი სახის მომსახურებებით:

ა) იურიდიული (სასამართლოში წარმომადგენლობის ჩათვლით) მომსახურება;
ბ) ფსიქოლოგიური (რეაბილიტაცია–რეინტეგრაციის პროგრამების ჩათვლით) მომსახურება;
გ) სამედიცინო მომსახურება;
დ) თავშესაფრით მომსახურება;
ე) ერთჯერადი კომპენსაცია 1000 ლარის ოდენობით;
ვ) ცხელი ხაზის მომსახურება.

1. იურიდიული მომსახურება

ფონდი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლებს/დაზარალებულებს სთავაზობს სამართლებრივი დახმარების სერვისს. აღნიშნული სერვისი მოიცავს: სამართლებრივ

საკითხებში გათვიცნობიერებას, საჭირო იურიდიული დოკუმენტაციის მოგვარებას, იურიდიული დახმარების ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას, საადვოკატო მომსახურებას სასამართლოში წარმომადგენლობის ჩათვლით, (საჭიროების შემთხვევაში, რეფერირებას).

2. ფსიქოლოგიური დახმარება

ფონდი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლებს/დაზარალებულებს სთავაზობს ფსიქოლოგიური მომსახურებას. აღნიშნული სერვისი ხორციელდება შემდეგი საფეხურების მიხედვით: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა ინდივიდუალური და ჯგუფური ფსიქოლოგიური კონსულტაცია და რეაბილიტაცია, კრიზისული ინტერვენცია, ემოციონალური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, ფსიქოგანათლება, დახმარება მომავლის პერსპექტივების განსაზღვრაში/საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის აღდგენაში. ჯგუფური რეაბილიტაცია, რომელიც ტარდება კვირაში ერთხელ ან 10 დღეში ერთხელ და მოიცავს გუნდურ მუშაობას, რომლის მიზანია თვითდარწმუნებულობის ამაღლება და თავშესაფრის (თუ სარგებლობს თავშესაფრით) სხვა მკვიდრებთან ურთიერთობის ხელშეწყობა. გუნდური მუშაობის ერთ–ერთ ფორმად გამოიყენება კრეატიული ჯგუფების შექმნა, რაც მსხვერპლებს/დაზარალებულებს საშუალებას აძლევს გამოხატონ საკუთარი თავი სხვადასხვა საქმიანობებში (ხატვა, ქსოვა, სიმღერა, ცეკვა და სხვა).

თითოეული ბენეფიციარის მიმართ, რომელიც სარგებლობს თავშესაფრით, ხორციელდება რეაბილიტაცია–რეინტეგრაციის პროგრამა შემდეგი ეტაპების გათვალისწინებით: ბენეფიციარის ინტერვიუირება და მისი საჭიროებების შეფასება, ბენეფიციარისთვის ზიანის მიყენების რისკის შეფასება და უსაფრთხოების გეგმის შემუშავება, რეაბილიტაცია–რეინტეგრაციის გეგმის შედგენა, ფსიქოლოგიური, სამედიცინო, იურიდიული, სოციალური მომსახურებების დაგეგმვა და უზრუნველყოფა, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა ორგანიზაციებთან, სპეციალისტებთან დაკავშირება და მომსახურებების კოორდინაცია.

3. სამედიცინო მომსახურება

ფონდი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლებს/დაზარალებულებს სთავაზობს სამედიცინო მომსახურების სერვისს, რომელიც მოიცავს მსხვერპლების/დაზარალებულების ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სამედიცინო დახმარების საჭიროების დადგენას, პირველად სამედიცინო შემოწმებას, სასწრაფო სამედიცინო დახმარებას, ბაზისური მედიკამენტებით უზრუნველყოფას.

4. თავშესაფრით მომსახურება

ფონდის დაქვემდებარებაშია ორი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი): ბათუმის (გაიხსნა 2006 წელს) და თბილისის (გაიხსნა 2007 წელს) თავშესაფრები.

თავშესაფარში მიიღებიან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლები/ დაზარალებულები განურჩევლად მათი რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობებისა, საცხოვრებელი ადგილისა. თავშესაფარში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი/დაზარალებული შეიძლება განთავსდეს მასზე დამოკიდებული პირებითურთ.

თავშესაფარი ბენეფიციარებს და მათზე დამოკიდებულ პირ(ებ)ს უზრუნველყოფს შემდეგი სახის უფასო 24–საათიანი, სადღეღამისო, მომსახურებით:

ა) ნორმალური არსებობისათვის შესაფერისი, უსაფრთხო საცხოვრებელი ადგილით;
ბ) საკვებითა და ტანსაცმლით;
გ) ოჯახსა და საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამებში მონაწილეობით;
დ) არასრულწლოვანი ბენეფიციართათვის ფორმალური და არაფორმალური განათლების მიღების ხელშეწყობით;
ე) თავშესაფარი ახორციელებს ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც ემსახურება ბენეფიციარის სრულფასოვან განვითარებას;
ვ) თავშესაფრის კოორდინატებისა და თავშესაფარში არსებული ბენეფიციართა მონაცემების კონფიდენციალურად დაცვას;
ზ) კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ღონისძიებებს.

თავშესაფრებში მომსახურებები მორგებულია, ასევე, არასრულწლოვანთა მოთხოვნებს და სერვისების მიწოდება ხორციელდება მათი საჭიროებების გათვალისწინებით.

ფონდი მუდმივად, გარკვეული პერიოდულობით, ახორციელებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაწესებულებების (თავშესაფრები) საქმიანობის მონიტორინგს, რაც გამოიხატება ცენტრალური აპარატის ბაზაზე სპეციალურად შექმნილი მონიტორინგის ჯგუფის მიერ თავშესაფრების ადგილზე შემოწმებაში.

5. ერთჯერადი კომპენსაცია

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთათვის, დაზარალებულთათვის გაიცემა კომპენსაცია, რომელიც შეადგენს 1000 (ათასი) ლარს.

6. ცხელი ხაზის მომსახურება.

ფონდში ფუნქციონირებს ტრეფიკინგის მსხვერპლთა საკონსულტაციო ცხელი ხაზი. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია დარეკოს ცხელ ხაზზე: **2 100 229** და მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია და ინფორმაცია ფონდის სერვისებთან დაკავშირებით. მომსახურება ანონიმური და უფასოა.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მიერ ფონდის სერვისებით სარგებლობის სტატისტიკა წლების მიხედვით

წელი	ფსიქოლოგიური მომსახურება	სამედიცინო მომსახურება	სამართლებრივი მომსახურება	კომპენსაცია	თავშესაფარი
2006	4	3	4	0	3
2007	8	8	10	3	11
2008	6	6	8	5	8
2009	6	7	5	0	10
2010	9	9	18	2	10
2011	6	5	6	6	8
2012	7	6	7	6	13
2013	5	2	32	21	6
2014	5	3	5	9	7

თავშესაფარში ბენეფიციართა სტატისტიკა
(წლების მიხედვით)

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
ქალი	2	6	4	5	6	6	6	4	5
მამაკაცი	1	3	2	2	2	0	1	0	0
არასრულწლოვანი	0	0	0	0	0	0	0	1	0
დამოკიდებული პირი	0	2	2	3	2	2	6	1	2
ჯამი	3	11	8	10	10	8	13	6	7

მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის მიერ სტატუსის მინიჭების სტატისტიკა

(წლების მიხედვით)

2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
0	5	4	2	3	1	4	29	3
ჯამი- 51								

ოჯახში ძალადობა

ფონდის მომსახურებები:

მსხვერპლებს/დაზარალებულებს უზრუნველყოფს შემდეგი სახის მომსახურებებით:
ა) სამედიცინო მომსახურება;
ბ) სამართლებრივი (სასამართლოში წარმომადგენლობის ჩათვლით) მომსახურება;
გ) ფსიქოლოგიური მომსახურება;
დ) სოციალური პრობლემების მოგვარებაში მხარდაჭერა;
ე) თავშესაფრით მომსახურება.
ვ) ცხელი ხაზის მომსახურება;

1. სამედიციუნო მომსახურება მოიცავს:

- თავშესაფრის მკვიდრის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სამედიცინო დახმარების საჭიროების დადგენას, პირველად სამედიცინო შემოწმებას;
- სასწრაფო გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას, თავშესაფრის მკვიდრთა ბაზისური მედიკამენტებით უზრუნველყოფას.

2. ფსიქოლოგიური მომსახურება მოიცავს:

- ფსიქოლოგიური კონსულტაციასა და რეაბილიტაციას;
- კრიზისულ ინტერვენციას, ემოციონალურ და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას და ფსიქო განათლებას;
- ჯგუფურ რეაბილიტაციას;
- ოჯახში ძალადობის ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებში გათვითცნობიერებას;
- დახმარება მომავლის პერსპექტივების განსაზღვრაში, საკუთარ ცხოვრებაზე; კონტროლის აღდგენაში.

3. სამართლებრივი მომსახურება მოიცავს;

- ინდივიდუალურ სამართლებრივ კონსულტაციას;
- საჭიროების შემთხვევაში განცხადების/სარჩელის მომზადებას და სასამართლო წარმომადგენლობას/ადვოკატირებას.

განცხადების/სარჩელის მომზადება და სასამართლო წარმომადგენლობა ხორციელდება შემდეგ საკითხებზე:

- დამცავი ორდერის მიღება;
- განქორწინება;
- ალიმენტის მიღება;
- არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა;
- თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფა;
- ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული სისხლის სამართლებრივი საკითხები.

4. სოციალური პრობლემების მოგვარებაში მხარდაჭერა მოიცავს:

- სოციალური დახმარების სფეროში არსებული რესურსების შესახებ ინფორმაციის მოძიებასა და ამ ინფორმაციის ბენეფიციარისთვის მიწოდებას;
- განათლების მიღების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;
- ბენეფიციარის საჭიროებიდან გამომდინარე სხვადასხვა სამსახურებთან, სპეციალისტებთან დაკავშირებასა და მომსახურების კოორდინაციას, რეფერირებას;
- დასაქმებაში ხელშეწყობას.

5. თავშესაფრები

2010 წელს თბილისსა და გორში გაიხსნა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებები (თავშესაფრები), 2013 წელს არსებულ თავშესაფრებს იმერეთის რეგიონში, დაემატათ ქუთაისის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი), რომელიც, შეიქმნა გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის –„გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში.

თავშესაფრით მომსახურება მოიცავს:

- ღირსეული არსებობისათვის შესაფერისი, უსაფრთხო საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფას;
- საკვებითა და ტანსაცმლით უზრუნველყოფას;
- სამედიცინო დახმარებას (ბაზისური მედიკამენტებით მკურნალობის ჩათვლით);
- ფსიქოლოგიურ კონსულტაცია/რეაბილიტაციას;
- იურიდიული დახმარებას და სასამართლო წარმომადგენლობას;
- მსხვერპლისათვის გასაგებ ენაზე ინფორმაციის მიწოდებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - თარჯიმნის მომსახურებას;
- რეაბილიტაციის ასევე, ოჯახსა და საზოგადოებაში ინტეგრაციის მოკლე და გრძელვადიან პროგრამებში მონაწილეობას (პროფესიული სწავლებისა და საგანმანათლებლო პროგრამები, ხელშეწყობა დასაქმებაში).

6. ცხელი ხაზის მომსახურება;

ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებული პირის (მსხვერპლის) დახმარების და შესაბამის საკითხებზე კონსულტაციის გაწევის მიზნით, 2010 წლის ოქტომბრიდან შეიქმნა „ცხელი ხაზი“, სადაც 24 საათის განმავლობაში ხორციელდება ოჯახში ძალადობის საკითხებზე სატელეფონო კონსულტაციის გაწევა და კრიზისული ინტერვენცია.

6.7.3. მსხვერპლთა რეაბილიტაციის მხარდამჭერ არასახელმწიფო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაზრდა

ფონდი მჭიდროდ თანამშრომლობს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სფეროში ჩართულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ფონდსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის დადებულია შესაბამისი მემორანდუმები, რომელთა განახლებაც ხდება საჭიროების შესაბამისად, სერვისების მიწოდების თაობაზე (მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი).

ფონდის მიერ, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების, ასევე, ეროვნული რეფერალური მექანიზმით გათვალისწინებული ფუნქციებისა და ურთიერთანამშრომლობის ვალდებულების შესრულების მიზნით, ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან:

ა) აიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“;
ბ) აიპ „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი“;
გ) აიპ ქალთა საკონსულტაციო ცენტრი - “სახლი”;
დ) აიპ „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“;
ე)“აიპ „ საქართველოს ქალთა დასაქმების ხელშემწყობი ასოციაცია ”ამაგდარი”.

ფონდი აქტიურად თანამშრომლობს ააიპ „ძალადობისაგან დაცვის ეროვნულ ქსელთან“, რომელიც გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის ფარგლებში ახორციელებს ტრენინგების ციკლს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის (საპატრულო და საუბნო პოლიციის წარმომადგენლები). ტრენინგები ეხება ოჯახში ძალადობის საკითხების, ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობისა და რეფერირების პროცედურების გაცნობას/სწავლებას მითითებული სამიზნე ჯგუფებისათვის. ამ დროისთვის ტრენინგები ჩაუტარდათ კახეთის, სამეგრელოს, გურიის, იმერეთის, აჭარისა და შიდა ქართლის რეგიონების პოლიციის თანამშრომლებს. ასევე, ფონდი მონაწილეობით ტრენინგები ჩატარდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის სფეროში სერვისის მიმწოდებლებისათვის.

ადამიანით ვაჭრობასთან ბრძოლა

7. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულთან ბრძოლა

7.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენცია

7.1.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულთან ბრძოლის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. ეფექტური საინფორმაციო კამპანიის წარმოება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით.

ტრეფიკინგის პრევენციის მიზნით უწყებათშორისმა საბჭომ 2014 წლის 12 თებერვლის სხდომაზე დაამტკიცა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი საინფორმაციო სტრატეგია 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმით, რომელიც მიზნად ისახავს, კონკრეტული სამიზნე ჯგუფებისათვის ინფორმაციის მიტანას სწორი გზებითა და საშუალებებით. აღნიშნული სტრატეგიის ფარგლებში უკვე ხორციელდება ცნობიერების ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებები. მოსახლეობის საკუთარი უფლებების ინფორმირების მიზნით, მუდმივად მიმდინარეობს როგორ ტელე, ასევე რადიო კამპანიები. დამატებით, ხორციელდება საჯარო დისკუსიები სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტში. შსს-ში ფუნქციონირებს 24 საათიანი ცხელი ხაზი და საზოგადოების თითოეულ მოქალაქეს აქვს საშუალება, რომ მიიღოს შესაბამისი კონსულტაციები კვალიფიციური ოპერატორებისგან. სამინისტრო, ასევე მუდმივად იღებს მონაწილეობას ბეჭდვითი საინფორმაციო მასალების (ბროშურების/ლიფლეტებს) დამზადებასა და გავრცელებაში. საზოგადოებისთვის ტრეფიკინგის დანაშაულის საფრთხეების შესახებ მუდმივად განახლებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია შსს-ს ოფიციალურ ვებ გვერდზე - www.police.ge. აღნიშნული მოიცავს დეტალურ ინფორმაციას, თუ თითოეულმა პიროვნებამ როგორ უნდა შეძლოს ტრეფიკინგის შემთხვევების იდენტიფიცირება, როგორ დაიცვას თავი, რა უნდა იცოდეს საკუთარი უფლებების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში ვის მიმართოს დასახმარებლად.

იუსტიციის სამინისტროს მიერ ტრეფიკინგის პრევენციის საინფორმაციო სტრატეგიის ფარგლებში განისაზღვრა სამიზნე ჯგუფები, კამპანიის გეოგრაფიული არეალი, საინფორმაციო კამპანიის მეთოდოლოგია და რესურსები.

- 2014 წლის მარტიდან 2015 წლის 31 მარტის ჩათვლით ტრენინგებისა და მოსახლეობასთან შეხვედრების გზით შესაბამისი ინფორმაცია მიეწოდა 1800-მდე მოქალაქეს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში.
- ტრეფიკინგის პრევენციის თემაზე ორგანიზებულ ტრენინგს ჯამში დაესწრო 473 მოსწავლე საქართველოს სხვადასხვა ქალაქების სკოლებიდან.
- 5 თებერვალს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის უნივერსიტეტების 12 სტუდენტს ჩაუტარდა „ტრენერთა ტრენინგი“ ადამიანით ვაჭრობის თემაზე. ტრენინგი მიზნად ისახავდა ტრეფიკინგის თემაზე სტუდენტების გადამზადებას, რომელთაც აღნიშნულ

საკითხზე ინფორმაცია უნდა გაევრცელებინათ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მოსწავლეებში.

- 2014 წლის მარტში სამი საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა საბჭოს სამდივნოსა და ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების მობილურ ჯგუფებთან, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფარგლებში. საბჭოს მხრიდან მობილურ ჯგუფებს მიეწოდათ ინფორმაცია ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკისა და თავის დაცვის საშუალებების შესახებ, ასევე, გადაეცათ ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებში გასავრცელებელი მასალა;
- 2014 წლის მაისში ჩატარდა იმიტირებული სასამართლო პროცესების კონკურსი, რომელიც განხორციელდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში http://www.justice.gov.ge/Ministry/Department/364. კონკურსში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხუთი სტუდენტისაგან შემდგარმა 30 გუნდმა.

2015 წლის იანვრიდან ტრეფიკინგთან დაკავშირებული ერთიანი საინფორმაციო სტრატეგიისა და საკომუნიკაციო გეგმის ფარგლებში გრძელდება საინფორმაციო შეხვედრების თბილისსა და საქართველოს რეგიონებში. საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა თბილისში, გორში, კასპში, ახალციხეში, ახალქალაქში, ნინოწმინდაში, ბათუმში, ქობულეთში. შეხვედრებს ატარებს მიგრაციიის საერთაშორისო ორგანიზაცია იუსტიციის სამინისტროსთან, განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან და ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან თანამშრომლობით.

ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი ამჟამად ამზადებს საინფორმაციო ბროშურებს ტრეფიკინგთან დაკავშირებით სამ ენაზე (ქართული, ინგლისური, რუსული), რომელთა გავრცელებაც დაიწყება 2015 წლის მაისიდან.

2015 წლის 13 თებერვალს ტრეფიკინგთან ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მდივანმა მონაწილეობა მიიღო რადიო თავისუფლების გადაცემაში გენდერული ამბები, სადაც ისაუბრა ქალთა მიმართ ტრეფიკინგის საკითებზე: http://www.radiotavisupleba.ge/media/video/26848367.html;

2015 წლის 20 თებერვალს ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის იურისტმა ტელეკომპანია „ქართული არხის“ გადაცემაში „იურისტის საათი“ ისაუბრა ტრეფიკინგის საკითხებთან დაკავშირებით;

2015 წლის 27 თებერვალს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგთან და უკანონო მიგრაციასთან ბრძოლის სამმართველოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ტელეკომპანია „ქართული არხის“ გადაცემაში, რომელიც ეძღვნებოდა ტრეფიკინგთან ბრძოლის საკითხებს;

2015 წლის 17 მარტს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგთან და უკანონო მიგრაციასთან ბრძოლის

სამმართველოს და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს პირველი რადიოს გადაცემაში - მიგრაციის გზები სადაც განხილული იყო ტრეფიკინგის საფრთხეები და მათი პრევენციის გზები;

2015 წლის მარტში გაზეთ „პრაიმ თაიმში“ გამოქვეყნდა სტატია ტრეფიკინგთან დაკავშირებით. გაზეთის რესპონდენტი იყო ტრეფიკინგის დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წარმომადგენელი;

2015 წლის 26 მარტს რადიო თავისუფლების სპეციალური გადაცემა მიეძღვნა ტრეფიკინგთან დაკავშირებულ საკითხებს. რესპოდენტები იყვნენ სახელმწიფო ფონდის იურისტი და თბილისის ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფრის უფროსი;

2015 წლის 29 მარტს სპეციალური რეპორტაჟი გავიდა საზოგადოებრივი მაუწყებლის 1-ლი არხის ეთერში, რომელიც ეძღვნებოდა ადამიანით ვაჭრობის საკითხებს.

7.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა

7.2.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა დახმარება, მათი მუდმივ საცხოვრებელ ადგილას ნებაყოფლობით და უსაფრთხოდ დაბრუნება, დაბრუნებულთა რეაბილიტაციის ხელშეწყობა

ვინაიდან საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2014-2015 წლებისათვის) მოიცავს საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების ინტერესებისა და უფლებების დაცვის საკითხს, საგარეო საქმეთა სამინისტრო მუშაობს საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირთა მიერ მომსახურების გაწევის პროცესის გაუმჯობესებაზე, მათ შორის საზღვარგარეთ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა დახმარებაზე.

საგარეო საქმეთა სამინისტრო განაგრძობს მუშაობას საქართველოს სხვა კომპეტენტურ უწყებებთან თანამშრომლობით და საქართველოს დიპლომატიური და საკონსულო დაწესებულებების საშუალებით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა დახმარებისათვის და მათი მუდმივ საცხოვრებელ ადგილას ნებაყოფლობით და უსაფრთხოდ დაბრუნებაში ხელის შეწყობისათვის;

7.3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ეფექტური სისხლისსამართლებრივი დევნა

7.3.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევების პროაქტიული გამოვლენა და ამ მიზნით შემოწმების ერთობლივი მობილური ჯგუფების ჩამოყალიბება

ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის მიზნით შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებს სამართალდამცავი

ორგანოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შემოწმების ოთხი მობილური ჯგუფი. თითო მობილური ჯგუფი დაკომპლექტდა ორი სამართალდამცავისაგან, რომელთა ძირითად მოვალეობას წარმოადგენს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) რისკის შემცველი დაწესებულებების, ადგილების გამოვლენა სადაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) ფაქტებს, ასევე რისკ ჯგუფს მიკუთვნილ პირთა გამოკითხვა მათ მიმართ შესაძლო განხორციელებული ტრეფიკინგის ფაქტის გამოვლენის მიზნით.

2013-2014 წლებში შემოწმებული იქნა საერთო ჯამში 120 დაწესებულება და აღნიშნულ დაწესებულებებში გატარებული ოპერატიულ–საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად გამოკითხული/დაკითხული იქნა დაწესებულებაში მომუშავე პროსტიტუციაში ჩართული 650–ზე მეტი ქალბატონი, მათ შორის უცხო ქვეყნის მოქალაქეები მათ მიმართ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) დანაშაულის გამოვლენის კუთხით.

მობილური ჯგუფების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) დანაშაულის გამოვლენის მიზნით სისტემატიურად ხდება თურქეთის რესპუბლიკიდან და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან დეპორტირებულ მოქალაქეებთან გასაუბრება. 2013 წელს გამოკითხული იქნა 1524 მოქალაქე, ხოლო 2014 წელს 1700 მოქალაქე.

მობილური ჯგუფების მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად ტრეფიკინგის ფაქტზე 2013 წელს გამოძიება დაიწყო 3 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო საერთო ჯამში 2013 წლის მანძილზე შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ტრეფიკინგის ფაქტზე გამოძიება დაიწყო 11 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული იქნა 5 პირი.

2014 წელს მობილური ჯგუფების მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად ტრეფიკინგის ფაქტზე გამოძიება დაიწყო 3 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო საერთო ჯამში შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მიერ ტრეფიკინგის ფაქტზე გამოძიება დაიწყო 13 სისხლის სამართლის საქმეზე, ტრეფიკინგის ბრალდებით სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო 5 პირის მიმართ, ტრეფიკინგის 7 ფაქტზე. 2014 წელს ტრეფიკინგის ფაქტზე გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა 5 პირის მიმართ.

შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში არსებული მობილური ჯგუფების მიერ გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე 2013 წელს გამოძიება დაიწყო 13 სისხლის სამართლის საქმეზე 18 დაწესებულების მიმართ, პროსტიტუციისთვის ფართის გადაცემის ბრალდებით სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული იქნა 20 მოქალაქე. 2014 წელს გამოძიება დაიწყო 6 სისხლის სამართლის საქმეზე 8 დაწესებულების მიმართ, პროსტიტუციისთვის ფართის გადაცემის ფაქტზე სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული იქნა 7 პირი.

აჭარის რეგიონში შეიქმნა სპეციალისტების ჯგუფი (ე. წ. Task Force), რომელიც დაკომპლექტდა 12 გამომძიებლისგან და 5 პროკურორისგან.

2014 წლის იანვარში შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის აჭარის ა/რ სამმართველოში შეიქმნა და ფუნქციონირებს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო, რომელიც დაკომპლექტებულია რვა დეტექტივ-გამომძიებლით.

2014 წლის 27 თებერვალს საქართველოს მთავარ პროკურატურას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას შორის მოეწერა ხელი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც მიზნად ისახავს ტრეფიკინგთან ბრძოლის სფეროში სამართალდამცავ ორგანოებს შორის ეფექტური და ერთიანი კოორდინაციის ხელშეწყობასა და სამართალდამცავთა პროფესიონალიზმის ამაღლებას.

7.3.2. სამართალდამცავი ორგანოებისათვის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა მოპყრობის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში მოქმედმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა სახელმძღვანელო პრინციპები სამართალდამცავთა წარმომადგენლებისთვის, რომელიც დამტკიცებულ იქნა 2014 წლის 12 თებერვალს.

ტრეფიკინგის დანაშაულის ეფექტიანად გამოვლენის მიზნით, შემუშავდა და შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 იანვრის N54 ბრძანებით დამტკიცდა გამომძიებლებისა და ოპერატიული მუშაკებისთვის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) სავარაუდო მსხვერპლთა გამოვლენის სტანდარტული ოპერატიული პროცედურები (SOPs) .

7.3.3 სამართალდამცავთა კვალიფიკაციის ამაღლება შესაბამისი ტრეინინგების გზით

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში რამდენიმე ტრენინგი, სემინარი და სასწავლო ვიზიტი მოეწყო სამართალდამცავებისთვის. ტრენინგების მიზანია, რომ გამომძიებლებმა მიიღონ საფუძვლიანი ცოდნა სამართლებრივ და ოპერატიულ დონეზე. ტრენინგებში უცხოელი თუ ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობით აქცენტი კეთდება, როგორც საუკეთესო უცხოური პრაქტიკის გაზიარებაზე და თანამედროვე ტენდენციების გამოვლენაზე, ასევე პოტენციურ მსხვერპლთა უფლებების დაცვასა და მათ რეალიზებაზე;

2014 წლის 29 აპრილი - 2 მაისს, ქ. ბათუმში აშშ-ს სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს (INL) პროექტის ფარგლებში სამართალდამცავებს ჩაუტარდათ ტრენინგი, რომელსაც უძღვებოდა მოწვეული საერთაშორისო ექსპერტი. ასევე, პოტენციურ მსხვერპლთა იდენტიფიცირებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ტრენინგები, 2014 წლის 10-11 ივლისს ქ. ბათუმში და 19-20 ივლისს ყვარლის რეგიონში;

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში ტრეფიკინგთან ბრძოლის საკითხები იკითხება შემდეგ პროგრამებსა და კურსებზე:

- დეტექტივ-გამომძიებლის მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- უბნის ინსპექტორთა სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში მოსამსახურეთა თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი.
- მესაზღვრე-კონტროლიორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

  შსს აკადემიაში აღნიშნული პროგრამები 2014 წლის იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე გაიარა 620 მსმენელმა; 2015 წლის იანვრიდან 4 მარტამდე გაიარა 207 მსმენელმა; 2015 წლის მიმდინარე მსმენელების ოდენობა არის 291 მსმენელი.

შსს აკადემიაში რეგულარულად ტარდება მიზნობრივი (ე.წ. *ad hoc*)ტრენინგები, რომლებსაც საერთაშორისო ორგანიზაციები და საელჩოები უწევენ ორგანიზებას. ტრენინგების მიზანია პოლიციის მოქმედი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება ტრეფიკინგთან ბრძოლის სფეროში.

2014 წელს საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით ტრეფიკინგისა და არასრულწლოვანთა პორნოგრაფიის თემაზე ჩატარდა ტრენინგები, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 26 პროკურორი.

2015 წლის 1-ლი იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით ამ მიმართულებით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

ა) 2015 წლის 26-27 თებერვალს თელავში, ლოპოტის ტბაზე იუსტიციის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, და განათლების სამინისტროს წარმომადგენლები დაესწრნენ არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს კარიტასის“ მიერ ორგანიზებულ სადისკუსიო შეხვედრას ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების პრობლემებთან დაკავშირებით. შეხვედრაზე განხილულ იყო ასეთი ბავშვებისთვის სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული სერვისები. ასევე, მათ მიმართ შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის მექანიზმები;

ბ) 2015 წლის 23-27 თებერვალს შინაგან საქმეთა სამინსიტროს ტრეფიკინგთან და უკანონო მიგრაციასთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლები დაესწრნენ ფულის გათეთრების გამოძიების შესახებ ტრენინგს, რომელიც გაიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში;

გ) 2015 31 მარტს და 1 აპრილს ტრეფიკინგთან და უკანონო მიგრაციასთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლები დაესწრნენ მიგრაციასთან დაკავშირებულ ტრენინგს,

რომელიც ორგანიზებული იყო მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის მიერ (ICMPD). ტრენინგი გაიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში;

2015 წლის 25-26 მარტს ტრეფიკინგთან ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ევროსაბჭოსა და ესპანეთის მთავრობის მიერ ორგანიზებულ ადამიანის ორგანოებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ საერთაშორისო კონფერენციაში. კონფერენცია გაიმართა ესპანეთში, სანტიაგო დე კომპოსტელაში.

7.4. ტრეფიკინგთან ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება

7.4.1. სახელმწიფო უწყებების თანამშრომლობის გაღრმავება სამოქალაქო საზოგადოებასთან (არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან) და მათთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების განახლება ან/და გაფორმება

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულთან ბრძოლის მიზნით, საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სხვა კომპეტენტურ უწყებებთან თანამშრომლობით ახორციელებს მოქმედებებს, რათა მოხდეს პარტნიორი ქვეყნების, განსაკუთრებით კი საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოების, შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის გაღრმავება/მოლაპარაკებების დაწყება, მათ შორის, ტრანსნაციონალური თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით.

არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში 2015 წლის 26-27 თებერვალს თელავში, იუსტიციის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, და განათლების სამინისტროს წარმომადგენლები დაესწრნენ არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს კარიტასის“ მიერ ორგანიზებულ სადისკუსიო შეხვედრას ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების პრობლემებთან დაკავშირებით. შეხვედრაზე განხილულ იყო ასეთი ბავშვებისთვის სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული სერვისები. ასევე, მათ მიმართ შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის მექანიზმები.

7.4.2. პარტნიორი ქვეყნების, განსაკუთრებით კი საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოების, შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის გაღრმავება/მოლაპარაკებების დაწყება, მათ შორის, ტრანსნაციონალური თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით.

2014 წლის 27 თებერვალს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს მთავარ პროკურატურასა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს მისიას შორის ტრეფიკინგთან ბრძოლის საკითხებში სამართალდამცავი ორგანოების პროფესიონალიზმის ამაღლების სფეროში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

ტრეფიკინგთან ბრძოლის წინააღმდეგ საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოებთან თანამშრომლობის ფარგლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - ,,საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრსა“ და თურქეთის იუსტიციის აკადემიას შორის

2014 წლის 10 აპრილს გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობას სასწავლო და კვლევითი ღონისძიებების ფარგლებში.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულთან ბრძოლის მიზნით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სხვა კომპეტენტურ უწყებებთან თანამშრომლობით ახორციელებს მოქმედებებს, რათა მოხდეს პარტნიორი ქვეყნების, განსაკუთრებით კი საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოების, შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის გაღრმავება/მოლაპარაკებების დაწყება, მათ შორის, ტრანსნაციონალური თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულთან ბრძოლის მიზნით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სხვა კომპეტენტურ უწყებებთან თანამშრომლობით ახორციელებს მოქმედებებს, რათა მოხდეს პარტნიორი ქვეყნების, განსაკუთრებით კი საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოების, შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის გაღრმავება/მოლაპარაკებების დაწყება, მათ შორის, ტრანსნაციონალური თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით.

2014 წლის 19 მარტს საქართველომ მოახდინა „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2007 წლის 25 ოქტომბრის კონვენციის (ლანზაროტეს კონვენცია) რატიფიცირება, რომელიც საქართველოსთვის ძალაში შევიდა 2015 წლის 1 იანვრიდან. ამასთან, 2014–2015 წლებში საქართველომ გააფორმა ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები გერმანიასთან და ესპანეთთან და მემორანდუმი გაერთიანებული სამეფოს დანაშაულთან ბრძოლის ეროვნულ სააგენტოსთან დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ფართოდ ეხება, ასევე, ტრეფიკინგის საკითხებზე სამართალდამცავთა საერთაშორისო თანამშრომლობას.

საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოებთან ურთიერთობა ტრეფიკინგთან ბრძოლაში საქართველოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამ კუთხით 2015 წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა თურქეთთან საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას.

8. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება

8.1. საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა

8.1.1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფის მიზნით საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება მთავრობისა და პარლამენტის, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით

2014 წლის 1 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა საქართველოს კანონმდებლობის პერსონალური მონაცემების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით მიიღო საკანონმდებლო ცვლილებებისა და დამატებების პაკეტი. ცვლილებები ითვალისწინებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის პარლამენტის მიერ არჩევას, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების სფეროს გაფართოებას და მის გავრცელებას დანაშაულის თავიდან აცილების, გამოძიების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნით. სამართალდამცავი ორგანოების მიერ სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე. საკანონმდებლო ცვლილებები ითვალისწინებს ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული პერსონალური მონაცემების განადგურების კომისიის შექმნას, რომლის თავმჯდომარეც არის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი. ევროპის კავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის პირველი ფაზის ფარგლებში გათვალისწინებული ვალდებულებები პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით შესრულებულად არის შეფასებული ევროპის კავშირის მიერ.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიერ 2015 წლის დასაწყისში მომზადდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონისა და სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებებისა და დამატებების პროექტი. ცვლილებების მიზანია საქართველოს მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში არსებული კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება და საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპებისა და პროგრესული პრაქტიკის დამკვიდრება. ცვლილებების პროექტი 2015 წლის თებერვლის დასაწყისში წარედგინა საქართველოს მთავრობას განხილვისა და პარლამენტში ინიცირების მიზნით.

8.1.2. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 2014 წლიდან სრულად ამოქმედების ინიცირება

“პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონი სრულად ამოქმედდა 2014 წლის 1 ნოემბრიდან.

8.2.კანონმდებლობის ეფექტური იმპლემენტაცია და პერსონალურ მონაცემთა დაცვის და დამუშავების სწორი პრაქტიკის დანერგვა პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მიზნით

8.2.1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის იმპლემენტაციის მიზნით შიდა ნორმატიული აქტების შემუშავება

“პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის იმპლემენტაციის მიზნით მიმდინარეობს შიდა ნორმატიული აქტების შემუშავება შესაბამისი უწყებების მიერ. ამ ეტაპზე საჯარო დაწესებულებათა ნაწილს დაწყებული აქვს მუშაობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ შიდა პოლიტიკის შემუშავებაზე. შესაბამისი შიდა ნორმატიული აქტები მიღებული აქვთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს. ამასთან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიერ მომზადდა სახელმძღვანელო დოკუმენტი პერსონალურ მონაცემთა დაცვის მინიმალური სტანდარტების შესახებ, სადაც მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები და ინსტრუქციები თუ როგორ და რის საფუძველზე უნდა მოხდეს შიდა პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება და რა უნდა იყოს მასში ასახული.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

მიმდინარე წელს, შსს-ში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხს. გარდა იმისა, რომ განადგურდა წარსულში მოპოვებული უკანონო მონაცემები, სახელმწიფოს მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესზე კონტროლის ქმედითი გარანტიების ჩამოყალიბების მიზნით, ასევე გამოიცა "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დაცვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N967 ბრძანება. ინსტრუქცია შემუშავებულ იქნა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციების საფუძველზე. ინსტრუქციის პროექტის სამართლებრივ ექსპერტიზაში ჩართული იყო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, რომლის შენიშვნები და წინადადებები აისახა ინსტრუქციის ტექსტში.

2014 წელს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებების, განსაკუთრებით, კანონის მოქმედების სფეროს სამართალდამცავ სფეროზე გავრცელებით, აუცილებელი გახდა შესაბამისი ცვლილებების ასახვა ინსტრუქციაში. ამ ეტაპზე შემუშავებულია „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დაცვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ შს მინისტრის ბრძანების ახალი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს 2013 წლის 19 დეკემბრის შს მინისტრის №967 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებას და ახლის დამტკიცებას.

ასევე აღსანიშნავია, შს მინისტრის 2015 წლის 23 იანვრის №53 ბრძანება "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფაილური სისტემებისა და მათში არსებული მონაცემების

შენახვის ვადების განსაზღვრის შესახებ", რომელიც არეგულირებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოებულ ფაილურ სისტემებში არსებული პერსონალური მონაცემების შენახვის, დაარქივებისა და წაშლის ვადებს ისევე, როგორც ამ მონაცემების დამუშავების სამართლებრივ საფუძვლებს. ამგვარად, №53 ბრძანება უზრუნველყოფს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პრინციპებისა და ნორმების რეგულირების კონკრეტიზაციას სამინისტროს სისტემაში, სამინისტროსთვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში და კანონით დადგენილი სამოქმედო სფეროს გათვალისწინებით. ამასთან, ბრძანება ავალდებულებს სამინისტროს სსიპ-ებსა და საქართველოს სასაზღვრო პოლიციას საკუთარ ფაილურ სისტემებში არსებული პერსონალური მონაცემების მიმართ მსგავსი რეგულაციების მიღებას, რათა უზრუნველყოფილ იქნას სამინისტროს მთლიანი სისტემის დაფარვა.

მიღებული იქნა "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ უსაფრთხოების ზოგიერთი ღონისძიებების განხორციელების შესახებ" შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 23 დეკემბრის N1035 ბრძანება, რომელიც ეხება სამინისტროს სარგებლობაში არსებული უძრავი ნივთის მონიტორინგის განხორციელებისათვის ვიდეოთვალთვალის სისტემის დაყენების და ექსპლუატაციის წესების განსაზღვრას, ვიდეოჩანაწერების შენახვისათვის განკუთვნილი ფაილური სისტემის შექმნას.

ასევე შეტანილი იქნა ცვლილებები საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 7 ნოემბრის N860 ბრძანებაში "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური საინფორმაციო ბანკის მონაცემთა ინფორმაციულ რესურსებთან დაშვების ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ", რომლითაც მკაცრი რეგულაციები დაწესდა სამინისტროს ინფორმაციულ რესურსებთან თანამშრომელთა დაშვებაზე.

მნიშვნელოვანია, რომ პარლამენტს წარედგინა შსს-ს მიერ შემუშავებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც პარლამენტმა 2014 წლის 2 მაისს მიიღო. გასულ წლებში ფართოდ გავრცელებულმა უკანონო მოსმენებმა და პირად ცხოვრებაში ჩარევის მანკიერმა პრაქტიკამ ქვეყანაში პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის ხარისხი მინიმუმამდე დაიყვანა. საჭიროება დადგა არსებობდეს ისეთი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს პირად ცხოვრებაში თვითნებური ჩარევის საფრთხეს. შეტანილი ცვლილებები ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსში პირად ცხოვრებაში ჩარევასთან დაკავშირებულ დანაშაულებზე, კერძოდ კი, 157-ე, 158-ე და 159-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე, სანქციების გამკაცრებას;

8.2.2. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ოფიციალური კომენტარების მომზადება, კანონის დებულებების სწორი ინტერპრეტაციისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვის მიზნით.

“პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის ოფიციალური კომენტარების მომზადება დაგეგმილია 2015 წელს დონორი ორგანიზაციების დახმარებით, რადგან კომენტარების შემუშავება საჭიროებს მნიშვნელოვან საექსპერტო და ფინანსურ რესურს. ამჟამად, მიმდინარეობს მოლაპარაკება ევროპის საბჭოსთან აღნიშნული აქტივობის დაფინანსების მიზნით.

პარალელურად, კანონის დებულებების სწორი ინტერპრეტაციისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვის, ასევე კონკრეტულ სფეროებში მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტების დამკვიდრების, მონაცემთა სუბიექტთა უფლებების დაცვის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე მონაცემთა დამმუშავებლების ცნობიერების ამაღლების მიზნით 2014 წელს მომზადდა სამი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია: (i) რეკომენდაციები შრომით ურთიერთობებში პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ; (ii) რეკომენდაციები პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ; (iii) რეკომენდაციები ვიდეოთვალთვალის განხორციელების შესახებ.

8.2.3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გაძლიერება და მისი სათანადო ფინანსური რესურსით უზრუნველყოფა;

პერსონალური მონაცემების დაცვაზე ზედამხედველობას საქართველოში ახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, რომელიც თავისი ფუნქციების განხორციელებისას არის დამოუკიდებელი და არ ექვემდებარება არც ერთ ორგანოსა და თანამდებობის პირს. ინსპექტორი თავის საქმიანობას ახორციელებს აპარატის საშუალებით. 2014 წელს არსებული სტრუქტურით აპარატი შედგება ორი დეპარტამენტისაგან: საერთაშორისო ურთიერთობებისა და კომუნიკაციის და მოქალაქეთა განაცხადების განხილვისა და ინსპექტირების დეპარტამენტი. საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე, რომლებიც ითვალისწინებს კანონის მოქმედების გავრცელებას პოლიციის სექტორზე და მის სრულ ამოქმედებას კერძო სექტორის მიმართ, აპარატის სტრუქტურა შეიცვალა და გაფართოვდა. 2015 წლიდან აპარატი შედგება 3 დეპარტამენტისგან: იურდიული დეპარტამენტი, ინსპექტირების დეპარტამენტი და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი. ასევე, შეიქმნა საჯარო და კერძო დაწესებულებებზე ზედამხედველობის სამმართველო, სამართალდამცავ ორგანოებზე ზედამხედველობის სამმართველო და ადმინისტრაციული სამმართველო. გაიზარდა თანამშრომელთა რაოდენობა 40 ერთეულამდე.

ინსპექტორის აპარატის 2014 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 600 000 ლარს. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა, გაზრდილი მანდატისა და კერძო სექტორის მიმართ კანონის ძალაში შესვლიდან გამომდინარე, 2015 წლის ბიუჯეტის გაზრდა მოითხოვა 1 450 000 ლარამდე, რაც ასახულია საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონში. გარდა ამისა, საქართველოს პარლამენტის მიერ 30 ნოემბერს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე, რომლებიც ითვალისწინებს ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის შექმნას, ინსპექტორის მოთხოვნის საფუძველზე, აპარატისათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მოხდა 775 000 ლარის გამოყოფა.

8.2.4. პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით სახელმძღვანელოებისა და რეკომენდაციების შემუშავება;

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიერ შემუშავდა ოთხი რეკომენდაცია. მათ შორის, „შრომით ურთიერთობებში პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“, „პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის პერსონალური მონაცემების დამუშავების“ და „ვიდეოთვალთვალის განხორციელების შესახებ“ რეკომენდაციები. დაგეგმილია სადაზღვევო ურთიერთობებში პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ, ასევე საშვთა ბიუროების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების და სამედიცინო მონაცემების დამუშავების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება.

2014 წლის 16 სექტემბერს ინსპექტორის #1 ბრძანებით დამტკიცდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების ნუსხა - ე.წ. „თეთრი სია“ და განისაზღვრა ის სახელმწიფოები, სადაც მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები არსებობს და შესაძლებელია მონაცემთა გადაცემა ინსპექტორის წინასწარი ნებართვის გარეშე.

ასევე, შემუშავდა ფაილურ სისტემათა კატალოგების შესახებ, ბიომეტრული მონაცემების დამუშავების შესახებ და პერსონალურ მონაცემთა ტრანსასაზღვრო გადაცემის შესახებ შეტყობინების ფორმები და მათი შევსების შესახებ დეტალური ინსტრუქციები.

8.2.5. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებისა და დაცვის საკითხებზე ტრეინინგების ორგანიზება საჯარო დაწესებულებების თანამშრომლებისათვის.

ინსპექტორის აპარატის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა საჯარო სექტორის მონაცემთა დამმუშავებლების ცნობიერების ამაღლება. ამ მიმართულებით აპარატი აქტიურად თანამშრომლობს იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრთან, საგარეო საქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრთან, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიასთან და სხვა საჯარო და კერძო დაწესებულებებთან.

პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებზე 2014 წელს ჩატარდა 47 ტრენინგი. ტრენინგი ჩაუტარდა საჯარო და კერძო დაწესებულებების 1404 წარმომადგენელს (სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო; საქართველოს შინგან საქმეთა სამინისტრო და მის შემადგენლობაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია; საქართველოს პროკურატურა; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; იუსტიციის სახლი; საფინანსო პოლიცია; სამინისტროების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები და სხვა).

8.3. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

8.3.1.სამიზნე ჯგუფებთან საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება და ჩატარება.

2014 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი ორიენტირებული იყო საჯარო სექტორის მონაცემთა დამმუშავებლების ცნობიერების ამაღლებაზე. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ 2014 წელს საჯარო სექტორის ორგანიზაციებს გაეწიათ 434 ზეპირი და 28 წრილობითი კონსულტაცია. ამასთან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის თემაზე დატრენინგდა 1200-ზე მეტი საჯარო მოსამსახურე.

გარდა ამისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი რეგულარულად მართავს საინფორმაციო შეხვედრებს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან და აწვდის ინფორმაციას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მნიშვნელობის, პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და აპარატის საქმიანობის შესახებ. მაგალითად, საინფორმაციო შეხვედრა მობილურ ოპერატორებთან, ინტერნეტ მომსახურების მომწოდებლებთან, ასევე ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრთან ერთად საინფორმაციო შეხვედრები თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში ექიმებისა და სტუდენტებისათვის; „ეიჩარ პროფესიონალთა გილდიასთან“ ერთად ორგანიზებული შეხვედრა კერძო კომპანიების ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების თანამშრომლებისათვის. აღსანიშნავია, რომ ინსპექტორის აპარატი ასევე თანამშრომლობს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და მართავს შეხვედრებს სტუდენტებთან და აკადემიურ პრესონალთან. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა სულ 15 საინფორმაცია შეხვედრა ჩაატარა.

8.3.2. საინფორმაციო ბროშურებისა და სხვა მასალის დამზადება/გავრცელება.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიერ მომზადდა საინფორმაციო ბროშურები მონაცემთა სუბიექტებისათვის, სადაც მოცემულია პერსონალური მონაცემების და მონაცემთა დამუშავების განმარტება, ასევე ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნის, მონაცემთა სუბიექტის უფლებების და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამოსილებებსა და ფუნქციების შესახებ. ასევე, მომზადდა საინფორმაციო ფურცლები მონაცემთა დამმუშავებლებისა და უფლებამოსილი პირებისათვის, სადაც პერსონალურ მონაცემთა დამუშავების, მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის დეფინიციის გარდა, ხაზგასმულია მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის ვალდებულებები პერსონალური მონაცემების დაცვის სფეროში და აღწერილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობა. აღნიშნული საინფორმაციო მასალა ვრცელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიერ ორგანიზებულ ყველა შეხვედრაზე, ტრენინგსა და ღონისძიებაზე. ასევე, მომზადდა ორენოვანი საინფორმაციო პლაკატი საზღვრის კვეთის დროს პერსონალური მონაცემების დაცვის და მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ, რომელიც განთავსდა საქართველოს სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში.

ასევე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა შეიმუშავა გზამკვლევი მოქალაქეებისათვის პირდაპირი მარკეტინგის შესახებ, რომელიც მოქალაქეებს აცნობს მათ

უფლებებს პირდაპირი მარკეტინგის მიზნით პერსონალური მონაცემების დამუშავებისას. ასევე მომზადდა საინფორმაციო ბიულეტენი და რჩევები მობილური აპლიკაციის გამოყენების წესების შესახებ.

აღნიშნული მასალა ხელმისაწვდომია აპარატის ვებგვერდზე www.personaldata.ge. და მისი პოპულარიზაცია ხდება სოციალური ქსელების მეშვეობით. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ აპარატის ვებგვერდის საშუალებით გავრცელდა მთელი რიგი განცხადებები პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებზე, რომელიც მოიცავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის რეკომენდაციებს მონაცემთა დამმუშავებლებისათვის.

2015 წელს დონორი ორგანიზაციების დახმარებით დაგეგმილია საზოგადოების ინფორმირებულობის დონის შეფასების მიზნით დაგეგმილია სოციოლოგიური კვლევის განხორციელება, რომლის შედეგებზეც იქნება დაფუძნებული საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელი კამპანია.

8.3.3. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ სპეციალური ვიდეო-რგოლების დამზადება

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი აპარატის რესურსით 2014 წელს მომზადდა ვიდეო რგოლი „შვიდი რჩევა, როგორ დავიცვათ ჩვენი პერსონალური მონაცემები“ - რომელიც გავრცელდა სოციალური ქსელების მეშვეობით და განთავსდა აპარატის ვებგვერდზე. უფრო ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიის, მოქალაქეების უფლებების შესახებ სოციალური ვიდეო-რგოლების მომზადება და მათი საზოგადოებრივი მაუწყებლის საშუალებით გავრცელება დაგეგმილია 2015 წლისთვის დონორული დახმარებით

9. გამოხატვის თავისუფლება

9.1.ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტების აღკვეთა და პრევენცია

9.1.1. საგამოძიებო ორგანოების მიერ ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტების სწრაფი და ეფექტიანი გამოძიება;

9.1.2. პროკურატურის ორგანოების მიერ ჟურნალისტთა პროფესიული საქმიანობისთვის ხელის შეშლის შემთხვევაში დანაშაულის შესაბამისი კვალიფიკაცია

9.1.3. საგამოძიებო ორგანოებმა უნდა აწარმოონ სპეციალური სტატისტიკა, რომელიც ასახავს ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის თაობაზე რეგისტრირებულ დანაშაულთა, ასევე მისი გახსნის მაჩვენებელს.

2014 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლით გამოძიება დაიწყო სულ სამ საქმეზე; ერთ საქმეზე ჩატარებული გამოძიებით არ დადასტურდა ჟურნალისტის საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტი. დანარჩენ ორ საქმეზე გამოვლინდა დანაშაულის ჩამდენი 3 პირი, რომელთა ბრალდების სისხლის სამართლის საქმეების არსებითი განხილვა ამჟამად მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოში.

- გამოძიება დაიწყო 04.07.2014 - არსებითი განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს;
- გამოძიება დაიწყო 02.09.2014 - არსებითი განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს;
- გამოძიება დაიწყო 10.07.2014 – შეწყდა 31.07.2014

9.2. გამოხატვის თავისუფლების კუთხით არსებული საკანონმდებლო ბუნდოვანებების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა

9.2.1.გამოხატვის თავისუფლებასთან კავშირში მყოფი კანონმდებლობის ხარვეზების იდენტიფიცირება; მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ჟურნალისტისთვის საქმიანობაში ხელის შეშლის ცნების გადახედვა; ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში საკანონმდებლო რეგულაციების ცვლილებებისთვის საჭირო რეკომენდაციების და პროექტების მომზადება.

ევროპის განვითარების და რეკონსტრუქციის ბანკთან (EBRD), მაუწყებლებთან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სსიპ „კომუნიკაციების ეროვნულ კომისია“-სთან, სფეროს წამყვან ექსპერტებთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავდა "ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრული მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმა და შესაბამისი რეკომენდაციები", რომელიც

მოწონებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის 10 თებერვლის N206 განკარგულებით. აღნიშნული გეგმის შესაბამისად 2014 წელს შემუშავდა და 2014 წლის 27 თებერვალს მიღებულ იქნა შესაბამისი ცვლილებები საქართველოს კანონში „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“. აღნიშნული საკანონმდებლო-ნორმატიული აქტების მიხედვით 2014 წელს დაიწყო და 2015 წელს დასრულდება ფართომასშტაბიანი სახელმწიფო მნიშვნელობის რეფორმა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას და ქვეყანაში მოქმედი ყველა მიწისზედა საეთერო სატელევიზიო მაუწყებლის 2015 წლის 15 ივლისამდე ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლას, მაუწყებლობის სფეროს, მედია პრულარიზმისა და მრავალფეროვნების შემდგომ განვითარებას.

9.3. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

9.3.1. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება

ფონდმა „ღია საზოგადოება - საქართველომ“ ინფორმაციის თავისუფლების კანონპროექტზე მუშაობა არასამთავრობო ორგანიზაციების, ქართველი და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით 2014 წლის იანვარში დაიწყო. პროცესები მიმდინარეობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკურ დეპარტამენტთან თანამშრომლობით.

სპეციალური კანონის მიღება მიზნად ისახავს პრაქტიკაში წარმოშობილი პრობლემების გათვალისწინებით საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრას, საჯარო ინფორმაციის მარეგულირებელი ნორმების კონსოლიდირებას ერთ ნორმატიულ აქტში, რამაც თავის მხრივ, უნდა მოაწესრიგოს პრაქტიკა და დაეხმაროს როგორც მთავრობას, ისე არასამთავრობო სექტორსა და მთელ საზოგადოებას ღია და ანგარიშვალდებული, რაციონალური და ოპტიმალური სახელმწიფო აპარატის განვითარებაში. სპეციალური კანონი ხაზს გაუსვამს და გამოკვეთს მთავრობის ღიაობისა და საჯარო მმართველობის პოლიტიკას და გაამარტივებს პროფესიონალთა მუშაობას ინფორმაციის თავისუფლების საკითხებზე.

ინფორმაციის თავისუფლების კანონპროექტზე მუშაობის პროცესი ანტიკორუფციული საბჭოს ფარგლებში შექმნილ სამუშაო ჯგუფებში ანალიტიკური დეპარტამენტის კოორდინაციითა და უშუალო მონაწილეობით მიმდინარეობს. იგეგმება დამატებით კონსულტაციების, გაფართოებული მაგიდების, 3 თემატური სამუშაო ჯგუფისა და ფოკუს ჯგუფების შეხვედრების გამართვა.

2014 წლის 5-8 აგვისტოს მექსიკის ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ფედერალურ ინსტიტუტს (IFAI) სასწავლო ვიზიტით ეწვია საქართველოს დელეგაცია იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის ხელმძღვანელობით. სასწავლო ვიზიტის ფარგლებში მექსიკის მხარემ საქართველოს დელეგაციას გაუზიარა გამოცდილება ინფორმაციის თავისუფლების სფეროს სამართლებრივი რეგულირების, ინსტიტუტის, როგორც დამოუკიდებელი ორგანოს სტრუქტურის, საქმიანობისა და მიმდინარე რეფორმების შესახებ.

ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ ექსპერტებმა კანონპროექტის პირველადი ვერსია იუსტიციის სამინისტროს 2014 წლის 21 აგვისტოს წარუდგინეს.

იუსტიციის სამინისტროს მიერ კანონპროექტზე მუშაობა დასრულდება 2015 წელს დასრულდება შოტლანდიის ინფორმაციის თავისუფლების ცენტრის დირექტორის, შოტლანდიაში ინფორმაციის თავისუფლების ყოფილი კომისარის, ქევინ დანიონისა და 3 თემატური სამუშაო ჯგუფის საბოლოო რეკომენდაციების დამუშავების შედეგად.

10. შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების მაღალი სტანდარტით დაცვის გარანტიების შექმნა

10.2. შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების დარღვევის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირება და უფლების დარღვევის პრევენცია

10.2.1. შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების დარღვევის ფაქტებზე სწრაფი და ეფექტიანი გამოძიება და უფლების დარღვევის პრევენცია, სამართალდამცავი სტრუქტურების ქვედანაყოფების მომზადების გაუმჯობესებით მასების მართვის/კონტროლის სფეროში

2014 წლის 24-27 თებერვალს შსს-ს აკადემიაში განხორციელდა ტრეინინგი მასების მართვის შესახებ, რომელიც ლატვია–საქართველოს ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

სწავლების დროს განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: მასების მართვის სამართლებრივი საფუძვლები (ნორმატიული აქტები), ორგანიზატორების უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები, პოლიციის მუშაობის სპეციფიკა, ეთიკის ნორმები და ადამიანის უფლებების დაცვა, პოლიციის როლი სექსუალური უმცირესობების (ლგბტ) მიერ გამართული მანიფესტაციების დროს და სხვა.

მომზადება გაიარეს შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტემენტის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტისა და შსს-ს აკადემიის წარმომადგენლებმა, სულ 30-მა მონაწილემ.

10.2.2. სტანდარტული ოპერატიული პროცედურების შემუშავება შსს-ს შესაბამისი ქვედანაყოფებისთვის

შსს-ში მიმდინარეობს სტანდარტული ოპერატიული პროცედურების შემუშავება შსს-ს დანაყოფებისთვის.

10.2.3. ევროპის წამყვანი ქვეყნების გამოცდილების შესწავლა/გაზიარება შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს

შსს-ს მიერ სხვადასხვა პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ევროპის წამყვანი ქვეყნების გამოცდილების შესწავლა/გაზიარება შეკრებისა და მანიფესტაციების საკითხზე.

10.2.4. აღნიშნულ თემატიკაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის კურიკულუმებში შესაბამისი ტრენინგების ინტეგრირება

შსს-ს აკადემიის სასწავლო პროგრამებში ასახულ იქნა შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლების შესახებ სწავლება, რომელიც გაიარა შემდეგი რაოდენობის თანამშრომელმა.

- დეტექტივ-გამომძიებლის მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 169 მონაწილე;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში და ტერიტორიულ ორგანოებში დაწინაურების კანდიდატთა გადამზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 96 მონაწილე;
- წვევამდელების სპეციალური მომზადებისა და პოლიციის უმცროსი ლეიტენანტის სპეციალური წოდების მისანიჭებელი სპეციალური მომზადების კურსი - 238 მონაწილე;
- პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 55 მონაწილე;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში მოსამსახურეთა თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი - 47 მონაწილე;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში დანიშნულ (დასანიშნ) კურსგავლილ პირთა გადამზადების კურსი - 25 მონაწილე;
- მესაზღვრე-კონტროლიორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 55 მონაწილე;
- უბნის ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 139 მონაწილე;
- სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 76 მონაწილე;
- მანდატურის სამსახურის მანდატურთა მომზადების სპეციალური პროგრამა - 136 მონაწილე.

ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების დაცვა

11. ეროვნულ/ეთნიკურ უმცირესობათა სრულფასოვანი ინტეგრაციის, დისკრიმინაციული მოპყრობისგან დაცვის, კულტურისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების უზრუნველყოფა

11.1.დისკრიმინაციული მოპყრობისაგან ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ეფექტური დაცვის უზრუნველყოფა

11.1.3. უმცირესობათა უფლებების დაცვის კუთხით შსს თანამშრომელთა და შსს აკადემიის მსმენელთა ცნობიერების ამაღლება

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში განხორციელებად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში, ორი საათი ეთმობა ისეთ საკითხებს, როგორიც არის „საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია, დანაშაულის პრევენცია".

სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის არსი;
- საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის მიმართულებები და პრინციპები;
- საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის სირთულეები;
- საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციელის მახასიათებლები;
- დანაშაულის კომპონენტების მნიშვნელობა პრევენციის დროს.

აღნიშნული საკითხები იკითხება შემდეგ პროგრამებსა და კურსებზე:

- უბნის ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პატრულ ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- მესაზღვრეთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში მოსამსახურეთა თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში და ტერიტორიულ ორგანოებში თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი.

შსს აკადემიაში აღნიშნული პროგრამები წლის 31 დეკემბრამდე გაიარა 444 მსმენელმა; 2015 წლის იანვრიდან 4 მარტამდე გაიარა 185 მსმენელმა; 2015 წლის მიმდინარე მსმენელების ოდენობა არის 261 მსმენელი.

გარდა ზემოთაღნიშნულისა, მესაზღვრეთა სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ასახულია სასწავლო კურსი „პოლიციელის სამსახური მრავალეთნიკურ საზოგადოებაში“ . მისი ხანგრძლივობა არის ორი საათი და მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ეროვნულ უმცირესობებთან ურთიერთობისას გასათვალისწინებელი საკითხები;
- ეროვნულ უმცირესობებს შორის წამოჭრილი პრობლემური საკითხების გადაჭრის ეფექტური საშუალებები;
- კომუნიკაციის დამყარება და ინფორმაციის მიღება;
- ეროვნულ უმცირესობებთან ურთიერთობის გაუმჯობესების პირობები.

შსს აკადემიაში აღნიშნული პროგრამები 2014 წლის იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე გაიარა - 322 მსმენელმა. 2015 წლის იანვრიდან 4 მარტამდე გაიარა 189 მსმენელმა; 2015 წლის მიმდინარე მსმენელების ოდენობა არის 214 მსმენელი.

სამომავლოდ (2015 წლის ბოლომდე) აკადემიაში ზემოაღნიშნულ საკითხებში გააგრძელდება, როგორც სამინისტროში მისაღები კანდიდატების, ისე მოქმედი თანამშრომლების მომზადება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შსს აკადემიის მიერ ენის დონის განმსაზღვრელი ტესტირების შედეგების გათვალისწინებით, შესაბამისი სამიზნე ჯგუფებისათვის შემუშავდება ენის შემსწავლელი პროგრამა ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის. პროგრამის ფარგლებში მომზადებულ კანდიდატებს შესაძლებლობა მიეცემათ წარმატებულად გაიარონ ტესტირება/გასაუბრება და ჩაირიცხონ შსს აკადემიაში არსებულ სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

აგრეთვე შსს აკადემიის მიერ ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის განათლების სამინისტროსთან ერთობლივად აკადემიის ბაზაზე ეწყობა და გაგრძელდება გაცნობითი ხასიათის ტურები, რაც მიზნად ისახავს სკოლის მოსწავლეებში ცნობიერების ამაღლებას და კანონმორჩილი მოქალაქის აღზრდას.

2015 წელს შსს აკადემიაში შემუშავდა და აკრედიტაციას გადის „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა“, რომლიც შედგება 60 კრედიტისგან (ერთი წელი). საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, საქართველოს სახელმწიფო ენა - ქართული ენა - B1+ დონეზე შეასწავლოს საქართველოს მოქალაქე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, რომლებიც ვერ ფლობენ მას და, ასევე - ქართული ენის არმცოდნე სხვა პირებს. პროგრამის გავლის შემდეგ სტუდენტს შეეძლება:

- სალიტერატურო ქართულ ენაზე ზეპირი და წერითი კომუნიკაცია;

- სწავლის გაგრძელება ბაკალავრიატში არჩეული სპეციალობის მიხედვით: ლექციების მოსმენა და სემინარების მომზადება;

- ინფორმაციის ინტენსიურად მიღება და დამუშავება;

- უნივერსიტეტის გარემოსა და, ზოგადად, ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირება, რათა თავი იგრძნოს მის აქტიურ წევრად;

- სწავლების პროცესში განვლილი მასალის შესაბამისად, ქართული ეროვნულ-კულტურული ღირებულებების შესწავლა და დაცვა.

პროგრამა ორიენტირებულია ისეთი ტიპის თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებაზე, რომელიც განაპირობებს არა მარტო სახელმწიფო ენის ფლობას, არამედ სახელმწიფო სამსახურში დაუბრკოლებლად, ენობრივი ბარიერის გადალახვის გარეშე მუშაობას არჩეული სპეციალური საუნივერსიტეტო (საბაკალავრო) განათლების მიღების შემდეგ.
2015 წელს შსს აკადემიაში შეიქმნა ენის ცენტრი, რომლის ფუნქციებშიც შედის:

- სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კანდიდატების (ეთნიკური უმცირესობების) ქართულ ენაში მომზადება;
- აკადემიაში ეთნიკური უმცირესობების (მსმენელების) ქართული ენის ცოდნის დონის შესაბამისად, შესაბამისი პროგრამების შემუშავება და მათი მომზადების პროცესის ორგანიზება;

2014 წლის 16 აპრილს შინაგან საქმეთა მინისტრი ბატონი ალექსანდრე ჭიკაიძე შსს-ს აკადემიაში შეხვდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებს, ახალქალაქის კოლეჯ „ცოდნის“ მოსწავლეებს, ქვემო ქართლის რამდენიმე სკოლის უფროსკლასელებს და მარნეულის ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენლებს.
შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. მინისტრმა სტუმრების ყველა შეკითხვას ამომწურავად უპასუხა, მათ აკადემიაში არსებული სწავლების მეთოდიკა გააცნო და შს სამინისტროში განხორციელებული და მიმდინარე პროექტების, მათ შორის, ანტინარკოტიკული კამპანიის შესახებ ესაუბრა. მინისტრმა და ახალგაზრდებმა შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს სამართალდამცავ სტრუქტურებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მუშაობის მნიშვნელობაზე. ღონისძიების ფარგლებში, შსს-ს აკადემიის წარმომადგენლებმა სტუდენტებსა და მოსწავლეებს აკადემიის შესახებ პრეზენტაცია წარუდგინეს. პრეზენტაციის დასრულების შემდეგ ახალგაზრდები აკადემიის ინფრასტრუქტურას გაეცნენ, იმიტირებული სასამართლო დარბაზი, იმიტირებული სასაზღვრო გამშვები პუნქტი, საცურაო აუზი, იმიტირებული ტირი და ბიბლიოთეკა დაათვალიერეს.
შსს აკადემიასა და სახალხო დამცველის ოფისს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ხორციელდება სახალხო დამცველის შეხვედრა აკადემიის მსმენელებთან, რომლის ფარგლებშიც მათ მიეწოდებათ ინფორმაცია, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, მათ შორის ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების საკითხთან დაკავშირებით.

11.2.1. სახელმწიფო ენის სწავლების ხელშეწყობა საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემაში; ასევე, სპეციალური, არაფორმალური საგანმანათლებლო და მოხალისეობრივი პროგრამების განხორციელება ზრდასრულთათვის.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით (რომელიც სავალდებულო დოკუმენტია საქართველოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისათვის), არაქართულენოვან სკოლებში ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებას ეთმობა კვირაში 5 საათი I-დან XII კლასის ჩათვლით;

ქართული ენის სამმართველო ახორციელებს ელექტრონულ პროგრამას „ქართული, როგორც უცხო ენა“. პროგრამას იყენებენ ის უმაღლესი სასწავლებლები, სადაც სწავლობენ უცხოელი სტუდენტები, ქართული ენით დაინტერესებული უცხოელები საქართველოში და

საქართველოს ფარგლებს გარეთ. ასევე, უმაღლეს სასწავლებლებში შესაბამისი პროგრამების არსებობის შესახებ (27 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება).

„საზაფხულო სკოლების“ პროგრამის ფარგლებში განხორციელდა „ქართული ენის ინტერნაციონალური სკოლა საქართველოში“.

„ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ ფარგლებში ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონის 90 სკოლის ქართული ენის კლუბში ირიცხება 3545 დამსწრე, აქედან: 2625 მოსწავლე, 484 მასწავლებელი და 436 ადგილობრივი თემის წარმომადგენელი.

სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი“ 2011 წლიდან ახორციელებს პროგრამას „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“.

პროგრამის ფარგლებში დღემდე გაგზავნილი იყო 600-ზე მეტი დამხმარე პედაგოგი. ამ ეტაპზე 2014-2015 სასწავლო წლისთვის პროგრამაში ჩართულია 210 მონაწილე.

11.2.2. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის სკოლამდელი, დაწყებითი და საშუალო განათლების მიღების ხელშეწყობა, აგრეთვე არაფორმალური განათლების პროგრამების ხელმისაწვდომობა

სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი“ 2011 წლიდან ახორციელებს პროგრამას „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“.

პროგრამის ფარგლებში ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების არაქართულენოვან სკოლებში დღემდე გაგზავნილია 400-ზე მეტი დამხმარე პედაგოგი. ისინი ეხმარებიან ადგილობრივ მასწავლებლებს საგაკვეთილო პროცესის წარმართვაში და ქართული ენის გაკვეთილის ჩატარებაში. 2014-2015 სასწავლო წლისთვის პროგრამაში ჩართულია 210 მონაწილე.

პროგრამაში ჩართული არაქართულენოვანი სკოლების რაოდენობა: 91%. კახეთში - 11 სკოლა; სამცხე-ჯავახეთში - 97 სკოლა; ქვემო ქართლში - 126 სკოლა. სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს პროგრამას ”ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის”

პროგრამის ფარგლებში დასაქმებულია 274 ადამიანი. ისინი ეხმარებიან ადგილობრივ მასწავლებლებს საგაკვეთილო პროცესის წარმართვაში და ქართული ენის გაკვეთილის ჩატარებაში. 2013 წელს დაიბეჭდა „ქართული ენის“ I-IV დონის სახელმძღვანელოები: I დონის მოსწავლის წიგნი – 4 000-იანი ტირაჟით, მოსწავლის რვეული – 4 500-იანი ტირაჟით. II-IV დონეების მოსწავლის წიგნი დაიბეჭდა 3 000-იანი ტირაჟით, მოსწავლის რვეული – 4 500-იანი ტირაჟით.

მოსწავლის წიგნი და მოსწავლის რვეული დაიბეჭდა 20 000-იანი ტირაჟით, ხოლო მასწავლებლის წიგნი აუდიომასალასთან ერთად – 2 000-იანი ტირაჟით.

2011-14 წლებში დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის I - XII დონის ქართული ენის სახელმძღვანელოები შეიქმნა არაქართულენოვანი მოსწავლეებისათვის.

სახელმძღვანელოს კომპლექტი მოსწავლის სახელმძღვანელოს, მოსწავლის რვეულის, მასწავლებლის სახელმძღვანელოსა და აუდიო დისკისგან შედგება.

2013-2014 სასწავლო წელს ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ენებზე დაბეჭდილი სახელმძღვანელოები: I-VI კლასი (არაქართული) - 212,972; VII-XII კლასი (არაქართული)- 146,272

2014-2015 სასწავლო წელს ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ენებზე დაბეჭდილი სახელმძღვანელოები - 239052

11.2.3. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა

2014 წლის მონაცემები: ჩარიცხული აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტების რაოდენობა - 456; გრანტი მიიღო 96. ჩარიცხული სომხურენოვანი სტუდენტების რაოდენობა - 217; გრანტი მიიღო 89.

11.2.4.ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ენებზე, მედიისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა

2013 წლის ივნისიდან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს აქვთ შესაძლებლობა ყოველდღიურად მიიღონ ინფორმაცია ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე პროცესების შესახებ. ნაციონალური „მოამბე“ საზოგადოებრივი მაუწყებლის მე-2 არხით ყოველ დღე გადის პირდაპირ ეთერში ეთნიკური უმცირესობების 5 ენაზე (აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ, სომხურ, რუსულ ენებზე).

ეთნიკური უმცირესობების ენებზე მაუწყებლობა მიმდინარეობს „პირველი რადიოს“ ეთერით. საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიოეთერში გადის „მოამბის“ ახალი ამბების კოლაჟის აუდიოვერსია ეთნიკური უმცირესობების ენებზე. საინფორმაციო გამოშვებებს აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე კვირაში ერთხელ ემატება ასევე რადიოპროგრამა ქურთულ ენაზეც.

თოქ-შოუ „ჩვენი ეზოს“ ფორმატი შეიცვალა და 2014 წელს გადიოდა როგორც დოკუმენტური ფილმების ციკლი საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური ჯგუფების შესახებ. 2014 წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვისდ სამინისტროს მხარდაჭერით გამოიცა სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი გაზეთების „ვრასტანი“ და „გურჯისტანი“ 12 ნომერი, ასევე რუსულენოვანი გაზეთბი „სვობოდნაია გრუზია“ და „ვეჩერნი ტბილისი“.

ამომრჩევლისთვის თანაბარი პირობების უზრუნველსაყოფად საპრეზიდენტო, საპარლამენტო და ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნების პერიოდში ეროვნული უმცირესობების რედაქცია აქტიურად თანამშრომლობდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან. ითარგმნა ცესკო-ს წინასაარჩევნო საინფორმაციო კლიპები სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, მოხდა მათი გავრცელება ადგილობრივი ტელეკომპანიებით ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში.

საზოგადოებრივი მაუწყებელი 2015 წლის განმავლობაში ეტაპობრივად გადადის ციფრული მაუწყებლობის სისტემაზე. საქართველოს ტერიტორიის იმ მონაკვეთებში, სადაც დღეის მდგომარეობით საზოგადოებრივი მაუწყებელი უხარისხოდ, ან არ მაუწყებლობს (ეროვნული და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონები), მოსახლეობას დაურიგდება დეკოდერები, რომლის მეშვეობითაც მაღალხარისხიანი საზოგადოებრივი მაუწყებლობა მათთვის ხელმისაწვდომი გახდება.

11.3. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო მონაწილეობის უზრუნველყოფა

11.3.1. ეროვნულ/ეთნიკურ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის პოპულარიზაცია და ეროვნული უმცირესობების მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის გაცნობა

2014 წლის განმავლობაში გაიმართა შეხვედრები ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში მოსახლეობასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, თემის ლიდერებთან. მათ მიეწოდათ ინფორმაცია სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაზე ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვისა და მათი ინტეგრაციის მიმართულებით. სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდნენ ახალგაზრდები: სტუდენტები, აბიტურიენტები, უფროსკლასელები, გოგონები, პედაგოგ-მასწავლებლები, რეგიონული მედიის წარმომადგენლები. გაიმართა შეხვედრები ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლების მონაწილეობით.

2014 წელს მომზადდა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და 2009-2014 წწ. სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების დოკუმენტი. დოკუმენტში გამოვლინდა ის დადებითი და უარყოფითი ტენდენციები, რაც შეიმჩნეოდა კონცეფციის განხორციელების პროცესში. მიღებული დადებითი შედეგები, ასევე ხარვეზები და ნაკლოვანებები იქნება გათვალისწინებული და სწორედ ამ ანალიზს დაეფუძნება ახალი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

11.4. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების სოციალური და რეგიონული ინტეგრაციის უზრუნველყოფა

11.4.2. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა პროფესიული გადამზადება და დასაქმების ხელშეწყობა

2015 წლის იანვარში, ჩატარდა კვლევა საქართველოში მოწყვლადი ჯგუფების პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით. კვლევამ მოიცვა ეთნიკური და ეროვნული უმცირესობებიც. შედეგად, გაკეთდა სიტუაციური ანალიზი და შემუშავდა რეკომენდაციები არსებული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით. სამინისტრო, მიმდინარე წელს, გეგმავს რეკომენდაციების შესაბამისად რიგი ღონისძიებების განხორციელებას.

11.5. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების კულტურისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების უზრუნველყოფა

11.5.1. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება

2014 წელს გაგრძელდა სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის აღსანიშნავია - ფესტივალები, გამოფენები; წიგნების პრეზენტაციები, თარგმანები; სპორტული ღონისძიებები; ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი საზოგადო მოღვაწეების - გამოჩენილი პოეტების, მხატვრების იუბილეების აღნიშვნა; ეროვნული დღესასწაულების აღნიშვნა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო „ეროვნული უმცირესობების კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში ახორციელებს ბეჭდური მედიის დაფინანსებას და კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერას.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით გაიმართა მრავალეთნიკური მუსიკალური ფესტივალი "ერთი ცის ქვეშ". ფესტივალში მონაწილეობას იღებდნენ ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის აჭარისა და თბილისის სახელოვნებო სკოლების 90-მდე მოსწავლე. ფესტივალს მხარს უჭერენ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო და საქართველოს გაეროს ასოციაცია.

წლის განმავლობაში 50 მდე აზერბაიჯანელმა სტუდენტმა მოინახულა კახეთის ისტორიული ძეგლები. ქვემო ქართლის 20 მდე მოსწავლემ მოინახულა საქართველოს ეროვნული მუზეუმი. პანკისის ხეობის მოსწავლეებმა მოინახულეს ეთნოგრაფიული მუზეუმი თბილისში.

რწმენის და აღმსარებლობის თავისუფლება და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვა

12. რელიგიური შემწყნარებლობის დამკვიდრება და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობა

12.1.1.რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის თანასწორი უფლებრივი მდგომარეობის უზრუნველყოფა და ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ” ყოვლისმომცველი კანონის ინიცირება

საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის 2 მაისს მიიღო კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. სახალხო დამცველის აპარატში შეიქმნა თანასწორობის დეპარტამენტი, წარმოადგენს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სტრუქტურულ ერთეულს.

დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) საქართველოს სახალხო დამცველის ხელშეწყობა "დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებაში;
ბ) საქართველოში თანასწორობის დაცვის სფეროში არსებული ეროვნული და საერთაშორისო აქტების შესრულების მონიტორინგის განხორციელება;
გ) რასის, კანოს ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის ხელშეწყობა;
დ) დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრაზე მონიტორინგის განხორციელება.

დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) სახალხო დამცველის აპარატში შემოსული თანასწორობის დარღვევასთან დაკავშირებული განცხადება/საჩივრების შესწავლა და შესაბამისი დასკვნების/რეკომენდაციების/წინადადებების პროექტების მომზადება;
ბ) მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე საკონსტიტუციო სარჩელის პროექტების მომზადება;
გ) მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სახალხო დამცველის ანგარიშის შესაბამისი ნაწილების პროექტების მომზადება;
ე) მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელება;
ვ) ადამიანის თანასწორობის დაცვის სფეროში საგანმანათლებლო საქმიანობის კუთხით ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;
ზ) მის კომპეტენციაში შემავალი სფეროების მიხედვით კანონმდებლობის და კანონპროექტების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების/წინადადებების პროექტების მომზადება;
თ) სხვა ფუნქციების შესრულება, რომლებიც თავისთავად გამომდინარეობს დეპარტამენტის საქმიანობის სპეციფიკიდან.

12.1.2.რელიგიური–საკულტო დანიშნულების შენობა–ნაგებობების მშენებლობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების თაობაზე სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება

ამ ეტაპზე შესწავლილია ათი ქვეყნის საკანონმდებლო რეგულაციები, მზადდება შესაბამისი რეკომენდაციები.

12.2. რელიგიური სიძულვილით/შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების პრევენცია და ეფექტური გამოძიება

12.2.1. შესაბამისი საგამოძიებო ორგანოების მიერ რელიგიური ნიშნით ჩადენილი დანაშაულისთვის სათანადო კვალიფიკაციის მინიჭების უზრუნველყოფა, დროული და ეფექტიანი გამოძიების ჩატარება

რელიგიურ კონფლიქტებთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიშის შესრულების ფორმატში, შესაბამისი ინფორმაცია წარედგინა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს, სადაც საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში დეტალური ანგარიში მომზადდა რელიგიური ნიშნით ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტში ასევე მითითებულია თითოეულ ფაქტთან დაკავშირებით შსს-ს მიერ გატარებული ზომები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ფაქტობრივად სამინისტროს რელიგიურ ნიადაგზე ჩადენილი არც ერთი დანაშაული რეაგირების გარეშე არ დაუტოვებია.

12.2.3. გადამზადდეს შსს-სა და პროკურატურის შესაბამისი პირები, დისკრიმინაციული საფუძვლით ჩადენილ დანაშაულთა გამოძიების კუთხით კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში რელიგიური სიძულვილით/შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების პრევენციისა და ეფექტური გამოძიების საკითხებზე ტრეინინგები იკითხება შემდეგ პროგრამებსა და კურსებზე:

- დეტექტივ-გამომძიებლის მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში და ტერიტორიულ ორგანოებში დაწინაურების კანდიდატთა გადამზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის მომზადების სპეციალური პროგრამა
- უბნის ინსპექტორთა სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში მოსამსახურეთა თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი.
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში დანიშნულ (დასანიშნ) კურსგავლილ პირთა გადამზადების კურსი.
- მანდატურის სამსახურის მანდატურთა სპეციალური პროგრამა

შსს აკადემიაში აღნიშნული პროგრამები 2014 წლის იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე გაიარა - 791 მსმენელმა. 2015 წლის იანვრიდან 4 მარტამდე გაიარა 230 მსმენელმა; 2015 წლის მიმდინარე მსმენელების ოდენობა არის 373 მსმენელი.

სამომავლოდ (2015 წლის ბოლომდე) აკადემიაში ზემოაღნიშნულ საკითხებში გაგრძელდება, როგორც სამინისტროში მისაღები კანდიდატების, ისე მოქმედი თანამშრომლების მომზადება.

12.3.1 საჯარო მოხელეების ცნობიერების ამაღლება რელიგიური ნეიტრალიტეტისა და სეკულარიზმის საკითხებზე

სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოში მომზადებულია პროექტი, რომელიც ითვალისწინებს 160-მდე ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანამშრომლის დატრენინგებას რელიგიის თავისუფლებისა და რელიგიური უფლებების მიმართულებით. პროექტი გათვალისწინებულია, როგორც „ტრენერების ტრენინგი“ და ეტაპობრივად განხორციელდება 2015 წლის განმავლობაში.

12.4. რელიგიური ორგანიზაციებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება

12.4.1. რელიგიური ორგანიზაციებისათვის მიყენებული ზარალის განსაზღვრის და მისი ნაწილობრივი ანაზღაურების საკითხის გადახედვა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ

საქართველოს მთავრობის 2014 წლის N117 დადგენილებით განსაზღვრული ვალდებულება ოთხი რელიგიური მიმდინარეობისთვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივი და სიმბოლური ანაზღაურების შესახებ შესრულებულია. ოთხივე რელიგიური მიმდინარეობის რელიგიურ გაერთიანებებთან და წარმომადგენლობით საბჭოებთან გაფორმებულია ინდივიდუალური ხელშეკრულებები. თანხები ჩარიცხულია ბენეფიციართა ანგარიშებზე.

12.4.2. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ თანაბრად გაითვალისწინოს რელიგიური ორგანიზაციების საკულტო ნაგებობების შენარჩუნებისა და რესტავრირების საჭიროება.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსგან მიღებული აქვს ოფიციალური მიმართვა, რომ ძეგლების რესტავრაციისას პრიორიტეტი მიენიჭოს ძეგლის საჭიროებებს და არა მის კონფესიურ წარმომავლობას.

12.4.3. რელიგიური დანიშნულების შენობა ნაგებობების ისტორიული კუთვნილების განსაზღვრის საკითხის შესწავლა.

სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო 2015 წელს გეგმავს რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობების ისტორიული კუთვნილების დადგენის მექანიზმების

შემუშავების მიზნით ამ პროცესში ჩართოს სათანადო კვალიფიკაციის აკადემიური პერსონალი და ექსპერტები.

12.4.4. საკულტო ნაგებობების ლეგალიზაციის, რეგისტრაციის და რესტავრაციის საკანონმდებლო რეგულაციის მომზადება. საკანონმდებლო რეგულაციის მომზადებამდე და ამოქმედებამდე მორატორიუმის გამოცხადება.

საკულტო ნაგებობების ლეგალიზაციის, რეგისტრაციისა და რესტავრაციის სპეციალურ რეგულირებას საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს. ამდენად, აღნიშნულ რეგულაციებზე მორატორიუმის გამოცხადება შეუძლებელია.

აღნიშნული სფეროს საკანონმდებლო რეგულირების უზრუნველყოფა გათვალისწინებულია რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობის საკანონმდებლო რეგულირების ერთიანი პროექტის ფარგლებში, რომელზე მუშაობაც დაიწყება 2015 წელს.

12.5. განათლების სისტემაში რელიგიური თანასწორობის პრინციპების დანერგვა

12.5.1 სახელმძღვანელოების მოწესრიგება (სასწავლო სახელმძღვანელოების გრიფირების კრიტერიუმში ჩაიდოს მოთხოვნა, რომ "სახელმძღვანელოს შინაარსი ითვალისწინებს საქართველოს მოსწავლეთა მრავალფეროვნებას რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა და საცხოვრებელი ადგილის და ა.შ. მიხედვით. „სახელმძღვანელო ხელს უწყობს არასტერეოტიპული, მრავალმხრივი აზროვნებისა და შეხედულებების განვითარებას მოსწავლეებში").

სასკოლო სახელმძღვანელოების მოწესრიგება არ წარმოადგენს მხოლოდ ერთჯერად აქტს, რომელიც გამოიხატება მხოლოდ სასწავლო სახელმძღვანელოების გრიფირების კრიტერიუმში შესაბამისი მითითების გაკეთებით, არამედ აუცილებელია სათანადო მონიტორინგის ფორმების შემუშავებაც, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მუშაობა მიმდინარეობს სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად.

განათლების სამინისტრო მუშაობს გრიფირების წესის დახვეწაზე. დისკრიმინაციული და დისკრედიტაციული ფაქტორების, მათ შორის გენდერული ბალანსის შეფასება კრიტერიუმების სახით სასკოლო სახელმძღვანელოების შერჩევის პროცესში გათვალისწინებული იქნება.

12.6. ცნობიერების ამაღლება

12.6.1. საზოგადოებაში ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის ამაღლების მიზნით საინფორმაციო კამპანიის წარმოება

საზოგადოებაში ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის ამაღლების მიზნით საინფორმაციო კამპანიის წარმოების ფარგლებში გაიმართა ლექცია-სემინარები საქართველოს უმაღლეს სასწავლებლის სტუდენტებისთვის როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. გაიმართა ლექცია-სემინარები და დისკუსიები სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, ახალციხის უნივერსიტეტში, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში. ლექციების თემები იყო მრავალფეროვნება და ტოლერანტობა, ეროვნული უმცირესობების უფლებები საქართველოში, სახელმწიფოს პოლიტიკა სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით და სხვა.

2015 წლის პირველ ნახევარში მოხდება სამოქალაქო ინტეგრაციის ახალი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის გაცნობა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის როგორც თბილისში, ასევე ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ქვემო ქართლის, სამცხე ჯავახეთის და კახეთის რეგიონებში. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ახალი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება; შემდგომ მისი განხილვა ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან.

ბავშვთა უფლებების დაცვა

13.1. ბავშვის უფლებათა მონიტორინგისა და კოორდინაციის მექანიზმის გაძლიერება.

13.1.1. საკოორდინაციო მექანიზმის შექმნა და ამოქმედება.

13.1.1.1. პრემიერ მინისტრის აპარატში ადამიანის უფლებათა დაცვის საკოორდინაციო საბჭოს ფორმატში ბავშვთა უფლებათა მონიტორინგისა და კოორდინაციის მიზნით სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის N445 დადგენილების შესაბამისად დამტკიცდა საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2014-2015) და შეიქმნა საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც ახორციელებს ბავშვის უფლებათა სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს. სამუშაო ჯგუფის შეხვედრები იმართება ყოველთვიურად, რომლის მუშაობაშიც ჩართულები არიან; ბავშვის უფლებათა სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე, სხვა დაინტერესებული პირები.

13.1.1.2. ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის პრინციპის ინტეგრირება სახელმწიფო პროგრამებში, პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში, სამართლებრივ თუ ადმინისტრაციულ პროცედურებსა და სამოქმედო გეგმებში.

ბავშვის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, განხილული საკითხები, რომელიც ასახავს ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებს, მიეწოდება საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის საკოორდინაციო უწყებათაშორის საბჭოს, რის შედეგადაც აღნიშნული საკითხები აისახება ყველა სახელმწიფო პროგრამაში და სტრატეგიულ სამოქმედო გეგმაში.

13.1.2. ბავშვის უფლებათა მონიტორინგის მექანიზმის გაძლიერება.

13.1.2.1. სახალხო დამცველის აპარატისა და შესაბამისი არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციების მონიტორინგის შესაძლებლობის გაძლიერება.

მიმდინარეობს მოლაპარაკება ევროკავშირთან (EU) სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრის ადამიანური და ტექნიკური რესურსის გაზრდის მიზნით.

13.2. ბავშვთა დაცვისა და დახმარების სისტემის გაუმჯობესება.

13.2.1.1. ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად საკანონმდებლო ცვლილებებისა და შესაბამისი ნორმატიული ბაზის სრულყოფა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 31 მაისის N152/ნ–N496–N45/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებულია ,,ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები", რომლის მიზანია ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის ხელშეწყობა, მიმართვიანობის (რეფერირების) კოორდინირებული და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბების გზით.

ზემოაღნიშნული ბრძანებით განსაზღვრული პროცედურების პრაქტიკაში დანერგვამ გამოკვეთა რიგი საკითხები, რომელმაც მოითხოვა მითითებულ რეგულაციებში ცვლილებების შეტანა. აღნიშნულის გათვალისწინებით, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მონაწილეობით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც აერთიანებდა სამთავრობო უწყებების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ჯგუფის მიერ მომზადდა ,,ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების" დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, ფართოვდება მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტების წრე, კერძოდ, უფლებამოსილ უწყებებს ემატება, საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის, საქართველოს იუსტიციის, საქართველოს სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროების საქვეუწყებო საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის მომსახურებები (მაგ.: ბაღები, სკოლის/სკოლის გარეშე სასპორტო და სახელოვნებო დაწესებულებები). ამასთან, იზრდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილი პირის - სოციალური მუშაკის უფლებამოსილება, კერძოდ, მას

ენიჭება უფლება, გადაუდებელი შემთხვევებისას, მიიღოს გადაწყვეტილება ძალადობის მსხვერპლი ბავშვის ოჯახიდან გამოყვანის შესახებ.

მოცემულმა ცვლილებამ, თავის მხრივ წარმოშვა ,,სოციალური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის საჭიროება, რადგან, კანონის თანახმად, ,,ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები" დამტკიცებული უნდა იყოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებთან ერთად. ამ პროცედურებში დამატებითი სუბიექტების ჩართვა მოითხოვს, რომ დოკუმენტი დამტკიცებულ იქნას საქართველოს მთავრობის დადგენილებით. შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, მომზადდა ,,სოციალური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების პროექტი, რომელიც გაეგზავნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს. ამჟამად მიმდინარეობს კონსულტაციები რათა მოხდეს კანონში ცვლილების პროექტის ინიცირება.

2014 წლის 17 ოქტომბერს, ,,ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონში გათვალისწინებული ცვლილებებში აისახა ძალადობის კიდევ ერთი ფორმა, კერძოდ, უგულებელყოფა, როგორც – მშობლის ან/და კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, საფრთხისაგან დაუცველობა, დაბადების რეგისტრაციის, სამედიცინო და სხვა მომსახურებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა, თუკი მშობელს ან/და კანონიერ წარმომადგენელს აქვს სათანადო ინფორმაცია, შესაძლებლობა და ხელი მიუწვდება შესაბამის მომსახურებაზე".

კანონს დაემატა ახალი 14[1] მუხლი - არასრულწლოვნის (ბავშვის) მიმართ ოჯახში ძალადობის ფაქტის გამოვლენა, რომელიც განსაზღვრავს, რომ არასრულწლოვნის (ბავშვის) მიმართ ოჯახში ძალადობის ფაქტის გამოვლენის (პირველადი იდენტიფიკაციის) და მასზე რეაგირების მიზნით, შესაბამისი ორგანოებისათვის მიმართვის ვალდებულება აკისრიათ სამედიცინო დაწესებულებებს, სასწავლო და სააღმზრდელო დაწესებულებებს, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს და მათ უფლებამოსილ თანამშრომლებს, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართულ სხვა შესაბამის დაწესებულებებს და მათ უფლებამოსილ თანამშრომლებს.

ამავე მუხლით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტის (დაწესებულების ან/და მისი უფლებამოსილი თანამშრომლის) მიერ ბავშვზე ძალადობის გამოვლენის და ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.2.1.2. სახელმწიფო ზრუნვაში ბავშვთა შედინების პრევენციის, მინდობით აღზრდისა და რეინტეგრაციის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის სრულყოფა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, უახლოეს პერიოდში გეგმავს მინდობით აღზრდის სტანდარტების პროექტის საბოლოო ვერსიის შეთანხმებას ყველა დაინტერესებულ მხარესთან, როგორიცაა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, არასამთავრობო ორგანიზაციები, რის შედეგადაც მოხდება სტანდარტების დამტკიცება. მოცემულ ეტაპზე, სამუშაო ჯგუფი, რომელიც აერთიანებს საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის, ასევე, არასამთავრობო, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციების წარმომადგენლებს, აქტიურად მუშაობს ,,შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების პროექტზე.

13.2.1.3. ბავშვზე ზრუნვაში ჩართული სხვადასხვა უწყების მიერ ინფორმაციის გაცვლის პროცედურების გამარტივება.

სახელმწიფო უწყებებს შორის სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის ბავშვთა შესახებ ინფორმაციის გაცვლა მიმდინარეობს შეუფერხებლად, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ახორციელებს სააგენტოს ხელთ არსებული ნებისმიერი ინფორმაციის მიმოცვლას კანონმდებლობის შესაბამისად, პროცედურების გათვალისწინებით.

13.2.2. ბავშვთა დაცვის სისტემის ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება.

13.2.2.1. ტრენინგების ჩატარება პროფესიულ ჯგუფებში (მოსამართლეები, მასწავლებლები, ადვოკატები, სამედიცინო პერსონალი, სოც მუშაკები და აგენტები, სკოლის ადმინისტრაცია, ბავშვთა დაცვის ოფიცრები, და სხვა) ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხებზე.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 აგვისტოს №508 დადგენილების („ტექნიკური რეგლამენტი - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ) მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის, ა ქვეპუნქტის შესაბამისად, მომსახურებაში ჩართულ პერსონალს, გარდა ტექნიკური პერსონალისა გავლილი უნდა ქონდეს სატრენინგო კურსი, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან. (სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებებისა და შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში რეგისტრირებული - შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის არმქონე ბავშვთა დღის ცენტრებისთვის)

2014 წლის 27 მაისს და 17-19 ნოემბერს, ასოციაცია ,,Our Home”-ის ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი ა(ა)იპ "დივაინ ჩაილდ ფაუნდეიშენ ოფ ჯორჯიას" ადმინისტრირებული მცირე საოჯახო სახლების აღმზრდელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

2014 წლის 20-22 ნოემბერს, ასოციაცია ,,Our Home”-ისა და ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდის "საქართველოს კარიტასის" ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი ა(ა)იპ "დივაინ ჩაილდ ფაუნდეიშენ ოფ ჯორჯიას" მიერ ადმინისტრირებული მცირე საოჯახო სახლების აღმზრდელთათვის აღსაზრდელთა ინდივიდუალური განვითარების გეგმების წარმოების შესახებ.

2014 წლის ივნისის თვეში - ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაციის "ევრიჩაილდის" ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი ა(ა)იპ "მომავლის სხივის" მიერ ადმინისტრირებული მცირე საოჯახო სახლის აღმზრდელთათვის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით (თემებზე: მიჯაჭვულობა და განვითარება, ბავშვების ინსტიტუციონალიზაციის შედეგები, აღზრდის სტილი, ბავშვთა მიმართ ძალადობა, ბავშვთან ეფექტური კომუნიკაცია, ადამიანის მოთხოვნილებათა იერარქია-აბრაჰამ მასოუს მიხედვით, ერიკ ერიქსონის პიროვნების ფსიქო-სოციალური განვითარების 8 სტადია, რთული ქცევის მართვა, თამაშის მნიშვნელობა ბავშვის განვითარებაში, განმავითარებელი თამაშების რესურს-პაკეტი აღმზრდელებისთვის).

2014 წლის 23 სექტემბერს და 22-23 დეკემბერს კვალიფიკაციის ამაღლებისკენ მიმართული ტრენინგები ჩაუტარდათ თბილისის SOS ბავშვთა სოფლის აღმზრდელებს შემდეგ თემებზე: ბავშვის აღზრდისადმი ფუნქციონალისტური მიდგომები, ემოციონალური თვითრეგულაციისა და ტემპერამენტის სტრუქტურის განხილვა; რთული ქცევა; საიდენტიფიკაციო ნიშნები; რეაგირების გზები; ეფექტური კომუნიკაციის ელემენტები.

27 მაისს 1-3 დეკემბერს ასოციაციის ,,ჩვენი სახლის“ მიერ ორგანიზებული ტრენინგები აღმზრდელთა გადამზადების მიზნით გაიარეს ა(ა)იპ ,,სოციალური პარტნიორობის“ აღმზრდელებმა შემდეგ თემებზე: „რთული ქცევის მართვა და ინტერპრეტაციები მუშაობის პროცესში-ძლიერ მხარეებზე დაყრდნობით“, „სექსუალური განათლება მოზარდებში“, „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტები და ინდივიდუალური მომსახურების გეგმები“.

2014 წლის მანძილზე, ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდის "ჩემი სახლი" დასაქმებულ აღმზრდელებს ჩაუტარდათ გადამზადების 16 დღიანი სატრენინგო კურსი, ასევე, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი შემდეგ თემებზე: სექსუალური ძალადობა; ბავშვთან ინდივიდუალური მიდგომები - თუ როგორ გამოკვეთონ აღსაზრდელთან მუშაობის მიზნები და როგორ მიაღწიონ დასახულ მიზნებს; მცირე საოჯახო ტიპის სახლის დოკუმენტაციის წარმოება; ინდივიდუალური მომსახურეობის გეგმის შედგენა; რთული სიტუაციების ინტერვენციის გეგმა; პოზიტიური დისციპლინა; თამაშის პედაგოგიკა; როგორ აღმოვაჩინოთ ნიჭი; კრეატიულობა მუშაობის პროცესში; სააღმზრდელო კომპეტენციების 5 კატეგორია; გენოგრამა; მიჯაჭვულობა; კრიზისები; ემოციები; ეკორუკა; კომუნიკაცია; დისციპლინის ტექნიკები.

ა(ა)იპ საზოგადოება "ბილიკმა" ადმინისტრირებული მცირე საოჯახო სახლების აღმზრდელთა გადამზადების მიზნით 2014 წელს ჩაატარა 10 ტრენინგი.

2014 წელს საქველმოქმედო ჰუმანიტარულმა ცენტრმა „აფხაზეთი“ ახალი აღმზრდელების გადასამზადებელი 16 ტრენინგი ჩაატარა.

სოციალური მუშაკების სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამები მოიცავს ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკის სწავლებას, მათ შორის ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხებზე.

13.2.2.2. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული პროფესიონალების ტრენინგი ბავშვთა მიმართ ძალადობის ბიო–ფსიქო–სოციალურ და იურიდიულ საკითხებზე.

სააღმზრდელო დაწესებულებების აღმზრდელთა მომზადების კურიკულუმი, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 აგვისტოს №508 დადგენილების („ტექნიკური რეგლამენტი - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ) მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის, ა ქვეპუნქტის შესაბამისად, თანხმდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და მოიცავს სწავლებას ძალადობის საკითხებზე. (მოქმედი კანონმდებლობა, ბენეფიციართა ქცევის მართვის მეთოდები, ბიო–ფსიქო–სოციალური მიდგომები).

2014 წლის 4 იანვარს საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ ჩაატარა სამუშაო შეხვედრა თემაზე: ოჯახური ძალადობის შემთხვევებში სოციალურ მუშაკთა როლის თაობაზე, რომელშიც მონაწილეობდა თბილისის 5 უფროსი სოციალური მუშაკი და 10 სოციალური მუშაკი.

2014 წლის 20-24 იანვარს საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ ჩაატარა ,,გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა საქართველოში‘‘ ფარგლებში ოჯახში ძალადობის კონცეფციის შესამუშავებელი სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის, ბათუმის, გორისა და ახალციხის 4 სოციალური მუშაკი და 4 უფროსი სოციალური მუშაკი;

2014 წლის 15 მარტს ადამიანის უფლებათა საგანმანათლებლო ცენტრმა კახეთისა და მცხეთა–მთიანეთის რეგიონებში ჩაატარა ტრენინგი თემაზე: ,,ბავშვთა მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის“ შესახებ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მცხეთის 5 სოციალურმა მუშაკმა და კახეთის 5 სოციალურმა მუშაკმა.

2014 წლის 24-26 მარტს ორგანიზაცია ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა“ ჩაატარა ტრენინგი სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგებისთვის თემაზე: ,,ბავშვთა უსაფრთხოების შეფასება და შემთხვევის ერთობლივი დაგეგმვა“, სტრუქტურირებული გამოკითხვის მეთოდის გამოყენება ძალადობის მსხვერპლი ან მოწმე ბავშვებისგან სრული და სარწმუნო ინფორმაციის მოსაპოვებლად; ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს სააგენტოს რეგიონალურ საკოორდინაციო ცენტრებში მომუშავე სოციალურმა მუშაკებმა და ფსიქოლოგებმა.

2014 წლის ივნისის თვეში ორგანიზაციამ ,,პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ სოციალური მუშაკებისთვის ჩაატარა ტრენინგები თემაზე: ,,შშმ ქალთა მიმართ გამოვლენილი ძალადობის დაფარული ფორმების დაძლევა“, რომელიც ჩატარდა ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის – ,,შშმ პირთა საკითხების მეინსტრიმინგი გენდერული ძალადობის წინააღმდეგ სახელმწიფო სამოქმედო გეგმაში“ ფარგლებში.

2014 წლის ივლისის, სექტემბრის და ოქტომბრის თვეში ორგანიზაციამ - ,,ბავშვი და ოჯახი“ ჩაატარა ტრენინგი მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელებისა და ამ სახლებთან მომუშავე სოციალური მუშაკებისთვის თემაზე: ,,აღმზრდელებისა და სოციალური მუშაკების თანამშრომლობის გზების გაუმჯობესება და ინდივიდუალური მიდგომის მეთოდის დანერგვა.

2014 წლის 10-11 ნოემბერს ორგანიზაციამ ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა“ ჩაატარა ტრენინგი სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგებისთვის თემაზე: ,,ძალადობის (სექსუალური) მსხვერპლი ბავშვების შეფასება, ბავშვისა და ოჯახის კონსულტირება, თერაპია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თბილისის რაიონების 5 უფროსმა სოციალურმა მუშაკმა და თბილისის 25 სოციალურმა მუშაკმა.

2014 წლის ნოემბრის თვეში - ორგანიზაცია “პარტნიორობა ადამიანი უფლებებისათვის” ჩაატარა ტრენინგი სოციალური მუშაკებისათვის თემაზე “შშმ პირთა სხვადასხვა ჯგუფების ინკლუზიის მხარდაჭერა საქართველოში.

2014 წლის 29 დეკემბერს ჩატარდა კონფერენცია თემაზე საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის პროექტის ,,თანამშრომლობა ბავშვზე სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ“ შედეგების პრეზენტაცია და ერთობლივი ტრენინგი ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურებთან დაკავშირებით, სოციალური მუშაკების, იურისტებისა და შსს, იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და პოლიციის აკადემიის თანამშრომლებისთვის.

2015 წელს ადამიანის უფლებათა საგანმანათლებლო ცენტრმა ჩაატარა ტრენინგი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 6 სოციალური მუშაკისთვის, ბავშვთა მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის თემაზე.

13.2.2.3. ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის საკითხების ჩართვა პროფესიონალთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და სასწავლო პროგრამებში.

მასწავლებლების, მანდატურების, ფსიქოლოგების საკვალიფიკაციო მოთხოვნებში გათვალისწინებულია ბავშვთა დაცვის საკითხები. სკოლის მანდატურის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში, გათვალისწინებულია ბავშვთა ძალადობისაგან დაცვის საკითხი, კონფლიქტების მართვის საკითხი და ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირებისა და შემდგომი რეაგირების საკითხი. ეს საკითხები ჩართულია მასწავლებელთა გადამზადების პროგრამაში, როგორც გამჭოლი პრიორიტეტი. ბავშვის უსაფრთხოების დაცვის ვალდებულება განსაზღვრული აქვს მასწავლებელს პროფესიული სტანდარტით და სკოლის შინაგანაწესით და მასწავლებლის ეთიკის კოდექსით. (როგორც ფიზიკური, ასევე, ფსიქოლოგიური უსაფრთხოების დაცვა).

დამატებით სპეციალურ კურსს გადიან მანდატურები და მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური ცენტრების - თბილისისა და 4 რეგიონული ცენტრის თანამშრომლები, სამოქალაქო განათლების მასწავლებლები, რომლებიც ჩართულები არიან სამართლებრივი კულტურის სწავლებაში. საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდისა და მანდატურთან არსებული ფსიქოლოგიური ცენტრის მიერ გადამზადდნენ მანდატურები ბავშვთა უსაფრთხოების მართვის საკითხებში.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში, დაწყებითი საფეხურის (1-6 კლასები) რევიზირებული ნაწილის გადამუშავება უკვე დასრულებულია, როგორც სადამრიგებლო საათში, ასევე სოციალური მიმართულების საგნობრივ პროგრამებში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში აღნიშნული საკითხები იკითხება შემდეგ პროგრამებსა და კურსებზე:

- დეტექტივ-გამომძიებლის მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში და ტერიტორიულ ორგანოებში დაწინაურების კანდიდატთა გადამზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- უბნის ინსპექტორთა სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში მოსამსახურეთა თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი.
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში დანიშნულ (დასანიშნ) კურს გავლილ პირთა გადამზადების კურსი.
- მანდატურის სამსახურის მანდატურთა სპეციალური პროგრამა.

შსს აკადემიაში აღნიშნული პროგრამები:

- 2014 წლის იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე გაიარა 768 მსმენელმა;
- 2015 წლის იანვრიდან 4 მარტამდე გაიარა 203 მსმენელმა;

2015 წელს მსმენელების ოდენობა არის 373 მსმენელი.

სამომავლოდ (2015 წლის ბოლომდე) აკადემიაში ზემოაღნიშნულ საკითხებში გაგრძელდება, როგორც სამინისტროში მისაღები კანდიდატების, ისე მოქმედი თანამშრომლების მომზადება.

13.2.2.4. ძალადობის შეტყობინებაზე რეაგირების მექანიზმის დახვეწა.

სახელმწიფოში ფუნციონირებს ოჯახში ძალადობის ცხელი ხაზი 2309 903, ასევე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი – 15 05, სადაც ძალადობის გამოვლენის შემთხვევაში შედის შეტყობინება, რომლის შედეგად ხორციელდება რეფერირება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსადმი, ან შესაბამისი

საჭიროების შემთხვევაში, სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისათვის.

შინაგან საქმეთა სამინისტოში 24/7 ოპერირებს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრის ერთიანი ცხელი ხაზი **112.“**

13.2.2.5. სოციალური აგენტებისათვის ბავშვის შეფასების და რეფერირების მექანიზმის შემუშავება.

2014 წლის 31 დეკემბერს, საქართველოს მთავრობის №758 დადგენილებით დამტკიცდა - ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ ახალი მეთოდოლოგია. დადგენილების პირველი მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად: ,,2015 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 აპრილამდე პერიოდში, ამ მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული მეთოდოლოგიის გამოყენებით სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) შეფასება ხორციელდება ტესტირების რეჟიმში. შესაბამისად, 2015 წლის 1 აპრილამდე მთავრობამ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი ნორმატიული აქტების შემუშავება, მათ შორის, სოციალური დახმარების ადმინისტრირების საკითხები და რეფერირების მექანიზმი.

13.2.3.2. ცხელი ხაზის ამოქმედება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელი ხაზის (15-05) თანამშრომლებს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მიეწოდათ ინფორმაცია მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაზე. სპეციალურად ცხელი ხაზისთვის, შეიქმნა ანკეტა, სადაც ცხელი ხაზის ოპერატორები აფიქსირებენ ზარის განხორციელების დროს, მოქალაქის საკონტაქტო ინფორმაციას, სიტუაციის მოკლე აღწერას და თუ რომელ მობილურ ჯგუფს გადაეცა შეტყობინება რეაგირებისთვის. ყოველი კვირის ბოლოს, სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის თანამშრომლების მიერ ხორციელდება შემოსული შეტყობინებების მონიტორინგი და ინფორმაციის მიღება ველზე გასული მობილური ჯგუფისგან. პარალელურად, მობილურ ჯგუფებს დაუწესდა მორიგეობის გრაფიკი, ცხელ ხაზზე შემოსული ზარებზე რეაგირებისთვის.

პრაქტიკამ გამოკვეთა ორი ტიპის რეაგირების საჭიროება, კერძოდ:

- გადაუდებელი რეაგირების ტიპის შეტყობინება (მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ბავშვის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ან შეიძლება გამოიწვიოს მისი სიკვდილი ან დაზიანება), რაზედაც დაუყოვნებლივ ხდება რეაგირება;
- ჩვეულებრივი ტიპის ზარი (მაგ.: რუსთაველის გამზირზე მოწყალებას ითხოვენ მცირეწლოვანი ბავშვები,) რომელზეც რეაგირებას მობილური ჯგუფი სამუშაო დღის ბოლომდე ახორციელებს.

არასამუშაო საათებსა და უქმე დღეებში შემოსულ ზარებზე, შეტყობინება მისამართდება 112-ში. მობილური ჯგუფი კვირაში ერთი დღე მუშაობს ღამის საათებშიც (20:00 დან 02:00-მდე)

2013 წლის დეკემბრიდან 2015 წლის თებერვლის ჩათვლით, სამინისტროს ცხელ ხაზზე (15–05) სულ დაფიქსირდა 80–მდე ზარი, რომელიც ეხებოდა ქუჩაში მცხოვრებ და/ან მომუშავე ბავშვების შესახებ შეტყობინებას.

რაც, შეეხება ძალადობის ეჭვის/ფაქტის არსებობის შემთხვევაში შეტყობინების მიღებას, აღნიშნულიც შემოდის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელი ხაზზე (15-05), რის შემდეგადაც სათანადო რეაგირებისთვის ხდება გადამისამართება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში. სოციალური მუშაკი - აფასებს შემთხვევას, შეიმუშავებს ინდივიდუალური განვითარების გეგმას, რომელიც მტკიცდება მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონულ საბჭოზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ერთვება ფსიქოლოგი, რომელიც კონსულტირებას უწევს ბავშვს/ოჯახს.

2014 წლიდან 2015 წლის თებერვლის თვის ჩათვლით, ძალადობის ეჭვის/ფაქტის შესახებ სამინისტროს ცხელ ხაზზე შემოსულია 26 შეტყობინება.

13.2.3.3. ქუჩაში მომუშავე და მცხოვრები ბავშვების მომსახურებების განვითარება.

,,სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის №291 დადგენილებით ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვებისთვის განსაზღვრულია და ფუნქციონირებს შემდეგი მომსახურებები:

2 დღის ცენტრი და მასთან არსებული 2 კრიზისული ინტერვენციის თავშესაფარი, რომელიც ქუჩაში მცხოვრებ და/ან მომუშავე ბავშვებს საშუალებას აძლევს დაიკმაყოფილონ საბაზისო მოთხოვნილებები (საკვები, ჰიგიენა და სხვ.) და სთავაზობს მათ ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას და სასიცოცხლო უნარ-ჩვევების შეძენას, ასევე, არაფორმალური განათლების პროგრამაში ჩართვას (ხელსაქმე, სპორტული აქტივობები და სხვა), რომლის მიზანია ბავშვების რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია ოჯახში/საზოგადოებაში;

მომსახურების მიმწოდებლები არიან: საქართველოს კარიტასი (მის.: ქ. თბილისი, მანჯგალაძის ქ.N 53), ,,World Vision International საქართველო“ (მის.: ქ. თბილისი, ჩიქობავას ქ.N29).

აღნიშნული მომსახურებით 2015 წლის თებერვლის თვის ჩათვლით ისარგებლა 127 ბავშვმა.

2 ტრანზიტული მომსახურება (ქ. თბილისსა და ქ. რუსთავში), რომელიც წარმოადგენს 24-საათიან გრძელვადიან მომსახურებას, რომელიც ქუჩაში მცხოვრებ და/ან მომუშავე ბავშვებს სთავაზობს ინდივიდუალურ მიდგომას, შესაძლებლობების ინტენსიურ განვითარებას და ამზადებს მათ ზრუნვის გრძელვადიან ფორმებში - მინდობით აღზრდა ან მცირე ზომის საოჯახო სახლი განთავსებისთვის. გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია განხორციელდეს ბავშვის რეინტეგრაციაც, თუკი ამისათვის ბიოლოგიურ ოჯახს აქვს კეთილსაიმედო და უსაფრთხო გარემო. აღნიშნული მომსახურების მომწოდებლები არიან: ა(ა)იპ „ბავშვი და გარემო“ (მის.: ქ. თბილისი, აბასთუმნის ქ.N4) და ა(ა)იპ „საქართველოს კარიტასი“ (მის.: ქ. რუსთავი, ფალიაშვილის ქ. N18).

აღნიშნული მომსახურებით 2015 წლის თებერვლის თვის ჩათვლით ისარგებლა 17 ბავშვმა.

2013 წლის აგვისტოდან, ქ. თბილისში მუშაობს სამი მობილური ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედის: ერთი უფროსი სოციალური მუშაკი, ერთი ფსიქოლოგი, ერთი თანასწორგანმანათლებელი და ერთი ადმინისტრაციული თანამშრომელი/მძღოლი. სამი მობილური ჯგუფის თანამშრომლები გადამზადებულები არიან სპეციალური, 30 დღიანი მრავალმოდულიანი სატრენინგო პროგრამით. მობილურ ჯგუფებს აქვთ გაწერილი სამუშაო აღწერილობა, ყოველდღიურად დაგეგმილი აქტივობები – კონკრეტული გეგმითა და მიმართულებებით, როგორიცაა შემთხვევის მართვა – ბავშვის არაფორმალურ განათლება, მისი მოზიდვა და მომზადება დღის ცენტრის მომსახურებაში გადაყვანისთვის. პარალელურ რეჟიმში ჯგუფის პროფესიონალების მიერ მიმდინარეობს ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებთან მუშაობა, მათთვის სოციალური დახმარების, საქართველოს მოქალაქეობის მიღებისა თუ პირადი დოკუმენტების აღდგენა/მოწესრიგების პროცესის წარმართვა, ბავშვების საგანმანათლებლო პროცესში - საჯარო სკოლაში და ბაღში ჩარიცხვა.

მობილური ჯგუფების მიერ მომსახურება გაეწია 380 ბავშვს.

სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტში გათვალისწინებულია ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების მომსახურების გაფართოება ქ. ქუთაისში, სადაც მიმდინარე წელს ამოქმედდება ერთი მობილური ჯგუფი და ერთი დღის ცენტრი და მასთან არსებული კრიზისული ინტერვენციის თავშესაფარი. მომსახურების პოტენციური მიმწოდებელია - ,,World Vision International საქართველო“).

სახელმწიფო სოციალური პროგრამის პროექტში ,,მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამისთვის“ განსაზღვრულია 730 080 ლარი.

მითითებულ მომსახურებისათვის ერთ ბენეფიციარზე გათვალისწინებული ვაუჩერული დაფინანსება შეადგენს:

ა) დღის ცენტრის მომსახურების შემთხვევაში - 9 ლარს;
ბ) კრიზისული ინტერვენციის თავშესაფრის მომსახურების შემთხვევაში – 20 ლარს;
გ) ტრანზიტული ცენტრის მომსახურების შემთხვევაში - 20 ლარს.

სახელმწიფო სოციალური პროგრამაში განსაზღვრული მომსახურებები (დღის ცენტრი და მასთან არსებული კრიზისული ინტერვენციის თავშესაფარი, ტრანზიტული ცენტრი) ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვებისთვის არის ხელმისაწვდომი, მიუხედავად პირადი დოკუმენტაციის არსებობისა.

13.2.3.5. შშმ ბავშვთა ადრეული განვითარებისა და დღის ცენტრების მომსახურების გაფართოება.

2014 წელს გაფართოვდა შშმ ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიწოდების არეალი და აღნიშნული მომსახურების მიღება შესაძლებელია ქ. გორში. გაიზარდა შშმ ბავშვთა დღის ცენტრის მომსახურების მიმღებ ბავშვთა რაოდენობა 49 ერთეულით.

13.2.3.6. შშმ ბავშვთა შინ მოვლის მომსახურების დანერგვა.

2015 წელს მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების ჩამორჩენის მქონე ბავშვებისთვის შინ მოვლის პროგრამა შეიქმნება. შინ მოვლის მომსახურებას უზრუნველყოფს მულტიდისციპლინური გუნდი - ოკუპაციური თერაპევტი, ფსიქოლოგი, პედიატრი, განვითარების სპეციალისტი, მეტყველების თერაპევტი, სოციალური მუშაკი და მომვლელი. მულტიდისციპლინური გუნდი საწყის ეტაპზე იფუნქციონირებს ქალაქ თბილისში. პროგრამა გამიზნულია მძიმე და ღრმა ინტელექტუალური და მძიმე ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 7-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის. პროგრამის მოსამზადებლად, დონორთა დახმარებით განხორციელდება სპეციალისტების გადამზადება, ხოლო პროგრამა 2015 წლის სექტემბრიდან დაიწყება.

13.2.4. ინფორმაციული მართვის სისტემის გაუმჯობესება.

13.2.4.1. სხვადასხვა სახის მომსახურების ბენეფიციართა მონაცემთა ბაზის შემუშავება.

13.2.4.2. ქვეყანაში არსებული ბავშვთა მომსახურებების ბაზის ფორმირება და სისტემატური განახლება.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში, შემუშავებულია ბაზის პროექტის სახე, კერძოდ, ბავშვზე ზრუნვის სფეროს სხვადასხვა მიმართულების გათვალისწინებით ინფორმაციის წარმოება, კერძოდ: შვილად აყვანის მსურველ პირთა და გასაშვილებელი სტატუსის მქონე ბავშვთა რეესტრები; მინდობითი აღზრდისა და მიმღები ოჯახების რეესტრები; ძალადობაზე მომართვის აღრიცხვის ფორმა; მცირე საოჯახო ტიპის სახლებსა და მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვების შესახებ ინფორმაცია, მეურვეობა/მზრუნველობაში განთავსებული ბავშვების მონაცემები და სხვა.

13.2.4.3. მობილური სარეგისტრაციო ცენტრების განვითარება მოწყვლადი, მათ შორის ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების რეგისტრაციისთვის.

შემუშავებულია მაძიებლის ანკეტის სტანდარტული ფორმა, რომლის საფუძველზე სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირის (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფროსი სოციალური მუშაკი) მიერ ხორციელდება ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ,,მიუსაფარ ბავშვად“ იდენტიფიცირება. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების რეგისტრაციის პროცედურების განსაზღვრისა და მათთვის სპეციალური სტატუსის შექმნის შესახებ, რომელშიც ჩართულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. აღნიშნულის განხორციელებას მხარს უჭერს გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF). სამუშაო ჯგუფის ფარგლებში შეიქმნა საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი. აღნიშნული პაკეტით ცვლილებებია გათვალისწინებულია შემდეგ საკანონმდებლო აქტებში:

- საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“;

- საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება;
- საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“;
- კანონში „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“;
- ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესახებ“ მთავრობის დადგენილების პროექტი.

13.2.5. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება.

13.2.5.1.საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიის შემუშავება და განხორციელება შემდეგ თემებზე: შშმ ბავშვებისადმი დამოკიდებულების გაუმჯობესება, ბავშვთა მიმართ და ბავშვთა შორის ძალადობის აღმოფხვრა, ქუჩაში მომუშავე და მცხოვრები ბავშვების მიმართ დამოკიდებულების ცვლილება და სხვა.

ევროკავშირის (EU) მიერ დაფინანსებული პროექტის „ვიზრუნოთ ყველაზე დაუცველ ბავშვებზე - ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვები“ ფარგლებში საზოგადოების ინფორმირებულობისა და ცნობიერების დონის ამაღლების მიზნით განხორციელდა შემდეგი სახის აქტივობები: სოციალური რეკლამები, სამუშაო სემინარები/დისკუსიები სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებთან, ჩატარდა პრესკონფერენცია ,,ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების” თემატიკაზე.

გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) დახმარებითა და ევროკავშირის (EU) ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა ვიდეო-რგოლი (http://unicef.ge/video/112), რომელიც ამჟამად გადის საზოგადოებრივ მაუწყებელზე და ტაბულაზე. უახლოეს მომავალში დაგეგმილია ვიდეო-რგოლის თარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

2015 წლის გაზაფხულზე დაგეგმილია მედია-სემინარის ჩატარება ქ. ქუთაისში.

13.2.5.2. სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში სასწავლო პროგრამებში ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხების ინტეგრირება, სპეციალური არაფორმალური საგანმანათლებო პროგრამის ხელმისაწვდომობა.

ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხები გათვალისწინებულია 2011-2016 წლების ეროვნულ სასწავლო გეგმაში, კერძოდ, საზოგადოებრივი მეცნიერებების ბლოკის საგნობრივ პროგრამაში, რომელიც აერთიანებს რამდენიმე მომიჯნავე საგანს: ისტორიას, გეოგრაფიას, სამოქალაქო განათლებას, სამოქალაქო თავდაცვასა და უსაფრთხოებას. ისინი ხელს უწყობს ინფორმირებული, აქტიური და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის აღზრდას, განაპირობებს მის ჰუმანურ ადამიანად ჩამოყალიბებას. ამასთან, აღნიშნული საგნების სწავლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლისათვის სამოქალაქო კომპეტენციების შემუშავებისა და საზოგადოებაში სამოქალაქო კულტურის დამკვიდრებისათვის. ისინი მოსწავლეს საშუალებას აძლევენ, გაიაზროს ადამიანის/ბავშვთა უფლებების მნიშვნელობა და მათი დაცვისთვის განახორციელოს კონკრეტული ქმედება; ზოგადი განათლების სამივე

საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო სკოლა) ეს საგნები ისწავლება კოორდინირებულად, მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

13.3. ბავშვთა სიღარიბის აღმოფხვრა

13.3.1. ბავშვთა სოციალური დაცვის სისტემის გაუმჯობესება.

13.3.1.1. მიზნობრივი სოციალური დაცვის სისტემის სრულყოფა ბავშვთა საჭიროებების უკეთ ასახვისათვის.

2013 წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და გაეროს ბავშვთა ფონდს (UNICEF) შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი - ,,მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის დახვეწისა და სოციალური დაცვის სისტემის უფრო მეტად ბავშვზე ორიენტირების შესახებ“ მემორანდუმში მონაწილე მხარეებმა ერთობლივად დაიწყეს მუშაობა სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების, მეთოდოლოგიისა და ადმინისტრირების სქემის გადახედვა/დახვეწის მიმართულებით, რათა სოციალური დახმარების პროგრამა უკეთ ასახავდეს ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებებს. 2014 წელს, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით, საქსტატის მიერ უკვე განხორციელდა საველე სამუშაოები, რომლის ანალიზის საფუძველზე ექსპერტების დახმარებით განხორციელდა სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ახალი მეთოდოლოგიის (ფორმულის) შემუშავება. 2014 წლის 31 დეკემბერს, საქართველოს მთავრობის №758 დადგენილებით - ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ დამტკიცდა ახალი მეთოდოლოგია, რომელიც ძალაში შევა 2015 წლის 1 აპრილიდან. ამჟამად ახალი მეთოდოლოგია სატესტო რეჟიმშია. ახალი მეთოდოლოგია ორიენტირებულია ოჯახების შემოსავლებზე (ან შემოსავლის მომტან ქონებაზე) და არა ხარჯებზე, შესაბამისად, საარსებო შემწეობის მიმღები შეიძლება გახდეს ოჯახი, რომელსაც არ აქვს შემოსავალი ან შემოსავლის მომტანი რაიმე სახის ქონება. მაგალითად, დამატებითი ბინა, სახნავ-სათესი სავარგულები, ავტომობილი. მნიშვნელოვანია, რომ საყოფაცხოვრებო ნივთები (მაცივარი, სარეცხი მანქანა, გაზქურა, წყლის გამათბობელი, კონდიციონერი, ტელევიზორი,) სარეიტინგო ქულაზე გავლენას არ მოახდენს. ქულის განსაზღვრისას, მხედველობაში აღარ მიიღება სოციალური აგენტის სუბიექტური შეფასება, ამასთან, მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია თავად ოჯახის საჭიროებები, ოჯახის წევრთა სპეციალური სტატუსი (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ქრონიკული დაავადების მქონე პირი, არასრულწლოვანი, პენსიონერი და ა.შ.). ასევე, ახალი მეთოდოლოგია ითვალისწინებს კონკრეტულად ბავშვისთვის განკუთვნილ დახმარებას, 10 ლარის ოდენობით თითოეულ ბავშვზე, 100 000 სარეიტინგო ქულის ქვემოთ.

ამასთან, 2014 წლის 1 ივნისიდან დაიწყო „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა“, რომლის მიხედვით, საქართველოში

დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, იმ რეგიონებში, სადაც წინა წლებში არ დაფიქსირებულა წლიური საშუალო ბუნებრივი მატება, ყოველ ახალშობილ რიგით მესამე ან შემდეგ ბავშვზე ოჯახს დაენიშნება ყოველთვიური ფულადი დახმარება მაღალმთიან რეგიონში მცხოვრებთათვის - 200 ლარის ოდენობით, ხოლო სხვა რეგიონებისთვის - 150 ლარის ოდენობით. აღნიშნული ფულადი დახმარება ოჯახს მიეცემა ბავშვის 2 წლის ასაკამდე. აღნიშნული პროგრამა 2014 წელს შეეხება შემდეგ რეგიონებს: გურიას, იმერეთს, კახეთს, მცხეთა-მთიანეთს, სამეგრელო-ზემო სვანეთს და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთს.

13.4. ბავშვთა ჯანმრთელობის უფლების ხელშეწყობა

13.4.1. დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება პერინატალური სერვისების ხარისხის გაუმჯობესებით.

13.4.1.1. დაბადებისა და გარდაცვალების რეგისტრაციის სისტემის განახლება და დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მართვის საინფორმაციო სისტემის გაუმჯობესება.

2013 წლის თებერვალში შეიქმნა დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემსწავლელი ინტერსექტორული საბჭო. დედათა და 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა დაექვემდებარა აქტიურ ზედამხედველობას. გარდაცვალების მიზეზების დადგენის მიზნით მიმდინარეობს გარდაცვლილ დედათა ფორმა NIV066 და ფორმა NIV-025 შესწავლა ვერბალური აუტოფსიის მეთოდით. მიმდინარეობს მუშაობა დაწესებულებების დონეზე ახალი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ფორმებზე. ასევე, შემუშავებულია დაბადებისა და გარდაცვალების რეგისტრაციის სისტემის მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტის პროექტის სამუშაო ვერსია. მიმდინარებს მუშაობა ახალი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ფორმის შემუშავებაზე და სისტემაში ინტეგრირებაზე.

დაბადებისა და რეგისტრაციის სისტემის გაუმჯობესების შედეგად, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF), ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკისა და გაეროს ბავშვთა სიკვდილიანობის ანგარიშში (IGME) წელს პირველად იქნა გამოყენებული საქართველოს რუტინული სტატისტიკური მონაცემები და საქართველო ამ მხრივ პირველი ქვეყანაა პოსტ-საბჭოთა სივრცეში.

13.4.1.2. ქვეყნის მასშტაბით სამშობიარო სახლების დონეებად დაყოფა და ამ დონეებს შორის დედათა და ახალშობილთა ტრანსფერისათვის ახალი პროტოკოლების შემუშავება და დანერგვა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 4 აგვისტოს N01-33/ნ ბრძანებაში „სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთათვის პასპორტიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ შეტანილი ცვლილებით (17.11.2014 N01-79/ნ) შესაძლებელი გახდა პერინატალური სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებების საპასპორტო მონაცემების სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდის (www.moh.gov.ge)

ელექტრონული ჯანდაცვის საინფორმაციო პორტალზე, პასპორტიზაციის მოდულში განთავსება სპეციალური ფორმების მიხედვით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 15 იანვრის N01-2/ნ ბრძანებით დამტკიცდა პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის დონეები და პაციენტის რეფერალის კრიტერიუმები. ხოლო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 20 იანვრის N01-12/ო ბრძანებით დამტკიცდა პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის დონეების შეფასებისა და პილოტური პროექტის განხორციელების საკოორდინაციო ჯგუფის შემადგენლობა და განისაზღვრა მისი მოვალეობები.

2015 წლის განმავლობაში განხორციელდება პერინატალური სერვისების რეგიონალიზაციის პილოტური პროექტი იმერეთის. რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონებში. პროექტი ხორციელდება USAID-ის პროგრამა ,,შენარჩუნების“ მხარდაჭერით. ამ ეტაპზე სრულდება დაწესებულებების პასპორტიზაციის მონაცემების გადამოწმება/შეფასების პროცესი მათთვის რეგიონალიზაციის დონის მინიჭების მიზნით. შემდგომი 1 თვის განმავლობაში განხორციელდება ადამიანური რესურსის გადამზადება/ტრენირების პროგრამა პილოტურ რეგიონებში; ხოლო პერინატალური სისტემის რეგიონალიზაციისა და შესაბამისი რეფერალის სისტემის ამოქმედება პილოტურ რეგიონებში დაიწყება მიმდინარე წლის 1 მაისიდან. პროცესს კოორდინაციას უწევს პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის დონეების შეფასებისა და პილოტური პროექტის განხორციელების საკოორდინაციო ჯგუფი.

13.4.1.3. პერინატალური სერვისების აკრედიტაციის პროცესის მარეგულირებელი მექანიზმების შემუშავება და ნებაყოფლობითი აკრედიტაციის დანერგვა.

USAID-ის პროგრამა ,,შენარჩუნების“ ფარგლებში შემუშავდა პერინატალური სერვისების აკრედიტაციის სტანდარტები და მომზადნენ სპეციალისტები აკრედიტაციის პროცესის განხორციელებისათვის. პილოტურად სტანდარტების ტესტირება მოხდა 2 სამედიცინო დაწესებულებაში. საბაზისო სამუშაოები დასრულებულია, რაც იძლევა საშუალებას ნებაყოფლობითი აკრედიტაციის დაწყებისათვის.

ქვეყნის მასშტაბით დაიწყო ნებაყოფლობითი აკრედიტაციის პროცესი. მიმდინარეობს სამშობიარო სახლების მიერ საკუთარი სიმძლავრეების შეფასებისა და მათთვის შესაბამისი მოვლის დონის განსაზღვრის პროცესი.

13.4.1.4. ანტე და პერინატალური სერვისის მიმწოდებელთა გადამზადება და მათი პროფესიული განვითარების მექანიზმების შემუშავება.

2014 წლის თებერვალში დამტკიცდა განახლებული სარეზიდენტო პროგრამები საექიმო სპეციალობებში - „მეანობა-გინეკოლოგია“ და „ნეონატოლოგია“. შესაბამისად, 2014 წლიდან რეზიდენტთა ახალი ნაკადის მზადება დაიწყო ახალი სარეზიდენტო პროგრამების ფარგლებში. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით („საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი), უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია, თუმცა პერინატალური სერვისების აკრედიტაციის მექანიზმის ამოქმედება შექმნის წანამძღვრებს, ანტე და პერინატალურ სერვისებში ჩართული

პროფესიონალების უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემაში მონაწილეობისათვის. ამ ეტაპზე USAID-ის პროგრამა ,,შენარჩუნების" ფარგლებში გადამზადებულია პერინატალურ სერვისებში ჩართული 180 ნეონატოლოგი და მეან-გინეკოლოგი.

13.4.2. პირველადი ჯანდაცვის რგოლში ბავშვთა ჯანმრთელობის სერვისების ხარისხის გაუმჯობესება.

13.4.2.1. პირველადი ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებელთა შესაძლებლობების გაძლიერება 0-6 წლამდე ბავშვთა ზრდისა და განვითარების მონიტორინგის კუთხით.

დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს 0-იდან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა განვითარების შეფერხების სკრინინგი – მაღალი რისკის და დღენაკლულ ბავშვთა გლობალური განვითარების შეფასება, სპეციალური კითხვარების და სკრინინგტესტების გამოყენებით, განვითარების და ქცევის პრობლემების მქონე პაციენტთა ადრეული იდენტიფიკაცია და სკოლისათვის მზადყოფნის შეფასება. პროგრამა ითვალისწინებს ჯანდაცვის პირველადი რგოლიდან გამოგზავნილ და თვითდინებით მისულ 0-6 წლამდე ასაკის ბავშვთა განვითარების შეფასებას, ჩაღრმავებულ კვლევას და მშობლის კონსულტაციას ბავშვის განვითარების ხელშეწყობის, მოვლის, კვების საკითხების შესახებ, ხოლო სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის – სკოლისათვის მზადყოფნის შეფასებას, დღენაკლული ბავშვებისათვის – ორჯერად სკრინინგს განვითარების შეფერხების შესახებ.

გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ხელშეწყობით შემუშავდა 0-3 წლამდე ასაკის ბავშვთა ზრდისა და განვითარების მეთვალყურეობის ინსტრუმენტები და მონიტორინგის სისტემა. 2014 წლის დეკემბრიდან პილოტურ რეგიონებში (იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი) გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) დახმარებით დაიწყო ექთნების გადამზადების პროცესი. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში პირველად ხორციელდება დისტანციური სწავლების მეთოდის გამოყენება. კერძოდ, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) თბილისის ოფისი აღებულია, როგორც სათაო დაწესებულება საიდანაც ხდება ლექციების ტრანსლირება სხვადასხვა რაიონებში (რაიონული მუნიციპალიტეტების დახმარებით ხდება ექთნების მობილიზაცია, მათი თავმოყრა სპეციალურად ორგანიზებულ საკლასო ოთახებში).

გაეროს ბავშვთა ფონდის ხელშეწყობით (UNICEF) იგეგმება ბინაზე ვიზიტების მოდელის პილოტირება 3 წლამდე ასაკის ბავშვებში განვითარების შეფერხების ადრეული გამოვლენის და მათი შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში დროული გადამისამართების უზრუნველსაყოფად.

13.4.2.2. ბავშვებში ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სერვისების განვითარების ხელშეწყობა.

დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის სახელმწიფო პროგრამის კომპონენტი 1-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენცია, ადრეული დიაგნოსტიკა და გონებრივი ჩამორჩენილობის პროფილაქტიკა მოიცავს ბავშვის მსხვილი და ნატიფი მოტორიკის, ექსპრესიული და

რეცეპტული მეტყველების, კომუნიკაციის, შემეცნებითი უნარების, თვითმომსახურების სფეროების შეფასებას, ბავშვის ფსიქიკური განვითარების ასაკობრივ ნორმასთან შესაბამისობის დადგენას, დიაგნოსტირებულ ბავშვებში ინტერვენციისა და განვითარების ინდივიდუალური გეგმების შემუშავებას.

მომზადდა და დამტკიცდა ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო კონცეფცია. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №762 დადგენილებით დამტკიცდა ,ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი და 2015-2020 წლის სამოქმედო გეგმა.“

13.4.3. აივ-ინფექცია/ შიდსის პრევენციული სერვისების გაუმჯობესება.

13.4.3.1. აივ-ინფექცია/შიდსის საკითხების ინტეგრირებას სკოლის სასწავლო პროგრამაში და მასწავლებლების აღჭურვა შესაბამისი დამხმარე სახელმძღვანელოებითა და ცოდნით ეროვნულ დონეზე.

გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით ახორციელებს პროექტს „ჩემი უფლებები“, რომლის ფარგლებში ქ. თბილისისა და კახეთის სკოლებში ჩატარდა სწავლებები რეპროდუქციული ჯანმრთელობის, ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის პრინციპების, აივ-შიდსისა და სქესობრივად გადამდები დაავადებების საკითხებზე. გაეროს მოსახლეობის ფონდის პროექტის „თანასწორთა განათლება“ ფარგლებში ქ. ანაკლიაში ახალგაზრდულ ბანაკებში გადამზადდა 2000-მდე ახალგაზრდა აივ-შიდსისა და სქესობრივად გადამდები დაავადებების საკითხებზე.

2011-2016 წწ. ეროვნული სასწავლო გეგმის (საგნობრივი სტანდარტის) მიხედვით ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები გათვალისწინებულია რამდენიმე საგნის პროგრამით. ეს საგნებია: 1. ბუნებისმეტყველება

(I-დან-მე-VI კლასის ჩათვლით), 2. ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხურზე), 3. სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხურზე), 4. ფიზიკური განათლება და სპორტი (1-დან - მე-XII კლასის ჩათვლით). საგნობრივი სტანდარტის საფუძველზე შექმნილია სახელმძღვანელოები, მასწავლებლები ვალდებულნი არიან სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად მიაწოდონ ცოდნა და გამოუმუშაონ უნარ-ჩვევები მოსწავლეებს. ნებისმიერი საგნის სტანდარტი შეიცავს: 1. შედეგებს (რომლებსაც უნდა მიაღწიოს მოსწავლემ წლის ბოლოსთვის), 2. ინდიკატორებს (რომლებიც ამოწმებს შედეგების მიღწევის პროცესს) და სარეკომენდაციო საკითხთა ჩამონათვალს.

მასწავლებელთა პროფესიულ განვითარების ეროვნულ ცენტრში, აივ-ინფექცია/შიდსის საკითხებში მასწავლებელთა გადამზადების კუთხით განხორციელდა შემდეგი ქმედებები:

- ✓ ბიოლოგიის გრძელვადიანი გადამზადების კურსის ანატომიის მოდულში მნიშვნელოვანი წილი აქვს ცხოვრების ჯანსაღი წესი და უსაფრთხოების“-ის საკითხებს;

- ✓ 2014 წელს საქართველოში აივ პრევენციის პროექტის ფარგლებში მოხდა ბიოლოგიის საგნობრივი ტრენერების და მენტორ მასწავლებლების გადამზადება (სულ 20 ადამიანი). აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული "საქართველოში აივ პრევენციის პროექტის" მიზანია მაღალი რისკის ჯგუფებში აივ პრევენციის ღონისძიებების განხორციელება. პროექტი დაიწყო 2010 წლის 4 თებერვალს და დასრულდა 2014 წლის დეკემბერში;
- ✓ ანატომიის მოდულის ფარგლებში გადამზადებულია 100 მოქმედი პედაგოგი;
- ✓ ინტერნეტჟურნალ „mastsavlebeli.ge" ვებგვერდზე განთავსებულია დამხმარე სახელმძღვანელო ბიოლოგიისა და სპორტის მასწავლებლებისთვის-ცხოვრების ჯანსაღი წესი და უსაფრთხო ქცევა.

13.4.3.2. მაღალი რისკის მქონე მოზარდებში აივ-ინფექცია შიდსის პრევენციის სერვისების მიწოდების საკითხებში არასამთავრობო სექტორის როლის გაძლიერება და რეგულირების ბარიერების მოხსნა.

მაღალი რისკის ჯგუფის მოზარდებში აივ ტესტირების სერვისებით მოცვის გაზრდის მიზნით, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ განხორციელდა ხუთი არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომელთა სწავლება ტესტირების და კონსულტირების ტექნიკის საკითხებში. 195 ახალგაზრდა თანასწორთა განმანათლებელი მომზადდა აივ/შიდსის პრევენციის საკითხებში.

გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ შემუშავდა ინტეგრირებული კომპიუტერზე ადაპტირებული ტრენინგის ინსტრუმენტი (იკატი) "აივ კონსულტირება და ტესტირება მოზარდებსა და ახალგაზრდებში" სამედიცინო პერსონალისათვის, რომლებიც ჩართული არიან მოზარდებისა და ახალგაზრდების აივ ტესტირებასა და კონსულტირების სერვისის მიწოდებაში, რომელიც აიტვირთა დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე.

5035 ახალგაზრდას ჩაუტარდა ტესტირება და კონსულტირება აივ-ინფექციის შესახებ 5 არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ხუთ ქალაქში: თბილისი, ბათუმი, ზუგდიდი, რუსთავი და თელავი.

საკანონმდებლო ბარიერების აღმოფხვრის მიზნით, რომლებიც აფერხებენ მოზარდებში აივ ტესტირების ჩატარებას, ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა საკანონმდებლო სფეროს გადახედვა, რის შედეგადაც რეკომენდებულ იქნა რომ შემცირდეს მოზარდის ასაკი, რომლის დროსაც მას შეეძლება აივ ტესტირების ჩატარება მშობლის ნებართვის გარეშე. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონში პაციენტის უფლებების შესახებ.

13.5. ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება

13.5.1. მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ ბავშვებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის დახვეწა. (კანონთან კონფლიქტში მყოფი, მოწმე და დაზარალებული, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ბავშვები)

13.5.1.1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღება/ამოქმედება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) და ევროკავშირის (EU) მხარდაჭერით, მუშაობა დაიწყო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შემუშავებაზე. იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებით შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მოამზადა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პირველადი პროექტი.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ადგენს არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისა და არასრულწლოვნის მონაწილეობით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების, სისხლის სამართლის პროცესის თავისებურებებს, სასჯელისა და სხვა ზომების აღსრულების სპეციალურ წესებს. ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებზე არასრულწლოვნებისთვის სპეციალური წესების გათვალისწინება საერთაშორისო სტანდარტია, რომელსაც მიმართავენ ქვეყნები, სადაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე წარმოება გამოყოფილია სისხლის სამართალწარმოებისგან.

კანონპროექტის ძირითადი არსი მდგომარეობს გადაწყვეტილების მიღებისას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებისა და ინდივიდუალური მიდგომის უპირველეს გათვალისწინებაში, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიული ზომებისათვის უპირატესობის მინიჭებაში, არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლის მიერ ფართო უფლებამოსილების განხორციელებაში, სასამართლო პროცესში არასრულწლოვნის მონაწილეობისას მისი უფლებების დაცვის, მშობლების და სხვა ახლო ნათესავების მონაწილეობის და პატიმრობის გაუმჯობესებული პირობების უზრუნველყოფაში. კანონპროექტი არასრულწლოვნის განსაკუთრებული ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით აყალიბებს სპეციფიკურ მიდგომას მის მიმართ და ორიენტირებულია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე. შესაბამისად, ყველა შესაძლო შემთხვევაში ხაზგასმულია, რომ უპირველეს ყოვლისა მხედველობაში მიიღება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები.

კანონპროექტის თანახმად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესს ახორციელებენ მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პირები. სპეციალიზაცია სავალდებულო მოთხოვნაა ყველა იმ პირისთვის, რომელიც მუშაობს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთან, მოწმე და დაზარალებულ არასრულწლოვანთან.

საქართველოს მთავრობის ა/წ 12 მარტის სხდომაზე მოწონებულ იქნა არასრულწლოვანთა მართმსაჯულების კოდექსის პროექტი და პირველი მოსმენით მიღებულ იქნა საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტებზე.

13.5.2. მართლმსაჯულების სისტემის ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება.

13.5.2.3. სპეციალიზირებულ პროფესიონალთა შესაძლებლობების გაძლიერება.

შსს აკადემიის საბაზისო სავალდებულო კურსი ითვალისწინებს გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) და შსს–ს ერთობლივი თანამშრომლობის ფარგლებში შემუშავებული/დანერგილი „არასრულწლოვანთა დაკითხვის მეთოდის სწავლებას“. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველსაყოფად შემუშავდა ერთ კვირიანი - „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი პირების სპეციალური მომზადების პროგრამა“. ამ კანონის ამოქმედებისთანავე მოხდება შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების გადამზადება.

საქართველოს მთავარი პროკურატურის ყველა ტერიტორიულ ერთეულში არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებზე განისაზღვრნენ სპეციალიზებული პროკურორები, რომლებიც გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) და ევროკავშირის (EU) მხარდაჭერით გადამზადდნენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში. ტრენინგი საქართველოს კანონმდებლობის გაცნობასთან ერთად, მოიცავდა საერთაშორისო სტანდარტებს, მოწმე და დაზარალებულ ბავშვებთან ურთიერთობის ფსიქოლოგიურ ასპექტებსა და დაკითხვის ტექნიკებს. 2014 წელს ამ მიმართულებით ტრენინგი გაიარა 34-მა პროკურორმა.

გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) და ევროკავშირის (EU) მხარდაჭერით განხორციელდა პროკურატურის სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელების გადამზადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.

არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის თემაზე განხორციელდა სამუშაო შეხვედრები საქართველოს პროკურატურის სხვადასხვა ტერიტორიული ორგანოებიდან წარმოდგენილი პროკურორებისათვის, სადაც, ასევე, განხილული იყო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ბავშვის ასაკობრივი განვითარების თავისებურებები და საერთაშორისო სტანდარტები. სამუშაო შეხვედრები საქართველოს პროკურატურისა და დანაშაულის პრევენციის ცენტრის თანამშრომლობის ფარგლებში, ევროკავშირისა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით განხორციელდა. 2014 წელს აღნიშნულ სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობდა 35 პროკურორი.

2014 წელს ასევე განხორციელდა ტრენინგი თემაზე - ტრეფიკინგი და არასრულწლოვანთა პორნოგრაფია - რომელიც აშშ-ს საელჩოსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით განხორციელდა. ტრენინგის ფარგლებში მოწვეული იყვნენ უცხოელი ექსპერტები და მასში 18 პროკურორი მონაწილეობდა.

არასრულწლოვანთა პროკურორებისთვის მომზადდა სპეციალური სახელმძღვანელო, რომელსაც პროკურორები არასრულწლოვნებთან ურთიერთობისას გამოიყენებენ.

სახელმძღვანელოს მიზანია დააწესოს განსხვავებული მიდგომები და სტანდარტები იმ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარებისას, რომლებშიც მონაწილეობას არასრულწლოვანი ბრალდებული, მოწმე და დაზარალებული იღებს.

შემუშავდა არასრულწლოვანთა დაკითხვის მეთოდოლოგია.

2014 წლის განმავლობაში, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, ქვეყნის მასშტაბით გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 30 ადვოკატი.

13.5.2.4. ბავშვზე ორიენტირებული მიდგომების დანერგვა მართლმსაჯულების სიტემაში.

აღნიშნული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია N 13.5.2.3 საქმიანობის ანგარიშში.

13.5.3. მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ ბავშვებთან დაკავშირებული საინფორმაციო ბაზა.

13.5.3.1. მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ ბავშვებთან დაკავშირებული სრულყოფილი მონაცემთა სისტემის შექმნა.

საქართველოს მთავარი პროკურატურის ანალიტიკური სამმართველო მიმდინარე რეჟიმში იღებს სტატისტიკურ ინფორმაციას არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე. აღნიშნული საკითხი 2014 წელს დარეგულირდა მთავარი პროკურორის ბრძანებით. მიღებული ინფორმაციის მოცულობა და სპეციფიკა იძლევა ამ კატეგორიის პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულების სხვადასხვა მიმართულებით გაანალიზების შესაძლებლობას.

საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში არსებობს ბავშვებთან დაკავშირებული მონაცემების ერთიანი ბაზა, სადაც სისტემურადაა ასახული დაწესებულებაში შესვლის დღიდან, თითოეული არასრულწლოვანთან დაკავშირებული მონაცემები. საჭიროებისას, აღნიშნული მონაცემები, სასჯელის პირობითი მსჯავრით შეცვლის შემთხვევაში გადაეცემა პრობაციის ეროვნულ სააგენტოს. თავის მხრივ, ამავე მონაცემების გაზიარება ხდება დანაშაულის პრევენციისა ცენტრთან, რათა ერთობლივი მუშაობით თავიდან იქნეს აცილებული კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მხრიდან დანაშაულის ხელახლა ჩადენა.

13.5.4. არასრულწლოვანთა მიერ სამართალდარღვევევის პრევენცია.

13.5.4.1. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის უწყებათაშორისი მექანიზმის გაძლიერება.

სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის ინიციატივით შემუშავების სტადიაშია არასრულწლოვანთა პრევენციის ეროვნული სამოქმედო გეგმა.

სამოქმედო გეგმის დამტკიცება იგეგმება 2015 წლის განმავლობაში. ასევე, იგეგმება არასრულწლოვანთა დანაშაული პრევენციის ინტერსექტორული მექანიზმის გაძლიერება და სტანდარტებისა და პროცედურების შემუშავება.

2014 წელს მოზარდებს შორის დანაშაულის პრევენციის და მათთვის სამართლებრივი შეგნების ამაღლების მიზნით:

- ✓ გაიმართა შეხვედრები სკოლის მოსწავლეებთან. საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, პროკურორები მთელი საქართველოს მასშტაბით დადიოდნენ სკოლებში და სკოლის მოსწავლეებს აწვდიდნენ ინფორმაციას დანაშაულის, მისი საშიშროებისა და დანაშაულისათვის დაწესებული სასჯელის შესახებ.
- ✓ დაიწყო პროექტი „იმიტირებული გამოძიება“, რომლის ფარგლებში პროკურატურის თანამშრომლებმა სკოლებში ბავშვებთან ერთად გამოიძიეს იმიტირებული სისხლის სამართლის საქმე - ჩაატარეს სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებები (შემთხვევის ადგილის დათვალიერება, მოწმეების დაკითხვა, ამოცნობა, ჩხრეკა, თითის ანაბეჭდების აღება და ასე შემდეგ). მოწმეების, დაზარალებულების, ექსპერტების, გამომძიებლებისა და პროკურორების როლს ასრულებდნენ სკოლის მოსწავლეები. აღნიშნული პროექტი 2014 წელს განხორციელდა ქუთაისში. 2015 წელს მისი განხორციელება იგეგმება საქართველოს ყველა რეგიონში.
- ✓ საქართველოს პროკურატურის ორგანიზებით საქართველოს მასშტაბით (სხვადასხვა რეგიონში) სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით ჩატარდა ,,იმიტირებული სასამართლო პროცესები“;
- ✓ საქართველოს პროკურატურის ორგანიზებით საქართველოს მასშტაბით (სხვადასხვა რეგიონში) სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით ჩატარდა სპორტული აქტივობები (ტურნირები სპორტის სხვადასხვა სახეობაში), რომლის ფარგლებში სკოლის მოსწავლეებს მიეწოდებოდათ ინფორმაცია პროკურატურის საქმიანობისა და სპეციფიკის შესახებ;
- ✓ პროკურატურის ორგანოები (სხვადასხვა რეგიონში) მასპინძლობდნენ სკოლის მოსწავლეებს, ათვალიერებინებდნენ პროკურატურის ოფისებს და აცნობდნენ პროკურორის მუშაობის სპეციფიკას.

13.5.5. მართლმსაჯულების ლიბერალური პრინციპების გაძლიერება.

13.5.5.1. განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გაძლიერება.

საქართველოს მთავარი პროკურატურის აქტიური მონაწილეობით იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის №216 ბრძანება ,,განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისთვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე“ სრულ შესაბამისობაში მოვიდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან და მასში განხორციელდა ასევე სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ცვლილებების თანახმად, განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გავრცელება შესაძლებელი გახდა იმ არასრულწლოვნების მიმართაც, რომლებმაც ჩაიდინეს მძიმე კატეგორიის დანაშაული. ამასთან, პროცესში მონაწილე მხარეებისთვის

(პროკურორის, მედიატორის, სოციალური მუშაკისთვის) განისაზღვრა განრიდების ეტაპების კონკრეტული ვადები, რაც გამორიცხავს არასრულწლოვანის მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის გაჭიანურებას. ასევე, იმ სისხლის სამართლის საქმეში, რომელშიც პირს მინიჭებული აქვს დაზარალებულის სტატუსი, სავალდებულო გახდა მედიატორის ჩართვა პროკურორის მიერ განრიდების შესახებ პირველადი გადაწყვეტილების მიღებისთანავე. შესაბამისად, მედიატორზე გადავიდა დაზარალებულთან მუშაობის ძირითადი ტვირთი და მედიაციის პროცესში ჩართვაზე მისგან თანხმობის ან უარის მიღების ფუნქცია.

Unicef-თან თანამშრომლობით ჩატარდა არასრულწლოვანთა განრიდების პროგრამის კვლევა. კვლევის პირველადი შედეგები საფუძვლად დაედო პროკურორთა გადამზადებას და 2015 წლისთვის ამ მიმართულებით განსახორციელებელი აქტივობების დაგეგმვას.

2014 წლის განმავლობაში სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას განერიდა დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანთა 40%.

13.5.5.2. კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისთვის მომსახურების მიწოდების სტანდარტების დამტკიცება.

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საბჭომ 2014 წლის 8 ივლისის სხდომაზე დაამტკიცა სტანდარტები, ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო მომსახურებების მიმწოდებელთათვის, რომლებიც მუშაობენ კანონთან კონფლიქტში მყოფ ან დევიაციური ქცევის მქონე მოზარდებთან.

აღნიშნულ საკითხზე მუშაობა მიმდინარეობდა სამუშაო ჯგუფის ფორმატში, რომელშიც ერთიანდებიან სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის, სსიპ პრობაციის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური ცენტრის, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის და გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლები.

13.5.5.3. ინდივიდუალური მიდგომის, სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის და პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის გაძლიერება.

სასჯელაღსრულების სისტემაში დაინერგა, არასრულწლოვანთათვის სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის მექანიზმი. შექმნილია ინდივიდუალური შეფასებები, მონიტორინგისა და რისკის შეფასების ინსტრუმენტები. ჩამოყალიბდა, სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის სქემის სამოქმედო ფორმატები. ახალი მიდგომების წარმატებით განხორციელების მიზნით, თითოეული თანამშრომლისათვის ნორმატიულ დონეზე, ახლებური ფუნქციონალური უფლება-მოვალეობები გაიწერა და საქმის წარმოების ახალი სისტემა ჩამოყალიბდა.

კონცეფციის ფარგლებში, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების პერსონალში, ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების რიცხვი გაიზარდა. მოხდა მათი ახალ მიდგომებზე მორგებული, ახლებურად შემუშავებული ტრენინგ მოდულების შესაბამისად გადამზადება.

მოცემულ ეტაპზე, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში, ყველა მსჯავრდებულის მიმართ მიმდინარეობს სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა, რომლის მიზანია მოზარდისათვის რისკების შემცირება და მისი რესოციალიზაცია. პილოტირებულია ინდივიდუალური მიდგომები.

სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მიზნობრივად განხორციელებისათვის, ხდება მოზარდის ჩართვა სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, სარეაბილიტაციო და სპორტულ ღონისძიებებში.

პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის გაძლიერების მიზნით, ეფექტურად მუშაობს არასრულწლოვანთა ადგილობრივი საბჭო, უმეტეს შემთხვევებში, ხდება ზეპირი მოსმენით სხდომების ჩატარება, რაც პროცესის გამჭვირვალობასა და ნდობის მოპოვებას უწყობს ხელს. შემუშავებულია არასრულწლოვანთა ადგილობრივი საბჭოს დებულება და სისტემის შიგნით მიმდინარეობს მისი გადახედვის პროცესი.

რისკებისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდოლოგიის და შესაბამისი ინსტრუმენტების პრაქტიკულ გამოყენებაზე სასჯელაღსრულების სისტემაში ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი, რომელშიც 27 ტრენერი მონაწილეობდა.

არასრულწლოვან ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან მომუშავე სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგებისათვის ჩატარდა მომზადება V ეტაპად:

- ✓ არტ თერაპია - 22 მონაწილე;
- ✓ ,,სასიცოცხლო უნარების გაუმჯობესება, პროფორიენტაცია და დასაქმებისთვის მომზადება" - 19 მონაწილე;
- ✓ ,,ინდივიდუალური მუშაობის პროექციული და დიაგნოსტიკური მეთოდები" - 21 მონაწილე;
- ✓ ბულინგი, ბულინგის პრევენცია - 23 მონაწილე;
- ✓ ჯგუფური მუშაობის ეტაპები - 20 მონაწილე;

ტრეინინგი „ძალადობრივი ქცევისა და დამოკიდებულებების მოდიფიკაცია“ - 10 მონაწილე.

13.6. ხარისხიანი და ინკლუზიური განათლება ყველა ბავშვისათვის

13.6.1.ადრეული ასაკის სწავლებისა და სკოლამდელი განათლების მაჩვენებლების გაზრდა 52%–დან 100%–მდე.

13.6.1.2. სკოლამდელი განათლების სპეციალისტებისათვის უნივერსიტეტებში მოსამზადებელი და გადამზადების პროგრამების დანერგვა.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი - ბავშვთა და მოზარდთა განვითარების კლინიკა, რომლის ფარგლებში სკოლამდელი და ინკლუზიური განათლების ცენტრი ახორციელებს 12 კრედიტიან სასერტიფიკატო პროგრამას - ბავშვის განვითარებაზე ზრუნვა სკოლამდელ ასაკში. აღნიშნული პროგრამა გავლილი აქვს 60 ადამიანს. ამჟამად პროგრამას გადის 28 ადამიანი.

13.6.1.3. სკოლამდელი დაწესებულებებისათვის (საბავშვო ბაღებისა და ალტერნატიული ცენტრებისათვის) სანიტარულ-ჰიგიენური და კვების სავალდებულო მინიმალური სტანდარტების შემუშავდება და დანერგვა;. სკოლამდელ განათლებაში (საბავშვო ბაღებისა და ალტერნატიული ცენტრებისათვის) ეროვნული სასწავლო პროგრამის შემუშავება, დამტკიცება და დაფინანსება.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N78 დადგენილებით დამტკიცდა „ტექნიკური რეგლამენტი – ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში კვების ორგანიზაციის სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“. საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო მუშაობს სასკოლო მზაობის სასწავლო პროგრამის შესაქმნელად, რომლის პილოტირება ჩატარდება 2015 წელს.

13.6.2. ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა.

13.6.2.1. მასწავლებლებისათვის მოსამზადებელი/საუნივერსიტეტო (ბაკალავრიატი და სამაგისტრო) ტრენინგების პროგრამის დახვეწა.

აღნიშნული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია N 13.6.1.2 საქმიანობის ანგარიშში.

13.6.2.2. დაუცველი და სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების (მათ შორის სპეციალური შესაძლებლობების მქონე, ეთნიკური უმცირესობები და სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვები) ზოგად საგანმანათლებლო პროცესში ჩართვა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი ორი წელია ახორციელებს ქვეპროგრამას "განათლების მეორე შესაძლებლობა", რომლის მიზანია ზოგადი განათლების მიღმა დარჩენილი ან სკოლის მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვებისა და მოზარდების განათლების უფლების რეალიზება, მათი შესაძლებლობების მაქსიმალურ განვითარება ფორმალური განათლების სისტემაში ჩასართავად. სასკოლო პროცესში ჩართულია 3755 სსსმ მოსწავლე.

ინკლუზიური განათლება სავალდებულოდ ხორციელდება ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, მათ შორის არის 8 პანსიონური დაწესებულება, რომლებიც ახორციელებენ განვითარების შეფერხების (შემეცნებითი ფუნქციებისა და ადაპტური ქცევის დეფიციტის), სენსორული (სმენისა და მხედველობის), ქცევისა და ემოციური (ასოციალური, აგრესიული ქცევის და დაუმორჩილებლობის განმეორებადი და მდგრადი გამოვლინება, რომელიც არ არის ფსიქოტური მდგომარეობის, გუნება-განწყობის ცვალებადობის ან სხვა დაავადებების თანმდევი სიმპტომი) დარღვევების მქონე ბავშვთა სპეციალურ საგანმანათლებლო პროგრამებს.

2014 წლის ბოლოს განხორციელდა მოკვლევა „პრობლემების იდენტიფიკაცია, რომელიც მოწყვლადი ჯგუფის ბავშვებს აქვთ საჯარო სკოლებში". მოკვლევის მიზანი იყო, სკოლის სრულფასოვან წევრად გახდომისთვის ხელის შემშლელი ფაქტორების დადგენა.

მოკვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი მოწყვლადი ჯგუფები:

- ბავშვები მცირე საოჯახო სახლებიდან;
- რეინტეგრირებული ბავშვები (ოჯახებში დაბრუნებული ბავშვები);
- ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები;
- ბავშვები, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზის გამო მიატოვეს სკოლა;
- ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვების, განსაკუთრებით კომპაქტურად ჩასახლებულ რეგიონებში;
- სოციალურად დაუცველი ბავშვები;
- მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვები;
- ბავშვები რომლების არიან რეგისტრირებული და არ დადიან;
- ბავშვები, რომლებიც ირიცხებიან სკოლაში, მაგრამ დგანან სკოლის მიტოვების საშიშროების წინაშე;

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სკოლებში მოწყვლადი ჯგუფების ბავშვებთან მუშაობის სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელებისთვის დღევანდელი სკოლის რესურსი ნაკლებად ეფექტურია. აუცილებელია დაიგეგმოს სკოლის გაძლიერება პირველ რიგში პედაგოგებისა და მოსწავლეთა მშობლების თვითცნობიერების ამაღლების კუთხით. ხოლო მოწყვლადი ჯგუფების მრავლობითი პრობლემებით აღჭურვილი ბავშვებისთვის, განსაკუთრებით სკოლაში სასკოლო ასაკის მიღწევაზე გაცილებით გვიან ჩარიცხვის შემთხვევაში, აუცილებელია დამატებითი საგანმანთლებლო რესურსის მიწოდება, რათა ნაკლებად მტკივნეულად მოხდეს ინტეგრაციის თანმხლები პრობლემების გადალახვა, როგორც ფსიქო-ემოციური, ასევე, აკადემიური მოსწრების კუთხით.

13.6.2.3. განათლების ხარისხისა და რელევანტურობის გაზრდა.

მასწავლებლის ახალი პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შეიქმნა „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის" დოკუმენტი. პარლამენტმა მიიღო ცვლილებები კანონში ზოგადი განათლების შესახებ, შეიქმნა სახელმწიფო კომისია, რომელმაც განიხილა „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების,

პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის“ დოკუმენტი და მთავრობამ მიმდინარე წლის თებერვალში დაამტკიცა აღნიშნული სქემა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის უმთავრესი მიზანია სკოლაში სწავლისა და სწავლების ხარისხის დახვეწის ხელშეწყობა კვალიფიციური კადრების მოზიდვით, მასწავლებლის პროფესიული ცოდნის ამაღლებისა და მასწავლებლის პროფესიის სტატუსის გაუმჯობესების გზით. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ცენტრი ახორციელებს სხვადასხვა პროგრამებსა და აქტივობებს, აწარმოებს კვლევებს, ატარებს ტრენინგებს, კონფერენციებსა და სემინარებს, და სთავაზობს მასწავლებლებსა და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს სხვადასხვა სერვისებს.

13.6.2.4. განათლების ხარისხის მართვის საინფორმაციო სისტემის გაუმჯობესება სკოლაში ჩარიცხვის, მოსწავლეთა დასწრების და მიღწევების რეგულარული მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და ანგარიშგების მიზნით.

2015 წლის განმავლობაში იგეგმება სკოლის მიღმა დარჩენილი და რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების მონიტორინგისთვის, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზებში გარკვეული ინდიკატორების ჩამატება და ინფორმაციის მოპოვების და ანალიზის არხების გაფართოვება. 2014 წლის დეკემბერში გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ეგიდით შედგა კონფერენცია აღნიშნულ თემაზე, რის შედეგადაც დაიგეგმა ზემოთ აღნიშნული აქტივობების განხორციელება და დანერგვა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გარდა პროცესში ჩაერთვებიან სოციალური მომსახურების სააგენტო, სტატისტიკის ეროვნული სააგენტო, ჯანდაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და ადგილობრივი მუნიციპალური ორგანოები.

13.6.2.5. გენდერულად სენსიტიური და ინკლუზიური სკოლამდელი და ზოგადი განათლების პოლიტიკისა და სტრატეგიული გეგმის ჩამოყალიბება.

ფონდმა ღია საზოგადოება - საქართველომ, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით შეიმუშავა ადრეული და სკოლამდელი განათლების და განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი და მისი შესრულებისათვის საჭირო სამოქმედო გეგმა, ასევე საჭირო ხარჯების პროგნოზირებული ბიუჯეტი. აღნიშნული დოკუმენტები გაეგზავნა როგორც არასამთავრობო ასევე სამთავრობო ორგანიზაციებს და დაწესებულებებს მისი შემდგომი კომენტირების მიზნით.

აღნიშნული დოკუმენტები ითვალისწინებს ბავშვის ადრეულ და სკოლამდელ ასაკში მომზადების და განვითარების პროცესში ინკლუზიური პრინციპების გათვალისწინებას, ასევე გენდერული თანასწორობის საკითხებს.

გადამუშავებული და მომზადებულია დაწყებითი საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელშიც გაძლიერებულია საზოგადოებრივი მეცნიერების სწავლება. კერძოდ, გადამუშავდა V-VI კლასების "ჩვენი საქართველო". აგრეთვე შემუშავდა ახალი საგნის „მე და საზოგადოების" სტანდარტი III-IV კლასებში. ორივე საგნის სტანდარტებში ასახულია გენდერის საკითხები. საგნის სტანდარტის შემუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები. მათ შორის,

გაეროს ქალთა ფონდი (UNWOMEN) და გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), რომელებმაც უზრუნველყვეს ექსპერტების ჩართულობა გენდერის მიმართულებით საკითხებზე მუშაობისა და სტანდარტში შესაბამისად ასახვის მიზნით.

შემუშავებულია სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესში გამოსაყენებელი სპეციალური კრიტერიუმი, რომლითაც შეფასდება სახელმძღვანელოში რამდენად არის დაცული გენდერული თანასწორობის საკითხები. 2014 წელს აღნიშნული კრიტერიუმი გამოყენებულ იქნა "მეწარმეობის საფუძვლების" საგნის საპილოტე სასწავლო რესურსის შეფასებისას.

14. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა, ქალთა უფლებების დაცვა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა

14.1.1.3. აღმასრულებელ ხელისუფლებასთან გენდერული თანასწორობის უწყებათაშორისი კომისიის შექმნა

2014 წლიდან ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის, ფარგლებში შექმნილია, გენდერული თანასწორობის, ქალთა უფლებების დაცვისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი, რომელსაც კოორდინაციას უწევს მთავრობის ადმინისტრაციაში არსებული, ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო. სამუშაო ჯგუფის შეხვედრა იმართება ყოველთვიურად, და მასში მონაწილეობას იღებს როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ისე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის ნოემბერში, პრემიერ-მინისტრმა წარადგინა მისი მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში.

14.1.1.5. ბიუჯეტის ფორმირების პროცესში გენდერული ასპექტების გათვალისწინება;

ფინანსთა სამინისტროსთან იმართება მოლაპარაკები ბიუჯეტში გენდერული ასპექტების გათვალისწინების შესახებ, რისი ასახვაც სავარაუდოდ მოხდება 2016 წლის ბიუჯეტში.

14.1.4.2. ჯანდაცვისა და სოციალურ სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა გენდერული დისკრიმინაციის გარეშე

საქართველოს კონსტიტუციით და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონით განსხვავება ჯანდაცვის სერვისების მიწოდებაში მამაკაცსა და ქალს შორის დაუშვებელია. ჯანდაცვისა და სამედიცინო სერვისები თანაბრად ხელმისაწვდომია როგორც ქალებისთვის, ისევე კაცებისთვის, ამასთან სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, ათასწლეულის განვითარების მიზნების ინდიკატორები გათვალისწინებულია საშუალო ვადიანი დაგეგმვის დოკუმენტში.

14.1.4.3. რეპროდუქციული ჯანმრთელობის, ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა

გაეროს მოსახლეობის ფონდი სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით ახორციელებს პროექტს „ჩემი უფლებები“, რომლის ფარგლებში ქ. თბილისისა და კახეთის სკოლებში ჩატარდა სწავლებები რეპროდუქციული ჯანმრთელობის, ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის პრინციპების, აივ-შიდსისა და სქესობრივად გადამდები დაავადებების საკითხებზე. განათლების სამინისტრო დაინტერესდა პროექტით და 2015-2016 სასწავლო წლიდან აღნიშნული საკითხები ჩართული იქნება ფორმალური განათლების პროგრამებში

14.1.4. 4.დაბადებისას სქესთა თანაფარდობის დარღვეული ბალანსის შესწავლა და შესაბამისი პოლიტიკის განსაზღვრა

გაეროს მოსახლეობის მიერ 2014 წელს ჩატარდა კვლევა დაბადებისას სქესთა თანაფარდობის ბალანსის დარღვევის მიზეზების შესწავლასთან დაკავშირებით. ამჟამად მიმდინარეობს კვლევის შედეგების ანალიზი და ანგარიშის მომზადების პროცესი, რომელიც დასრულდება მ/წ დეკემბერში. „ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ოქტომბრის N01-74/ნ ბრძანებით დამტკიცებული ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის თაობაზე დებულების მე-14 მუხლით დაუშვებელია სქესის შერჩევის მიზნით ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აუცილებელია სქესთან შეჭიდული მემკვიდრეობითი დაავადებების თავიდან აცილება.

14.1.6. გადაწყვეტილების მიღების დონეზე ქალთა მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობა

2015 წელს დაგეგმილია კვოტირების სისტემის განხილვა და დანერგვა რაც იქნება მექანიზმი თანაბარი პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობის, არჩევით ორგანოებსა და გადაწყვეტილების მიღების დონეზე ქალთა მონაწილეობის გაზრდისა და გაძლიერებისათვის.

14.1.8. სამართალდაცვისა და სასჯელაღსრულების სფეროში გენდერული ასპექტების გათვალისწინება

14.1.8.1. შინაგან საქმეთა სამინისტროში ქალთა წარმომადგენლობისა და როლის გაზრდა

14.1.8.2. შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება

შსს-ში ჩატარდა თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ორგანიზაციულ სწავლებას გენდერული მეინსტრიმინგის ეფექტურად დანერგვას სტრატეგიებში, პროგრამებსა და სტრუქტურებში. თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტი ჩატარდა ორი ადგილობრივი და ერთი საერთაშორისო ექსპერტის მიერ. აუდიტის ფარგლებში განხორციელდა 14 სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან შეხვედრა.

2015 წლის 11 აპრილს, შსს ხელმძღვანელ პირებს წარედგინათ აუდიტის დასკვნის სამუშაო ვერსია, რომელიც ანალიზთან ერთად ითვალისწინებს რეკომენდაციებს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის საკითხებზე.“

14.1.8.3. პატიმარ ქალთა საცხოვრებელი და ყოფითი პირობების გაუმჯობესება

რუსთავის სასჯელაღსრულების №5 ქალთა დაწესებულებაში 2015 წლის დასაწყისიდან, შიდაუწყებრივი რეგულაციების ცვლილებისთანავე პილოტურ რეჟიმში დაინერგება მსჯავრდებულებთან სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდოლოგია.

მიმდინარეობს მუშაობა რუსთავში მდებარე სასჯელაღსრულების №5 ქალთა დაწესებულების თბილისში შესაძლო გადმოტანასთან დაკავშირებით.

14.1.8.4. საწარმოო ზონების შექმნა ქალთა დაწესებულების ტერიტორიაზე

სასჯელაღსრულების N5 ქალთა დაწესებულებაში მსჯავრდებულების რეაბილიტაციისა და დასაქმების ახალი შესაძლებლობები გაჩნდა. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „პატიმარ, პრობაციონერ და ყოფილ მსჯავრდებულ ქალთა რეინტეგრაციის ხელშეწყობა კანონმორჩილი ცხოვრებისათვის“ ფარგლებში, ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“-ს ხელშეწყობით გაიხსნა სამკერვალო საწარმო, სადაც დასაქმდა 25 მსჯავრდებული ქალი, რომლებმაც დაწესებულებაში ჭრა-კერვის პროფესიული კურსები გაიარეს და მკერავის პროფესიას დაეუფლნენ.

14.1.8.5. პატიმარ ქალთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია

2014 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით ფსიქო-სოციალურ სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობდა 579 ქალი მსჯავრდებული. აქედან:

- კულტურულ, ინტელექტუალურ და შემეცნებით პროგრამებში-155 ქალი მსჯავრდებული;
- საგანმანათლებლო და სახელობო-პროფესიული პროგრამებში - 350 ქალი მსჯავრდებული;
- ფსიქო-სოციალურ და რეკრეაციული პროგრამებში - 74 მსჯავრდებული ქალი;

14.1.8.7. გენდერული ნიშნით ძალადობის აღმოფხვრა, ეფექტური გამოძიება და სისხლის სამართლებრივი დევნა

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა შსს-ში

- გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა შსს-ს პოლიტიკის ერთ–ერთი ძირითადი მიმართულებაა. შსს-მ უკვე განსაზღვრა პრიორიტეტები და შეიმუშავა სამოქმედო გეგმა 2014-2016 წლების გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებსა და წინადადებებს მაქსიმალურად გათვალისწინებით;
- მიმდინარეობს მსჯელობა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში დაფუძნებული პოლიციელ ქალთა ასოციაციის გაფართოების შესახებ. პოლიციელ ქალთა ასოციაციის პრეზიდენტთან შეხვედრისას, პრეზიდენტმა მზადყოფნა და სურვილი გამოთქვა, რომ ქვეყნის მასშტაბით გაფართოვდეს პოლიციელ ქალთა ასოციაცია;
- უკვე ორი წელია ყოველ მარტს, თბილისში იმართება პოლიციელ ქალთა კონფერენცია აშშ–ს საელჩოს საერთაშორისო ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების ბიუროს (INL) მხარდაჭერით, რომელსაც ესწრებიან შსს-ს ოფიცერი ქალბატონები (ქალი პოლიციელები). ამ კონფერენციაზე ძირითადი ყურადღება ეთმობა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ქალი მმართველ პოზიციაზე; მენტორული უნარ-ჩვევები; წარმატების სტრატეგია და სხვ.

- შსს გეგმავს თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტის ჩატარებას, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ორგანიზაციულ სწავლებას გენდერული მეინსტრიმინგის ეფექტურად დანერგვას სტრატეგიებში, პროგრამებსა და სტრუქტურებში. თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტი ტარდება ორი ადგილობრივი და ერთი საერთაშორისო ექსპერტის მიერ. აუდიტის ხანგრძლივობაა 2 კვირა. თგას მთავარი შედეგია ანგარიში, რომელიც შეიცავს ძირითად მიგნებებს სტრუქტურულ ქვედანაყოფებზე, საუკეთესო პრაქტიკას გენდერული საკითხების მეინსტრიმინგზე, რიგ რეკომენდაციებს შეფასების გაუმჯობესებაზე და აუდიტში მონაწილე სტრუქტურული ქვედანაყოფის/ორგანიზაციის მიერ განსახორციელებელ კონკრეტულ ქმედებებზე.

14.2. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა

14.1.8.6. პატიმარ ქალთა მოპყრობის მინიმალური სტანდარტების და თავისებურებების განსაზღვრა „ბანგკოკის წესების“ მიხედვით;

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასაწავლო ცენტრმა სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა საბაზისო სასწავლო პროგრამაში შეიტანა სესია „ბანგკოკის წესების“ მიხედვით, რომელსაც გადის სასჯელაღსრულების დაწესებულებების სამართლებრივი რეჟიმის სამსახურის ყოველი ახალ მიღებული თანამშრომელი, მათ შორის ქალთა დაწესებულების თანამშრომლები. პროგრამის ფარგლებში დღეისათვის მომზადება გაიარა 120-მა თანამშრომელმა.

ამჟამად სასწავლო ცენტრში მიმდინარეობს სასჯელაღსრულების დაწესებულებების სამართლებრივი რეჟიმის სამსახურის თანამშრომელთა გრძელვადიანი სასწავლო პროგრამა (6თვე), რომელშიც ცალკე სესია ეთმობა „ბანგკოკის წესებს". მომზადებას გადის 24 მსმენელი, მათ შორის, ქალთა დაწესებულების ორი თანამშრომელი და ქუთაისის #2 (სადაც განთავსებული არიან ქალი პატიმრები) საპყრობილის 4 თანამშრომელი.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში ქალ ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან მომუშავე პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების თანამშრომლებს ჩაუტარდათ შემდეგი ტრენინგები:

,,ქალი პატიმრების გათავისუფლების შემდგომი რეფერალი რეპროდუქციული ჯანმრთელობის/ოჯახის დაგეგმვის სერვისების მისაღებად სამოქალაქო სექტორში“ – 5 მონაწილე; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები) - 40 მონაწილე;

არასამთავრობო ორგანიზაციასთან „ქალთა კლუბი პეონი“ თანამშრომლობით ჩატარდა ტრენერთა ტრეინინგი „ბანგკოკის წესების“ მიხედვით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 20-მა მსმენელმა, აღნიშნული ტრენერები ჩართული იქნებიან შემდგომ სასწავლო პროცესში.

14.1.8.7. გენდერული ნიშნით ძალადობის აღმოფხვრა, ეფექტური გამოძიება და სისხლის სამართლებრივი დევნა

ამ ეტაპზე შსს-ში არ წარმოებს სპეციალური სტატისტიკა გენდერული ნიშნით ძალადობის ფაქტებზე სამართალდამცველი ორგანოებისათვის მიმართვიანობის შესახებ. მოცემულ ეტაპზე მხოლოდ ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული სტატისტიკა არსებობს. ამ კუთხით, აღსანიშნავია, რომ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამოქმედო ტერიტორიაზე ოჯახური დავების ფაქტზე 2013 წელს მოხდა 47 787 გამოძახება, ხოლო 2014 წლის იანვარ-ნოემბრის თვეებში - 56 636.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მოკლევადიანი განვითარების სტრატეგიის თანახმად, გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე ეფექტური რეაგირებისთვის დიდი მნიშვნელობა ეთმობა სამართალდამცავთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრეინინგების ორგანიზებას, 2014 წელს, ოჯახში ძალადობის საკითხებზე სამართალდამცავთა კვალიფიკაციის ამაღლების და ცოდნის გაღრმავების მიზნით, მიმდინარე პროექტების პარალელურად, შსს-ს თანამშრომლებისთვის ივლისის თვეში დაიწყო ტრეინინგების ციკლი, რომელიც ორ ეტაპად ჩატარდა. აღნიშნულ ტრენინგებს, საქართველოს მასშტაბით, ყველა საუბნო განყოფილებიდან 452 უბნის ინსპექტორმა გაიარა.

მიმდინარე პროექტების შედეგად სასწავლო კურსი „ოჯახში ძალადობის წინაღმდეგ მოქმედი სამართლებრივი მექანიზმები" გაიარა 260–მა სამართალდამცავმა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლობის შედეგად, ოჯახში ძალადობის თემატიკაზე ტრეინინგები გაიარა 600–მდე პატრულ ინსპექტორმა.

2014 წლის განმავლობაში, შსს აკადემიის მომზადება გადამზადების პროგრამაში გათვალისწინებული ოჯახში ძალადობის და ადმინისტრაციული მექანიზმის სასწავლო კურსი, წარმატებით დაასრულა 2244 –მა სამართალდამცავმა.

აშშ საელჩოს ინიციატივითა და შსს აკადემიის ხელშეწყობით, ჩატარდა ერთდღიანი სემინარი 55 ინსპექტორ–გამომძიებლებისთვის, ძალადობის და მათ შორის ოჯ. ძალადობის საკითხებზე.

14.4.2.3. სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის თაობაზე სპეციალური სტატისტიკის წარმოება

შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის სტატისტიკის, პროგრამული უზრუნველყოფისა და მონაცემთა მართვის სამმართველოში არსებული ცალკეული სტატისტიკური მონაცემები

სსკ მუხლი	სს საქმეების რაოდენობა, რომლებზეც დაწყებულ იქნა გამოძიება 2014 წ. (12 თვეში)		
	სულ	დევნა დაიწყო პირის მიმართ	შეწყდა
142 მ ("ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა")	0	0	
142¹ მ ("რასობრივი დისკრიმინაცია")	1	0	
142² მ ("შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებების შეზღუდვა")	0	0	
154 მ ("ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა")	3	0	1 (სსსკ 105 მ I "ა")
155 მ ("რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა")	4	1	2 (სსსკ 105 მ I "ა")
156 მ ("დევნა")	12	6	3 (სსსკ 105 მ I "ი"), 1 (სსსკ 105 მ I "ა")

შენიშვნა: ცხრილში მითითებული მონაცემები მოიცავს ინფორმაციას შსს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით.

14.2.1. ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების თაობაზე არსებული მექანიზმებისა და სამართლებრივი ბაზის სრულყოფა

შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა შესაბამისი დანაყოფების ხელმძღვანელი პირებით დაკომპლექტებული სპეციალური ჯგუფი, რომელიც შეისწავლის ოჯახში ძალადობის ფაქტებზე პოლიციის რეაგირების ადეკვატურობას და გამოიკვლევს ოჯახის წევრთა მიერ ქალის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების შემთხვევებს, მსგავსი დანაშაულების პრევენციის მექანიზმის დახვეწის მიზნით. აღნიშნული ჯგუფის შემადგენლობა და კომპეტენცია დამტკიცდა 20/09/2014 წლის შს მინისტრის N726 ბრძანებით „ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მასზე ეფექტიანი რეაგირების კომისიის შექმნის შესახებ“.

ოჯახში ძალადობის საკითხებზე სამართალდამცავთა კვალიფიკაციის ამაღლების და ცოდნის გაღრმავების მიზნით, მიმდინარე პროექტების პარალელურად, შსს-ს თანამშრომლებისთვის ივლისის თვეში დაიწყო ტრეინინგების ციკლი, რომელიც ორ ეტაპად ჩატარდება. აღნიშნულ ტრენინგებს, საქართველოს მასშტაბით, ყველა საუბნო განყოფილებიდან 452 უბნის ინსპექტორი გაივლის. თითოეული განყოფილებიდან წარმოდგენილი იქნება 2 თანამშრომელი – ერთი მამაკაცი და ერთი ქალი. უბნის ინსპექტორებს დაევალებათ არა მარტო კონკრეტულ ფაქტზე რეაგირება, არამედ კონფლიქტური ოჯახების პერიოდული კონტროლი და საერთო ანალიზი. სწავლების ციკლი დასრულდა 2014 წლის 10 დეკემბერს. პარალელურად მიმდინარეობს პროექტებით გათვალისწინებული სწავლებები და როგორც პატრულ ინსპექტორებისთვის, ისე უბნის ინსპექტორ გამომძიებლებისთვის.

საქართველოს შს მინისტრის N1079 ბრძანებაში (შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე, მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ) შევიდა ცვლილება, რომლითაც თბილისის უბნის უფროს ინსპექტორ-გამომძიებელს და უბნის ინსპექტორ-გამომძიებელს შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების შევსების უფლებამოსილება მიეცა. აქამდე აღნიშნული უფლებამოსილება ტერიტორიული ორგანოების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლებს არ ჰქონდათ იმ ტერიტორიებზე, სადაც საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო არეალი იყო. ამასთანავე, ტექსტში იმპერატიულად მიეთითა, რომ ფაქტზე გამოძიების დაწყება არ აფერხებს შემაკავებელი ორდერის გამოწერის შესაძლებლობას.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ 2014 წლის 03 ივლისს გამოიცა №496 ბრძანება „ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის მიზნით გასატარებელ ღონისძიების შესახებ“, ამავე წელს გამოიცა ბრძანება №573 „ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ რომელთა თანახმადაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოების თითოეულ განყოფილებაში შემავალი საუბნო სამსახურიდან გამოყოფილი იქნა 2-2 მოსამსახურე (ქალი და მამაკაცი), რომლებიც იმუშავებენ ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის საკითხებზე და მათ მიენიჭათ უფლება ოჯახში ძალადობის მარეგულირებელი

კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში შემაკავებელი ორდერის გამოცემის და სხვა საჭირო ღონისძიებების განხორციელების უფლებამოსილება.

შსს-ის ინიციატივით მომზადდა სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები, რომლის მიღების შედეგად სსკ–ის 1261 მუხლის პირველი და მეორე ნაწილით განსაზღვრულ დანაშაულებს სასჯელის ზომად დაემატა - თავისუფლების აღკვეთა. სასჯელის სახით „თავისუფლების აღკვეთის“ შემოღება საშუალებას აძლევს უფლებამოსილ პირს, ქმედების შემადგენლობის არსებობის შემთხვევაში, ბრალდებულის მიმართ გამოიყენოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული დაკავების ღონისძიება.

შსს-ს თანამშრომლებისთვის გამოიცა შს მინისტრის მითითება, სადაც თანამშრომლებს განემარტებათ ოჯახური ძალადობის ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში საჭირო მოქმედების საკითხები, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად რა შემთხვევაში უნდა დაიწყოს გამოძიება, როდის უნდა გამოიცეს შემაკავებელი ორდერი და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების მიზნით ხორციელდება საინფორმაციო კამპანია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, მომზადდა საინფორმაციო ვიდეორგოლები, რომლებიც სატელევიზიო და რადიოეთერში, ასევე, სოციალურ ქსელში განთავსდა. 2014 წლის ოქტომბრის თვიდან შსს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოცხადდა თემატური კონკურსები. შსს–ში შეირჩა სპიკერი პოლიციელები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ თოქ-შოუებსა და სხვადასხვა ფორმატის გადაცემებში.

14.2.1.3. ოჯახში ძალადობის სფეროში არსებულ საერთაშორისო კონვენციებთან მიერთება;

2014 წელს ხელი მოეწერა ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრისა და პრევენციის შესახებ კონვენციას (სტამბულის კონვენცია) რომლის რატიფიკაციაც იგეგმება 2015 წელს.

14.2.1.5. ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე ერთიანი სტატისტიკის წარმოების მდგრადობის უზრუნველყოფა;

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის ინიციატივით მიმდინარეობს მუშაობა ახალი პროგრამის დანერგვაზე, რომლის გამოყენების შემთხვევაში საშუალება იქნება მოხდეს ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების დამუშავება სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით. (პროგრამის სრული ამოქმედება 2015 წლიდან იგეგმება)

14.2.3.1.ოჯახში ძალადობის პრევენციის მეთოდების გაუმჯობესება;

2014 წელს მთავრობის ადმინისტრაციაში ჩამოყალიბდა პირის, ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელ უწყებათაშორისო საბჭო, რომელიც შემადგენლობაშიც შედიან მინისტრის მოადგილეები, სახალხო დამცველი და რომელსაც ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებათა და გენდერული

თანასწორობის საკითხებში. საბჭომ უკვე განიხილა და დაამტკიცა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის წევრთა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის დასადგენად საჭირო პროცედურების მწარმოებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების შერჩევის კრიტერიუმები. ამასთან საბჭო აქტიურად განიხილავს ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის სტრატეგიას, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების შენიშვნების გათვალისწინებით.

„14.3. ქალებზე მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს №№1325, 1820, 1888, 1889 და 1960 რეზოლუციების განხორციელება

14.3.1.უსაფრთხოებისა და მშვიდობის საკითხებში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ხორციელდება გენდერული თანასწორობის შესახებ პერმანენტული საინფორმაციო შეხვედრების წარმოება ამავე სფეროში ცოდნის გაზრდისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. შემუშავდა და დამტკიცდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგია.

გენდერული თანასწორობის გაერო-ს უშიშროების საბჭოს N1325 და მისი თანმდევი რეზოლუციების განხორციელების ხელშეწყობისა და სამინისტროს გენდერული სტრატეგიის განხორციელების მიზნით, თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალებში, ბრიგადის დონის ქვედანაყოფების დონეზე, განისაზღვრა გენდერული მრჩევლები, რომელთა ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს: სამინისტროს გენდერული სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობა, გენდერული თანასწორობის პრინციპებისა და ფასეულობების დაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელება და კონსულტაციების გაწევა, სტრუქტურულ ერთეულში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებზე სწავლებებისა და კვლევითი საქმიანობების ხელშეწყობა და სტრუქტურულ ერთეულში, გენდერული დისკრიმინაციისა და გენდერული და სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე ადეკვატურად რეაგირების ხელშეწყობა.

2014 წელს გადასროლის წინა მომზადებაში მყოფ ISAF-ის მისიაში გასაგზავნ 1600 სამხედრო მოსამსახურეს ჩაუტარდათ სწავლება გენდერული თანასწორობის პრინციპებსა და გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციაზე. ასევე, სსიპ „დავით აღმაშენებლის სახელობის საქართელოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის“ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცდა გენდერული თანასწორობის პრინციპებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს N1325, 1820, 1888, 1889 და 1960 რეზოლუციების შესახებ სასწავლო პროგრამა, რომელიც ხორციელდება როგორც საბაკალავრო ასევე ოფიცრის საკარიერო კურსზე:

აკადემიის სკოლაში გადამზადებულ იქნა 865-მა სამხედრო მოსამსახურემ.

- საბაკალავრო სკოლა 472 იუნკერი მათ შორის 9 გოგო
- სასწავლო ბატალიონის 20 წარმომადგენელს (ოფიცრები და სერჟანტები)
- უმცროს ოფიცერთა სკოლა 191 მსმენელი მათ შორის 2 ქალი
- კაპიტნის საკარიერო სკოლაში 150 მსმენელი მათ შორის 2 ქალი

- სამეთაურო საშტატო სკოლის 32 მსმენელი

შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებსა და სამშვიდობო კონტიგენტში ქალთა მონაწილეობის სტიმულირების მიზნით მოხდა ნორმატივების, საჭიროებისამებრ, გადახედვა მიღებული შედეგების გათვალისწინება.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავდა გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა (2014-2016).

14.4.2.2.ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლების გადამზადება, რათა ეფექტურად მოაგროვონ ინფორმაცია და განასხვაონ სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაული სხვა დანაშაულისგან.

გადამზადებულ პირთა რაოდენობა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში მომსახურეთა თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი - 47 მონაწილე;
2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში დანიშნულ (დასანიშნ) კურსგავლილ პირთა გადამზადების კურსი - 25 მონაწილე;
3. დეტექტივ-გამომძიებლის მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 169 მონაწილე;
4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში და ტერიტორიულ ორგანოებში დაწინაურების კანდიდატთა გადამზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 96 მონაწილე;
5. ანტიკორუფციულ სააგენტოს თანამშრომელთა გადამზადება - 53 მონაწილე;

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში აღნიშნული საკითხები იკითხება შემდეგ პროგრამებსა და კურსებზე:

- დეტექტივ-გამომძიებლის მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში და ტერიტორიულ ორგანოებში დაწინაურების კანდიდატთა გადამზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის მომზადების სპეციალური პროგრამა
- უბნის ინსპექტორთა სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში მოსამსახურეთა თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში დანიშნულ (დასანიშნ) კურსგავლილ პირთა გადამზადების კურსი
- მანდატურის სამსახურის მანდატურთა სპეციალური პროგრამა

შსს აკადემიაში აღნიშნული პროგრამები:

- 2014 წლის იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე გაიარა 791 მსმენელმა;
- 2015 წლის იანვრიდან 4 მარტამდე გაიარა 230 მსმენელმა;

2015 წლის მიმდინარე მსმენელების ოდენობა არის 373 მსმენელი

სამომავლოდ (2015 წლის ბოლომდე) აკადემიაში ზემოაღნიშნულ საკითხებში გაგრძელდება, როგორც სამინისტროში მისაღები კანდიდატების, ისე მოქმედი თანამშრომლების მომზადება.

14.4.1.1. თანასწორი უფლებრივი მდგომარეობის უზრუნველყოფა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ ყოვლისმომცველი კანონის ინიცირება;

2014 წელს მიღებულ იქნა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონი, ამჟამად მიმდინარეობს კანონის იმპლემენტაციისათვის საჭირო მექანიზმების გაუმჯობესება და დახვეწა. კანონის ეფექტიანად აღსრულებისათვის მიზნით სახალხო დამცველის აპარატში ჩამოყალიბდა თანასწორობის დეპარტამენტი.

14.4.2. სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ არსებული კანონმდებლობის (სისხლის სამართლის კოდექსი, 53.31 მუხლის ეფექტურად შესრულების უზრუნველყოფა

2014 წლის 23 დეკემბერს გამოიცა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისN47 მითითება "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების მიერ დისკრიმინაციის პრევენციისა და ამ ნიშნით ჩადენილ სამართალდარღვევებზე ეფექტიანი რეაგირების ღონისძიებების განხორციელების შესახებ". მითითება ითვალისწინებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი უფლებამოსილი პირებისთვის დირექტივის მიცემას. კერძოდ, ესენია:

- დაუყოვნებლივ დაიწყონ გამოძიება სიძულვილის ნიადაგზე/შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით;
- დისკრიმინაციის ნიშნით ჩადენილ სხვა დანაშაულთან შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის შესაბამის ველში - ,,დანაშაულის ფაბულა'' უნდა მიეთითოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ემუხლის 3[1]ნაწილით გათვალისწინებული შეუწყნარებლობის მოტივისა და დისკრიმინაციის კონკრეტული ნიშნის (რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან/და სხვა) ,,შესაძლო'' არსებობის შესახებ;
- სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს დაევალა სიძულვილის ნიადაგზე/შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით სპეციალური სტატისტიკის წარმოება.

- ასევე სამინისტროს სტრუქტურულ დანაყოფებს დაევალა სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთა გამოძიების საკითხებზე სპეციალიზებული ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით სამინისტროს ადმინისტრაციისთვის წინადადებების წარდგენა.
- სამინისტროს ქვედანაყოფებს, ტერიტორიულ ორგანოებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და სახელმწიფოს საქვეუწყებო დაწესებულებას, საქმიანობისას, ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ'' საქართველოს კანონის აკრძალვებისა და მოთხოვნების გათვალისწინება.

იძულებით გადაადგილებულ პირთა- დევნილთა უფლებები

15.1. იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამართლებრივი და სოციალური გაძლიერება; მათი უფლებების დაცვაზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმოება

15.1.1 დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა

15.1.1.1. დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ცარიელი შენობების რეაბილიტაცია, ახალი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა, ასევე, დევნილთა განსახლება გამოსყიდულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებში.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ შემუშავებული „გრძელვადიანი განსახლების სახელმძღვანელო პრინციპების, კრიტერიუმებისა და პროცედურების“ შესახებ დოკუმენტის შესაბამისად, გასული ორი წლის განმავლობაში დაახლოებით 2620 დევნილს გადაეცა ბინა,

ამ ეტაპზე სამინისტრო აგრძელებს საქმიანობებს დევნილთა გრძელვადიანი განსახლების კუთხით - მიმდინარეობს თანამშრომლობა კომპანიასთან ‘Hualing International Special Economic Zone“, რომლისგანაც სამინისტრომ მიმდინარე წელს 598 ბინა შეიძინა, რომელთაგანაც 298 ბინა დევნილებს 2015 წლის 31 აგვისტოსთვის გადაეცემათ, ხოლო დანარჩენი 300 – 2016 წლის თებერვალსა და ივნისში.

სამინისტრო თანამშრომლობს მენაშენეებთან, რომლებისგანაც დევნილებისათვის გადასაცემად, შეიძენს ბინებს. 2015 წელს დამატებით იგეგმება, ზუგდიდში 2 კორპუსის, გორში 2 ან 3 კორპუსის მშენებლობის სამუშაოების დაწყება, ხოლო ქუთაისში 2 კორპუსის სამშენებლო სამუშაოები უკვე დაიწყო.

სამინისტროს მიდგომა განსახლების პროგრამების მიმართ გახდა კომპლექსური, რაც გულისხმობს განსახლების პროგრამების იმგვარ დაგეგმვას, რომელიც მოიცავს დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას. ასეთი მიდგომის მაგალითია - „სოფლად სახლის შეძენის“ პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება

სახლების შესყიდვა მიწის ნაკვეთით სოფლად, რაც დევნილებს მისცემს შესაძლებლობას განსახლების ადგილებში განახორციელონ სასოფლო-სამეურნეო აქტივობები. სამინისტრომ 190 ამგვარი სახლი შეიძინა დევნილებისთვის და 350 ოჯახს თანხმობა განუცხადა ამ პროგრამის ფარგლებში სახლების შესყიდვაზე. ამ ეტაპზე მიმდინარეობს შესყიდვის პროცედურები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მიმდინარეობს დევნილთათვის გადასაცემი ბინების რეაბილიტაციის პროცესი ვაზიანში, კასპში, გორში, ხაშურში, ახალციხეში, ზუგდიდსა და ქუთაისში, სადაც მალე 1030 დევნილი ოჯახი საკუთრებაში მიიღებს ბინას.

მნიშვნელოვანია ასევე დევნილთა დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიმართულებით სამინისტროს მიერ გაწეული სხვა სახის დახმარება, რაც გულისხმობს დევნილთა ქირით უზრუნველყოფას. 2014 წლის განმავლობაში სამინისტრო 930-მდე დევნილ ოჯახს დაეხმარა ყოველთვიური ქირის სახით, რომლის გადახდაც ხორციელდებოდა სხვადასხვა ხანგრძლივობით, საჭიროებიდან გამომდინარე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს #320 ბრძანების შესაბამისად.

15.1.1.2.დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროცესის წარმართვა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს #320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესით“ განსაზღვრული წესისა და კრიტერიუმების შესაბამისად

იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა განსახლების ორგანიზების მიზნით, სამინისტროში მომზადდა და გამოიცა „დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის, კრიტერიუმებისა და დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს N320 ბრძანება. დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა ხორციელდება აღნიშნული ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის“ ამავე ბრძანებით დამტკიცებული კრიტერიუმებისა და საცხოვრებელი ფართის სტანდარტების შესაბამისად, საცხოვრებელი ფართების განაწილების წესს. ამასთან, ითვალისწინებს შშმ დევნილ ოჯახებს, მათი სპეციფიკური, საჭიროებების გათვალისწინებით, საცხოვრებელი ფართის კენჭისყრაში მონაწილეობის გარეშე გადაცემის საკითხსაც.

ბოლო 2 წლის განმავლობაში სამინისტროს მიერ კრიტერიუმების გამოყენებით რეაბილიტირებულ და აშენებულ კორპუსებში შესახლებულ იქნა 1865 ოჯახი. კერძო მესაკუთრეებისაგან გამოსყიდულ იქნა 565 ბინა.

2014 წელს დასრულებული რეაბილიტირებული და განსახლებული ობიექტები ჯამში: თბილისი - 389 ბინა, იმერეთში– 545 აჭარა-48 სამეგრელო ზ/სვანეთი - 458, რაჭა- 8, ქვემო ქართლი- 253, შიდა ქართლი - 136, სამცხე ჯავახეთი- 18.

15.1.1.3. დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართების (ყოფილი დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტები) მათთვის საკუთრებაში გადაცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით

კანონმდებლობით დადგენილი წესით, ბოლო ორი წლის განმავლობაში მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართი საკუთრებაში გადაეცა 3757 ოჯახს. 2013 წელს თბილისი - 873, იმერეთი, გურა, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 187, სამეგრელო–ზემო სვანეთი, აჭარა - 32, ქვემო–ქართლი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი - 220, შიდა–ქართლი და სამცხე-ჯავახეთი - 80. 2014 წელს თბილისი - 752, იმერეთი, გურა, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 361, სამეგრელო–ზემო სვანეთი, აჭარა - 610, ქვემო–ქართლი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი - 318, შიდა–ქართლი და სამცხე-ჯავახეთი - 324.

დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართების დაკანონებების პროცესის დაჩქარების მიზნით, მთავრობის განკარგულებით, გააქტიურდა პროექტი, რომლის ფარგლებშიც საცხოვრებელი ფართი 10 000 - მდე დევნილ ოჯახს დაუკანონდება. პროცესი 2014 წლის პირველი ნოემბრიდან დაიწყო და 10 თვის განმავლობაში გაგრძელდება. პირველ ეტაპზე, 2 თვის განმავლობაში, მოხდება დევნილთა 815-ჩასახლების შესწავლა. მეორე ეტაპი, რომელიც 8 თვე გაგრძელდება, დევნილებისთვის საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემას ითვალისწინებს. აღნიშნულის ფარგლებში 1000 ოჯახზე უკვე მომზადდა დოკუმენტაცია მთავრობის განკარგულების გამოსაცემად.

15.1.1.4. დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართებიდან უკანონო გამოსახლებისგან დევნილთა დაცვა

დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართიდან უკანონოდ გამოსახლებისგან დაცვის უმთავრესი გარანტი არის „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ საქართველოს კანონი“, რომლის მე-6 და მე-14 მუხლები იცავენ დევნილის საცხოვრებელ ფართთან დაკავშირებულ უფლებას.

2014 წელს დევნილთა უკანონო მფლობელობაში არსებული საცხოვრებლიდან გამოსახლების 120 შემთხვევა დაფიქსირდა, თუმცა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ დევნილებს ამ შემთხვევაშიც შესთავაზა ალტერნატიული თავშესაფარი, ქირის თანხით უზრუნველყოფის სახით.

15.1.1.5. შშმ პირების საჭიროებების გათვალისწინება

„იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2012 – 2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივნისის №1162 განკარგულების მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს, დევნილთა განსახლების პრობლემის გრძელვადიანი გადაწყვეტა რომლის ფარგლებში, რეაბილიტირებულ თუ ახალაშენებულ კორპუსებში „შეზღუდული

შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად იქმნება ყველა პირობა მათი სოციალური ინტეგრაციისათვის. დღეის მდგომარეობით, ადაპტირებულ გარემოში განსახლებულია 700 შშმ - დევნილი.

ამასთან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს N320 ბრძანების მე-3 მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, საცხოვრებელი ფართები გადაეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის გარეშე, ხოლო, განსახორციელებელ პროექტებში, საცხოვრებელი ფართები დაპროექტდება დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის გათვალისწინებით.

15.1.1.6. დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართების (ყოფილი დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტები) და რეაბილიტირებულ ან ახალაშენებულ შენობებში განსახლებულ დევნილთათვის საცხოვრებელი ფართების კანონმდებლობის საფუძველზე საკუთრებაში გადაცემის პროცესის დაჩქარება.

საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, იგეგმება პროექტი „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის თაობაზე“. პროექტი ითვალისწინებს 2015 წელს საქართველოს მასშტაბით 10000-მდე დევნილი ოჯახისათვის მათ სარგებლობაში არსებული ფართის საკუთრებაში გადაცემას.

15.1.1.7. განახლდეს და ახალ კანონთან შესაბამისობაში მოვიდეს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2012–2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა“

2015 წლის 4 თებერვალს, დამტკიცდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - „დევნილთა მიმართ სტრატეგიის განხორციელების 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა განახლებული დოკუმენტი, რომელშიც რამოდენიმე მნიშვნელოვანი სიახლე არის ასახული დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ალტერნატივების და ახალი რეაბილიტაციების სტანდარტების კუთხით.

15.1.1.8. დევნილთა შესახებ 2014 წლის 1 მარტს ამოქმედებული „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა- დევნილთა“ შესახებ საქართველოს კანონის მუდმივი გადახედვისა და სრულყოფის, საერთაშორისო სტანდარტებთან შემდგომი დაახლოების, საჭიროებების გათვალისწინებით მეტი დაცვის მექანიზმების შემოღების, დევნილთა პრობლემების გადაწყვეტაში ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გაზრდის მიზნით ღონისძიებების განხორციელება

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში შეიქმნა სამი სამუშაო ჯგუფი, დევნილთა სტატუსიდან საჭიროებაზე დაფუძნებულ დახმარებაზე გადასვლის საკითხებზე, პრივატიზაციის პროცესის მონიტორინგისა და განსახლების საკითხებზე. ამ ეტაპისთვის მოწვეულია ყველა რელევანტური უწყება სამუშაო ჯგუფების შეხვედრებზე რომლებიც გაიმართება 2015 წლის 31 მარტს.

15.1.2. იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაცია;

15.1.2.1. ფუნქციონირება დაიწყოს საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა და მოხდეს მისი განვითარება დაფინანსების გაზრდა და საქმიანობის გააქტიურება

15.1.2.2. საარსებო წყაროების პროგრამების/პროექტების შემუშავება და განხორციელება

დევნილთა საარსებო წყაროების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და თვითკმარობის შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, შეიქმნა დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სახელმწიფო სტრატეგია, რომელიც მთავრობის მიერ დამტკიცდა 2014 წელს. აღნიშნული სტრატეგიის მიზანია დევნილთა სოციალური და ეკონომიკური განვითარება სახელმწიფო უწყებების, დონორების, საერთაშორისო ორგანიზაციების, ეროვნული და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების და კერძო (ბიზნეს) სექტორის ერთობლივი ძალისხმევით დევნილების და მათი მასპინძელი თემების პოტენციალის რეალიზაციისათვის შესაძლებლობების შექმნის გზით. აღნიშნული მიზანი ხელს შეუწყობს დევნილთა სახელმწიფო დახმარებაზე დამოკიდებულებიდან

თვითკმარობაზე გადასვლას და მათი როლის გაზრდას ქვეყნის შემდგომ ეკონომიკურ განვითარებაში.

სსიპ „დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს“ 2015 წლის განმავლობაში დაგეგმილი აქვს სხვადასხვა პროგრამა და პროექტი, რომელთა შორის უმთავრესია დევნილთა ჩართვა სასოფლო სამეურნეო პროგრამებით დადგენილ აქტივობებში (სოფლის მეურნეობის სუბსიდიები და სერვისები, სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული კრედიტები, წარმოების წახალისება, ფერმერთა ორგანიზაციების და კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობა და სხვა); სოფლის მეურნეობაში ჩართული დევნილების მხადაჭერა სათანადო ინფრასტრუქტურით (საირიგაციო სისტემა და სხვა) და ძირითადი საშუალებებით (ტექნიკა/ინვენტარი, შინაური ცხოველები/ფრინველები, სხვადასხვა მასალები და ნედლეული); აგრობიზნესის ინკუბატორების შექმნა და არსებულ(ებ)ის წახალისება; სოფლის მეურნეობის შერეული (დევნილი/ადგილობრივი) კოოპერატივების შექმნა სოფლად სახლის შეძენის პროგრამის ბენეფიციარებისთვის; მიკრო და მცირე ბიზნესის სახელმძღვანელოების/გზამკვლევის/საინფორმაციო მასალების მომზადება, ტრენინგების ორგანიზება (სოციალური მეწარმეობა, მცირე ბიზნესის განვითარება/მართვა, აგრო-ბიზნესი); დევნილების კონსულტაცია მოთხოვნად პროფესიებზე, პროფესიული ორიენტაცია, მათი მომზადება დამსაქმებელთან გასაუბრებისთვის, მხარდაჭერა CV-ის შედგენაში; დევნილთა რეგისტრაცია შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში, რის შემდეგაც რეგულარულად მიიღებენ ინფორმაციას მათი კვალიფიკაციის შესაბამისი ვაკანსიების შესახებ; პროფესიული სწავლების კურსდამთავრებულთა სტაჟირებების მხარდაჭერა, დევნილთა პროფესიული/ეკონომიკური აქტივობების სტიმულირების მიზნით; კონსულტაცია საწარმოს რეგისტრაციისა და განვითარების ეტაპებზე; სოციალური საწარმოების შექმნა და განვითარება; კერძო ბიზნეს კომპანიებისთვის სახელმწიფო საკუთრების (მიწები, შენობა-ნაგებობები და სხვა). შეღავათიანი პირობებით, სხვადასხვა ფორმით გადაცემის შესაძლებლობების განხილვა, დევნილთათვის სამუშაო ადგილების შესაქმნელად; დევნილ, დევნილთა ჯგუფებსა და მეწარმე სუბიექტებს შორის პარტნიორული (წილობრივი) ურთიერთობების მხარდაჭერა/წახალისება.

15.1.2.3. დევნილი მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფა მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებამდე ქვეყნის სხვა ნაწილში ინტეგრაციის პროცესში

დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით შეიქმნა სსიპ-ი „დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო“. სააგენტოს ძირითადი საქმიანობები დაკავშირებული იქნება დევნილთა სოციალურ-ეკონომიკურ ინტეგრაციისადმი მიმართულ ღონისძიებებთან, დასაქმებასთან, მომსახურების, ინფრასტრუქტურისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებასთან, რამაც გრძელვადიან პერსპექტივაში, დევნილთათვის მდგრადი საარსებო წყაროების შექმნასა და მათი კეთილდღეობის ზრდას უნდა შეუწყოს ხელი. საარსებო წყაროების შესახებ პროგრამების შერჩევისა და განხორციელების მიდგომა ეფუძნება ჰოლისტიკურ ხედვას, რაც გულისხმობს იმას, რომ ამ პროგრამების შემუშავებისას

გათვალისწინებული იქნება დევნილთა განსახლებისა და სხვა სოციალ-ეკონომიკური ასპექტები.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს სააგენტოს პერსონალით დაკომპლექტება და საპილოტე პროექტების იდენტიფიცირება. სააგენტომ შეიმუშავა კონცეფცია და ოპერაციული პროცედურები, რითაც განსაზღვრულია მისი საქმიანობების პრინციპები, ფარგლები, მოდალობები, ბენეფიციართა და პროექტების შერჩევის პროცედურები და სხვა ოპერაციული საკითხები.

საარსებო წყაროების პროგრამების იდენტიფიცირების, შემუშავებისა და განხორციელების ძირითადი ინსტრუმენტი იქნება ზემოაღნიშნული სააგენტო, ასევე სამინისტრო განახორციელებს აქტიური თანამშრომლობას შესაბამის უწყებებთან/ორგანიზაციებთან; კერძოდ, ინფორმაციის მუდმივი გაცვლის და დევნილთა საარსებო წყაროების საკითხებზე არსებული პროექტების ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება, დაიგეგმება და განხორციელდება კონკრეტული პროექტები, სასოფლო-სამეურნეო, მომსახურების, მცირე ბიზნესის განვითარებისა და სხვა სფეროებში. ასევე, განხორციელდება დევნილთა პროფესიული განათლება და გადამზადება. დევნილთა ეკონომიკური საქმიანობების წახალისება მოხდება ისეთი საშუალებებით, როგორიცაა: საწარმოს შექმნა და რეგისტრაცია/განვითარებაში დახმარება, შეღავათიან კრედიტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდაში მხარდაჭერა და სხვა. იგეგმება ასევე, კერძო ბიზნესის წარმომადგენლების წახალისება და ბიზნეს ორგანიზაციებში კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვის მხარდაჭერა, მათ პროექტებსა და ღონისძიებებში დევნილთა ჩართულობის გაზრდის მიზნით. სააგენტოში უკვე შემოსულია 10-მდე პროექტი, რომლებსაც სააგენტოს პროექტის მენეჯერები ამზადებენ პირველ კომისიაზე გასატანად.

თავშესაფრის მქონე პირთა უფლება

16.1. „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ ჟენევის 1951 წლის კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვა

16.1.1. შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის დახვეწა/სრულყოფა

16.1.1.1. „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, UNHCR-მა და არასამთავრობო ორგანიზაცია UNAG-მა ერთობლივად შეიმუშავა საკანონმდებლო ცვლილებები ‘ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანად, რომელიც ძირითადად ითვალისწინებს:

- სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებული საქმის განხილვის დაჩქარებული პროცედურების შემოღებას;

- სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებული საქმის განხილვის დროს სპეციალური პროცედურების შემოღებას მოწყვლადი კატეგორიის ჯგუფებისთვის
- ადგილზე ლტოლვილის (sur place) ცნების შემოღებას;
- გამორიცხვის ცნების გამიჯვნას სტატუსზე უარის თქმის საფუძვლებისგან.

ამჟამად, აღნიშნული პროექტი გაგზავნილია საქართველოში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ოფისში და არასამთავრობო ორგანიზაციაში - საქართველოს გაეროს ასოციაცია, მხარეებს შორის პოზიციების შეჯერებისა და საბოლოო შეთანხმების მისაღწევად.

2014 წლის 23 დეკემბერს გამოიცა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის ერთობლივი ბრძანება, რომლითაც უზრუნველყოფილია:

- თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა უფლებების, სახელმწიფო საზღვრის კვეთის პროცედურების და არ გაძევების პრინციპის დაცვა;
- თავშესაფრის მაძიებელთა იდენტიფიკაციის, სახელმწიფო საზღვარზე მიღების, გადაცემისა და ინფორმაციის გაცვლის სფეროში მიმართულებები და საკითხები.

16.1.1.2. უცხოელთათვის თავშესაფრის მიცემის შესახებ პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულების განახლება/ახალი ბრძანებულების პროექტის მომზადება

იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 4 ნოემბრის N50 ბრძანებით დამტკიცდა დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობის გაცემის წესი.

სამინისტრომ შეიმუშავა „უცხოელთათვის თავშესაფრის მიცემის შესახებ“ დებულების პროექტი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის N227 ბრძანებულებით დამტკიცდა 2014 წელს.

დებულება ითვალისწინებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ თავშესაფრის მიცემას იმ უცხოელთათვის, რომლებიც თავშესაფრის მოთხოვნის მომენტისათვის არ იმყოფებიან საქართველოში და მათი მოქალაქეობის ან ადგილსამყოფელ ქვეყანაში იდევნებიან რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულებების გამო.

დოკუმენტით განსაზღვრულია უცხოელთათვის თავშესაფრის მიცემის შესახებ განცხადების მიღების, განხილვისა და მათთვის თავშესაფრის მიცემის, შეწყვეტის ან გაუქმების წესი, მათი უფლებები და მოვალეობები.

16.1.1.3. თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის გაფართოება

„მარტყოფში თავშესაფრის მაძიებელთა მიღებისა და განთავსების ცენტრის მეორე შენობის მშენებლობა დაიგეგმა. შენობის დაპროექტება და სამშენებლო ნებართვების გაცემის პროცედურები დასრულებულია. სამშენებლო სამუშაოები 2015 წელს დაიწყო და დასრულდება 2015 წლის დეკემბერში. ცენტრის მშენებლობა და აღჭურვა სრულად არის დაფინანსებული ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის თანამშრომლობის ოფისის მიერ. მშენებლობის დასრულების შემდეგ, სამინისტროს შესაძლებლობა ექნება, დამატებით, მინიმუმ 72 ადამიანი უზრუნველყოს დროებითი თავშესაფრით.“

(აღნიშნული დაზუსტება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ პროექტის შემუშავებამდე, მიმღები ცენტრი გათვალისწინებული იყო 80 ბენეფიციარისათვის, ხოლო საპროექტო სამუშაოების დასრულების შემდგომ, თავშესაფრის მაძიებელთა დროებითი განთავსებისათვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობა განისაზღვრა 72 პირისათვის.)

2. ანგარიშის ქვეთავში „ეკო-მიგრანტების უფლებები“, მე-17 პუნქტის, „ბუნებრივი ან ტექნოგენური ხასიათის კატასტროფების შედეგად იძულებით გადაადგილებას დაქვემდებარებულ პირთა (ეკომიგრანტი) სამართლებრივი და სოციალური დაცვა“, 17.1.4. ქვეპუნქტში - „2014 წლის 1 იანვრამდე სამინისტროს მიერ უკვე განსახლებული ეკომიგრანტებისათვის შესაბამისი საცხოვრებელი ფართების კანონმდებლობით დადგენილი წესით საკუთრებაში გადაცემის პროცესის დაწყება“ შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ უკვე განსახლებული ეკომიგრანტებისათვის შესაბამისი საცხოვრებელი ფართების კანონმდებლობით დადგენილი წესით საკუთრებაში გადაცემის პროცესის დაწყების მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის N1200 ბრძანების შესაბამისად, ეკომიგრანტთა საკითხების დეპარტამენტმა განახორციელა 2004-2012 წლებში სამინისტროს მიერ ქვეყნის სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში შესყიდული საცხოვრებელი სახლებისა და მათში განსახლებული ოჯახების აღწერა (პროფაილინგი). აღნიშნული საცხოვრებელი სახლებისა და მათთან ერთად შესყიდული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო აზომვითი ნახაზების შედგენისა და საჯარო რეესტრის სააგენტოში ხელახალი რეგისტრაციის შემდეგ შესაძლებელი იქნება მათი კერძო საკუთრებაში გადაცემა.“

(აღნიშნული დაზუსტება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სამინისტროს ეკომიგრანტთა საკითხების დეპარტამენტმა, 2014 წელს, უკვე განახორციელა 2004-2012 წლებში სამინისტროს მიერ ქვეყნის სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში შესყიდული საცხოვრებელი სახლებისა და მათში განსახლებული ოჯახების აღწერა (პროფაილინგი), რაც შესაბამისად უნდა აისახოს წარმოდგენილ პროექტში.)

16.1.1.4.თავშესაფრის მაძიებელთა და თავშესაფრის მქონე პირთა სოციალური დახმარება და ინტეგრაცია

სამინისტროსა და UNHCR ერთობლივი პროექტის ფარგლებში, ხორციელდება მოწყვლადი კატეგორიის თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის ბინის ქირის თანხის და ყოველთვიური სოციალური შემწეობის გამოყოფა.

2014 წლის 1 მარტიდან ლტოლვილსა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირზე გასაცემი ყოველთვიური შემწეობა, დევნილების მსგავსად, განისაზღვრა 45 ლარით ("საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლი, მე-5 პუნქტის დ.ბ. ქვეპუნქტი).

„2014 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 2 დეკემბრის N650 დადგენილებით, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებით დამტკიცებული საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარებს დაემატნენ თავშესაფრის მაძიებელი პირები.

მსოფლიოში გამწვავებული კონფლიქტებისა და საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვისა და ეკონომიკის მუდმივი განვითარების ფონზე, საქართველოში თავშესაფრის მთხოვნელთა რიცხვი გაიზარდა. 2014 წელს, საერთაშორისო დაცვის მისაღებად, საქართველოს 1800-მდე უცხოელმა მომართა.

ეკო-მიგრანტების უფლებები

17. ბუნებრივი ან ტექნოგენური ხასიათის კატასტროფების შედეგად იძულებით გადაადგილებას დაქვემდებარებულ პირთა (ეკომიგრანტი) სამართლებრივი და სოციალური დაცვა

17.1. ბუნებრივი ან ტექნოგენური ხასიათის კატასტროფების შედეგად იძულებით გადაადგილებას დაქვემდებარებულ პირთა (ეკომიგრანტთა) განსახლების უზრუნველყოფა:

17.1.1. ბუნებრივი ან ტექნოგენური ხასიათის კატასტროფების შედეგად იძულებით გადაადგილებას დაქვემდებარებულ პირთა (ეკომიგრანტი) განსახლება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის #779 ბრძანების შესაბამისად სამინისტროს ასიგნებების გათვალისწინებით:

2014 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის #779 ბრძანებით შექმნილმა „სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახთა განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისიამ“ შეარჩია

სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში განსასახლებელი სტიქიით დაზარალებული, გადაადგილებას დაქვემდებარებული 33 ოჯახი, რომლებსაც მიეცათ საშუალება მოეძებნათ და წარმოედგინათ საცხოვრებელი სახლი მათთვის სასურველ მუნიციპალიტეტში, რომელსაც 20000 ლარის ფარგლებში შეუსყიდის სამინისტრო. შერჩეული ოჯახების მიერ წარმოდგენილ სახლებზე სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნების საფუძველზე შესყიდულია 32 საცხოვრებელი სახლი, დამატებით შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსთან გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე. სამინისტროს მიერ შესყიდულია 4 საცხოვრებელი სახლი.

2015 წელს კომისიამ უკვე შეარჩია 42 ოჯახი, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ შერჩეული საცხოვრებელი სახლები სამინისტროს მიერ 20 000 ლარის ფარგლებში შესასყიდად.

გარდა ამისა, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსთან გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე მოხდა 9 საცხოვრებელი სახლის შესყიდვა, ხოლო 15 სახლი გადაგზავნილია სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ტექნიკური მდგომარეობისა და საბაზრო ღირებულების დადგენის მიზნით, საიდანაც, დადებითი დასკვნის შემთხვევაში 11 სახლის შესყიდვა მოხდება საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, ხოლო 4-ის საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში.

17.1.2. საკანონმდებლო დონეზე დარეგულირდეს ბუნებრივი ან ტექნოგენური ხასიათის კატასტროფების შედეგად იძულებით გადაადგილებას დაქვემდებარებულ პირთა (ეკომიგრანტი) უფლებრივი მდგომარეობა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 6 ივნისის #123 ბრძანებით შექმნილმა კომისიამ, რომელშიც სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან ერთად ჩართული იყვნენ სახალხო დამცველის აპარატისა და საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, შეიმუშავა „ეკომიგრანტთა შესახებ“ კანონის პროექტი.

ამ დროისათვის სამინისტრო ხელმძღვანელობს მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის N779 ბრძანებით (ნორმატიული აქტი) რომელიც განსაზღვრავს „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახებს“ – („განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას (ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი) და ცხოვრობენ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ შენობაში/სახლში ან ბუნებრივი ან ანთროპოგენული კატასტროფების ან/და ასეთი რისკების ზონაში“) და არეგულირებს „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების“ საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროცედურებს, კერძოდ:

- ✓ დაზარალების კატეგორიას;
- ✓ დაზარალებულთა საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფის პროცედურას;

- ✓ დაზარალებულთა საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფის კრიტერიუმებს;
- ✓ სამინისტროს მიერ კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის შესყიდვას
- ✓ „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახებისათვის“ გადაცემული, სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებული საცხოვრებელი სახლების მონიტორინგისა და საკუთრებაში გადაცემის პროცედურას

აღნიშნულ ბრძანებაში, 2015 წლის იანვარში, განხორციელებული ცვლილების თანახმად, განისაზღვრა იმ პირთა წრე და გარემოებანი, რომელთა დადგომის შემთხვევაში, ოჯახი ჩაითვლება ეკომიგრანტად და გავრცელდება ამ ბრძანებით დამტკიცებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების განსახლების წესით განსაზღვრული პროცედურები. აღნიშნული ცვლილების მიხედვით, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახად (ეკომიგრანტად) ჩაითვლება ოჯახი, რომლის საცხოვრებელი სახლი ან მისი ნაწილი დანგრეულია ან დაზიანებულია (საცხოვრებლად უვარგისია) და არ ექვემდებარება აღდგენას ან/და სახლი არ არის დანგრეული, მაგრამ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სტიქიური მოვლენები (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათაცვენა, მდინარის ნაპირების გარეცხვა, თოვლის ზვავი, გარდა, მიწისძვრისა და ვულკანისა), საფრთხეს უქმნის იქ მცხოვრებ ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და მათ საკუთრებაში არსებულ ქონებას.

17.1.3. ეკომიგრანტთა მონაცემთა ბაზის ფორმირება და წარმოება

სამინისტროს მიერ შექმნილია სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების მონაცემთა ბაზის კონცეფციის პროექტი, რაც მნიშვნელოვანია სამინისტროს ფუნქციებისა და ამოცანების ეფექტური დაგეგმვისა და განხორციელებისათვის.

სამინისტრო აქტიურად მუშაობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მონაცემთა ბაზის საბოლოო ამოცანის განსაზღვრისა და პროგრამული უზრუნველყოფის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით. ამასთან მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც პროექტის ფარგლებში მოხდება ეკომიგრანტთა ერთიანი მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნა. აღნიშნული ბაზა შეიქმნება მიმდინარე წელს.

17.1.4. 2014 წლის 1 იანვრამდე სამინისტროს მიერ უკვე განსახლებული ეკომიგრანტებისათვის შესაბამისი საცხოვრებელი ფართების კანონმდებლობით დადგენილი წესით საკუთრებაში გადაცემის პროცესის დაწყება

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ უკვე განსახლებული ეკომიგრანტებისათვის შესაბამისი საცხოვრებელი ფართების კანონმდებლობით დადგენილი წესით საკუთრებაში გადაცემის პროცესის დაწყების მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის N1200 ბრძანების შესაბამისად, მიმდინარე წლის მაისიდან ეკომიგრანტთა საკითხების დეპარტამენტი ახორციელებს 2004-2012 წლებში სამინისტროს მიერ ქვეყნის

სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში შესყიდული საცხოვრებელი სახლებისა და მათში განსახლებული ოჯახების აღწერას (პროფაილინგს). ამ ეტაპზე აღწერის პროცესი დასრულებულია და მიმდინარეობს მონაცემების დამუშავება. აღნიშნული საცხოვრებელი სახლებისა და მათთან ერთად შესყიდული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო აზომვითი ნახაზების შედგენისა და საჯარო რეესტრის სააგენტოში ხელახალი რეგისტრაციის შემდეგ შესაძლებელი იქნება მათი კერძო საკუთრებაში გადაცემა.

რეპატრიანტთა უფლებები

18. ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა, რეპატრიანტთა უფლებათა რეალიზაცია

18.1. ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა, რეპატრიანტთა ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება

18.1.1. ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა, რეპატრიანტთა ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის გამოცემის მიზნით შესაბამის სამთავრობო დაწესებულებებთან აქტიური თანამშრომლობა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის უწყებათაშორისი სამთავრობო საბჭოს წევრებთან აქტიური თანმშრომლობით მოამზადა ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ სახელმწიფო სტრატეგიის პროექტი, რომელიც მიღებულ იქნა 2014 წლის 12 სექტემბერს მთავრობის N1671 განკარგულებით.

სტრატეგია მიზნად ისახავს რეპატრიანტთა ღირსეული და ნებაყოფლობითი დაბრუნების ხელშეწყობას და რეპატრირებული მოსახლეობის სამოქალაქო ინტეგრაციას.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა სტრატეგიის სამოქმედო გეგმაზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მოქმედი სოციალური პროგრამა ითვალისწინებს იმ სტუდენტთა დაფინანსებას უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის) საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებიც არიან კომუნისტური რეჟიმის დროს საქართველოდან დეპორტირებული სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის შთამომავლები. პროგრამის ფარგლებში სტუდენტები ფინანსდებიან 4-6 წლის განმავლობაში (პროგრამის ხანგრძლივობის მიხედვით) სახელმწიფო სასწავლო გრანტის მაქსიმალური ოდენობის (2250 ლარი) ფარგლებში. 2014-2015 სასწავლო წელს აღნიშნული კატეგორიის სტუდენტებს დაფინანსების

თხოვნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის არ მოუმართავთ. პროგრამა გაგრძელდება 2015-2016 სასწავლო წელსაც.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრები ადამიანების უფლებების დაცვა

19.1. გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრები ადამიანების უფლებების დაცვა და მათი მძიმე სოციალურ -ეკონომიკური და ჰუმანიტარული პირობების გაუმჯობესება

19.1.1. გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრები ადამიანებისათვის ჯანდაცვის უზრუნველყოფა; განათლების ხელმისაწვდომობა; სოციალურ–ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება; ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; უსაფრთხოების მაქსიმალური დაცვა

19.1.1.1. ახალი ამბულატორიების მშენებლობა და მათი აღჭურვა თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიებით; სამედიცინო პერსონალის პროფესიული გადამზადება;

ხარისხიანი სამედიცინო მომსახურეობისათვის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ამბულატორიები მოეწყო გამყოფის ხაზის მიმდებარე 23 სოფელში.

19.1.1.2. პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის განსაკუთრებული პირობების შექმნა; სტუდენტებისათვის მაქსიმალური შეღავათების დაწესება; სასწავლო ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გაუმჯობესება;

გორის მუნიციპალიტეტში არხისის, საჩხერის მუნიციპალიტეტში სოფელ პერევის, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სოფელ ლიას N1 საჯარო სკოლებს ჩაუტარდათ სარეაბილიტაციო სამუშაოები. ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ აბანოში მიმდინარეობს საჯარო სკოლის მშენებლობა. დაფინანსდა 471 სტუდენტის 2013-2014 სასწავლო წლის სწავლის გადასახადი. აქედან 444 ბაკალავრის და 27 მაგისტრანტის. ამასთან 2014-2015 სასწავლო წლისათვის დაფინანსდება გამყოფ ხაზებთან მცხოვრები 600 სტუდენტი. 2013 წლის ბოლოს 30 საჯარო სკოლის პირველკლასელს გადაეცა 345 „ბუკი“, 30 საჯარო სკოლის პირველი კლასის დამრიგებელს - 34 პორტატული კომპიუტერი, 4 სკოლის წარჩინებულ მოსწავლეს - 6 პორტატული კომპიუტერი. UNDP-ისა და UNHCR-ის ერთობლივი პროექტის ფარგლებში დასრულდა ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დვანში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, რომლითაც ისარგებლებს ს. დვანისა და ს. ტახტისძირის 40 აღსაზრდელი.

მოსწავლეებისათვის ზოგადსაგანმათლებლო დაწესებულებების მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

სამინისტრო "სკოლების ხელმისაწვდომობის ქვეპროგრამის" ფარგლებში უზრუნველყოფს გამყოფ ხაზთან ახლომდებარე საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებას შემდეგ მუნიციპალიტეტებში:

- გორის მუნიციპალიტეტი - 355 მოსწავლე (სოფლები: ქვეში, არბო, დიცი, მერეთი, ტირძნისი, ფლავი, აძვი, ბერშუეთი,ხურვალეთი);
- კასპის მუნიციპალიტეტი - 42 მოსწავლე (სოფელი: ლამისყანა);
- ქარელის მუნიციპალიტეტი - 115 მოსწავლე (სოფლები: ბრეთი, საციხური, დვანი, ატოცი, ფცისი, ცერონისი);
- საჩხერის მუნიციპალიტეტი - 17 მოსწავლე (სოფლები: სოფელი პერევი);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტი - 593 მოსწავლე (სოფლები: განმუხური, კოკი, ორსანტია, რუხი, ტყაია, შამგონი);
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტი - 166 მოსწავლე (სოფელი: ფახულანი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით დაასრულა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სიების დაზუსტება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამართლებრივი საფუძვლების მომზადება მათი სწავლის დაფინანსების მიზნით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ასევე თანამშრომლობს უნივერსიტეტებთან აღნიშნული კატეგორიის სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის გადავადებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს, დაზუსტებული სიის შესაბამისად, აღნიშნულ უნივერსიტეტში სწავლობს 177 სტუდენტი, რომლებიც ცხოვრობენ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში. არც ერთ მათგანს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში არ შექმნია პრობლემა სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებით.

19.1.1.3. სხვადასხვა საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის აღდგენა, მშენებლობა და განვითარება; საერთაშორისო დონორთა მობილიზება მათ საჭიროებებზე დამატებითი რეაგირებისათვის.

სალთვისი-ტირიფონის საირიგაციო სისტემის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, რეაბილიტირებულ იქნა ტირიფონის მაგისტრალური არხი და ასევე დასრულდება სარწყავი წყლით მომარაგების გასაუმჯობესებლად მიმდინარე წლის შემოდგომას მოწესრიგდა დამატებით 6 სარწყავი წყლის სატუმბი სადგური. მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების უზრუნველყოფის მიზნით 9 სოფელში მოეწყო ჭაბურღილები და მოხდა სისტემების რეაბილიტაცია. მიმდინარეობს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების გაზიფიცირება. უკვე დასრულებულია გაზიფიცირების ქსელის მოწყობის სამუშაოები. მოსახლეობის გათბობით უზრუნველსაყოფად საქართველოს მთავრობამ 11 440 ოჯახისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყო 2 288 000 ლარი და თითოეულ ოჯახს გადაეცა 200 ლარი. UNHCR-მა ფულადი დახმარება (500 ლარი ბენეფიციარზე) გაუწია 1311 მოწყვლად (მრავალშვილიან, მარტოხელა და შშმპ) ოჯახებს.

2014 წელს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის გათბობით უზრუნველსაყოფად საქართველოს მთავრობამ 11677 (დამატებით 237 ოჯახს გადაეცა

ფინანსური დახმარება) ოჯახისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყო 2 335 400 ლარი და და თითოულ ოჯახს გადაეცა 200 ლარი.

გამყოფ ხაზთან ახლოს მდებარე სოფლების მცხოვრებთათვის, საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, 2014 წელს, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევში გაიხსნა საზოგადოებრივი ცენტრი, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს სახელმწიფო და კერძო სექტორის სერვისებით. 2015 წლის განმავლობაში დაგეგმილია საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ორსანტიასა და რუხში.

19.1.1.4. კრიმინოგენური სიტუაციის სტაბილიზაცია; ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე შესაძლო პროვოკაციების თავიდან აცილება, გამყოფ ხაზებთან მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოს შექმნა

2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების შემდეგ, ოკუპაციის ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე, ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების და რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიეცა სპეციალური მანდატი. 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების და მისი განხორციელების დოკუმენტის შესაბამისად შსს ერთადერთი სახელმწიფო ძალოვანი სტრუქტურაა, რომელიც წარმოდგენილია საოკუპაციო ზოლში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე.

ოკუპაციის ზოლის გასწვრივ აფხაზეთისა და ეგრედ წოდებული სამხრეთ ოსეთის მიმართულებაზე პოლიციას გააჩნია არა მარტო საგუშაგოები, არამედ ახდენს რეგულარულ პატრულირებას, ამავე მოწოდებებით მიმართავს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასაც. დაკავებების ყველა შემოსულ ინფორმაციაზე შსს ახდენს დაუყოვნებლივ რეაგირებას ე. წ „ცხელი ხაზის“ მეშვეობით და საქმის კურსში აყენებს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას, განიხილავს ამ ფაქტებს IPRM-სა და ჟენევის დისკუსიების ფორმატში.

გამომდინარე იქიდან, რომ როგორც საქართველოს სახელმწიფოს მიერ, ასევე საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან დაფიქსირებულია პოზიცია, რომ ოკუპირებული ტერიტორიები წარმოადგენს საქართველოს განუყოფელ ნაწილს, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ისევე როგორც სხვა სახელმწიფო სტრუქტურები, ვერ და არ განახორციელებს საქართველოს მოქალაქეთათვის გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვას საქართველოს ტერიტორიაზე. მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირება ხორციელდება როგორც სახელმწიფო უწყებების, მათ შორის შსს–ს, ასევე მედიის საშუალებებით. ადგილობრივი მოსახლეობა კარგად არის ინფორმირებული არსებული საფრთხეების შესახებ.

19.2.ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანებისათვის ჯანდაცვის და განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; თავისუფალი გადაადგილების ხელშეწყობა და ადამიანების უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვისათვის შესაბამისი ძალისხმევის მობილიზება

19.2.1. საქართველოს მოსახლეობის აღნიშნული ნაწილისათვის ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების მაქსიმალური ხელმისაწვდომობა

19.2.1.1. რეფერალური პროგრამით გათვალისწინებული სერვისების გაგრძელება, მექანიზმების დახვეწა და პროგრამის შესახებ ინფორმაციის მიწოდება

2014 წელს რეფერალური პროგრამით ისარგებლა ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებმა 259 პირმა, ხოლო ცხინვალის რეგიონში მცხოვრებმა 323 პირმა.

19.2.2. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა ნაწილისათვის განათლების სახელმწიფო პროგრამების მაქსიმალური ხელმისაწვდომობა

19.2.2.1. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მასწავლებლებისთვის განსაკუთრებული პირობების შექმნა და მათი პროფესიული გადამზადება;

2014 წელს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განახორციელა „ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების“ პროგრამა, რომლის ფარგლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის მიერ წერილობით მოწოდებული ბენეფიციართა სიების საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ყოველ კვარტალურად უზრუნველყო ფინანსური (სოციალური) დახმარების გაცემა.

„პედაგოგების გადამზადებისა და აბიტურიენტების ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების“ ქვეპროგრამის ფარგლებში ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსწავლეებისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სრული ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობის გაზრდისა და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, 2014 წელს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სპეციალისტები 4 თვის განმავლობაში 3-ჯერ ეწვივნენ ზუგდიდს და თითოეული ვიზიტისას ორი დღის განმავლობაში ჩაატარეს ტრენინგები 8 საგანში: 1. ქართული ენა და ლიტერატურა; 2. რუსული ენა; 3. ისტორია; 4. გეოგრაფია; 5. მათემატიკა; 6. ზოგადი უნარები; 7. ინგლისური

ენა და 8. ბიოლოგია. ტრენინგი გაიარა 47 მასწავლებელმა, რომლებმაც, თავის მხრივ, აბიტურიენტებს ჩაუტარეს მოსამზადებელი სამუშაოები ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის. სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების მიზნით ოკუპირებული გალის მუნიციპალიტეტს და აფხაზეთის საჯარო სკოლების აბიტურიენტებსა და მასწავლებლებს უსასყიდლოდ გადასცა სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული სხვადასხვა დასახელების ტესტების კრებულები და დამხმარე სახელმძღვანელოები (ჯამში 1672 ცალი).

19.2.2.2. ოკუპირებული ტერიტორიებიდან სტუდენტებისათვის საქართველოს სასწავლებლებში განათლების მისაღებად მაქსიმალური შეღავათების დაწესება

„უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 აგვისტოს №501 დადგენილება ითვალისწინებდა ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული გარკვეული კატეგორიის სტუდენტების სწავლის დაფინანსებას, მათ შორის სტუდენტების, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ან რომლებიც 2008 წლის 7 აგვისტომდე, ბოლო ერთი წლის განმავლობაში სწავლობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ხოლო სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. პროგრამის ფარგლებში სტუდენტები ფინანსდებიან 4-6 წლის განმავლობაში (პროგრამის ხანგრძლივობის მიხედვით) სახელმწიფო სასწავლო გრანტის მაქსიმალური ოდენობის (2250 ლარი) ფარგლებში. სოციალური პროგრამის ფარგლებში 2014-2015 სასწავლო წელს სახელმწიფო დაფინანსება მოიპოვა აღნიშნული კატეგორიის 141 სტუდენტმა. პროგრამა გაგრძელდება 2015-2016 სასწავლო წელსაც.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების 2014-2015 სასწავლო წლის სწავლის დაფინანსების მიზნით გამოიყო 1 200 000 ლარი, რის შედეგადაც სწავლა დაუფინანსდება 560 სტუდენტს.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შემოთავაზებული მოდელი უკვე მოქმედებს აფხაზურენოვანი აბიტურიენტებისთვის. რაც შეეხება ოსურენოვანი აბიტურიენტების ხელშეწყობას, საქართველოს განთლებისა და მეცნიერების სამინისტროში სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 აგვისტოს N501 დადგენილება ითვალისწინებს იმ სტუდენტთა დაფინანსებას უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის) საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების

დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ან რომლებიც 2008 წლის 7 აგვისტომდე, ბოლო ერთი წლის განმავლობაში სწავლობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ხოლო სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

დადგენილების შესაბამისად, აღნიშნული კატეგორიის სტუდენტები, სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მისაღებად, განცხადებას თანდართულ დოკუმენტებთან ერთად წარადგენენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციაში, რომლებიც ადგენენ სტუდენტის შესაბამისობას ამ დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელ სტუდენტთა სიას წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მშობლიურ ენაზე განათლების უფლებისა და ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

1. „პედაგოგების გადამზადებისა და აბიტურიენტების ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების“ ქვეპროგრამა

ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსწავლეებისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სრული ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობის გაზრდისა და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ექსპერტები ახდენენ გალის რაიონის პედაგოგების ინფორმირებას/ინსტრუქტაჟს შემდეგ 8 საგანში: 1. ქართული ენა და ლიტერატურა; 2. რუსული ენა; 3. ისტორია; 4. გეოგრაფია; 5. მათემატიკა; 6. ზოგადი უნარები; 7. ინგლისური; 8. ბიოლოგია. ქვეპროგრამის ხანგძლივობა შეადგენს 4 თვეს. გალის რაიონის პედაგოგები 4 თვის განმავლობაში დამატებით მეცადინეობას ჩაუტარებენ გალის რაიონის მოსწავლეებს. ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების მიზნით, აბიტურიენტებსა და მასწავლებლებს უსასყიდლოდ გადაეცემათ ტესტების კრებულები და დამხმარე სახელმძღვანელოები.

2. ზოგადი განათლების აღიარება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2009 წლის 19 მარტის #147 ბრძანების შესაბამისად აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლების აღიარების კომისია განიხილავს ოკუპირებული გალის რაიონიდან მიღებულ სასკოლო დოკუმენტაციას და აღიარებს იქ მიღებულ განათლებას, რაც კურსდამთავრებულებს აძლევს ეროვნული გამოცდების ჩაბარების უფლებასა და სამოქალაქო რეესტრის მეშვეობით ქართული ატესტატის მიღების შესაძლებლობას.

3. „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის“ პროგრამა

„მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში, რომლის მიზანია სრული ზოგადი განათლების და საგანმანათლებლო რესურსების თანაბრად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, გათვალისწინებულია გალის რაიონის ე.წ. „ქვედა ზონის“ ზემო ბარღების, ქვემო ბარღების, თაგილონის, ოტობაიის N1, ფიჩორის, გაგიდის, სიდის საშუალო და განახლებისა და თაგილონის საბაზო სკოლებისა (სულ 9 სკოლა) და ახალგორის მუნიციპალიტეტის ახალგორის N1, იკოთის, ზემო ბოლის, ახმაჯის, კორინთის და ბალაანის საჯარო სკოლების (სულ 6 სკოლა) გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა.

4. „წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების“ ქვეპროგრამა

„წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების“ ქვეპროგრამის ფარგლებში, რომლის მიზანია სკოლის მოსწავლეებში სწავლისადმი მოტივაციის ამაღლება და აკადემიური მოსწრებისადმი პოზიტიური განწყობის შექმნის ხელშეწყობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული სკოლების წარჩინებული მოსწავლეები სამინისტროს მხრიდან დაჯილდოვდებიან ოქროსა და ვერცხლის სახელობითი მედლებით.

5. „ეროვნული საგნობრივი ოლიმპიადების“ ქვეპროგრამა

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებში დამატებითი ინფორმაციის მოძიებისა და ცოდნის გაღრმავებისადმი მოტივაციის ამაღლების მიზნით ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული სკოლების მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ მიიღონ მონაწილეობა ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში, რომელიც ტარდება შემდეგ საგნებში მათემატიკა, ფიზიკა, ქართული ენა და ლიტერატურა, ქიმია, ბიოლოგია, ისტორია, გეოგრაფია და უცხოური ენები (ინგლისური, გერმანული, რუსული, ფრანგული).

6. „სასკოლო კონკურსების“ ქვეპროგრამა

მოსწავლეებში სხვადასხვა უნარების გამოვლენის და განვითარების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საქართველოს საჯარო და კერძო სკოლებს, მათ შორის ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ სკოლებს სთავაზობს სხვადასხვა უნარების წარმოჩენისა და განვითარებაზე ორიენტირებულ კონკურსებს, რომელთა თემატიკა თანხვედრაში იქნება სამინისტროს პრიორიტეტულ მიმართულებებთან.

7. „საზაფხულო სკოლების“ პროგრამა

„საზაფხულო სკოლების პროგრამის“ ფარგლებში ინგლისური ენის საზაფხულო სკოლაში მონაწილეობას მიიღებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების და კულტურის სამინისტროს მიერ წარდგენილი 30 მოსწავლე, ხოლო სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის მიერ წარდგენილი 10 მოსწავლე.

19.2.3. გამყოფ ხაზებზე ადამიანების თავისუფალი მიმოსვლის, ხალხთა შორის კონტაქტების წახალისება, ნათესაური კავშირების შენარჩუნება; მავთულხლართებისა და სხვა ბარიერების აღმართვის პროცესით შექმნილი პრობლემების აღმოფხვრა.

„19.2.3.1. გამყოფ ხაზებთან მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოს შექმნა; საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება, ჩართულობისა და რეაგირების მობილიზება მავთულხლართების აღმართვის პროცესის შეჩერებისა და მოსახლეობისთვის ამით შექმნილი პრობლემების მოგვარებისათვის; ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებისა და IPRM მექანიზმის გამოყენება“

საგარეო საქმეთა სამინისტრო განაგრძობს მოქმედებებს, რათა საერთაშორისო თანამეგობრობამ კვლავ აფიქსიროს მკაფიო პოზიცია ა) მავთულხლართების აღმართვის პროცესზე და ბ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ პირთა უფლებების დარღვევებზე;

საგარეო საქმეთა სამინისტრო განაგრძობს მოქმედებებს, რათა გაერო-ს; ევროკავშირის (EUMM), ეუთო-ს და ევროპის საბჭოს ორგანოებმა გაამახვილონ ყურადღება თავიანთ განცხადებებში/რეზოლუციებში/ანგარიშებში ა) მავთულხლართების აღმართვის პროცესზე და ბ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ პირთა უფლებების დარღვევებზე.

საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სხვა კომპეტენტურ უწყებებთან თანამშრომლობით, აგრძელებს მოქმედებებს, რათა მოხდეს საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება, ჩართულობისა და რეაგირების მობილიზება მავთულხლართების აღმართვის პროცესის შეჩერებისა და მოსახლეობისთვის ამით შექმნილი პრობლემების მოგვარებისათვის, მათ შორის ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებისა და IPRM მექანიზმის გამოყენებით;

საგარეო საქმეთა სამინისტრო განაგრძობს მოქმედებებს, რათა უცხო ქვეყნების და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან გაგრძელდეს დახმარების მიღება იძულებით გადაადგილებულ პირთათვის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ პირთათვის;

მავთულხლართების აღმართვის პროცესზე და ოკუპაციის ზოლის სიახლოვეს მცხოვრებ პირთა უფლებების დარღვევებზე შსს რეგულარულად ახდენს EUMM-ის ინფორმირებას ე. წ „ცხელი ხაზის“ მეშვეობით, განიხილავს ამ ფაქტებს IPRM-სა და ჟენევის დისკუსიების ფორმატში. შსს სთავაზობს ყველა მის უცხოელ სტუმარს ეწვიოს საოკუპაციო ზოლს, ადგილზე გაეცნოს არსებულ ვითარებას და დააფიქსიროს არსებული პრობლემები, რითაც ხელს შეუწყობს პრობლემების ინტერნაციონალიზაციას მათი დიპლომატიური გზებით გადაჭრის მიზნით.

გალის IPRM-ის მექანიზმის ჩაშლის მიზეზი გახდა აფხაზური მხარის მიერ გადადგმული პროვოკაციული ნაბიჯები და პოლიტიკური მოთხოვნები. ქართული მხარე, გამოდის რა ოკუპაციის ზოლის მიმდებარედ მცხოვრები ადამიანების უფლებების ეფექტური დაცვის ღირებულებიდან, აქტიურად განიხილავს ფორმატის აღდგენის გზებს, ისე რომ საქართველოს სახელმწიფო ინტერესები არ იქნას შელახული. ბოლო პერიოდში გამონახული იქნა რიგი კომპრომისები, რომლებიც ფორმატის ახლო მომავალში აღდგენის იმედს გვიტოვებს.

19.2.4. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანებისათვის მძიმე ჰუმანიტარული შედეგების შემსუბუქება, ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევის, სხვადასხვა ფორმის დისკრიმინაციისა და ძალადობის, მათ შორის ყაჩაღობის, გატაცებისა და გამოძალვის შემთხვევების აღმოფხვრა

„19.2.4.1. ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება, მათ შორის არსებული მექანიზმებით (ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები და IPRM მექანიზმი); საერთაშორისო ჩართულობის ხელშეწყობა ადამიანის უფლებების დაცვისათვის; მათ შორის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმის ამოქმედებაზე მუშაობა;“

საგარეო საქმეთა სამინისტრო განაგრძობს მოქმედებებს, რათა საერთაშორისო თანამეგობრობამ აფიქსიროს მკაფიო პოზიცია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა უფლებების დარღვევებზე;

საგარეო საქმეთა სამინისტრო განაგრძობს ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირებას, მათ შორის არსებული მექნიზმებით (ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები და IPRM მექანიზმი) და განაგრძობს საერთაშორისო ჩართულობის ხელშეწყობას ადამიანის უფლებების დაცვისათვის;

საგარეო საქმეთა სამინისტრო განაგრძობს მუშაობას საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რათა მათ გააძლიერონ თავიანთი ძალისხმევა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დაცვის მონიტორინგის მექანიზმის ამოქმედების კუთხით;

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კოორდინაციით მომზადებულ „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის შესრულების შესახებ გაერთიანებულ მე-6, მე-7 და მე-8 ანგარიშსა და „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის შესრულების თაობაზე საქართველოს მე-4 პერიოდულ ანგარიშში ცალკე თავი დაეთმო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ ინფორმაციას.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენელი მუდმივად იღებს მონაწილეობას ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების ფარგლებში სამუშაო ჯგუფის (IPRM)

შეხვედრებში. აღნიშნულ ფორმატში იხილება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელებული ადამიანის უფლებების დარღვევის სხვადასხვა ფაქტი (გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა, უკანონო დაკავებები, კერძო საკუთრების ხელყოფა, სამედიცინო დახმარების მიღება, განათლების უფლება, სასმელი და სარწყავი წყლის მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემები და სხვა.). ასევე ჟენევის მოლაპარაკებების ფარგლებში და ყველა საერთაშორისო დონის შეხვედრებისას მუდმივად ხდება ინფორმირება ოკუპირებულ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობაზე განხორციელებული დისკრიმინაციული მოპყრობის და ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ.

გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს ხელისუფლება ვერ ახორციელებს კონტროლს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კრიმინალური სიტუაციის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტრო სრულყოფილ ინფორმაციას ვერ ფლობს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ იდენტიფიცირებული ,რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ ოკუპაციის ხაზის კვეთის ბრალდებით დაკავებულ პირთა სტატისტიკის მიხედვით აფხაზეთში 2013 წლის მონაცემებთან შედარებით 17.8% არის შემცირებული ხოლო ცხინვალის რეგიონში 1.4%-ით. რაც შეეხება აფხაზეთის, გალის რაიონში, ყაჩაღობის ფაქტებს სტატისტიკის მიხედვით 2014 წელს 14.5% -ით შემცირდა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები

20. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა.

20.1. საკანონმდებლო გარემოს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა; შშმ პირთა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის ხელშეწყობა.

20.1.1. ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის შემუშავება და მიღება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შშმ პირებთან დაკავშირებული ასპექტები.

საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის 2 მაისს დაამტკიცა, კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. სახალხო დამცველი აპარატში შეიქმნა თანასწორობის დეპარტამენტი, რომლის მიზანსაც წარმოადგენს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრაზე მონიტორინგის განხორციელება.

20.1.2. შეზღუდული შესაძლებლობის შეფასებისა და სტატუსის მინიჭების სისტემის რეფორმირება და სოციალურ მოდელზე ეტაპობრივი გადასვლის პროცესის გაგრძელება.

შეფასების სოციალური მოდელის დრაფტი და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის პირველადი ვარიანტი შემუშავებულია, თუმცა საჭიროებს გარკვეული დეტალების დაზუსტებას, რისთვისაც გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) 2015 წლის მარტიდან გაითვალისწინა დაფინანსება 75 000 ევროს ოდენობით.

სოციალური მოდელის დრაფტი გულისხმობს შემდეგ საკითხებს:

- ახალი სტრუქტურის შექმნა - სპეციალური დაწესებულება – ცენტრი, რომელსაც სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის განხორციელების კომპეტენცია ექნება.
- სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის სახელმწიფო პროგრამის შექმნა, რომელიც სხვა დანარჩენი სახელმწიფო ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების მსგავსად, სრულად დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.
- ცენტრის საქმიანობა - მულტიდისციპლინური გუნდის მიერ სამედიცინო სოციალური ექპერტიზის ჩატარება და შშმ პირის სტატუსის განსაზღვრა.
- ცენტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმი.
- ცენტრის საქმიანობის კონტროლი.

შეფასების სოციალური მოდელის ამოქმედებისთვის აუცილებელია შემუშავდეს:

1. საქართველოს კანონი ,,სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“;
2. სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ცენტრის დებულება და საქმიანობის წესი;
3. შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესი;
4. „დაავადებების, ანატომიური და გონებრივი დეფექტების ნუსხა, რომლებიც წარმოადგენენ შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის საფუძველს“ (მათ შორის 18 წლამდე ასაკის პირებისთვის);
5. „დაავადებების, ანატომიური ან გონებრივი დეფექტების ნუსხა, რომელთა არსებობის შემთხვევაში დასაშვებია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალურ პირობებში შრომა“;
6. ,,პროფესიული შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხის განსაზღვრის წესი.
7. სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისათვის საჭირო ფორმები:

    - ✓ განცხადება; (შუამდგომლობა)
    - ✓ სოციალურ-ეკონომიკური შეფასება;
    - ✓ სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტი;
    - ✓ აქტის ამონაწერი.

ყველა დაინტერესებული მხარისა და უწყების მონაწილეობით აპრილის თვიდან დაგეგმილია ახალი სამუშაო ჯგუფის შექმნა და აქტიური მუშაობის გაგრძელება, რათა მოკლე ვადებში შესაძლებელი გახდეს პროექტის პირველადი ვარიანტისთვის საბოლოო სახის მიცემა.

20.1.3. გადაწყვეტილებების მიღების პროცესში შშმ პირების ჩართულობის ხელშეწყობა.

პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭო, განისაზღვრა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის ორგანოდ, ხოლო ადამიანის უფლებათა სამდივნოს დაევალა განესაზღვრა კონვენციის კოორდინაციის ფუნქცია. ამჟამად მიმდინარეობს საბჭოს დებულების ცვლილებაზე მუშაობა, რათა მოხდეს კონვენციის მოთხოვნებთან სრულად მისადაგება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს, შშმ პირთა მიმართ სამოქმედო გეგმების და პროგრამების შემუშავებისას, ყველა დაინტერესებული ორგანიზაციის და შშმ პირის მონაწილეობას.

20.1.4. სამართლებრივი ბაზის შესაბამისობაში მოყვანა საერთაშორისო სტანდარტებთან (გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მოთხოვნებთან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა).

კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელების აუცილებლობაზე დისკუსია მიმდინარეობს 2 ფორმატში:

1. ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის, შშმპ უფლების დაცვის თავიდან გამომდინარე არსებულ სამუშაო ჯგუფის ფორმატში.

2. ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს კოორდინაციით იმართება შეხვედრები შესაბამის არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დაინტერესებულ პირთა სრული ჩართულობის პრინციპის დაცვით, რათა მოხდეს საჭიროებების იდენტიფიცირება და კონვენციით გათვალისწინებით ძირითადი მიმართულებების შესაბამის სამოქმედო გეგმაში ასახვა.

20.2. ცნობიერების ამაღლება

20.2.1. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე (მედია-საშუალებათა პერსონალის, მათ შორის ჟურნალისტების ინფორმირება და ტრენინგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე)

მიმდინარეობს შესაბამისი პროექტის მომზადების პროცესი, დონორ ორგანიზაციებთან კოორდინაციის შემდგომ დაიგეგმება შესაბამისი საქმიანობები.

20.3. საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებისა და სატრანსპორტო საშუალებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

20.3.1.საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებისა და მომსახურების, მათ შორის საჯარო დაწესებულებების ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პროცესის აქტიურად წარმართვა.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცდა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტი.

ტექნიკური რეგლამენტი განსაზღვრავს შშმ პირთათთვის ხელმისაწვდომი ფიზიკური გარემოს სტანდარტების გათვალისწინებას, პროექტირებისა და მშენებლობის პროცესში. ამ მოთხოვნათა დაცვა და შესრულება სავალდებულოა ნებისმიერი ორგანიზაციისათვის, რომელიც ამუშავებს დასახლებულ ადგილთა გეგმარებისა და განაშენიანების პროექტებს ან ახდენს მათ რეალიზაციას.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო“-ს მიერ შემუშავებული მშენებლობის ნებართვა გაიცემა მე-5 კლასის ობიექტებზე, (კერძოდ: ჰიდროელექტრო სადგურებზე, ანძებზე, საავტომობილო გზებზე და ა.შ.), საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებზე ნებართვის გაცემისას სააგენტო არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების მომზადებისას ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გადაადგილების საჭირო პირობებს (ლიფტებს, პანდუსებს და ა.შ.). ასევე, შენობაში, სადაც განთავსებულია სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო“, გათვალისწინებულია ყველა ის პირობა, რომელიც ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გადაადგილებას.

20.3.2. საზოგადოებრივი სატრანსპორტო საშუალებების, გადაადგილებისა და მოგზაურობის თანაბარი ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა შესაბამისი რეგულაციების შემუშავების და დანერგვის გზით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სატრანსპორტო საშუალებების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს“ მიერ იგეგმება ცვლილებების მომზადება იმ ტექნიკურ რეგლამენტებში, რომლებიც არეგულირებენ ქვეყანაში მოსახლეობის საავტომობილო სამგზავრო ტრანსპორტით მომსახურების პირობებს („ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მგზავრის გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის წესი” (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის 4 დადგენილება) და „ავტოსადგურის ფუნქციონირების წესი და პირობები“ (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის 442 დადგენილება)). აღნიშნული ცვლილებებით გათვალისწინებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის მომსახურების სავალდებულო პირობები, რომლებიც სავალდებულო გახდება როგორც მგზავრთა გადაყვანით

დასაქმებული გადამზიდველებისათვის, ასევე ავტოსადგურის საქმიანობის განმხორციელებელი პირებისათვის.

სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ 2014 წელს შესყიდულ იქნა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ეტლების ვაგონში ასასვლელად საჭირო 8 ერთეული დამხმარე დაფა (ე.წ. „რამპა“), საერთო ღირებულებით 11040 ლარი, რომლებიც დამონტაჟებულია ყველა ჩქარ ელექტრომატარებელში და შესაძლებელია სარგებლობა საჭიროების შესაბამისად.

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება შეიტანოს ცვლილება 2014 წლის 26 აგვისტოს შპს "NEW ARCH STUDIO"-სა და სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ტექნიკურ დავალებაში, რათა ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობისას, გათვალისწინებულ იქნეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სამუშაო პირობების უზრუნველყოფა.

სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ, „ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ“ საქართველოსა და ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის შეთანხმების ფარგლებში, შეიმუშავა და დანერგა ევროკავშირის საბჭოს 2006 წლის 5 ივლისის 107/2006 რეზოლუციის შესაბამისად „საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვისას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის დახმარების აღმოჩენის წესი“, რომელიც დამტკიცებულია სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“ დირექტორის 2013 წლის 30 იანვრის 16 ბრძანებით (აღნიშნული წესი ძალაშია 2013 წლის 1 აპრილიდან). წესში ასახული მოთხოვნების შესრულების უზრუნველსაყოფად, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო ახორციელებს ავიაგადამზიდველების და საქართველოს აეროპორტების მუდმივ მონიტორინგს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მომსახურების განხორციელებასთან დაკავშირებით. სააგენტოს მიერ ასევე, ხორციელდება მუდმივი ზედამხედველობა საავიაციო ობიექტების მშენებლობებზე, რათა მაქსიმალურად იყოს დაცული ის სტანდარტები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვასთან.

20.4. ინდივიდუალური მობილურობის ხელშეწყობა

20.4.1. შშმ პირთა დამოუკიდებელი გადაადგილებისა და კომუნიკაციის ხელშეწყობა.

სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ხორციელდება დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ა) სავარძელ-ეტლებით უზრუნველყოფისა და შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობას;
ბ) საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფას;
გ) სმენის აპარატებით უზრუნველყოფას;
დ) კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფას;
ე) ყავარჯნებით, ხელჯოხ-ყავარჯნებით, უსინათლოთა ხელჯოხებით და გადასაადგილებელი ჩარჩოებით უზრუნველყოფას.

ამავე პროგრამის ფარგლებში ხორციელდება, ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა, რომლის ამოცანაა ყრუ და სმენადაქვეითებული პირების სოციალური

ინტეგრაციის ხელშეწყობა საქართველოს (ქ. თბილისის გარდა) მინიმუმ რვა რეგიონში 10 სურდოთარჯიმნის მომსახურებით უზრუნველყოფის საშუალებით.

შესაბამისი პროგრამები იგეგმება დამხმარე საშუალებების საჭიროების მქონე პირთა რაოდენობების და არსებული მოთხოვნების მაქსიმალურად გათვალისწინებით.

2014 წლის განმავლობაში დამხმარე საშუალებების ბენეფიციარებზე გაცემის სტატისტიკური მონაცემები 2013 წელთან მიმართებით არის შემდეგი:

2014 წელი - მექანიკური სავარძელ-ეტლი - 409 ერთეული; - 2013 წელი - 632
2014 წელი - ელექტრო სავარძელ-ეტლი -110; - 2013 წელი - 34
2014 წელი - საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებები - 988; - 2013 წელი - 963
2014 წელი - სმენის აპარატი - 1341; - 2013 წელი -1032
2014 წელი - კოხლეარული იმპლანტი - 26; - 2013 წელი - 30
2014 წელი - ხელჯოხ-ყავარჯენი - 62; - 2013 წელი - 49
2014 წელი - ყავარჯენი - 48; - 2013 წელს -51
2014 წელი - უსინათლოთა ხელჯოხი - 11; - 2013 წელი - 23
2014 წელი - გადასაადგილებელი ჩარჩო - 41; - 2013 წელი -18

პროგრესი, გარდა რიგი დამხმარე საშუალებებისა; საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებები, სმენის აპარატები, ხელჯოხ-ყავარჯნებისა და გადასაადგილებელი ჩარჩოებისა, თვალნათლივ ჩანს ელექტრო სავარძელ-ეტლების კომპონენტში.

20.6. განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

20.6.1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების სამართლებრივი ჩარჩოს განსაზღვრა.

სსსმ მოსწავლეთა განათლება რეგულირდება ზოგადი განათლების შესახებ კანონით და ეროვნული სასწავლო გეგმით. არსებული კანონმდებლობის თანახმად სსსმ მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვა ხორციელდება განათლების და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციის და მშობლის გადაწყვეტილების საფუძველზე. სსსმ მოსწავლეს უფლება აქვს განათლება მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის ხარისხიანი პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და პროფესიულ განათლებაში ინკლუზიური პრინციპების დანერგვის მიზნით, პროექტის ,,ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში“ (საგრანტო ხელშეკრულება#01/03-25.01.2013) ადმინისტრაციის მიერ შემუშავდა საკანონმდებლო პაკეტი, რომლის ინტეგრირებაც მოხდება საქართველოს კანონში ზოგადი განათლების შესახებ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 31 მარტის N389 ბრძანებით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს

კანონში შესატანი ცვლილებების პროექტის მომზადების მიზნით. აღნიშნულ სამუშაო ჯგუფში, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, ჩართულნი იყვნენ პროექტის ,,ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში" წარმომადგენლები. ჯგუფის შეხვედრების ფარგლებში, განხილულ იქნა ისეთი საკითხები, რომლებიც მიზნად ისახავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის, ხარისხიანი პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდასა და პროფესიულ განათლებაში ინკლუზიური პრინციპების დანერგვას. ინკლუზიური განათლების საკითხები გათვალისწინებულ იქნა პროექტზე მუშაობის პროცესში.

2014 წლის ბოლოს ჩატარდა კვლევა ,,დამსაქმებლის დამოკიდებულებების შესწავლა შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე პირთა დასაქმების მიმართ".

20.6.2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა და სტუდენტთა განათლების დაფინანსების ადექვატური სისტემის დანერგვა.

2013 წლის სექტემბრიდან ,,ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 იანვრის N9 დადგენილებაში შევიდა ცვლილება და 13-ე პუნქტად დაემატა დამატებითი დაფინანსების ოდენობა, რაც მიზანმიმართულად განსაზღვრულია საჯარო სკოლებში ინკლუზიური განათლების მხარდაჭერისთვის;

საჯარო სკოლებში ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მიზნით სკოლებს გამოეყოფა დამატებითი დაფინანსება:

- 1-დან 6 სსსმ მოსწავლის ჩათვლით სკოლას ყავს - 1 სპეციალისტი (ფსიქოლოგი ან სპეც. მასწავლებელი ან კოორდინატორი);
- 7-დან 13 სსსმ მოსწავლის ჩათვლით სკოლას ყავს - 2 სპეციალისტი (ფსიქოლოგი ან სპეც. მასწავლებელი ან კოორდინატორი);
- 14 დან 23 სსსმ მოსწავლის ჩათვლით სკოლას ყავს - 3 სპეციალისტი (ფსიქოლოგი ან სპეც. მასწავლებელი ან კოორდინატორი);
- 23-ზე მეტი სსსმ მოსწავლე - 4 სპეციალისტი

2013-2014 წლებში მოხდა აღნიშნული დაფინანსების მექანიზმის გამოცდა. 2015 წელს იგეგმება დაფინანსების არსებული მოდელის გაანალიზება.

საქართველოს მოქალაქეებისთვის, პროფესიული განათლების მიღება, სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. დაფინანსების მიღების წინაპირობას წარმოადგენს სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირება. პირები, რომელთაც, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექსპერტთა გუნდის შეფასების შედეგად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება უდასტურდებათ, თავისუფლდებიან ზემოაღნიშნული

ტესტირებისგან და ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, იღებენ 100% სახელმწიფო დაფინანსებას, სამინისტროს მიერ/მონაწილეობით დაფუძნებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ასევე, სსსმ და შშმ პირთა სასწავლო პროცესის სრულფასოვანი და ხარისხიანი ორგანიზებისთვის, სახელმწიფო დამატებით აფინანსებს სსსმ და შშმ პირთათვის დამხმარე სპეციალისტებს, ჟესტური ენის თარჯიმნებს, მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტებს და სხვა (განათლების და მეცნიერების მინისტრი ბრძანება N28, 16.01.2015)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მოქმედი სოციალური პროგრამა ითვალისწინებს იმ სტუდენტთა დაფინანსებას უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურების (ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, მაგისტრატურის) საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებიც არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. პროგრამის ფარგლებში სტუდენტები ფინანსდებიან 4-6 წლის განმავლობაში (პროგრამის ხანგრძლივობის მიხედვით) სახელმწიფო სასწავლო გრანტის მაქსიმალური ოდენობის (2250 ლარი) ფარგლებში. სოციალური პროგრამის ფარგლებში 2014-2015 სასწავლო წელს სახელმწიფო დაფინანსება მოიპოვა აღნიშნული კატეგორიის 37 სტუდენტმა. პროგრამა გაგრძელდება 2015-2016 სასწავლო წელს.

20.6.3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა უწყვეტი და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურებზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბაზაზე არსებობს მულტიდისციპლინური გუნდი, რომელიც ახორციელებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლის შეფასებას და მისთვის განათლების საუკეთესო ფორმის შერჩევას. გუნდის შემადგენლობაში შედიან ფსიქოლოგები, ოკუპაციური თერაპევტები, პედაგოგი/სპეც. მულტიდისციპლინური გუნდის ფუნქციას წარმოადგენს თბილისისა და რეგიონის მასშტაბით არსებული ყველა სკოლისთვის, ასევე სპეციალიზირებული სკოლებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, კვალიფიციური დახმარების გაწევა ინკლუზიური განათლების განვითარების პროცესში:

2014 წლის დეკემბრის ჩათვლით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შემოსულია 2663 განაცხადი მოსწავლის შესაფასებლად.

- ერთიანი ეროვნული გამოცდებში მონაწილეობის მიღების მიზნით მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასდა 30 აბიტურიენტი;
- სკოლის გამოსაშვებ გამოცდებში მონაწილეობის მიღების მიზნით მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასდა 121 მოსწავლე;
- სპეციალიზირებულ სკოლა-პანსიონებში ჩარიცხვის მიზნით მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასდა 209 მოსწავლე, აქედან 77 ჩაირიცხა სკოლა-პანსიონი, ხოლო დანარჩენმა სწავლა გააგრძელა სხვადასხვა საჯარო სკოლაში;

- მომზადებული და დაბეჭდილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების შეფასების პორტფოლიოს ნიმუში.
- პორტფოლიოს გამოყენებაში ტრენინგი ჩაუტარდათ სკოლა-პანსიონების და საპილოტე საჯარო სკოლების მასწავლებლებს;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების იდენტიფიცირების, შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებისა და ინტერპრეტირების უფლების მისაღებად ჩატარებულია კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგი მულტიდისციპლინური გუნდის წევრებისათვის;
- შესაბამისი ექსპერტების მიერ შემუშავდა და 2015 მინისტრის ბრძანებით დამტკიცდება სკოლებში ინკლუზიური განათლების მიმდინარეობის რეგულაციები.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ხარისხიანი პროფესიული განათლების უზრუნველყოფის და სასწავლო პროცესის მონიტორინგის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შექმნილია პროფესიული სასწავლებლების მონიტორინგისა და მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოსთან არსებული მულტიდისციპლინურ გუნდის 5 წევრისგან არის დაკომპლექტებული.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ფიზიკური გარემოს ადაპტირების მიზნით, შემუშავდა უნივერსალური დიზაინის პრინციპებზე დაფუძნებული არქიტექტორული პროექტი 5 პროფესიული სასწავლებლისთვის.

სხვადასხვა საფეხურზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად პედაგოგებისთვის და ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისთვის:

შემუშავდა და ჩატარდა 20 საათიანი ტრენინგ მოდული - „სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა ინტეგრაცია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში“. მოდული განკუთვნილია ზოგადი განათლების პედაგოგების, ფსიქოლოგების და სხვა სპეციალისტებისთვის და აწვდის მათ ინფორმაცია ინკლუზიური განათლების ზოგად პრინციპებზე და ასწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლების და კლასში ინტეგრაციის სტრატეგიებს. 2012, 2013 და 2014 წლებში მოდული გაიარა 3000-მდე პედაგოგმა, ფსიქოლოგმა, ინკლუზიური განათლების სპეციალისტმა.

შემუშავდა 8 კრედიტიანი შესავალი კურსი სპეციალურ პედაგოგიკაში (120 საკონტაქტო საათი, თეორიული და პრაქტიკული ნაწილი და ასევე ინდივიდუალური კონსულტირება თითოეული მონაწილისთვის) - კურსი განკუთვნილია ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისთვის და აძლევს მათ მინიმალურ ბაზისურ ცოდნას და უნარებს სპეციალური პედაგოგიკის შესახებ. 2012 წელს კურსი გაიარა 20 -მა სპეციალისტმა; 2013-2014 წლებში 470 -ამდე პედაგოგმა, სპეციალურმა პედაგოგმა, ინკლუზიური განათლების კოორდინატორმა და ფსიქოლოგმა.

შემუშავდა ინდივიდუალური კონსულტირების პროგრამა - მომართვის; მოსწავლეთა შეფასების და მონიტორინგის სისტემა, რომელიც განკუთვნილია საჯარო სკოლის ნებისმიერი სპეციალისტისთვის, ვინც მუშაობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების

მქონე მოსწავლესთან და უზრუნველყოფს ინდივიდუალურ მხარდაჭერას/კონსულტირებას კონკრეტული სსსმ მოსწავლის სწავლის/ქცევის სირთულეებთან დაკავშირებით.

შემუშავდა სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა წერა-კითხვის და არითმეტიკული უნარების განმავითარებელი პროგრამა, რომელიც ჩატარდა 3 სპეციალურ და ერთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში - პროგრამა მიმართულია წერისა და კითხვისათვის აუცილებელი ბაზისური/წინარე აკადემიური უნარების განვითარებაზე.

შემუშავდა და პილოტირება გაიარა მოკლევადიანმა ტრენინგ კურსებმა- „აუტიზმის მქონე მოსწავლეთა სწავლება (46 საკონაქტო საათი)"; „ქცევის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლება (44 საკონატაქტო საათი)". „ბრაილის სისტემა და მისი სწავლების მეთოდიკა" (50 საკონტაქტო საათი)" „ჟესტური ენა -პირველი დონე" (60 საკონტაქტო საათი). პილოტირებაში მონაწილოება მიიღო 83-მა სპეციალისტმა, რომლებზეც გაიცა კურსებში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

შემუშავდა და პილოტირება გაიარა მოდულმა „ინკლუზიური განათლება სკოლის ადმინისტრაციისთვის და რესურს-ცენტრებითვის". მოდული ადმინისტრაციის წარმომადგენლებს აწვდის ინფორმაციას ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპების შესახებ და ასწავლის ინკლუზიური სკოლის განვითარების და შეფასების სტრატეგიებს.

ჩატარდა მოდული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლების საკითხებზე პროფესიული სასწავლებლების პედაგოგებისთვის.

2010 წელს დაიწყო მუშაობა და 2011 წელს დამტკიცდა სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის, რომელიც დღემდე მოქმედებს. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ახალი სქემის და სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე, ზემოთ აღნიშნულ სტანდარტში შევა რიგი ცვლილებები.

20.6.4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების მონიტორინგის მექანიზმის შემუშავება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ევროკავშირის მხარდაჭერით და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით, მუშაობს ინკლუზიური განათლების მონიტორინგის მოდელის შესამუშავებლად, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება, განხორციელდეს ინკლუზიური განათლების მიმდინარეობის ხარისხის შეფასება.

20.7. ჯანმრთელობის დაცვის თანაბარი გარემოს უზრუნველყოფა.

20.7.1. ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებული დისკრიმინაციის გარეშე.

შშმ ბავშვები და მკვეთრად გამოხატული შშმ პირები 2014 წლის სექტემბრიდან სრულად არიან ინტეგრირებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში. პროგრამა ითვალისწინებს

სასწრაფო სამედიცინო მომსახურებას და სამედიცინო ტრანსპორტირებას, ოჯახის ექიმისა და ექიმ-სპეციალისტების მომსახურებას, გადაუდებელ ამბულატორიულ და სტაციონარულ მომსახურებას. გეგმიურ ქირურგიულ ოპერაციებს, ონკოლოგიურ პაციენტთა მკურნალობას და დიაგნოსტიკას, კერძოდ, ქიმიოთერაპიას, ჰორმონოთერაპიას და სხივურ თერაპიას, აგრეთვე ამ პროცედურებთან დაკავშირებულ გამოკვლევებსა და მედიკამენტებს, მშობიარობას.

ქვეყნის მასშტაბით შშმ პირებისათვის უზრუნველყოფილია ჯანმრთელობის დაცვის არსებულ სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა. ამისათვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის გათვალისწინებულია განსაკუთრებული მიდგომები, მათი უსაფრთხო გადაადგილების კუთხით, რაც ასახულია შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტებში. როგორც სტაციონარული დაწესებულების სანებართვო პირობები მოიცავს მოთხოვნებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უსაფრთხო გადაადგილების კუთხით, ასევე, შშმ პირთა უსაფრთხო გადაადგილების პირობები გათვალისწინებულია ამბულატორიული სერვისის მიწოდებისას. („სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ და „მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილებები, „სამედიცინო ჩარევების კლასიფიკაციის განსაზღვრისა და პირველადი ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება).

20.7.2. შეზღუდული შესაძლებლობით განპირობებული ჯანმრთელობის მდგომარეობათა მართვის გაუმჯობესება.

შშმ პირები, ისევე როგორც საქართველოს სხვა მოქალაქეები ჩართულნი არიან ჯანმრთელობის დაცვის ნებისმიერ სახელმწიფო პროგრამაში. კერძოდ:

- ინფექციური დაავადებების მართვა;
- ტუბერკულოზის მართვა;
- აივ-ინფექცია/შიდსი;
- დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა;
- ნარკომანია;
- ფსიქიკური ჯანმრთელობა;
- დიაბეტის მართვა;
- ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება;
- დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია;
- ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა;
- იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა;
- სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება;
- სოფლის ექიმი;
- იმუნიზაცია;

- ეპიდზედამხედველობის პროგრამა;
- უსაფრთხო სისხლი;
- პროფესიულ დაავადებათა პრევენცია;

იმ მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, რომლებიც არ იფარება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, აღნიშნული განიხილება ,,რეფერალური მომსახურების" ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით შექმნილი კომისიის მიერ.

ზემოაღნიშნულის გარდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 2 დეკემბრის №650 დადგენილებით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში განსაზღვრულია მთელი რიგი დაავადებებისა და მდგომარეობების ადრეული დიაგნოსტიკა, სკრინინგი და მკურნალობა, რომელთა ადექვატური მეთვალყურეობისა და მკურნალობის არარსებობა ზრდის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განვითარების რისკს.

სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც მოიცავს ხსენებულ პრობლემატიკას, არის შემდეგი:

- დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი, რომლის კომპონენტებია: კიბოს სკრინინგის კომპონენტი; ბავშვთა ასაკის განვითარების შეფერხება, დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი, მათ შორის: 0-იდან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა განვითარების შეფერხების სკრინინგი - მაღალი რისკის და დღენაკლულ ბავშვთა გლობალური განვითარების შეფასება სპეციალური კითხვარების და სკრინინგტესტების გამოყენებით, განვითარების და ქცევის პრობლემების მქონე პაციენტთა ადრეული იდენტიფიკაცია და სკოლისათვის მზადყოფნის შეფასება. ასევე, ითვალისწინებს ჯანდაცვის პირველადი რგოლიდან გამოგზავნილ და თვითდინებით მისულ 0-6 წლამდე ასაკის ბავშვთა განვითარების შეფასებას, ჩაღრმავებულ კვლევას და მშობლის კონსულტაციას ბავშვის განვითარების ხელშეწყობის, მოვლის, კვების საკითხების შესახებ, ხოლო სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის – სკოლისათვის მზადყოფნის შეფასებას, დღენაკლული ბავშვებისათვის – ორჯერად სკრინინგს განვითარების შეფერხების შესახებ; ბავშვთა ასაკის მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენცია - 1-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენცია, ადრეული დიაგნოსტიკა და გონებრივი ჩამორჩენილობის პროფილაქტიკა მოიცავს ბავშვის მსხვილი და ნატიფი მოტორიკის, ექსპრესიული და რეცეპტული მეტყველების, კომუნიკაციის, შემეცნებითი უნარების, თვითმომსახურების სფეროების შეფასებას, ბავშვის ფსიქიკური განვითარების ასაკობრივ ნორმასთან შესაბამისობის დადგენას, დიაგნოსტირებულ ბავშვებში ინტერვენციისა და განვითარების ინდივიდუალური გეგმების შემუშავებას.
- ეპილეფსიის დიაგნოსტიკა და ზედამხედველობა, რაც მოიცავს ეპილეფსიის რეესტრის წარმოებას, ეპილეფსიის პირველად დიაგნოსტიკასა და დიაგნოზის დადასტურების მიზნით პაციენტის ჩაღრმავებულ კვლევებს;
- ფსიქიკური ჯანმრთელობა;

- დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა; აღნიშნული პროგრამის კომპონენტებიდან საყურადღებოა: გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენა, ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგი ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე, აგრეთვე ახალშობილთა სმენის სკრინინგი.
- დიაბეტის მართვა;
- დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია;
- იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა.

20.7.3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზანმიმართულობის, სტრუქტურისა და მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება.

ყოველწლიურად საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები მთელი რიგი დაავადებებისა და მდგომარეობების ადრეული დიაგნოსტიკის, სკრინინგისა და მკურნალობის გარდა, ასევე, მოიცავს იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას. აღნიშნული დაავადებები უმეტეს შემთხვევაში იწვევს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განვითარებას. ხსენებული პროგრამა ითვალისწინებს ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა როგორც ამბულატორიულ, ისე სტაციონარულ მკურნალობას და მედიკამენტებით უზრუნველყოფას; მუკოვისციდოზით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიულ და სტაციონარულ მკურნალობას, მუკოვისციდოზით დაავადებულთა (ყველა ასაკი) სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფას; ფენილკეტონურიით დაავადებულ ყველა ასაკის პაციენტთა ამბულატორიულ და სტაციონარულ მკურნალობას და სამკურნალო საკვები დანამატებით უზრუნველყოფას; მემკვიდრული ჰიპოგამაგლობულინემიით (ბრუტონის დაავადება) დაავადებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიულ და სტაციონარულ მკურნალობას და სპეციფიკური მედიკა-მენტებით უზრუნველყოფას; ზრდის ჰორმონის დეფიციტისა და ტერნერის სინდრომის მქონე ბავშვთა და მოზარდთა ზრდის ჰორმონით უზრუნველყოფას; იუვენილური რევმატოიდული ართრიტით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ბიოლოგიური პრეპარატებით უზრუნველყოფას; დიდი თალასემიით დაავადებულთა რკინის შემბოჭავი პრეპარატებით უზრუნველყოფას.

20.7.4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემის გაუმჯობესება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები და მკვეთრად გამოხატული შშმ პირები 2014 წლის 1 სექტემბრამდე სარგებლობდნენ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მაისის №165 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამით, ხოლო 1 სექტემბრიდან სრულად (იგივე პირობებით) მოხდა მათი ინტეგრირება

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებულ „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში“.

აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარებისთვის ზემოაღნიშნული სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს ქვემოთ ჩამოთვლილი სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას:

ა) ამბულატორიული მომსახურება (გეგმური ამბულატორიული მომსახურების მიღება შესაძლებელია მხოლოდ პირველადად ოჯახის ან სოფლის ან უბნის ექიმთან მიმართვის საფუძველზე):

ა.ა) ოჯახის ან სოფლის ან უბნის ექიმის და ექთნის მიერ მიწოდებული ამბულატორიული მომსახურება, მათ შორის, პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული ვაქცინაციით უზრუნველყოფა (მხოლოდ აცრა-ვიზიტი), ჯანმრთელობის მდგომარეობისა და რისკ-ფაქტორების შეფასება, პრევენციული ღონისძიებები, დაავადებათა დიაგნოსტიკა და მართვა, პალიატიური მზრუნველობა, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მომსახურება ბინაზე (კომპეტენციის ფარგლებში);

ა.ბ) ექიმ-სპეციალისტების მიერ მიწოდებული ამბულატორიული მომსახურება ოჯახის ან სოფლის ან უბნის ექიმის დანიშნულებით;

ა.გ) ექიმის დანიშნულებით ამბულატორიულ დონეზე ნებისმიერი სახის ინსტრუმენტული გამოკვლევები: ელექტროკარდიოგრაფიული, ექოსკოპიური და რენტგენოლოგიური გამოკვლევები (რენტგენოსკოპია, რენტგენოგრაფია, მამოგრაფია და კომპიუტერული ტომოგრაფია) – კომპიუტერული ტომოგრაფია ითვალისწინებს ასანაზღაურებელი თანხის 20%-ის თანაგადახდას მოსარგებლის მხრიდან, გარდა საპენსიო ასაკის პირებისა, რომელთათვისაც თანაგადახდა შეადგენს 10%-ს;

ა.დ) ექიმის დანიშნულებით ამბულატორიულ დონეზე კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევები: სისხლის საერთო ანალიზი, შარდის საერთო ანალიზი, გლუკოზა პერიფერიულ სისხლში, კრეატინინი, ჰემოგლობინი, ქოლესტერინი სისხლში, შრატში ლიპიდების განსაზღვრა, განავლის ანალიზი ფარულ სისხლდენაზე;

ა.ე) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (შშმპ) სოციალური ექსპერტიზისათვის, კერძოდ, შშმპ-ის სტატუსის მისანიჭებლად საჭირო გამოკვლევები, გარდა მაგნიტურ-ბირთვულ-რეზონანსული გამოკვლევებისა;

ა.ვ) ამბულატორიულ დონეზე ყველა სახის სამედიცინო ცნობების, დასკვნებისა და რეცეპტების გაცემა (მათ შორის, ინკურაბელური პაციენტებისათვის ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტების რეცეპტების გაცემა) (გარდა სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებული ფორმა NIV-100/ა, სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში ავტომობილის მართვის მოწმობისა და იარაღის შენახვის/ტარების უფლების მისაღებად წარსადგენი ცნობებისა);

ა.ზ) გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება (მათ შორის, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში შესყიდული სპეციფიკური შრატებითა და ვაქცინებით მომსახურების უზრუნველყოფა).

ბ) სტაციონარული მომსახურება:

ბ.ა) გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება, მათ შორის, ინფექციურ დაავადებებთან და ინკურაბელური პაციენტების პალიატიურ მზრუნველობასთან დაკავშირებული ჰოსპიტალიზაცია, გართულებულ ორსულობასთან, მშობიარობასა და ლოგინობის ხანასთან დაკავშირებული ჰოსპიტალიზაცია, ითვალისწინებს ასანაზღაურებელი თანხის 20%-ის თანაგადახდას მოსარგებლის მხრიდან, გარდა საპენსიო ასაკის პირებისა, რომელთათვისაც თანაგადახდა შეადგენს 10%-ს. თანაგადახდას არ ითვალისწინებს კრიტიკული მდგომარეობები და შშმ ბავშვებისათვის ინკურაბელურ პალიატიურ მზრუნველობასთან დაკავშირებული ჰოსპიტალიზაცია;

ბ.ბ) გეგმური ქირურგიული ოპერაციები (მათ შორის, დღის სტაციონარი), ასევე გეგმურ ქირურგიულ ჰოსპიტალიზაციასთან დაკავშირებული წინასაოპერაციო, ოპერაციის მსვლელობისას განხორციელებული და პოსტოპერაციული პერიოდის ყველა ტიპის ლაბორატორიული, ინსტრუმენტული გამოკვლევები - წლიური ლიმიტი 15 000 ლარი. ითვალისწინებს 20%-იან თანაგადახდას მოსარგებლის მხრიდან, გარდა საპენსიო ასაკის პირებისა, რომელთათვისაც თანაგადახდა შეადგენს 10%-ს. თანაგადახდას არ ითვალისწინებს შშმ ბავშვებისათვის კარდიოქირურგიული და ონკოლოგიური ოპერაციები და მათთან დაკავშირებული გამოკვლევები;

ბ.გ) ონკოლოგიურ პაციენტთა მკურნალობა და დიაგნოსტიკა, კერძოდ, ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია და სხივური თერაპია, აგრეთვე ამ პროცედურებთან დაკავშირებული გამოკვლევები და მედიკამენტები – წლიური ლიმიტი 15 000 ლარი. ითვალისწინებს 20%-იან თანაგადახდას მოსარგებლის მხრიდან, გარდა საპენსიო ასაკის პირებისა, რომელთათვისაც თანაგადახდა შეადგენს 10%-ს, ხოლო შშმ ბავშვებისთვის მომსახურების ხარჯები ანაზღაურდება სრულად;

ბ.დ) მშობიარობა (საკეისრო კვეთის ჩათვლით) – ლიმიტი 500 ლარი. ითვალისწინებს ასანაზღაურებელი თანხის 20%-ის თანაგადახდას მოსარგებლის მხრიდან;

გ) ამბულატორიული სამკურნალო საშუალებები მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და შშმ ბავშვებისათვის ანაზღაურდება სამკურნალო საშუალებათა დამტკიცებული ნუსხის მიხედვით (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის N53/ნ ბრძანება). ანაზღაურება ხდება წლიური ლიმიტის 100 ლარის ფარგლებში, 50%-ის თანაგადახდით მოსარგებლის მხრიდან.

20.8 აბილიტაცია და რეაბილიტაცია.

20.8.1.აბილიტაციისა და რეაბილიტაციის არსებული სერვისებისა და პროგრამების ხელმისაწვდომობა.

20.8.2. აბილიტაციისა და რეაბილიტაციის ღონისძიებათა ხარისხისა და ეფექტიანობის გაუმჯობესება.

20.8.3. სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობა.

20.8.4. აბილიტაციისა და რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამების მიზანმიმართულობის, სტრუქტურისა და მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N291 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის" 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის „ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის" ფარგლებში გაიზარდა ფინანსური ხელმისაწვდომობა, მიმწოდებელთა რაოდენობა, დაფინანსებული კურსების რაოდენობა (წლის განმავლობაში ფინანსდება 4206 კურსი, ამასთან, ერთ ბენეფიციარზე არა უმეტეს 7 კურსისა, მაშინ როცა 2013 წელს ფინანსდებოდა მხოლოდ 5 კურსი), პროგრამის მომწოდებელთა მომსახურების გეოგრაფული არეალი. გასულ წლებში მომსახურება ხორციელდებოდა თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში. 2014 წელს მომსახურება ხორციელდებოდა თბილისის 5 დაწესებულებაში, ასევე ქუთაისში, ბათუმში, თელავსა და გორში. ბენეფიციართა ოჯახების მხრიდან თანადაფინანსების წილი 2014 წლის აპრილის თვიდან შემცირდა 25%-დან 10%-მდე, ხოლო ნოემბრიდან სრულად გაუქმდა. დაფინანსებული კურსების მაქსიმალური რაოდენობა თითოეულ ბენეფიციარზე ნაცვლად 5-ისა, განისაზღვრა 7-ით. პროგრამის ბიუჯეტი 2013 წელს შეადგენდა 1,241,000 ლარს, 2014 წელს შეადგინა 1,424,530 ლარი.

აღნიშნული შვიდი ათდღიანი კურსის დაფინანსება 2014 წელს ხდებოდა შემდეგი პრინციპის დაცვით: „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებული იმ ოჯახების წევრ ბავშვებს, რომელთა სარეიტინგო ქულა ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის არ აღემატება 100 000-ს, ასევე რეინტეგრაციის შემწეობის მიმღები ოჯახების წევრ ბავშვებს ვაუჩერები დაუფინანსდათ შესაბამისი ლიმიტის 100%-ით, ხოლო სხვა ბენეფიციარებს - შესაბამისი ლიმიტის 90%-ით. 2015 წლიდან ბენეფიციარები სარგებლობენ სრული დაფინანსებით.

2015 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პროექტით გათვალისწინებულია ბიუჯეტის გაზრდა 300 000 ლარით, რაც საშუალებას იძლევა დამატებით 140 ბენეფიციარის ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით უზრუნველყოფას რეაბილიტაციის კურსების მაქსიმალური რაოდენობით (თითოეულზე 7 კურსი).

2013 წელს - შემოვიდა 939 განაცხადი, აქედან საკუთარი სურვილით, მიუხედავად შეტყობინებისა არ გამოცხადდა -79. მომსახურება გაეწია 860 ბენეფიციარს.

2014 წელს - შემოვიდა 1039 განაცხადი აქედან საკუთარი სურვილით, მიუხედავად შეტყობინებისა, არ გამოცხადდა - 93. მომსახურება გაეწია 946 ბენეფიციარს.

„ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის“ (2014 წლის დაფინანსება 1 357 521,00) ფარგლებში, დადგენილების შესაბამისი ქვეპროგრამის მე–3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით (ბავშვთა ცერებრული დამბლის, სპინური კუნთოვანი ატროფიისა და მასთან დაკავშირებული სინდრომების, კუნთოვანი დისტროფიის, თანდაყოლილი მიოპათიების, კუნთების სხვა (მათ შორის, დაუზუსტებელი) პირველადი დაზიანების, ჰემი, პარა და ტეტრაპლეგიის, ცენტრალური ნერვული სისტემის ანთებითი და სისხლძარღვოვანი დაავადებების შედეგების, ანთებითი პოლინეიროპათიების შედეგების, პერიფერიული ნერვული სისტემის სამშობიარო ტრავმის შედეგების მქონე 3 წლისა და მეტი ასაკის (მათ შორის, მინდობით აღზრდაში/სააღმზრდელო დაწესებულებაში მყოფი) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები, აგრეთვე, ამავე მდგომარეობების მქონე 3 წლამდე ასაკის ბავშვები) გათვალისწინებული კატეგორიის ბენეფიციარების რაოდენობა შეადგენდა: იანვარში – 336 ბენეფიციარს, თებერვალში – 353 ბენეფიციარს, მარტში – 339 ბენეფიციარს, აპრილში – 373 ბენეფიციარს, მაისში – 423 ბენეფიციარს, ივნისში – 475 ბენეფიციარს, ივლისში – 382 ბენეფიციარს, აგვისტოში – 170 ბენეფიციარს, სექტემბერში - 371 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 287 ბენეფიციარს, ნოემბერში -266 ბენეფიციარს, დეკემბერში- 844 ბენეფიციარს.

გაუმჯობესდა და გაიზარდა პროგრამით გათვალისწინებული მიზნობრივი ჯგუფებისათვის ქვეპროგრამის ღონისძიებების ხარისხი და ეფექტიანობა, რომელიც მოიცავს:

ა) სააგენტოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის მიხედვით ინდივიდუალური აბილიტაციის/რეაბილიტაციის წლიური გეგმის შედგენას (წელიწადში ერთხელ, მიუხედავად მომსახურების მიმწოდებლის შესაძლო ცვლილებისა) შესაბამის სპეციალისტთა ინტერდისციპლინური გუნდის მიერ;

ბ) თერაპიული ინტერვენციას, რომელიც მოიცავს ფიზიკური თერაპიის, ოკუპაციური თერაპიის, მეტყველებისა და ენის თერაპიის და საჭიროების შემთხვევაში, ფსიქოლოგიური კორექციის, ქცევითი თერაპიის, აგრეთვე, მშობელთა, მინდობით აღმზრდელთა, სააღმზრდელო დაწესებულების უფლებამოსილ პირთა ან კანონიერ წარმომადგენელთა განათლებისა და ტრენინგის სეანსებს - ,,ცერებრული დამბლა“ – კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინი) კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 18 დეკემბრის №278/ო ბრძანების შესაბამისად;

გ) ექიმის მეთვალყურეობას (სეანსი), რაც მოიცავს ბავშვთა ნევროლოგიურ გასინჯვას, სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებას, ინტერდისციპლინური გუნდის მუშაობის კოორდინაციას;

დ) საჭიროების შემთხვევაში – ბავშვის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ფსიქოლოგიური დახმარებას (სეანსი).

20.8.5. ადრეული ჩარევის სისტემის ფორმირება ბავშვთა აბილიტაციისა და რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

2013 წლიდან მოცემულ მომენტამდე, ფონდი ,,ღია საზოგადოება საქართველოს“ ოგანიზებით და მხარდაჭერით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო; ,,ღია საზოგადოება საქართველო“; ასევე, ადრეული განვითარების ქვეპროგრამის მიმწოდებელი ორგანიზაციები: ,,ფონდი პირველი ნაბიჯი საქართველო“; ა(ა)იპ ,,საქართველოს პორტიჯის ასოციაცია"; შპს "ნეიროგანვითარების ცენტრი"; ა(ა)იპ ,,საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაცია“, მუშაობს ,,ადრეული ჩარევის პროგრამის პოლიტიკისა და პროცედურების“, ასევე ,,ადრეული ჩარევის სტანდარტების“ პროექტებზე, რომლებიც ამჟამადაც გადის საბოლოო განხილვას ჯგუფის მიერ. დოკუმენტების პროექტების საბოლოო ვერსიები წარედგინება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემდგომი განხილვისა და სათანადო რეაგირებისთვის.

პოლიტიკისა და პროცედურების დოკუმენტის მიზანია განმარტოს ადრეული ინტერვენციის პროგრამის არსი, მიზანი, მისი მნიშვნელობა - განვითარების პრობლემების ან ამ მხრივ, რისკის მქონე ბავშვების დროული გამოვლენისა და საჭირო ინტერვენციების დაგეგმვის თვალსაზრისით. დოკუმენტი ასევე, განსაზღვრავს ადრეული ინტერვენციის ეროვნული სისტემის სტრუქტურას, პროგრამის შემადგენელ კომპონენტებს (მომსახურების სახეები, სამუშაო სპეციფიკა, შეფასების სისტემა, ადამიანური რესურსის კვალიფიკაცია და სხვა).

ჯგუფმა შეიმუშავა ,,ადრეული ინტერვენციის მომსახურების სტანდარტები“, რაც ეფუძნება ბავშვთა ადრეული ინტერვენციის პოლიტიკისა და პროცედურების დოკუმენტს. სტანდარტი განსაზღვრავს, მომსახურების მიმწოდებლების მიერ სავალდებულო შესასრულებელ კომპონენტებს, როგორიცაა: ინფორმაცია მომსახურების შესახებ, მომსახურების ინკლუზიურობა, კონფიდენციალობის დაცვა, უკუკავშირისა და გაპროტესტების პროცედურები, ძალადობისგან დაცვა, მოთხოვნები პერსონალის მიმართ, სპეციალისტებისა და ბენეფიციართა თანაფარდობა.

20.9. შრომის და დასაქმების ხელშეწყობა.

20.9.1. შშმ პირთათვის შრომისა და დასაქმების თანაბარი უფლების უზრუნველყოფა.

„საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ „საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 აგვისტოს №199 დადგენილებითა (პუნქტი-3.6.) და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამის 2015-2018 წლების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის № 01-359/ო ბრძანებით განსაზღვრულია შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის განხორციელების ფარგლებში, მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობა და დაბალ კონკურენტუნარიანი შრომითი რესურსებისათვის თანაბარი შესაძლებლობებისა და ხელმისაწვდომობის

უზრუნველყოფა, რისთვისაც 2015 წლიდან 2018 წლამდე ყოველწლიურად გათვალისწინებულია ბიუჯეტი 100 000 ლარის ოდენობით.

20.9.2. შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობა.

შრომის ბაზარზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმების მიზნით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურეობის სააგენტოს, რეგისტრაციის ერთიანი ონლაინ სისტემაში worknet.gov.ge, მიმდინარე ეტაპზე დარეგისტრირებულია 1022 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი, რომელთაგან დასაქმდა 12 პირი.

20.9.3. შრომის ბაზარზე შშმ სამუშაოს მაძიებთა კონკურენტუნარიანობის გაზრდა.

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ პროფესიული ორიენტაციის პროცედურის დახვეწის მიზნით, პროექტის ,,ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში“ ფარგლებში მუშავდება პროფესიული ორიენტაციის ახალი მექანიზმი. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის შემუშავებულია ალტერნატიული ტესტირება, რომელიც მათ 3 განსხვავებული პროფესიის მოსინჯვის შესაძლებლობას აძლევს და ასევე, შეიცავს პროფესიული ორიენტაციის ელემენტებს.

ამასთანავე, პროექტის ფარგლებში რეგულარულად მიმდინარეობს პოტენციურ დამსაქმებელთან მუშაობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების დასაქმების საკითხის პოპულარიზაციისა და მათთვის დასაქმების შესაძლებლობის გაზრდის მიზნით.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევა „დამსაქმებელთა დამოკიდებულებების შესწავლა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ“ (2014 წ.) მიზნად ისახავდა იმ ბარიერებისა და რესურსების გამოვლენას, რომლებიც სსსმ და შშმ პირების დასაქმებასთან მიმართებაში არსებობს და რომელთა ცოდნაც, სსსმ პირების პროფესიული განათლების შემდგომი დასაქმების ხელშეწყობას უფრო მიზანმიმართულს გახდის.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი, მთელი ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს სამუშაოს მაძიებელთათვის (მათ შორის შშმ პირთა) საინფორმაციო - საკონსულტაციო მომსახურებას. ამ მიზნით დეპარტამენტმა დაგეგმა და ჩაატარა ჯგუფური კონსულტაციები და ტრენინგები თემებზე: სამუშაოს მოძიება, თვითშეფასება, დასაქმებისთვის საჭირო დოკუმენტაცია, (cv და სამოტივაციო წერილი), თვითპრეზენტაციის უნარები. ღონისძიებებს დაესწრო 5422 ადამიანი მათ შორის 24 შშმ პირი.

20.9.4. შრომის ღირსეული, უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფა.

საქართველოში დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ

სოციალურ პარტნიორებთან და სხვადასხვა უწყებებთან ერთად შემუშავდა შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა.

აღნიშნული პროგრამა დამტკიცდა 2015 წლის 5 თებერვალს საქართველოს მთავრობის N38 დადგენილებით.

პროგრამა გულისხმობს საწარმოების შემოწმებას იმ მიზნით, რომ დახმარება გაეწიოს დამსაქმებლებს უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნაში. პროგრამის განხორციელების საშუალებით მოხდება შრომის ბაზარზე დასაქმებულთა შრომის პირობების მიმართულებით არსებული რეალური მდგომარეობის ანალიზი და შეფასება, რომელიც მომავალში გახდება ამ კუთხით გასატარებელი ღონისძიებების გზამკვლევი.

ამასთანავე, საქართველოში დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების დანერგვის, სამუშაო ადგილებზე დისკრიმინაციული შემთხვევებისა და იძულებითი შრომის პრევენციის მიზნით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემადგენლობაში შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის სახით (2015 წლის 2 მარტის საქართველოს მთავრობის დადგენილება N81), რომელიც მოამზადებს ნიადაგს ისნპექტირების სრულყოფილი მექანიზმის დანერგვისათვის. დეპარტამენტის კომპეტენციებს განეკუთვნება: ორგანიზაცია-დაწესებულებებში შრომის დაცვის მიმართულებით არსებული პირობების გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შემუშავება/სრულყოფა, შრომის უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობა, სამუშაო ადგილებზე დისკრიმინაციული შემთხვევების ან იძულებითი შრომის პრევენციის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და სხვ.

20.10. სოციალური დაცვა.

20.10.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის უფლების განხორციელება დისკრიმინაციის გარეშე და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

შშმ პირთათვის გათვალისწინებული მომსახურებები იგეგმება და ხორციელდება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის" სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ დადასტურებული და გამოვლენილი საჭიროებებისა და არსებული პრიორიტეტების გათვალისწინებით.

,,საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 6 იანვრის N01-1/ნ ბრძანების შესაბამისად შეიქმნა სოციალური პროგრამების მონიტორინგის სამმართველო, რომელიც ახორციელებს მომსახურებების არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას და რეკომენდაციების შემუშავებას მიმწოდებლებისათვის. მოცემულ ეტაპზე შემუშავებულია სათემო ორგანიზაციების მომსახურების სტანდარტები და შესაბამისად,

მიმდინარეობს მოქმედი და რეგისტრაციის მსურველი მიმწოდებლების მონიტორინგი სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

20.10.2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზანმიმართულობის, სტრუქტურისა და მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება.

2014 წლის განმავლობაში გაიზარდა სოციალური მომსახურებების (დღის ცენტრები, სათემო ორგანიზაციები, ადრეული განვითარების მომსახურებები) დაფინანსება და მოცულობა.

ქვეპროგრამა	2013 წლის ბიუჯეტი	2014 წლის ბიუჯეტი
ბავშვთა რეაბილიტაციის	1 241 000	1 424 530
ადრეული განვითარების	232 500	438 000
სათემო ორგანიზაციების	686 600	836 000
დღის ცენტრების*	2 838 200	3 084 000

* დღის ცენტრების ქვეპროგრამისთვის 2014 წლის თავდაპირველი ბიუჯეტით განსაზღვრული თანხიდან (3 084 000 ლარი) 28.11.14. მთავრობის N641 დადგენილების შესაბამისად დარჩენილი ეკონომიის საფუძველზე 321 600 ლარი გადატანილ იქნა კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფის კომპონენტში.

საქართველოს მასშტაბით მეტ შშმ პირს მიეწოდება უფრო ხარისხიანი, საჭიროების შესაბამისი მომსახურებები;

- შშმ პირთა მომსახურებების განხორციელების მიზნით რამდენიმე ორგანიზაციას სახელმწიფომ უზუფრუქტით გადასცა უძრავი ქონება;

- არსებული მომსახურებების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, დაიწყო არსებულ სტანდარტებთან მათი შესაბამისობის მონიტორინგი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭოს 2014 წლის 27 ოქტომბრის სხდომაზე საქართველოს პრემიერ მინისტრის და საბჭოს წევრი მინისტრების მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დღის ცენტრების, ადრეული განვითარებისა და ბავშვთა რეაბილიტაციის მომსახურებებში თანადაფინანსების გაუქმების შესახებ. შესაბამისად, აღნიშნული მომსახურებების მიღება თანადაფინანსების გარეშე უკვე 2014 წელსვე იყო შესაძლებელი. რისთვისაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ საკუთარი საბიუჯეტო რესურსის ფარგლებში გამოყო წლიურად 312 000 ლარი.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 23 ივლისის, ბრძანების N01-54/ნ თანახმად, განისაზღვრა სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ხანდაზმულთა მომსახურების მინიმალური სტანდარტები.

20.10.3. ალტერნატიული სოციალური მომსახურებების განვითარების ხელშეწყობა.

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის" 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად სათემო ორგანიზაციების ბენეფიციართა რაოდენობა 160-დან გაიზარდა 180 პირამდე.

დღეისათვის, ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს 13 სათემო მომსახურება. აქედან ხანდაზმულ პირებს ემსახურება 7 მიმწოდებელი ორგანიზაცია, ხოლო შშმ პირებს, 8 ორგანიზაცია.

მოცემულ ეტაპზე, ხანდაზმულთა სათემო მომსახურებებში ცხოვრობს 67 ხანდაზმული პირი, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სათემო მომსახურებაში 106 შშმ პირი.

20.11. პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის ხელშეწყობა.

20.11.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთა თანაბარი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის პროცესის გააქტიურება.

2014 წლის ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებზე, სმენადაქვეითებული ამომრჩევლებისათვის, კენჭისყრაში მონაწილეობის შესახებ, გავრცელდა ცესკოს საინფორმაციო ვიდეო რგოლი სურდოთარგმანის თანხლებით, პორტატული კომპიუტერების გამოყენებით. არჩევნების პირველი ტურისთვის აღნიშნული აქტივობა განხორციელდა იდენტიფიცირებულ 400 საარჩევნო უბანზე, ხოლო თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურისთვის 300 საარჩევნო უბანზე.

მცირემხედველ ამომრჩევლებს, საშუალება მიეცათ საარჩევნო უბანზე გამოეყენებინათ სპეციალური გამადიდებელი ხელსაწყო, ლინზის ფურცელი. აღნიშნული ხელსაწყოს გამოყენება შეეძლოთ, როგორც მცირემხედველ, ასევე, მხედველობის 4% მქონე ამომრჩევლებს. კენჭისყრის დღეს, 15 ივნისს, ლინზის ფურცელი, გამოიყენა 4284 მცირემხედველმა ამომრჩეველმა, ხოლო არჩევნების მეორე ტურისთვის 801 ამომრჩეველმა. პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ფინანსური მხარდაჭერით.

ცესკომ კენჭისყრის დღეს უზრუნველყო, მობილური ჯგუფებისა და ადაპტირებული ტრანსპორტის საშუალებით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლების საარჩევნო უბნამდე გადაადგილება.

არჩევნების პირველი ტურისთვის განთავსდა 13 პორტატული პანდუსი.

ქ. თბილისისა და რეგიონების საოლქო საარჩევნო კომისიებში შემავალი ადაპტირებული საარჩევნო უბნების რაოდენობამ შეადგინა - 464 საარჩევნო უბანი.

ქ. თბილისისა და რეგიონების საოლქო საარჩევნო კომისიებში, განაწილებული პორტატული კომპიუტერების რაოდენობამ შეადგინა - 400 პორტატული კომპიუტერი.

15 ივნისის, კენჭისყრის დღეს, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა, მოახდინეს უბანზე მისული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთა აღრიცხვა, კატეგორიების მიხედვით. აღრიცხვის შედეგად, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 272 უსინათლო, 239 - სმენადაქვეითებულმა და 88 ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველმა, ხოლო 4284 მცირემხედველმა ამომრჩეველმა ისარგებლა გამადიდებელი ლინზით.

ხოლო 12 ივლისს, არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობა მიიღო 120 უსინათლო, 66 სმენადაქვეითებულმა და 33 ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველმა, ხოლო 1048 მცირემხედველმა ამომრჩეველმა ისარგებლა გამადიდებელი ლინზით.

ქ. თბილისისა და რეგიონების საოლქო საარჩევნო კომისიების მიხედვით, საარჩევნო უბნებზე განთავსებული ხმის მიცემის სპეციალური კაბინების რაოდენობამ შეადგინა - 800 კაბინა.

2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის, საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, საარჩევნო სუბიექტებს, პირველად გაუჩნდათ ვალდებულება, პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა ყველა მაუწყებლის ეთერში განეთავსებინათ სურდოთარგმანის თანხლებით (ჟესტური ენა). ასევე, საზოგადოებრივ მაუწყებელს, საარჩევნო კამპანიის პერიოდში, დაევალა არჩევნებთან დაკავშირებული გადაცემების ეთერში გაშვება სურდოთარგმანის თანხლებით (ჟესტური ენა). აღნიშნული ცვლილებებით სმენადაქვეითებულ ამომრჩევლებმა პირველად შეძლეს ინფორმირებული არჩევანის გაკეთება.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, პირველად უზრუნველყო საიმიჯო/საინფორმაციო ვიდეო რგოლის დამზადება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლებისათვის. ასევე, არჩევნებისთვის დამზადებული 10 საიმიჯო/საინფორმაციო რგოლი გადიოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის, მეორე არხისა და 24 რეგიონალური ტელევიზიის ეთერში სურდოთარგმანის თანხლებით (ჟესტური ენა). საზოგადოებრივ მაუწყებელზე, მერობის კანდიდატებს შორის გაიმართა დებატები პირდაპირ ეთერში, რომელიც გაშუქდა სურდოთარგმანის თანხლებით (ჟესტური ენა).

2014 წელს, ცესკოს ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.cesko.ge) სიახლე იყო ,,საარჩევნო რუკა“, სადაც ყველა მოქალაქეს საშუალება ჰქონდა მიეღო დეტალური ინფორმაცია 73 მუდმივმოქმედ საარჩევნო ოლქში შემავალი საარჩევნო უბნების შესახებ, მათ შორის ადაპტირებული 464 საარჩევნო უბნის შესახებ.

ასევე, ცესკოს ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.cesko.ge) ბანერში, ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები“, განთავსდა ინფორმაცია, მათი საარჩევნო უფლებების, საკანონმდებლო რეგულაციებისა და ცესკოს მიერ დაგეგმილი აქტივობების შესახებ.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, სხვადასხვა მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ დაგეგმა და განახორციელა სპეციალური პროგრამა, რომელიც საშუალებას აძლევს ასეთ კატეგორიას მიკუთვნებულ პირებს, დისტანციურად მიიღონ 40–ზე მეტი სახის მომსახურება.

20.12. კულტურულ, რეკრეაციულ, გასართობ და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა

20.12.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფა საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში

2014 წელს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა პროექტი „საქართველოს უსინათლოთა კავშირის კულტურის ცენტრის საქმიანობის ხელშეწყობა“, რომლის განხორციელებაშიც მონაწილეობა მიიღო და დასაქმდა 50 უსინათლო. აღნიშნულმა ორგანიზაციამ თბილისსა და რეგიონებში გამართა კონცერტები, მოაწყო ახალი წიგნების პრეზენტაციები და შეხვედრები მწერლებთან (დ. ტურაშვილი, ე. ტოგონიძე, თ. დოლენჯაშვილი, დ. აკრიანი), დრამატულმა წრემ მაყურებელს წარუდგინა სპექტაკლები „მანველიძეების ოჯახი“, „ზუსტად 8 საათზე“ და მონოლოგების საღამო, ანსამბლის რეპერტუარი შეავსო ახალი სიმღერებით, ბრაილის შრიფტით გამოსცა ჟურნალის „სინათლე“ 10 ნომერი, სტუდია „ცოდნამ“ გაახმოვანა 600 საათის მხატვრული ლიტერატურა, ინგლისური ენის შემსწავლელ წრეში, 2 ასაკობრივ ჯგუფს ჩაუტარდა 80 მეცადინეობა.

ასევე, 2014 წელს საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით საქართველოს ყრუთა კავშირმა განახორციელა პროექტი „ჟესტური სამყარო“. პროექტის ფარგლებში, აღნიშნულმა ორგანიზაციამ შეასწავლა სმენადაქვეითებულებს სიმღერები, ცეკვები და გამართა კონცერტები თბილისსა და თელავში, მონაწილეობა მიიღო ქობულეთში გამართულ საერთაშორისო ფესტივალში, რომელშიც მონაწილეობდა 800 სტუმარი 43 ქვეყნიდან, ხოლო ქ. პრაღაში სილამაზის საერთაშორისო კონკურსში „მის მსოფლიო“ და „მის ევროპა“ მონაწილეობა მიიღო სმენადაქვეითებულმა გოგონამ - ინგა კირცხალიამ. პროექტში ჩართული იყო სულ 30 სმენადაქვეითებული, მათგან დასაქმდა 5, ხოლო 15-ს ჩაერიცხა ჰონორარი. ამგვარად ორივე პროექტში დასაქმდა 70 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი.

2015 წელს პროექტ ,,შეზღუდული შესაძლებლობების პირთა მხარდაჭერის“ ფარგლებში გრძელდება „საქართველოს უსინათლოთა კავშირის კულტურის ცენტრის საქმიანობის მხარდაჭერა“. აღნიშნული კულტურის ცენტრი განახლებული რეპერტუარით გამართავს კონცერტებს თბილისსა და რეგიონებში. მონაწილეობას მიიღებს ფესტივალებსა და კონკურსებში. მომზადდება და ნაჩვენები იქნება 3 წარმოდგენა, მოეწყობა პოეზიისა და პროზის საღამოები, გამოცემების პრეზენტაციები, ცენტრის ბიბლიოთეკა მოემსახურება თვეში 246-მდე შშმ პირს, 20 უსინათლო მოზარდს, 2 ასაკობრივ ჯგუფს ყოველთვიურად ჩაუტარდება მეცადინეობები ინგლისურ ენაში.

ამავე პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა საქართველოს ყრუთა კავშირის მიერ წარმოდგენილი პროექტი ,,ჟესტური სამყარო“, პროექტი ყრუ და სმენადაქვეითბული

პირების თვითრეალიზაციას უწყობს ხელს, მიზანმიმართული ორი სამყაროს - სმენიანი და ჩუმი სამყარო - ინტეგრირებას და ჟესტური ენის პროპაგანდას. პროექტის ფარგლებში ჩართული იქნება 30 სმენადაქვეითებული პირი, ხოლო მათ კონცერტებს დაესწრება 5000-მდე ყრუ და სმენადაქვეითებული პირი. პროექტის ფარგლებში პედაგოგი შეარჩევს სიმღერებს და მოარგებს მონაწილეთა შესაძლებლობებს, მუსიკის, ტექსტის შესაბამისად დამუშავდება ჟესტის ტექნიკა, პლასტიკა, მოხდება მისი დასწავლა. პროექტის ფარგლებში სმენადაქვეითებული გოგონა მომზადდება და შეირჩევა ივლისის თვეში პრაღის სილამაზის კონკურში მონაწილეობის მისაღებად. კონცერტები გაიმართება ქალაქებში: ფოთი, ბათუმი, ქუთაისი, თელავი, გურჯაანი და თბილისი.

ასევე, დაგემილია ა(ა)იპ ,,მშობელთა ხიდი"-ს პროექტის ,,პარაორკესტრი" განხორციელება. პროექტი მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა - პოპულარიზაციას, პროექტის ფარგლებში მოხდება უკვე არსებული პარაორკესტრის განვითარება, მისი წევრები 20-მდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირია. პარაორკესტრი გამართავს 5-მდე კონცერტს, რომლის რეპერტუარშიც 10 ახალი მუსიკალური ნაწარმოები შევა. მათ შორისაა ქართველი კომპოზიტორების პოპულარული ნაწარმოებები და ჯაზური კომპოზიციები. პროექტის ფარგლებში დასაქმდება 8 პირი.

სამინისტროს მხარდაჭერით ასევე ხორციელდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კავშირის პროექტი ,,მშობელთა თანადგომა" სახელწოდებით ,,ხელოვნება ინტეგრაციისთვის". აღნიშნული პროექტის ფარგლებში 8 დან 30 წლამდე გონებრივი შეფერხების მქონე პირთა (დაუნის სინდრომი, ეპილეფსია, ცერებრალური დამბლა დ ა.შ.) მქონე 16 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირს და 4 მზრუნველობა მოკლებულ თანატოლს შეასწავლიან ხატვას, თექაზე და თიხაზე მუშაობას. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები შექმნიან თოჯინებს, სუვენირებს და სხვადასხვა აქსესუარებს. ელ. ახვლედიანის სახელობის მუზეუმში მოეწყობა მათ მიერ შექმნილი ნამუშევრების გამოფენა.

ა.წ. 2 აპრილს აუტიზმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ალექსი მაჭავარიანის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში დაგეგმილია საქველმოქმედო კონცერტის ჩატარება და მიღებული შემოსავალი აუტიზმის მრავალფუნქციური კლინიკის ინფრასტრუქტურის განვითარება - აღჭურვას, აუტიზმის სინდრომის მქონე პირების სრულფასოვან მომსახურებას მოხმარდება.

20.12.2. კულტურული დაწესებულებებისა და მასალების თანაბარი მისაწვდომობის ხელშეწყობა.

2014 წელს სამინისტროს მხრიდან ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის ხელმისაწვდომობის ხარისხის ამაღლების მიზნით შენობის ადაპტირებისთვის. პირველ ეტაპზე შეიქმნა ხელმისაწვდომობის ინსტრუმენტები, რომლის მასშტაბების გაფართოებაც იგეგმება სამომავლო პერსპექტივაში. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ თეატრებისა და მუზეუმების, ნაწილში უზრუნველყოფილია ადაპტირებული გარემო

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის, ხოლო სამომავლო რეაბილიტაციის პროცესში მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა.

20.12.4. შშმ პირთათვის სპორტული დარბაზებისა და მოედნების ადაპტირება და ხელმისაწვდომობის გაზრდა.

2014 წელის სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ დაამონტაჟა, ადაპტირებული 16 (თექვსმეტი) გარე სავარჯიშო და მიმდინარე წელს იგეგმება 20 (ოცი) მსგავსი სავარჯიშო მოწყობილობის დამონტაჟება ქვეყნის მასშტაბით.

მიმდინარე წელს, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ მუშაობა დაასრულა "სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმაზე", რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ტიპის (საშეჯიბრო, სავარჯიშო, რეკრეაციული, სპორტულ-გამაჯანსაღებელი, სპორტულ-გასართობი) ადაპტირებული სპორტული ობიექტის მშენებლობას. აღნიშნული ყველა სპორტული ობიექტი იქნება ადაპტირებული შშმ პირთათვის.

შრომითი უფლებები

21. შრომის უფლების დაცვა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად.

21.1. შრომის კანონმდებლობის სრულყოფის პროცესის გაგრძელება.

21.1.1. საქართველოს შრომის კოდექსის დახვეწისათვის საჭირო ცვლილებების მომზადება და ინიცირება.

„საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N199 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 2014 წლის 26 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N732 დადგენილების თანახმად, 2015-2016 წლებში შრომის კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით, დაგეგმილია საქართველოს შრომის კოდექსის დებულებების შეფასება, რეკომენდაციების შემუშავება, სოციალურ პარტნიორებთან განხილვა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების პაკეტის შემუშავება.

21.1.2. შრომითი უსაფრთხოებისა და ჰიგიენის შესახებ საკანონმდებლო რეგულაციების პროექტების შემუშავება.

შრომის უსაფრთხოების სტანდარტების შემუშავებასა და ინსპექტირების მექანიზმების ეფექტიან ამოქმედებასთან დაკავშირებით „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 აგვისტოს №199 დადგენილებით და აშშ-ს შრომის სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტის - „შრომის კანონმდებლობის გაუმჯობესება საქართველოში“ - ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), განისაზღვრა შრომის დაცვის შესახებ კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება, შრომის პირობების, შრომის უსაფრთხოებისა და მოთხოვნების მონიტორინგის ორგანოს ფუნქციების, ორგანიზაციული სტრუქტურისა და დაქვემდებარების, ტექნიკური აღჭურვისა და რესურსებით უზრუნველყოფის საჭიროებების განსაზღვრა, შრომის პირობების, უსაფრთხოებისა და ჰიგიენის მონიტორინგისთვის საჭირო მეთოდური მასალებისა და სტანდარტების მომზადება, რომელიც ხელს შეუწყობს მოქმედი შრომის კოდექსის ნორმების გათვალისწინებით სამუშაო ადგილებზე დასაქმებულების შრომითი უფლებების დაცვას, მათი უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების გაუმჯობესებას.

ასევე, „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N199 დადგენილებით გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობის ეტაპობრივი განახლება/გადასინჯვა ასოცირების შესახებ შეთანხმების XXX დანართში "ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე" დასახელებული დირექტივების თანახმად განსაზღვრულ ვადებში.

აღნიშნული საკითხების გადაჭრის მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დაწყებულია შესაბამის კანონპროექტზე მუშაობა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ექპერტების ჩართულობით.

21.1.3. დასაქმების შესახებ კანონის დამუშავება, პროექტის მომზადება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დაწყებულია მუშაობა დასაქმების შესახებ კანონპროექტის შემუშავების მიზნით.

ევროკავშირის საბიუჯეტო დახმარების პროგრამის -„დასაქმება და პროფესიული განათლება და გადამზადება“ - ფარგლებში დასაქმებისა და პროფესიული გადამზადების რეფორმის ტექნიკური მხარდაჭერის პროექტის განხორციელება დაიწყო მიმდინარე წლის ნოემბერში. პროექტის ერთ-ერთი კომპონენტის ითვალისწინებს ტექნიკური დახმარების გაწევას ევროკავშირის სამართლებრივი ნორმების შესაბამისი კანონპროექტების შემუშავებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, დასაქმების შესახებ კანონპროექტის სრულყოფა მოხდება აღნიშნული პროექტის ფარგლებში შესაბამის ექპერტებთან ერთად, რის შემდგომ 2015 წელს დაიწყება კანონპროექტის განხილვა სამუშაო ჯგუფის ფარგლებში.

21.1.4. შრომითი მიგრაციის შესახებ კანონის პროექტის მთავრობაზე ინიცირება.

შრომითი მიგრაციის პროცესების რეგულირებისა და მართვის უზრუნველსაყოფად მომზადდა კანონპროექტი „შრომითი მიგრაციის შესახებ“, რომელიც ხელს შეუწყობს მიგრაციული პროცესების უკეთ წარმართვას ქვეყნის განვითარებისთვის, მიგრანტთა უფლებების დაცვასა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას მიგრაციის სფეროში,

ქვეყანათა შორის ამ მიმართულებით თანამშრომლობის ხელშეწყობას (ხელშეკრულებები ლეგალური შრომითი მიგრაციის შესახებ (ცირკულარული, სეზონური და ა.შ.)). მიმდინარე ეტაპზე კანონპროექტი განხილულ იქნა პირველი მოსმენით პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

21.2. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ძირითადი კონვენციების იმპლემენტაცია.

21.2.1. კონვენცია გაერთიანების თავისუფლებისა და ორგანიზების უფლების დაცვის შესახებ 1950(N87).

21.2.2. კონვენცია იძულებითი ან სავალდებულო შრომის შესახებ 1930 (N29).

21.2.3. კონვენცია იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ 1957 (N 105).

21.2.4 კონვენცია კოლექტიური მოლაპარაკების ორგანიზებასა და გამართვაზე უფლებათა პრინციპების გამოყენების შესახებ 1949 (N98).

21.2.5. კონვენცია სამუშაოზე მისაღები მინიმალური ასაკის შესახებ 1973 (N138).

21.2.6. კონვენცია ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ 1999 (N182).

21.2.7. კონვენცია მამაკაცთა და ქალთა თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ 1951(N100).

21.2.8 კონვენცია შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ 1958 (N 100).

მოცემულ კონვენციებთან დაკავშირებით აღსანიშნავია საქართველოს მიერ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაში (ILO) 2013-2014 წლებში გაგზავნილი ანგარიშები ზემოაღნიშნული კონვენციების იმპლემენტაციის შესახებ. ექსპერტთა კომიტეტის დასკვნებში, საქართველოს მიერ გატარებული ღონისძიებები დადებითად არის შეფასებული.

(http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:14000:0::NO:14000:P14000_COUNTRY_ID:102639)

21.3. საქართველოს შრომის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების ეფექტური იმპლემენტაცია პრაქტიკაში.

21.3.1. სოციალური დიალოგის აქტიურად წარმართვა.

2014 წლის განმავლობაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობდა სოციალურ პარტნიორებთან (პროფესიული გაერთიანებები, დამსაქმებელთა ასოციაციები). თანამშრომლობა მოიცავს სოციალურ პარტნიორების მონაწილეობით სამუშაო ჯგუფების შექმნას, ერთობლივად საკითხების განხილვასა და წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას, ტრენინგებში მონაწილეობას ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც აქტუალურია მიმდინარე ეტაპზე შრომისა და დასაქმების კუთხით. ყოველივე ზემოთქმული ასახულია შესაბამის ოქმებში.

2014 წლის 17 მაისის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N 01-114/ო ბრძანების საფუძველზე, სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ფარგლებში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეისწავლის შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებში არსებულ სხვადასხვა პრობლემატურ საკითხებს და განსაზღვრავს მათი გადაჭრის გზებს. სამუშაო ჯგუფის შეხვედრები ასახულია შესაბამის ოქმებში.

„საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმის'' დამტკიცების შესახებ 2013 წლის 2 აგვისტოს საქართველოს მთავრობის N199 დადგენილების (შეტანილია ცვლილება 2014 წლის 26 დეკემბრის N732 დადგენილებით) ერთ-ერთი თავი ეძღვნება სოციალური პარტნიორობის ინსტიტუტის გაძლიერებას, რაც გულისხმობს სოციალური პარტნიორობისა და სოციალური დიალოგის გაძლიერებას როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონულ დონეზე. ამ მიმართულებით გასატარებელ ღონისძიებებს ახორციელებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კოორდინირებით.

21.3.2. სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ამოქმედება.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბერის N258 დადგენილებით დამტკიცდა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის დებულება. საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2014 წლის 12 მარტის N55 ბრძანებით განისაზღვრა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შემადგენლობა. მოცემული მომენტისთვის გაიმართა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ერთი სხდომა, 2014 წლის 1 მაისს.

21.4. შრომითი უფლებების დასაცავად საჭირო ინსტიტუციური რეფორმების განხორციელება.

21.4.1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეფორმირების საკითხის მომზადება.

,,საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-5-ე თავი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები“ ითვალისწინებს შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამას (პროგრამული კოდი 35 05), რაც მოიცავს სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოებისა და შრომის პირობების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგს; საქართველოს შრომის ბაზარზე სამუშაოს მაძიებელთა მოთხოვნად პროფესიებში მომზადება-გადამზადების ღონისძიებების დაფინანსებას მათი დასაქმების პერსპექტივების გაუმჯობესებისათვის; შრომის ბაზართან დაკავშირებული ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნას, ინფორმაციის შეფასებას, ანალიზსა და გავრცელებას. აღნიშნული პროგრამის ავტორი და წარმდგენია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. პროგრამის დამტკიცება დაგეგმილია 2015 წელს საქართველოს მთავრობის მიერ.

გარდა ამისა, საქართველოს შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის დანერგვის, მიღებული ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის მიზნით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების დეპარტამენტში შეიქმნა შრომის ბაზრის კვლევის სამმართველო, რომლის კომპეტენციებს განეკუთვნება: შრომის ბაზრის შესახებ განხორციელებული კვლევებისა და მონაცემთა შეგროვების არსებული წყაროების გამოვლენა, შეფასება, კვლევის შედეგებისა და შეგროვებული მონაცემების თავმოყრა, ანალიზი და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. სამმართველოს ფუნქციები და კომპეტენციები განსაზღვრულია საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 6 იანვრის N 01-1/ნ ბრძანებით ,, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინსიტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებების დამტკიცების შესახებ''.

21.4.2. მედიაციის მექანიზმის შექმნა რომელის მანდატშიც შევა:

- კოლექტიური შრომითი დავების შემათანხმებელი პროცედურებით გადაწყვეტა და შრომითი კონფლიქტების ესკალაციის პრევენცია (იმ შემთხვევების ჩათვლით, როცა დამქირავებლის როლში გამოდის სახელმწიფო);
- კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების ხელშეწყობა.

2014 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ორგანიზებითა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) წარმომადგენლების მონაწილეობით შეირჩა კოლექტიური შრომითი დავების მედიატორობის 15 კანდიდატი.

2014 წლის 25 აპრილიდან 8 მაისის ჩათვლით მიმდინარეობდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მედიატორობის კანდიდატების ტრენინგები. ტრენინგს უძღვებოდნენ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ექსპერტები.

შერჩეული კანდიდატებიდან შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტებმა რეკომენდაცია გაუწიეს 8 კანდიდატს. აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებითა და სოციალურ პარტნიორებთან შეთანხმებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მედიატორების ძირითადი (4 მედიატორი) და სარეზერვო (4 მედიატორი) სიის შექმნის შესახებ, რომელიც გადაეგზავნა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სამდივნოს შემდგომი მსვლელობისთვის.

2014 წელს მედიატორთა მონაწილეობით დასრულდა კოლექტიური დავების 3 შემთხვევა („RMG Gold“/“RMG Copper“; სს „საქართველოს რკინიგზა“; შპს „საქართველოს ფოსტა“), რომელთაგან 2 შემთხვევა გადაიჭრა მხარეთა შეთანხმებით.

საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს მედიაციის სერვისის ფუნქციონირების გაუმჯობესებას. აღნიშნული გულისხმობს მედიაციის მექანიზმების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობას და ცნობიერების ამაღლებას, რაც გამოიწვევს კოლექტიური შრომითი დავების მედიაციის გამოყენების შემთხვევების ზრდას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

დასახელებული სამოქმედო გეგმის საბიუჯეტო ნაწილში აისახა მედიატორების მომსახურებისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებისთვის განკუთვნილი თანხები (50 000 ლარი).

21.4.3. კოლექტიური შრომითი დავების გადაწყვეტისა მედიაციის მექანიზმების განვითარება.

სოციალური პარტნიორების მონაწილეობის გაძლიერებისა და კოლექტიური შრომითი დავების გადაწყვეტის მიზნით 2013 წლის 25 ნოემბერს დამტკიცდა საქართველოს მთავრობის დადგენილება №301 „კოლექტიური დავის შემათანხმებელი პროცედურებით განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“.

მიმდინარე ეტაპზე შემუშავებულია მედიატორთა ეთიკის კოდექსი, რომელიც წარედგინება სოციალური პარტნიორობის სამმხრივ კომისიას რეკომენდაციებისა და შენიშვნებისთვის მომდევნო სხდომაზე.

კოლექტიური შრომითი დავების მედიაციის ინსტიტუტის განვითარებისთვის და მედიატორთა პროფესიონალური უნარ-ჩვევების ასამაღლებლად აშშ-ს შრომის დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროექტის - „შრომის კანონმდებლობის დაცვის გაუმჯობესება საქართველოში''- ფარგლებში მომავალში დაგეგმილია მედიატორთა კვალიფიკაციის ამაღლება.

21.4.4. შრომის უსაფრთხოების გაუმჯობესება და სამუშაო პირობების ინსპექტირების მექანიზმის ფორმირება.

საქართველოში დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სოციალურ პარტნიორებთან და სხვადასხვა უწყებებთან ერთად შემუშავდა შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა.

აღნიშნული პროგრამა დამტკიცდა 2015 წლის 5 თებერვალს საქართველოს მთავრობის N38 დადგენილებით.

პროგრამა გულისხმობს საწარმოების შემოწმებას იმ მიზნით, რომ დახმარება გაეწიოს დამსაქმებლებს უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნაში. პროგრამის განხორციელების საშუალებით მოხდება შრომის ბაზარზე დასაქმებულთა შრომის პირობების მიმართულებით არსებული რეალური მდგომარეობის ანალიზი და შეფასება, რომელიც მომავალში გახდება ამ კუთხით გასატარებელი ღონისძიებების გზამკვლევი.

შრომის პირობების მონიტორინგს განახორციელებენ სპეციალურად შერჩეული პირები, რომლებიც გაივლიან შესაბამის მომზადებას. ტრენინგებს გაუძღვებიან ევროპის პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სააგენტოსა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ექსპერტები.

2015 წელს დასახელებული პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 1 მილიონ ლარს და მისი განხორციელება მოხდება საქართველოს კანონით „შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმირების პროგრამისთვის“ (პროგრამული კოდი 35 05) გათვალისწინებულ ასიგნებათა ფარგლებში.

ამასთანავე, საქართველოში დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების დანერგვის, სამუშაო ადგილებზე დისკრიმინაციული შემთხვევებისა და იძულებითი შრომის პრევენციის მიზნით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემადგენლობაში შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის სახით (2015 წლის 2 მარტის საქართველოს მთავრობის დადგენილება N81), რომელიც მოამზადებს ნიადაგს ინსპექტირების სრულყოფილი მექანიზმის დანერგვისათვის. დეპარტამენტის კომპეტენციებს განეკუთვნება: ორგანიზაცია-დაწესებულებებში შრომის დაცვის მიმართულებით არსებული პირობების გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შემუშავება/სრულყოფა, შრომის უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობა, სამუშაო ადგილებზე დისკრიმინაციული შემთხვევების ან იძულებითი შრომის პრევენციის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და სხვ.

21.4.5 დასაქმების ხელშეწყობის სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობისა და ინფორმირების მიზნით სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში შეიქმნა დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი, რომლის ამოცანაა დასაქმების სფეროში და შრომის ბაზრის ინფრასტუქტურის განვითარებაში სახელმწიფო პოლიტიკის გატარების უზრუნველყოფა. ამუშავდა შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემა და ელექტრონული პორტალი worknet.gov.ge რომელზედაც ამ ეტაპზე დარეგისტრირებულია 35 116 სამუშაოს მაძიებელი. სისტემაში რეგისტრაცია ნებაყოფლობითი და უფასოა.

სააგენტო აწარმოებს სამუშაოს მაძიებელთა ჯგუფურ კონსულტირებას/ტრენინგებს საქართველოს მასშტაბით, რომელიც მოიცავს შემდეგ თემებს: სამუშაოს მოძიება, თვითშეფასება, რეზიუმესა და სამოტივაციო წერილის შედგენა, გასაუბრებაზე გასვლის ტექნიკა, თვითპრეზენტაციის უნარები და სხვ.

მიმდინარეობს სააგენტოს რაიონული ოფისების საქმიანობის კოორდინაცია, მათი მუშაობის მონიტორინგი, ანალიზი; ხორციელდება ცენტრების ყოველდღიური მუშაობის მხარდაჭერა; მიმდინარეობს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო მომსახურებისა და www.worknet.gov.ge-ს ინფორმაციის მუდმივი აღრიცხვა, დამუშავება და ანალიზი, ასევე მიმდინარეობს სამუშაოს მაძიებელთა კონსულტირების სერვისების მიწოდება და საშუამავლო მომსახურების გაწევა.

2014 წლის 20 სექტემბერს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა დასაქმების ფორუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 141 დამსაქმებელმა, 10 პროფესიულმა კოლეჯმა და გაცემული იყო 3814 საგზური. ფორუმიდან 3 თვის მონიტორინგის შედეგად დასაქმდა 180-ზე მეტი სამუშაოს მაძიებელი, საიდანაც კომპანიებიდან წერილობითი

დასტური შემოვიდა 76 ადამიანზე, სტაჟირებას გადის 8 ადამიანი, სამომავლოდ შერჩეულია 284 ადამიანი.

21.5. შრომისა და დასაქმების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება.

21.5.1. თანამშრომლობისა და კონტაქტების გაღრმავება ტრადიციულ პარტნიორებთან (აშშ შრომის სამინისტრო, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, ევროკავშირი, მსოფლიო ბანკი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება, ევროპის სასწავლო ფონდი) და ახალი პარტნიორული კავშირების დამყარება.

2013-2014 წლებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობდა შრომისა და დასაქმების სფეროში მოღვაწე საერთაშორისო პარტნიორებთან, რომლის მაგალითებიც მოყვანილია სხვადასხვა საქმიანობების შესრულების ანგარიშში. 2015 წელს სამინისტრო აქტიურად აპირებს განაგრძოს და გააფართოოს თანამშრომლობის არეალები, განახორციელოს მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები და დონორების მეშვეობით წამოიწყოს შესაბამისი ახალი პროგრამები.

საკუთრების უფლების დაცვა.

22. საკუთრების უფლების ხელშეუხებლობის გარანტიების შექმნა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად.

22.1. უძრავი ქონების რეგისტრაციის ფორმების დახვეწა და გაუმჯობესება.

22.1.1. ერთიანი ელექტრონული საკადასტრო ბაზის შექმნა. ქაღალდის აზომვითი ნახაზებით რეგისტრირებული უძრავი ქონების ელექტრონულ ფორმატში გადატანა.

ერთიანი ელექტრონული საკადასტრო მონაცემთა ბაზის შექმნის პროცესი დასრულებულია. ქაღალდის აზომვითი ნახაზებით, რეგისტრირებული უძრავი ქონების, ელექტრონულ ფორმატში გადატანის მიზნის მისაღწევად, საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა სრულყოფილია და ეტაპობრივად მიმდინარეობს პროცესი. ამ ეტაპზე განხილულია 10300 საქმე.

22.1.2. შატილის თემის ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების რეგისტრაციისათვის დადგენილ საერთო რეჟიმში მოქცევა.

ტერიტორიის კოსმოსური გადაღება უამინდობის გამო განხორციელდა ნაწილობრივ. (ტერიტორიის იმ ნაწილში, სადაც ვერ განხორციელდა გადაღება, გამოიყენება თავდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული კოსმოსური გადაღების მასალები) გეოდეზიური გაზომვები ჩატარებულია. გადაღებული მასალის კამერალური დამუშავება დასრულებულია. ორთოფოტოების, საკადასტრო გეგმებისა და რუკების შედგენის პროცესი დასრულებულია.

(ამ ეტაპზე ტექნიკური დოკუმენტაცია მომზადებულია შატილის თემში არსებული 10 დასახლებული პუნქტისთვის, სულ 216 უძრავი ნივთი).

22.1.3. ოკუპირებული ტერიტორიების საზღვრისპირა ზოლში (დვანისა და დიცის მუნიციპალიტეტებში) არსებული უძრავი ქონების რეგისტრაციისათვის დადგენილ საერთო რეჟიმში მოქცევა.

სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოებიდან გამოთხოვილია უძრავ ნივთებზე უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები. განხორციელებულია მიწის ნაკვეთის აღწერა/დაზუსტება, სისტემურად რეგისტრირებული მონაცემების მიხედვით მომზადებულია მესაკუთრეთა/მფლობელთა სიები. კორექტირებული მონაცემებით მომზადებულია საკადასტრო აზომვითი ნახაზები შემდგომი რეგისტრაციის მიზნით.

ეკოლოგიური უფლებების დაცვა.

23. ეკოლოგიური უფლებების ხელშეუხებლობის გარანტიების შექმნა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად.

23.1. გარემოზე ზემოქმედების გამართული სანებართვო სისტემის შექმნა და ადამიანის ეკოლოგიური უფლებების უზრუნველყოფის სრულყოფილი სამართლებრივი სტანდარტების დანერგვა.

23.1.1. სამართლებრივი ბაზის შესაბამისობაში მოყვანა საერთაშორისო სტანდარტებთან და ევრო დირექტივებთან.

„მწვანე ეკონომიკა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ პროგრამის ფარგლებში, მიმდინარეობს გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ კანონპროექტის შემუშავება, არსებული სანებართვო სისტემის სრულყოფისა და ევრო დირექტივებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

23.1.1.2. გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის მექანიზმების დანერგვა და ადამიანის ეკოლოგიურ უფლებებთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების დაგეგმვა/ორგანიზება.

გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ ახალი კანონპროექტის ფარგლებში დაინერგება გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობისა და გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი ეფექტიანი მექანიზმები. კერძოდ, ახალი რეგულაციების შემოღებით საზოგადოებას ექნება შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს და ჩაერთოს ნებართვის გაცემის თითოეულ სტადიაზე, იქნება ეს სკრინინგისა და სკოპინგის ეტაპები, თუ უშუალოდ გადაწყვეტილების მიღების პროცესი.

დაინერგება საჯარო კონსულტაციების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი მექანიზმები, უზრუნველყოფილი იქნება გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რაც ხელს შეუწყობს სწორი კომუნიკაციის დამყარებას სამინისტროსა და საქმიანობის განმახორციელებელს შორის.

23.2. გარემოსდაცვითი სტრატეგიული შეფასების მექანიზმის დანერგვა.

23.2.1 გარემოს სტრატეგიული შეფასების საპილოტე პროექტის მოსამზადებელი ეტაპის განხორციელება.

პროგრამა "მწვანე ეკონომიკა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში" (EAP Green) ფარგლებში, მიმდინარეობს გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ, კანონპროექტის თანმდევი კანონქვემდებარე აქტების შემუშავება.

ამასთანავე, მსოფლიო ბანკის (WB) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება ,,ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერების პროექტი".

პროექტის მესამე კომპონენტის ფარგლებში, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ორგანიზებით დაგეგმილია ,,ენერგოსექტორის განვითარების სცენარების სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება". პროექტის მიზანია დახმარება გაუწიოს საქართველოს მთავრობას ქვეყნის ენერგოსექტორის სტრატეგიული განვითარების სცენარების თაობაზე საუკეთესო გადაწყვეტილებების მიღებაში.

პროექტის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება გადაწყვეტილების მიღების ადრეულ ეტაპზე საზოგადოებისა და ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობა, რაც განაპირობებს ენერგოსექტორის განვითარების პროცესში საზოგადოების როლის გაზრდას და საუკეთესო გადაწყვეტილების მიღებას.

23.2.2 პროცედურის დანერგვა, რომელიც ითვალისწინებს გარემოსდაცვითი პრობლემათა შესახებ არსებული ცოდნის ინტეგრაციას.

გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ ახალი კანონპროექტის ფარგლებში, გათვალისწინებული იქნება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცესში, საზოგადოების მონაწილეობისა და საჯარო კონსულტაციების ეფექტიანი მექანიზმები.

23.3. ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზისა და ვებგვერდის შექმნა.

23.3.1 გარემოზე ზემოქმედების ნებართვის/ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მქონე ორგანიზაციების მონაცემთა ბაზის სრულყოფა.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს აქვს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის/ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მქონე საწარმოთა ერთიანი

ელექტრონული მონაცემთა ბაზა, რომლის განახლება და სრულყოფა მიმდინარეობს ყოველდღიურად და მასში აისახება გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის შესახებ ინფორმაცია.

23.3.2. ელექტრონული პროგრამის შექმნა, რომელშიც ინტეგრირებული იქნება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისა და კონტროლის მექანიზმები.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მონაცემთა ბაზის გაუმჯობესების მიზნით, გააჩნია წვდომა საჯარო რეესტრის მონაცემთა ბაზაზე, საიდანაც ხდება საჭირო ინფორმაციის მიღება:

• მიწის კატეგორიის შესახებ;

• მიწის საკუთრების შესახებ;

• გაცემული ლიცენზიებისა და სამთო მინაკუთვნის შესახებ;

• ასევე ხელმისაწვდომია აერო-ფოტოსურათები და დეტალური საკადასტრო რუკები.

ამასთანავე, სამინისტროს გააჩნია შესაბამისი ელექტრონული პროგრამა (ბაზა ინსპექტორი), რომელშიც ინტეგრირებულია საჭირო ინფორმაცია გარემოზე ზემოქმედების ნებართვის, წიაღით სარგებლობის ლიცენზიებისა და სამინისტროს მიერ განხორციელებული სახელმწიფო კონტროლის შესახებ.

23.3.3. გარემოზე ზემოქმედების ნებართვის/ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი პირობებით შესრულების მიზნით, სამინისტროში შესათანხმებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ვადების მონიტორინგი და ანალიზი.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვით/ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი პირობების შესრულების მიზნით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ახორციელებს, შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის ვადების მონიტორინგსა და ანალიზის.

23.4 ვებგვერდის შექმნა, რომელზეც განთავსდება გარემოსდაცვითი მონაცემთა ბაზები.

23.4.1. მონაცემების შეგროვება უწყებებიდან; გარემოსდაცვითი ინფორმაციის საზოგადოებისათვის გასაგები ფორმატით მომზადება და მიწოდება.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო 2015 წელს გეგმავს ვებგვერდის შექმნას, რომელზეც განთავსებული იქნება გარემოსდაცვითი მონაცემთა ბაზები.